

საქართველოს მაცნეორაგათა ეროვნული აკადემიის გაცემ  
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

ისტორიის  
არქეოლოგიის  
ეთნოლოგიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

Series  
of History,  
Archeology,  
Ethnology  
and  
Art History



თბილისი  
Tbilisi

1. 2020

## **სარედაქციო კოლეგია:**

ზაზა აბაშიძე, ზურაბ აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, გონელი არახამია (პასუხიმგებელი რედაქტორი), ნანა გელაშვილი, ომარ გოგიაშვილი, მარიამ დიდებულიძე, სერგო ვარდოსანიძე, ბუბა კუდავა, დავით ლორთქიფანიძე, ლია მელიქშვილი, როინ მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), დავით მუსხელიშვილი, გიორგი ოთხმეზური, ოთარ უორდანია, გოჩა საიონიძე, ჯაბა სამუშა, კიაზო ფიცხელაური, კახა შენგელია.

## **Editorial Board:**

Zaza Abashidze, Zurab Abashidze, Zaza Aleksidze, Goneli Arakhamia (Editorial Manager), Mariam Didebulidze, Nana Gelashvili, Omar Gogiashvili, Buba Kudava, David Lordkipanidze, Lia Melikishvili, Roin Metreveli (Editor-in-Chief), David Muskhelishvili, Giorgi Otkhmezuri, Kiazo Pitskhelauri, Gocha Saitidze, Jaba Samushia, Kakha Shengelia, Sergo Vardosanidze, Otar Zhordania.

ლიტერატურული  
რედაქტორი: ვალერიან ასათიანი

Literary editor: Valerian Asatiani

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა: პაატა ქორქია

Computer design: Paata Korkia

## სარჩევი

### საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია - 80

ინტერვიუ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან აკადემიკოს გ. კვესიტაძესთან .....	5
--	---

### საქართველოს ისტორია

როინ მეტრეველი, შოთა ვადაჭკორია. „ჯვაროსნული ომი“ საქართველოს ისტორიის წინააღმდეგ.....	18
კონსტანტინე ლერნერი. საერთო-ქართველური ერთიანობის დაშლა ასურულ წარწერათა შუქებე .....	44
ნინო ჯავლიძე. კათოლიკური სიმბოლო XIII ს-ის ქართველ მეფეთა მონეტებზე.....	58
იოსებ ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გენეალოგიის დაზუსტებისათვის (XV ს.) (ქართლის სამეფო შტოს პირველი მეფის, კონსტანტინე II-ის ნარმომავლობის დადგენისათვის).....	73
ვახტანგ გურული. არჩილ ჯორჯაძე (ეროვნული თანხმობის იდეა და მისი განხორციელების გზები).....	94
ნატა თეთვაძე. 1942 წლის შეთქმულების ისტორიიდან - კონსატანტინე (კოტე) ხიმშიაშვილი .....	109

### ეთნოლოგია

ლიანა მელიქიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი. ინტერკულტურული ურთიერთობა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებში .....	121
--	-----

### ისტორიული დამოგრაფია

ანზორ სახვაძე. ხამურაბის კანონების დემოგრაფიული ასპექტები .....	133
---	-----

### ხელოვნების ისტორია

მანანა კაშია. ქართული სცენოგრაფია და შექსპირიანა მუსიკალური თეატრის სცენაზე (ს. ვირსალაძე და ფ. ლაპიაშვილი) .....	150
--	-----

### კულტუროლოგია

ქეთევან ჯერვალიძე. კიდევ ერთხელ: რიტორიკული ფიგურები ცოდვის ორ პარალიგმაში გორგო მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ .....	163
---	-----

### საისტორიო მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები

არჩილ კოხერიძე. ექვთიმე თაყაიშვილის ივანე ჯავახიშვილზე დანერილი მოგონების უცნობი ვარიანტი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.....	176
შოთა ვადაჭკორია. ექვთიმე თაყაიშვილი ქართული ემიგრაციის ერთანობისთვის ბრძოლის სათავეებთან (1921-1940 წე.) .....	191

### რეაქციას ქართველი მთარები და მხატვარი ენვია

რეზო ადამია. განგებით რჩეული ერის შვილი. შესვედრა დიდ მწერალთან (ფიქრები და განცდები) .....	207
--	-----

### პრიტიკა და პიგლიოგრაფია

გიორგი სოსიაშვილი. ცხინვალში დაბრუნების პირველი ნაბიჯები.....	223
ნეკროლოგი - აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის ხსოვნას .....	233
გოგი ლორთქიფანიძის - მეგობრისა და კოლეგის ხსოვნას.....	240
ახალი წიგნები .....	241

## CONTENT

### GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCE - 80

Interview with the President of the Georgian National Academy of Sciences, Academician <b>Giorgi Kvesitadze</b> .....	17
--	----

### GEORGIAN HISTORY

<b>R. Metreveli, Sh. Vadatchkoria.</b> “Crusade” against the History of Georgia .....	42
<b>C. B. Lerner.</b> The split of common Kartvelian unity in the light of Assyrian inscriptions .....	55
<b>N. Javelidze.</b> Catholic Symbol on the Coins of Georgian Kings of XIII Century.....	58
<b>J. (Ioseb) Bichikashvili.</b> To the question of clarifying the genealogy of the Georgian Royal Dynasty of Bagrationi (XV century) [On the issue of clarifying the origin of the first king of Kartli Constantine II].....	93
<b>V. Guruli.</b> Archil Jorjadze (Idea of national agreement and ways of its realization).....	94
<b>N. Thethvadze.</b> From the history of the 1942 conspiracy .....	120

### ETHNOLOGY

<b>L. Melikishvili, L. Janiashvili.</b> Intercultural Relations and Problems of Civic Integration of the Armenians and Azerbaijanis Living in Kvemo Kartli .....	131
---	-----

### HISTORICAL DEMOGRAPHICS

<b>A. Sakhvadze.</b> Demographic aspects of the Hammurabi’s Code of Laws .....	148
--	-----

### ART HISTORY

<b>M. Kashia.</b> Georgian Scenography and Shakespeare on the Stage of Musical Theatre (S. Virsaladze and P. Lapiashvili) .....	159
--	-----

### CULTUROLOGY

<b>K. Jervalidze.</b> Rhetorical Figures in the Two Paradigms of Sin in the “Life of Gregory of Khandzta” by Giorgi Merchule .....	163
---	-----

### THE PROMINENT FIGURES OF HISTORICAL SCIENCE

<b>Archil Kokhreidze.</b> Unknown Version of Ekvtime Takaishvili’s “Memories” about Ivane Javakhishvili and Some Related Issues .....	189
<b>Shota Vadachkoria.</b> Ekvtime Takaishvili at the Dawn of the Struggle (1921-1940) for the Unity of Georgian Emigration .....	205

### THE ARTIST VISITED

<b>R. Adamia.</b> Meeting with a great writer.....	222
--	-----

### CRITICISM AND BYBLOGRAPHY

<b>Giorgi Sosiashvili.</b> First Steps to Return to Tskhinvali.....	228
In Memory of academichian <b>Otar Japaridze</b> .....	233
In Memory of <b>Gogi Lordkipanidze</b> .....	240
<b>New books</b> .....	241

### **ინტერვიუ**

#### **საქართველოს გეოცივრეგისტრის მოწვევული აკადემიის პრეზიდენტიან, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის სტანი**

ახლო მომავალში 2021 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 80 წელი წელი აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით „მაცნეს“ რედაქციის შეკითხვებს პასუხობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე. საუბარი მიჰყავს პროფ. გ. ასათიანს

**რას იტყვით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის შესახებ?**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოცენებას წინ უძლოდა ქართველი ერის კულტურული განვითარების ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია. სავსებით კანონზომიერია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თავისი შინაარსითა და ფუნქციით, წარმოადგენს იყალთოსა და გელათის აკადემიების მემკვიდრეს. საუკუნეების განმავლობაში ქართველმა ერმა შექმნა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კულტურული მთლიანობა, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის საუნჯის ორგანულ ნაწილს. ჩვენი ერის ბრძოლისუნარიანობის ძირითად ღერძს ყოველთვის წარმოადგენდა დამპყრობლებთან შედარებით ბევრად მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი. აღნიშნული უპირატესობის განცდამ დაიცვა ქართველები როგორც ფიზიკური განადგურებისაგან, ასევე ასიმილაციისაგან.

მეცნიერული და შემოქმედებითი აზრის განვითარებას საქართველოში მდიდარი წარსული აქვს, რამაც გამოხატულება პპოვა ჩვენი ხალხის უაღრესად ინტენსიურ და ნაყოფიერ მოღვაწეობაში სულიერი კულტურის დარგში. ისტორიამ შემოგვინახა ცნობა ფაზისის მახლობლად (ახლანდელი ფოთი) III-IV საუკუნეებში კოლხეთის რიტორიკული სკოლის (აკადემიის) არსებობის შესახებ. მიუხედავად გარეშე მტრებთან გამუდმებული ბრძოლისა და იმ ბედუკულმართობისა, რაც თან სდევდა საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას, ქართველმა ხალხმა შესძლო შეენარჩუნებინა და დღემდე მოეტანა თავისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა.

მრავალი საუკუნის წინ გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეთა მიერ იქმნებოდა თარგმნითი და ორიგინალური ლიტერატურა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებში, რომლებიც სხვადასხვა დროს არსებობდა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ძნელებელის უამს ქართული კულტურის განვითარების კერებად, ძირითადად, უცხოეთში არსებული მონას-

ტრები იქცა. ქართველთა მონასტრები სინას მთაზე (VI ს.) და პალესტინაში (V ს.), შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად (XI ს.), ათონზე (980-983 წე.) და პეტრიონში (1083 წ.) სწორედ ის ცენტრები იყო, სადაც ჩვენი ერის საუკეთესო წარმომადგენლები ეცნობოდნენ იმდროინდელ მონინავე ქრისტიანულ და, აგრეთვე, აღმოსავლურ კულტურას, მეცნიერებასა და მწერლობას.

ამ ცენტრებში მოღვაწეობდნენ პეტრე იბერი, ექვთიმე და გიორგი ათონელები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრინი, არსენ იყალთოელი და მრავალი სხვა. მათი შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილი მდიდარი მემკვიდრეობა დამაჯერებლად მოწმობს ქართული ფილოსოფიური და მეცნიერული აზროვნების განვითარების მაღალ დონესა და მის როლზე ზოგადსაკაცობრივ კულტურის შექმნაში.

შორეულ წარსულშივე საქართველოში გამოყენებითი ხასიათის ცოდნის განვითარებაზე ცხადად მოწმობს შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი, კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქები, გზები და სიდები, რთული სარწყავი სისტემები, მიღწევები მეტალურგიაში, სამთო და სამშენებლო საქმეში, სოფლის მეურნეობასა და ტექნიკის სხვა დარგებში.

შუა საუკუნეების საზოგადოებრივი აზრის განვითარების ჭეშმარიტი მწვერვალი იყო შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც მოწინავე იდეებითა და ჰუმანისტური მსოფლმხედველობით თავის ეპოქას გაუსწრო; მასში ასახულია ევროპული რენესანსის ძირითადი ნიშნები.

საქართველო გამოირჩეოდა როგორც ფილოსოფიის, ისტორიოგრაფიის, პოეტიკის, სამართლებრივი აზრის და კანონმდებლობის დარგში წარმოებული კვლევებით, ისე მათემატიკის, ასტრონომიის, გეოგრაფიის, მედიცინისა და სხვა მეცნიერებათა განვითარების მაღალი დონით.

XIX საუკუნეში თბილისში შეიქმნა კავკასიის მუზეუმი, თბილისის ობსერვატორია და სხვ. უფრო ადრე დაარსდა თბილისის ბოტანიკური ბაღი. ყველა ეს ორგანიზაცია შემდგომ მსხვილ სამეცნიერო დაწესებულებად გადაიქცა და დიდხანს იმყოფებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში.

ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაარსა ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, როგორიც იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის ნაყოფიერი საქმიანობა საქართველოს განაპირა, ძნელად მისადგომ რაიონებზეც ვრცელდებოდა. ამ კეთილშობილურ საქმეს ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით ყიფანი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ხელმძღვანელობდნენ.

1907 წ. შეიქმნა სამეცნიერო საზოგადოება – საისტორიო-ეთნოგრაფიული, რომელშიც გაერთიანდნენ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები და აქტიური საქმიანობა გაშალეს ძველი ქართული ისტორიული ძეგლების გამოვლენის, შესწავლისა და დაცვის მიმართულებით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც საქართველოს მეცნიერთა ორგანიზაციული კავშირი, დაფუძნებულ იქნა 1941 წლის თებერვალში.

პირდაპირი წანამძღვრები, რომელთაც მოამზადეს ნიადაგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნისათვის, იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისში, სადაც გასული საუკუნის 20-იან-30-იან წლებში მრავალი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება ჩამოყალიბდა. ქვეყანაში უკვე არსებულმა, მათემატიკის, ფიზიკოლოგის, ფიზიოლოგისა და აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო სკოლებმა, აკადემიის სისტემაში შემდგომი განვითარება ჰქონდა. დანინაურდა ქართველოლოგიური მიმართულებები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში შევიდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ყველა 9 სამეცნიერო დაწესებულება, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, გეოლოგიის ინსტიტუტი, ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგის ინსტიტუტი, ფიზიკოლოგიის და ყოფილი ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორია, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტთან ფუნქციონირებდა. გარდა აღნიშნულისა, აკადემიას გადაეცა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი, ხოლო ფიზიკოლოგიის ლაბორატორია მაშინვე გარდაიქმნა სექტორად. ამრიგად, დაარსებიდან აკადემიის სისტემაში შევიდა 14 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დამფუძნებელი პირველი თექვსმეტი წევრი მოღვაწეობდა ორ განყოფილებაში: მათემატიკისა და საბუნებებისმეტყველო და მეცნიერებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებებში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი. იგი 30 წლის მანძილზე (1941-1972) ხელმძღვანელობდა აკადემიას. 1972-1977 წლებში აკადემიის პრეზიდენტი იყო ილია ვეკუა, 1978-1986 წლებში აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, 1986-2004 წლებში – აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე, 2005-2013 წლებში – აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

**როგორია დღევანდელი აკადემიის სტრუქტურა და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები?**

დღეისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მოღვაწეობს 67 აკადემიკოსი და 19 წევრ-კორესპონდენტი. აკადემიას ჰყავს 9 სტიპენდიანტი. ფუნქციონირებს 9 სამეცნიერო განყოფილება, აგრეთვე, ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაცია, აკად გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი და აჭარის რეგიონული ცენტრი.

ყურადღებას გავამახვილებ მნიშვნელოვან მოვლენებზე სამეცნიერო განყოფილებების საქმიანობიდან:

– მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში წარმატებით მუშავდება ოპტიმალური მართვის, ინტეგრალური და დიფერენციალური განტოლებების, ჰომოლოგიური ალგებრის, ინტეგრალური გარდაქმნების, ასტროფიზიკის,

მონოიდების, ზომების თეორიის, კვანტების, ალბათობის თეორიის და ა. შ. საკითხები.

— **დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აქტიური მონაწილეობით დასრულდა მრავალწლიანი პროექტი „საქართველოს ეროვნული ატლასი“ (ტექტონიკა, გეოლოგია) და „საქართველოს გეოლოგიური რუკა“. განყოფილების წევრები იკვლევენ ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის, საქართველოსა კავკასიის გეოლოგიის**

— **გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილებააში მუშავდება ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების, მართვის საინფორმაციო სისტემების, სეისმომედეგობის, მდგრადობის, სეისმური უსაფრთხოების და ა. შ. საკითხები,**

— **ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებაში იკვლევენ მაღალ-ტემპერატურული სინთეზის, ინდოლოინდოლებისა და პიროლოინდოლების ქიმიის, ფარმაკოლოგიის, მოლეკულის ელექტრონული სისტემის, ფიზიკური ქიმიის ცეოლითების სინთეზის და სხვა საკითხები.**

— **ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების წევრების მონაწილეობით დამუშავდა მთელი რიგი ახალი ინოვაციური ტექნოლოგიები. მათ შორის: დასრულებულია ეროზირებული და ტოქსიკური ნაერთებით დაბინძურებული ნიადაგების რემედიაციის ბიოტექნოლოგია, რომელიც წარმოადგენს ერთობლივი კვლევის საგანს ჩინეთის შანდუნის პროვინციის მაღალი ტექნოლოგიების დაწესებულებასთან. გრძელდება მუშაობა ბიოსანვავის და, კერძოდ, ბიოეთანოლის წარმოების ახალ ბიოტექნოლოგიაზე. სხვა ინოვაციურ ტექნოლოგიებს შორის, აღსანიშნავია იაფი ლირებულებიდან პრობიოტიკების წარმოების ტექნოლოგია ფრინველის და ცხოველის გამოსაკვებად.**

**სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს მიკრობული სინთეზით ბიოსულ-ფაქტანტების წარმოება. ისინი პოულობენ ახალ გამოყენებებს სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს არსებულ ტექნოლოგიებს და პრიდუქციის ხარისხს.**

— **ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების წევრები სწავლობენ ურონეოლოგიის, მიასთენის, აუდიოლოგიის, პედიატრიის, ქცევის ფსიქოფიზიოლოგიის, გენეტიკის, ძილ-ღვიძილის ნეიროფიზიოლოგიის მექანიზმების და ა. შ. საკითხებს.**

— **სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების წევრები სწავლობენ საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების, საკეპენარმოების, ღვარცოფული მოვლენების, საქართველოს ნიადაგების შესწავლის საკითხზე.**

**2016 წელს განყოფილებაში მიმდინარეობს მუშაობა ქვეყნის აგრარული სექტორის პოტენციალისა და პერსპექტივის შეფასებითი მოდელირებისათვის და შემუშავდა რამდენიმე მიდგომა სოფლის განვითარების შესაძლებლებების თაობაზე, რაც გადაეცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაციების სახით.**

— **საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში შეისწავლება საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის,**

სინას მთაზე დაცული ქართული ხელნაწერული მემკვიდრეობის, საერთაშორისო და კონსტიტუციური სამართლის, თანამედროვე ეკონომიკის, ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები. მომზადდა პროექტი – „კავკასიის ისტორია“, რომელიც ითვალისწინებს კავკასიის რეგიონში მცხოვრები ხალხებისა და მათი სახელმწიფოების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების ისტორიის უძველესი დროიდან დღემდე.

– **ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების** განყოფილებაში მუშავდება ზოგადი ენათმეცნიერების, ქართული და კავკასიური ენების, ქართული ლიტერატურის ისტორიის, გრეციასტიკის, თურქოლოგიის საკითხები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სიახლეები ქართველოლოგიურ მიმართულებებში, რომელთა განვითარებაზე ზრუნვა აკადემიის ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა.

– გამოქვეყნდა ფუნდამენტური გამოკვლევები საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის და ა. შ. აქტუალურ პრობლემებზე. ყველას ჩამოთვლა ძნელია, გამოყვოფ მხოლოდ ზოგიერთს: დიდი ყურადღება მიიპყრო დმანისის, ფიჭვნარისა და დედოფლისწყაროს (დიდნაურის) არქეოლოგიური კვლევის შედეგებმა; გამოქვეყნდა ძველი „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული ტექსტი და მათი ინგლისური და რუსული თარგმანები; გამოიცა ენციკლოპედია „ქართული ენა“; დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს ექვთიმე თაყაიშვილის მრავალტომეულის გამოცემის საშვილიშვილო საქმე (გამოქვეყნდა რვა წიგნი); ინტერესით შეხვდა საზოგადოება ფართოპლანიან ნაშრომს „ქართველები“; ავტორთა კოლექტივის ნაშრომი „ქართველები სამი იმპერიის (ირანი, თურქეთი, რუსეთი) ომებში (XVII-XVIII სას.)“; 2015 და 2018 წლებში ჩატარდა პირველი და მეორე საერთაშორისი ქართველოლოგიური კონგრესი; მიმდინარეობს მზადება მესამე კონგრესის გასამართავად; ყოველწლიურად იმართება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფორუმები.

აღსანიშნავია, რომ აკადემიის ჰუმანიტარული კორპუსის წარმომადგენლები სხვადასხვა ფორმით ფართოდ თანამშრომლობენ საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან, იქნება ეს სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პიპულარული ნაშრომების პუბლიკაცია, სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა თუ პერიოდული გამოცემების რედკოლეგიების წევრობა.

– **ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის** მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა ენციკლოპედია „საქართველოს“ მე-4 ტომი, აგრეთვე, „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობია“ მორიგი ნაკვეთი.

**-აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი („რუსთაველის კომიტეტი“) სამეცნიერო მუშაობას წარმართავს რამდენიმე ძირითადი მიმართულებით: ა) რუსთაველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიისა და „რუსთაველის კომიტეტის მემკვიდრეობის“ მოწესრიგება, „ვეფხისტყაოსნის“ საგამომცემლო პროექტების ხელშეწყობა; ბ) „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აკადემიური გამო-**

ცემის მასალების მომზადება და პუბლიკაცია; გ) „ქართული ენის თესაურუსის“ შედგენა; დ) „რუსთაველის კომიტეტისთვის“ ახალი ვებ-გვერდის შექმნა.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის** დარგობრივი კომისიები ნაყოფიერად მუშაობენ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალურ პრობლემებზე. ატარებს კვლევებს აჭარის რეგიონში მცენარეთა ბიომრავალფეროვნების გენეტიკური რესურსების გამოვლენის, დაცვის, შენარჩუნებისა და გამოყენების მიმართულებით. ეწყობა ექსპედიციები და ტარდება კვლევები ისტორიული საქართველოს – ტაო-კლარჯეთის ისტორიის, მატერიალური კულტურის ძეგლების, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, ტოპონიმიკისა და სხვა საკითხებზე.

აღსანიშნავია ის ინტენსიური და საქმიანი მოღვაწეობა, რასაც აკადემიასთან არსებული კომისიები და ცენტრები ეწევიან, რომლებსაც თავიანთ საქმიანობაში ჩართული ჰყავთ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წამყვანი წარმომადგენლები.

**ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი** სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევებისა და ინოვაციების, აგრეთვე, ინოვაციური პროდუქტების კომერციალიზაციის, მაღალი ტექნოლოგიების ათვისების ხელშეწყობის მიზნით შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც აწვდის შესაბამის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს.

**ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია** სისტემატურად განიხილავს აქტუალურ თემებს, ძირითადად, სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანი პრობლემების შესწავლა-შეფასებას. ამათგან გამოვყოფთ ზოგიერთს. მინის ფონდის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედ კომისიასა და საპატრიარქოსთან ერთად, მცხეთის სივრცობრივი დაგეგმვარება და მართვა; საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების კონცეფცია; ქართული ანბანის, ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი და ა.შ.

**ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყება-თაშორისი კომისიის სხდომებზე** განხილული იქნა მთელი რიგი აქტუალური საკითხი; მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „მგლის რიცხოვნობის რეგულირების აუცილებლობის შესახებ“ რაზედაც მოხდა შესაბამისი უწყების დადებითი რეაგირება, საჭირო გახდა შემუშავება სპეციალური ტელეგადაცემების ციკლისა, რაც რეალიზებულია ამა წლის ივნისში. განხილულ იქნა საქართველოში სანარმოო მეფუტკრების განვითარების საკითხი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარედგინა დარგის განვითარების პროგრამა, რომელიც წარმატებით მუშაობს. შესწავლილ იქნა დასავლეთ საქართველოში თხილის ლპობის გამომწვევი მიზეზების და მისი აღმოფხვრის ღონისძიებები, რაც ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი და საპრობლემო საკითხია.

**ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიამ**, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ს ხელმძღვანელობით მუშაობს, გამართა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია, რომლებიც მიეძღვნა ქართულ

საეკლესიო წყაროებს უკრაინის არქივებსა და წიგნთსაცავებში; ქართული დიასპორის ისტორიას; ქართულ ლვინოს, როგორც ქართული სულიერი კულტურის სიმბოლოს.

**საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის წევრები აქვეყნებენ საყურადღებო ნაშრომებს საქართველოს ეროვნული და უცხოური წერილობითი წყაროების შესახებ.**

**საქართველოს მთანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიამ მოამზადა მრავალთემატური სამეცნიერო კრებულები; „ფშავი“ (შემდგ. ბ. გოიშვილი, კ. არაბული და ხ. არჩემაშვილი), „ხევსურეთი“, მზადდება „სვანეთი“ (შემდგ. მ. ფირცხელანი); შედგა კითხვარი მთანი რეგიონების ბაზისის შესაქმნელად.**

**ბირთვული ენერგიისა და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისიამ განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სამედიცინო ფიზიკის პროგრამის განხილვაში.**

კომისია, როგორც საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი, მონაწილეობს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის პერიოდულ განახლებაში.

**ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისია აქტიურად მონაწილეობს გაეროს მიერ შემუშავებულ „კატასტროფების რისკის შემცირების 2015-2030 წლების სენდაის ჩარჩო-პროგრამაში“.**

**საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოს ისტორიკოსებს შორის კავშირის განმტკიცებას და მათი საქმიანობის კოორდინაციას, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ძეგლების შესწავლას. კომიტეტის წევრები მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, გამოაქვეყნეს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და სპეციალური გამოკვლევა საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მათ შორის, აღსანიშნავია აკად. როინ მეტრეველის გამოკვლევა „შვიდ სამეცნიერო განწესებული“, რომელშიც განხილულია რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხები. წიგნი გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენბზე. აღნიშნულმა გამოცემამ ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.**

**საქართველოს (კავკასიის) გენოფონდის შემსწავლელმა კომისია ატარებს საქართველოს რეგიონების გენეტიკური, ანთროპოლოგიური, დემოგრაფიული და ეთნოლოგიური მონაცემების დამუშავებას.**

**საქართველოში ტრანსპლანტოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია განიხილავს „საქართველოში ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული პრობლემების“.**

**„საქართველოში ორგანოთა გადანერგვის მდგომარეობისა და არსებული პრობლემების შესახებ“.**

„ორგანოთა დონაციისა და ტრანსპლანტაციის განვითარების ეროვნული პროგრამის ძირითადი მიმართულებები“, რომლის შესწავლის შემდეგ წინა-დადებები წარედგინა სათანადო ინსტანციებს.

**ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისიის სხდომებზე მოსმენილ იქნა არაერთი მოხსენება ეკოლოგიური უსაფრთხოების აქტუალურ პრობლემებზე. განხილული მოხსენებების ძირითადი შედეგები გადაგზავნილ იქნა შესაბამის აღმასრულებელ ორგანოებში სათანადო ღონისძიებების გასატარებლად.**

აკადემიის წევრები ამა თუ იმ ფორმით სისტემატურად ეხმაურებიან ქვეყ-ნის წინაშე წამოჭრილ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს. მათ შორის აკადემიამ ბოლო წლებში:

– შეიმუშავა და მთავრობას წარუდგინა ხალხის არსებობის საფუძველთა საფუძვლის – მიწის ფონდის მართვის მეცნიერულად დასაბუთებული კონ-ცენტრი, რომლის ქვაკუთხედია ამ პრობლემისადმი სახელმწიფო ეროვნული მიდ-გომა. კონცეფცია ინტენსიურად განიხილება პარლამენტსა და მთავრობაში და, ყველა მონაცემით, საკითხი თანამედროვე და მომავალი თაობების სა-სარგებლოდ გადაწყდება;

– აკადემიამ შეაფასა თანამედროვე ვითარება და მისი გათვალისწინებით მოამზადა და ხელისუფლებას წარუდგინა წინადადებები და რეკომენდაციები ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კარდინალურ საკითხებზე;

– ერის საციფროცხლო მნიშვნელობის გამოწვევას ეხმიანება აკადემი-ის მიერ შემუშავებული და მთავრობის მიერ სამოქმედოდ მიღებული დე-მოგრაფიული უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც მოიცავს მოსახლეობის აღნარმოების, მიგრაციისა და განსახლების სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის განხორციელების საფუძვლებს;

– სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი პრო-გრამა.

– ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირებისა და მოსალოდნელი შედეგების მართვის კონცეფცია;

– ლომის წილი დაიდო ქართული ენის შესახებ კანონის პროექტის შე-მუშავებაში, რომელიც უკვე კანონად არის ქცეული პარლამენტის დადგე-ნილებით.

– აკადემია ოპერატიულად ეხმიანება პოლიტიკური მოტივით საქართ-ველოს ისტორიული სინამდვილის, განსაკუთრებით ერთაშორის ურთიერ-თობების ფალსიფიკაციის ფაქტებს. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა: აკადემიკოს რ. მეტრეველის გამოხმაურება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონო-მიური ოლქის უახლესი წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ; აკადემიის ეგიდით გამოვიდა ნაშრომი ე.ნ. ოსების გენოციდის ყალბი ბრალ-დების შესახებ;

– დიდია აღნიშნული დარგების განვითარების სამომავლო პერსპექტივე-ბი. ცხადია, დაწყებული პროექტები გაგრძელდება და ახლებიც გაჩნდება ყველა მიმართულებით. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევებიდან გამომდინარე კიდევ

უფრო აქტუალური გახდება და დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას შეიძენს ეკო-ნომიკური და დემოგრაფიული ხასიათის კვლევები.

ქვეყნის წინაშე მდგარი ერთ-ერთი გამოწვევა გახლავთ ტექნოლოგიური კვლევები და მათი კომერციალიზაციის პრობლემა. შევეხოთ ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას, კერძოდ, ბიოტექნოლოგიურ კვლევებს და მათი კომერციალიზაციის მდგომარეობას საქართველოში გამოყენებითი სამეცნიერო კვლევის მთავარი მიზანია პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის ინოვაციური გზების ძიება და შედეგად, სამეცნიერო საქმიანობის შედეგების კომერციული დანიშნულებით გამოყენება. აქვე უნდა ითქვას, რომ ფუნდამენტური კვლევები პირდაპირ არ არის დაკავშირებული კონკრეტულ გამოყენებასთან და, ამდენად, ეკონომიკური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს განვითარებაში უშუალოდ არ არის ჩართული, მაგრამ ის ქმნის საფუძველს გამოყენებითი კვლევებისათვის. ასე რომ, სამეცნიერო საქმიანობის ეს ორი მიმართულება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მათი გამიჯვნა, მით უფრო, დაპირისპირება ზიანს აყენებს ერთსაც და მეორესაც. ფაქტია ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, ყოველ შემთხვევაში, უნდა შეჰქონდეს გამოყენებით კვლევებს ინოვაციური ტექნოლოგიების კომერციალიზაციის გზით.

ამასთან დაკავშირებით წინა პლანზეა ორი საკითხი. პირველი, თუ რა არის გაკეთებული და რა კეთდება ჩვენში გამოყენებითი მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულებით, სახელდობრ, ბიოტექნოლოგიის სფეროში და მეორე, რა მდგომარეობა გვაქვს აღნიშნულ დარგში გამოყენებითი კვლევების კონკრეტულ ინოვაციურ პროდუქტად გარდაქმნის მიმართულებით, უფრო ზუსტად, წარმოებაში მათი დანერგვის მიმართულებით. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს ორი საკითხი იმდენად მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ მხოლოდ მათი ერთობლიობა იძლევა პრაქტიკულ ეფექტს. საქმე ისაა, რომ როგორი წარმატებულიც არ უნდა იყოს კვლევა, თუ ის წარმოებაში არ დაინერგა და ინოვაციურ პროდუქტად არ გარდაიქმნა, მოკლედ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამსახურში თუ არ ჩადგა, კვლევა დარჩება მხოლოდ მეცნიერული აზრის მიღწევად, მაგრამ პრაქტიკული ეფექტის გარეშე. მიზანი კი კვლევისა და მისი შედეგების დანერგვის ერთიანი, განუყოფელი ციკლის მიღწევაა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით მდგომარეობა სავალალოა. ამ პროექტების უმრავლესობა დღეის მდგომარეობით წარმოებაში დანერგილი არ არის.

მთავარია გაირკვეს, რა არის ამის მიზეზი. საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ტექნოლოგიური ინოვაცია პროდუქტად რომ იქცეს, ქვეყანას უნდა ჰქონდეს წარმოება. მაგალითისათვის, ქართველმა მეცნიერებმა შეიძლება ფრუქტოზას მიღების ტექნოლოგია ადგილობრივი იაფი ნედლეულის ბაზაზე, მაგრამ საქართველოში სამეცნიერო ბიზნესი იმდენად სუსტია, რომ ის არ ინტერესდება ასეთი საწარმოს შექმნით. მეორე მაგალითსაც მოვიტანთ. შემუშავებულია კარტოფილის ღეროების საკვებ ბიომასად გარდაქმ-

ნის ტექნოლოგია; მაგრამ საწარმო, რომელმაც ეს ინოვაცია უნდა დანერგოს, არ არსებობს. მაგალითების გამრავლება უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ მოტანილიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ საქართველოში პიოტერნოლოგირი ინოვაციების პროდუქტად გარდაქმნა ვერ ხორციელდება მრეწველობის სუსტი განვითარების გამო. ეს უკანასკნელი კი სრულებით არ არის მეცნიერების ბრალი.

მთავარია, გამოსავალი მოინახოს. უნინარეს ყოვლისა, უნდა ჩამოყალიბდეს მეცნიერების ეფექტიანი მენეჯმენტი, რაც გულისხმობს დღეისათვის არსებული საწარმოების თუ ფერმერული მეურნეობების მოთხოვნილებების, მათ წინაშე მდგარი გამოწვევების სისტემურ ანალიზზე დამყარებული სურათის შექმნას (შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ) და სახელმწიფოს მიერ ამ მოთხოვნილებებისა და გამოწვევების გამოკვეთას და ამ მიმართულებებით კვლევების დაფინანსებას.

ამავე დროს აუცილებელია სამეცნიერო რესურსების მობილიზაცია აღნიშნული მოთხოვნილებებისა და გამოწვევების საპასუხო პიოტერნოლოგიური კვლევების განსახორციელებლად. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ინოვაციური კვლევების გარდაქმნა ინოვაციურ პროდუქტად. ამავე დროს, აუცილებელია ეკონომიკის განვითარების პროგნოზირებადი პერსპექტივებიდან გამომდინარე პიოტერნოლოგიური კვლევების პრობლემატიკის განსაზღვრა და ამ მიმართულებით შესაბამის პროექტებზე მუშაობა.

**თვალსაჩინოა აკადემიის საერთაშორისო კონფაქტები. ხომ არ მოიხმობთ ზოგიერთ კონკრეტულ ფაქტს?**

დღეისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს საზღვარგარეთის მრავალ აკადემიასა და უნივერსიტეტან. ესენია: დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემია; ათენის (საბერძნეთი) უნივერსიტეტი; საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნულ ცენტრი; პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია; ავსტრიის მეცნიერებათა აკადემია; იუნესკო; ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი; ქ. იანტაის აზალი და მაღალი ტექნოლოგიების ზონის გაცვლის საერთაშორისო ცენტრი; დონის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტი; ჩინური კომპანია „Linyi Top Network Co., TD“; ყაზახეთის ეროვნულ საინჟინრო აკადემია; ჩინეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია; თურქეთის მეცნიერებათა აკადემია; რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია; უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია; ისრაელის მეცნიერებათა აკადემია; ესტონეთის მეცნიერებათა აკადემია; ლატვიის მეცნიერებათა აკადემია; თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემია; ავსტრიის ბიოტერნოლოგიის ცენტრი; ბაქოს საზარის უნივერსიტეტი.

განსაკუთრებული ურთიერთობები დამყარდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო წრეებთან. 2015 წელს საუნივერსიტეტო ქალაქ იანტაიში საზეიმო პირობებში გაიხსნა ჩინურ-ქართული ლაბორატორია პიოტერნოლოგიის დარგში, რაც უპრეცენდენტო შემთხვევაა საქართველოს სინამდვილეში.

მეცნიერებათა აკადემიაში შემოვიდა წერილი აშშ-ის სენატის ენერგეტიკული კომისიის თავმჯდომარის, სენატორ ფრუნჟენის ხელმოწერით, სადაც

ის გვთავაზობს ამერიკის, საქართველოს, უკრაინის მეცნიერთა ერთობლივი კვლევების ჩატარებას ხელოვნური საწვავის შექმნის პრობლემაზე და სხვა. მსგავსი მომართვები შემოდის სხვადასხვა ქვეყნებიდან ერთობლივი სამუშაოების ჩატარების შესახებ.

აკადემიის მთავარი უურნალი „მოამბე“ გამოდის ინგლისურ ენაზე და ვრცელდება მთელ მსოფლიოში. მას მინიჭებული აქვს მაღალი რეიტინგის იმპაქტ-ფაქტორის კონფიციენტი და სარგებლობს დიდი მოთხოვნით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრები საკუთრივ თავის ქვეყანაში და, აგრეთვე, მსოფლიო მასშტაბით წარმოადგენ წარმატებულ მეცნიერებებს და სარგებლობენ შესაბამისი მაღალი ავტორიტეტით მსოფლიო სამეცნიერო წრეებში.

აკადემიისათან მოქმედებს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, რომელიც აერთიანებს მეცნიერების ყველა დარგის მკვლევარებს. საბჭო ატარებს ყოველწლიურ კონფერენციებს, რომლის თემისები გამოიცემა აკადემიის მიერ.

### **პუბლიკაციები და სამეცნიერო კონფერენციები საზღვარგარეთის ქვეყნებში:**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების გამოკვლევები მონოგრაფიებისა და სტატიების სახით სისტემატურად ქვეყნდება საზღვარგარეთის მაღალრეიტინგულ გამომცემლობებსა და სამეცნიერო უურნალებში.

ბოლო სამი წლის მონაცემებით აკადემიის წევრებმა საზღვარგარეთ გამოაქვეყნეს: 26 წიგნი (მათ შორის გერმანიაში 14, აშშ-ში – 4, შვედეთში – 1, რუსეთში – 6, ჩინეთში – 1), აგრეთვე უცხოეთში გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ უურნალებში 297 სტატია.

**მონაცილეობა უცხოეთის საგრანტო პროექტებში:** აკადემიის წევრები აქტიურად მონაცილეობენ უცხოური საგრანტო პროექტის შესრულებაში, მათ შორის აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და რაც მთავარია ევროგაერთიანების მიერ დაწესებულ პროექტებში.

ქართველი მეცნიერები, როგორც წესი, რეგულარულად მონაცილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, კონგრესებში, სიმპოზიუმებში და სხვ., სადაც ისინი ხშირად თავმჯდომარეობენ ღონისძიებების მიმდინარეობას და, აგრეთვე, გამოდიან საინტერესო მოხსენებებით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები არჩეული არიან უცხოეთის მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრებად, მინიჭებული აქვთ საპატიო დოქტორის წოდება, დაჯილდოებული არიან პრიზებით, სახელმწიფო ჯილდოებით და სხვა.

### **საერთაშორისო ქართულ-უცხოური ერთობლივი პერიოდული გამოცემები:**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების ხელმძღვანელობით თბილისა და უცხოეთში რეგულარულად გამოდის არაერთი საერთაშორისო უურნალი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. სახელდობრ:

აკად. ი. კილურაძის რედაქტორობით გამოდის ორი ჟურნალი – „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ („Georgian Mathematical Journal“) და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ („Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics“), რომელთა სარედაქციო კოლეგია შედგება გამოჩენილი ქართველი და უცხოელი მათემატიკოსებისაგან.

მათემატიკის დარგში გამოდის, აგრეთვე, ორი საერთაშორისო ჟურნალი – „Journal of Homotopy and Related Structures“ (იბეჭდება გერმანიაში გამომცემლობა „შპრინგერ“-ის მიერ) და „Tbilisi Mathematical Journal“ (იბეჭდება გერმანიაში გამომცემლობა „De Gruyter“-ის მიერ), რომელთა მთავარი რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი ხ. ინასარიძე. გარდა ქართველი მათემატიკოსებისა ორივე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიებში წარმოდგენილი არიან საზღვარგარეთის გამოჩენილი მათემატიკოსები ევროპის (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია), აშშ-ის, კანადის, იაპონიის, ჩინეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან. ჟურნალებს გააჩნია Thomson Reuters-ის იმპაქტ-ფაქტორი და Clarivate Analytics-Empowering Sources Citation Index.

აკად. რევაზ გამყრელიდე არის რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ) რეფერატული ჟურნალის – „მათემატიკის“ ტომის მთავარი რედაქტორი (1961 წლიდან), აგრეთვე, შპრინგერის ჟურნალების „Journal of Dynamical and Control Systems“ და „Journal of Mathematical Sciences“ დამაარსებელი (1993 წ.) და მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პერიოდული ჟურნალის – „თანამედროვე მათემატიკა და მისი გამოყენებები“ (გამოდის ინგლისურ ენაზე გამომცემლობა Springer-ში) მთავარი რედაქტორი.

აკად. ბეჟან ჭანკვეტაძე არის Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis (Elsevier, Amsterdam) რედაქტორი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების: Elec-trophoresis, Journal of Chromatography A, Journal of Separation Science, Chirality, Acta Chromatographica, Turkish Journal of Pharmaceutical Sciences რედაქტორების წევრი.

აკად. თენგიზ ურუშაძე არის საერთაშორისო ინგლისურნოვანი ჟურნალის – „Annals of Agrarian Science“ („აგრარული მეცნიერების მაცნე“) მთავარი რედაქტორი, ჟურნალის სარედაქციო საბჭოში შედიან მეცნიერები როგორც სამხრეთ კავკასიიდან, ისე ევროპის ქვეყნებიდან (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, უნგრეთი და ა. შ.). ჟურნალი ვრცელდება საზღვარგარეთის 35 ქვეყანაში.

მომავალშიც გაგრძელდება და გაფართოვდება სამეცნიერო თანამშრომლობა მსოფლიოს მოწინავე სამეცნიერო ცენტრებთან და უნივერსიტეტთან

გაგრძელდება მუშაობა ახალგაზრდა მეცნიერებთან. განსაკუთრებულით ყურადღება მიექცევა უცხოეთში მყოფი წარმატებული ახალგაზრდა მკვლევარების ჩართვას საქართველოს სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურებში მათი დაფინანსების სპეციალური პროგრამების შემუშავების გზით.

საჭიროა განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით შესაბამისი სამეც-

ნიერო ინსტიტუტების გადაიარაღება და ახალი თანამედროვე ცენტრების შექმნა

მნიშვნელოვანია დაფინანსების გაზრდა ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დასაწერგად და აკადემია იმედოვნებს, რომ მთავრობის მიერ გაცხადებული მეცნიერების დაფინანსების 25%-იანი ზრდა ხელს შეუწყობს საქართველოში მეცნიერების და ტექნოლოგიების აღმავლობას.

## INTERVIEW

### **with the President of the Georgian National Academy of Sciences, Academician Giorgi Kvesitadze**

#### Summary

2021 marks the 80th anniversary of the founding of the National Academy of Sciences of Georgia. In this regard, the President of the National Academy of Sciences of Georgia, Academician Giorgi Kvesitadze is interviewed by the “Matzne” editorial. The conversation is conducted by Professor V. Asatiani. The interview reviews the progress made by the Academy, its role and importance in the development of science in Georgia. Particular attention is paid to the current state of the Academy in order to demonstrate its potential to overcome the current social and economic challenges facing Georgia. The priorities and prospects for the development of the Academy are outlined.

## ИНТЕРВЬЮ

### **С президентом Национальной Академии наук Грузии академиком Георгием Квеситадзе**

#### Резюме

В будущем 2021 году будет отмечаться 80-летие со дня основания Национальной Академии наук Грузии. В связи с этим на вопросы редакции «Вестника» отвечает президент Национальной Академии наук Грузии, академик Георгий Квеситадзе. Беседу ведет проф. В. Асатиани. В интервью дан обзор пройденного Академией пути, показана ее роль и значение в деле развития науки в Грузии. Особое внимание уделяется нынешнему положению Академии, представлению ее потенциала в деле преодоления социальных и экономических задач, стоящих перед современной Грузией, особенно выделены приоритеты и перспективы развития Академии.

# საქართველოს ისტორია

როინ გეორგიელი, პოთა ვადაჯორია

## „ჯვაროსნული ომი“ საქართველოს ისტორიის წინააღმდეგ

დღეს, როცა საქართველო საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სახელმწიფოა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის, ევროსაბჭოს წევრია და იღვნის ევროკავშირში შესვლისათვის, მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას, ესაა: ქვეყნის ეკონომიკის დაწინაურება, კულტურული წინსვლა, ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა და სხვ. საქართველოს სწრაფვა დასავლეთისკენ (ევროპა, აშშ) თვალნათელია. საქმე გვაქვს საქართველოს ამ გზაზე სვლის შეფერხებასთან.

ასეთ დროს აუცილებლად საჭიროა წარსულზე ფიქრი. ისტორია ზუსტი მეცნიერებაა და ვერავის აპატიებს სიყალბეს. სამწუხაროდ ბოლო დროს ბევრს ვხვდებით ისტორიის გამყალბებლებს, რასაც ადამიანთა მოდგმის გზიდან აცდენა შეუძლია. ქართველ ერს საამაყო ისტორია აქვს და მისი გაყალბება არავის, რა რანგისაც არ უნდა იყოს იგი, არ ეპატიება.

წარმოუდგენელი სიყალბე მიაწოდა საზოგადოებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ. მათ 2018 წელს აღნიშნეს ვითომდა ქართველების მიერ გატარებული ოსური მოსახლეობის გენოციდი. რამდენადაც ცნობილია, ამჟამად ოსური ხელისუფლება ემზადება გენოციდის 100 წლისთავისათვის ; გენოციდისა, რომელიც თითქოსდა ქართველებმა მოიმოქმედეს 1920 წელს. ცნობილია, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობამ რუსეთის დუმას მიმართა თხოვნით, აღიარონ „ოსების გენოციდი“ და ამით დაიმკვიდრონ ადგილი მთელ მსოფლიოში. მტკიცება გენოციდისა სიცრუეა. განა არსებობს რაიმე საბუთი, საარქივო ან სხვა სახის მასალა, გარდა ჭორის დონეზე დარხეული ხმებისა, რომ ქართველებს ბრალი დასდონ ასეთ მძიმე დანაშაულში. პირიქით, მოიპოვება უამრავი მასალა, ფაქტი ქართული მოსახლეობის მიმართ ოსური აგრესიისა, ოსთა ერთი ნაწილის დანაშაულებრივი ქმედებებისა ქართველების წინააღმდეგ. მიგვაჩნია, რომ ყოველივე ამას სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს.

გვინდა შევეხოთ 9 ივლისს ქ. ეკატერინბურგში რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ წიაღსვლებს საქართველოს ისტორიაში. სამწუხაროდ მან არასწორად წარმოადგინა საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები, ურთიერთობები აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან. ეს არ არის პირველი შემთხვევა. ანალოგიურ ფაქტებს ადრეც პქნდა ადგილი, რაზეც ჩვენ სათანადო რეაგირება გავაკეთეთ (იხ. რ. მეტრეველი, აღუვსებელი საწყაული ანუ ამაოება ამაოებათა, თბ., 2015).

აუცილებლად მიგვაჩინია ამჯერადაც მივაწოდოთ საზოგადოებას რეალური ვითარება, მართებული ფაქტები საქართველოს ისტორიის იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელსაც ბატონი ვ. პუტინი შექმნა.

განსაკუთრებული საკითხია ე. წ. სამხრეთ ისეთისა (სამაჩაბლო) და აფხაზეთის საკითხი რუსულ პოლიტიკაში. ამ ორი სეპარატისტული ერთეულის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ორგანიზაციამ (ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნატო და სხვ.) და თითქმის ყველა სახელმწიფომ დაგმო. განსაკუთრებულად გაუმართლებელი არის საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია რუსეთის მიერ. უხეშად დაირღვა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები – მოხდა ადამიანის უფლებების ხელყოფა, დაიღუპა დიდი რაოდენობით მშვიდობიანი მოსახლეობა, დაანგრიეს სახლები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს გაამართლოს თავისი საქციელი. საკუთარმა მოსახლეობამ ნაწილობრივ შესაძლოა კიდეც იწამა რუსეთის საქართველოში შექრის სამართლიანობა. ეს დიდი დამსახურებაა რუსული მასშტაბისა, რომელიც ცალმხრივად აშუქებს მოვლენებს. ყალბდება ისტორია, რაშიც დიდი „ამაგი“ მიუძღვით, როგორც ზოგიერთ აფხაზ და ოს, ისე რუს ავტორებს.

**რეალურად საქმე სხვაგვარადაა.**

დავიწყოთ იქედან, რომ ტერიტორიები, რომელიც ისებსა და აფხაზებს უჭირავთ, ისტორიულად ქართულია. საქართველოს საზღვრების საკითხი საფუძვლიანად გამოიკვლია ივანე ჯავახიშვილმა (იხ. მისი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919). ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, აშკარად მტკიცდება, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარი თეთრ წყლებზე ან ჩაღან უსუნზე გადიოდა (ჟამთააღმწერელი). უფრო ზუსტად ეს საზღვარი თეთრ წყლებსა და შამახიის მთის ძირას (თეთრი წყალი შამახიას მთის დასავლეთ ფერდობს ჩამოუდის) მდებარეობდა. საკუთრივ საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, უფრო დასავლეთით – გიშის წყალზე გადიოდა. დასავლეთი საზღვარი „ყოველი იმერი სამეფო“ იყო, ე. ი. მთელი დასავლეთი საქართველო სრულიად საქართველოს სახელმწიფო შემადგენლობაში შედიოდა. ასე რომ, სახელმწიფო საზღვარი დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევდა. სამხრეთით საზღვარი ქურდვაჭრის იქეთა (აღმოსავლეთი) მხარეა (ბასილი ეზოსმოძღვარი), რომელშიც იგულისხმება კაენისა (მდ. აღსტევის ხეობაში) და კაინონის (მდ. ქურდვაჭრის – დებედის მარჯვენა მხარეს) ციხეები. უფრო ზუსტად, ესაა გარდაბანი, ე. ი. ტერიტორია, რომელიც ქურდვაჭრის (მდ. დებედა) ხევსა და მდ. აღსტევს შორის მდებარეობდა (ჟამთააღმწერელი). საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთმდებარე საზღვრისპირა მხარედ წყაროები შამქორს ასახელებენ (ჟამთააღმწერელი). ესაა გელაქუნის ტბასა და მდინარე მტკვარს შორის მოქცეული ტერიტორია. ქვეყანას სამხრეთითვე ესაზღვრებოდა აირარატის პროვინცია, მდ. რახესი და ნახჭევანი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

თამარისდროინდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი სპერია („ჯავახეთით სპერამდის“).

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთით ნიკოფისიამდე მიდიოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით შამახის მთამდე ვრცელდებოდა („ნიკოფისიდან დარუბანდამდე“). კავკასიონის მიღმა მდებარეობდა საქართველოს ყმადნაფიცი (ვასალური) ქვეყნები: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ლუნძეთი, ლეკეთი (ბასილი ეზოსმოძღვარი).

დავით IV აღმაშენებლის ტიტულატურაა – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაპანშა“. აქ დიდი მეფის მფლობელობაში შემავალი ქვეყნებია დასახელებული. დავით აღმაშენებელი თავის ანდერძშიც ხაზგასმით მიანიშნებს, მისი „მოგებული“ მამული გადაჭიმულია „ნიკოფისიდგან დარუბანდის ზღუდამდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგანადმდე“. დავით აღმაშენებლის ტიტულატურის ანალოგიურია მეფე თამარის ტიტულატურაც. აქაც რეალურადაა ასახული საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე და გეოგრაფიული სიდიდე.

იქნებ არც იყო საჭირო დეტალურად საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ ვრცელი საუბარი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ისტორიის გაყალბების ყოველგვარი მცდელობა მტრულად განწყობილი პირებისა, უსუსურია და სინამდვილეს არ შეეფერება. ეს კარგად უნდა იცოდნენ თვით აფხაზმა და ოსმა მეცნიერებმაც.

აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებული დიმიტრი გულია საგანგებოდ აღნიშნავდა: „Абхазия которая всегда была неотъемлемой частью Грузии, жила с нею на протяжении всей истории одной жизнью, органически участвовала в созидании грузинской культуры и государственности и играла существенную роль в борьбе за свободу и независимость страны, в борьбе за объединение отдельных грузинских племен и областей в единое мощное национальное грузинское государство“ (Д. Гулия, О моей книге „История Абхазии“).

გარკვეული ხნის ნინ მედიამ გვაუწყა, რომ ყარაბახში (სტეფანაკერტი) ჩასულმა ე.ნ. სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთმა ლიდერმა თანაგრძნობა გამოიუცხადა სომხეთის პარლამენტის სპიკერს გენოციდის 100 წლისთავთან დაკავშირებით; თანაც დასძინა, რომ გენოციდი ოსებმაც იწვნიეს ქართველებისგანო. ასეა, ამგვარი სიცრუით ფერავენ ძირძველი ქართული კუთხის ოსურ მოსახლეობას. არაფერს დაგიდებენ და საზღვარგარეთაც ხმამალლა აცხადებენ თავიანთი „განამებული“ ცხოვრების შესახებ.

სიმართლე? სიმართლე სხვაა.

სადავო არ არის, რომ ოსები ჩრდილო კავკასიაში (ახლანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე) გარკვეული საუკუნეების ნინ დასახლდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებთან ერთად (ნიშანდობლივია, რომ ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო აღმოსავლურ ჯგუფს). X-XII საუკუნეებში ოსეთის სამეფოს ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყ-

ნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც (XI-XII სს-ში ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო). თემურ-ლენგის შემოსევებმა ოსების გაერთიანებას ბოლო მოუღო და ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს (უნგრეთში, ბალკანეთის ქვეყნებში და სხვ.). ოსების ერთი ნაწილი შეეცადა ქართლში გადმოსვლას და დამკვიდრებას, მაგრამ ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოხერხდა და იძულებული გახდნენ უკან გაპრუნებულიყვნენ. XVII-XVIII სს-ში ოსები საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში (ქართლის ჩრდილო განაპირა ტერიტორიაზე) ჩამოდიან და სახლდებიან. მცირე ნაწილი (კუდაროს ოსები) იმერეთის სამეფოში ჩასახლდა.

ქართლში დამკვიდრებული ოსები არაგვისა და ქსნის ერისთავებისა და მაჩაბლების სამფლობელოში მოხვდნენ. ისინი ფეოდალებს ქართველი ყმა-გლეხების მსგავსად ემსახურებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მომხდური მტრის წინააღმდეგ. შემონახულია ცნობები, რომ ოს ყმა-გლეხებს ყურადღებით ეკიდებოდა ერეკლე II. იგი საგანგებოდ სწერდა ზაზა მაჩაბელს, რომ მის მსახურებაში მყოფი თორმეტი ოსისათვის დროულად მიენოდებინა საკვები და კეთილად მოჰკიდებოდა მათ.

გაკვირვება გამოიწვია რუსეთის პრემიერ-მინისტრის (იმჟამად ეს თანამდებობა ეკავა) ვლადიმერ პუტინის CNN-ისადმი მიცემულ ინტერვიუში გამოთქმულმა კატეგორიულმა განცხადებამ, რომ რუსეთის შემადგენლობაში არსებობდა ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი (ერთიანი ოსეთი), რომ ი. სტალინმა ოსეთი გაჰყო და სამხრეთი ოსეთი საქართველოს გადასცა, სადაც ავტონომიური ოლქი შეიქმნა; რომ ი. სტალინისავე ძალისხმევით აფხაზეთის ტერიტორია საქართველოს გადაეცა: აქ შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ჩვენ ვერ მოვთხოვთ ბატონ ვ.პუტინს (მან ეს მოსაზრებები გაიმეორა ქ. ეკატერინბურგში მიცემულ ინტერვიუში, 9 ივლისს) კავკასიის ისტორიის უზადო ცოდნას, მაგრამ ისინი კი ვინც მას ამგვარი ინფორმაცია მიაწოდა, შორს არიან ჭეშმარიტებისაგან. როცა სახელმწიფოს მეთაური ამგვარ განცხადებებს აკეთებს, მას მეტი დაფიქრება სჭირდება; არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ფაქტებს გადამოწმებაა საჭირო. სამწუხაროდ ბოლო პერიოში რუსეთ-ოსეთის ისტორიის ბევრი ფაქტის გაყალბება ხდება (იხ. ან. თოთაძე, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბ., 2006 წ.).

საკმარისია გავეცნოთ ოსი ისტორიკოსის პროფესორ გ. თოგოშვილის გამოკვლევებს, მის სტატიებს ქართულ ენციკლოპედიაში, განსაკუთრებით სპეციალურ ტომში „საქართველოს სსრ“. თავი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სამხრეთი ოსეთი“ (1981 წ., გვ. 337-339), რომ რეალურად წარმოვიდგინოთ სამხრეთ ოსეთის ისტორია. ამ თვალთახედვით საინტერესოა, ვ.აბაევის, ბ. ფლიევის, ო. თედევას, ზ. გაგლოითის, პ. დოგუზოვისა და სხვ.ნაშრომები. აი, რას წერს ოსური მეცნიერების პატრიარქი ვასილ აბაევი: „Главный Кавказский хребет – естественная граница между Грузией и Осетией, а всякая попытка размыть эту границу повлечет за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами... надо прежде всего покончить с разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии. Ни одно

грузинское правительство с этим никогда не согласится и будет право, потому что это будет означать нарушение территориальной целостности Грузии.

Кто хочет мира между южными осетинами и грузинами, должен навсегда отвергнуть идею присоединения Южной Осетии к Северной. Кто хочет мира между Грузией и Россией, также должен оставить эту идею. Такова реальность („Независимая газета“, 1992 г., 22. I., № 13). აი, ქეშმარიტი ოსი პატრიოტის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრება. კომენტარი ზედმეტად მიმაჩნია. სამწუხაროა, რომ ამგვარი სიბრძნე არც ისმა და არც რუსმა ფუნქციონერებმა არ გაითვალისწინეს. .

ბოლო პერიოდში რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება აბსურდული მტკიცება – თითქოს 1774 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, რუსეთს შეუერთდა არა ისტორიული ოსეთის ერთი ნაწილი, არამედ მთელი ოსეთი. აქ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილსაც გულისხმობენ, სადაც შემდგომში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა. 2004 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ უპასუხისმგებლო, შეიძლება ითქვას, აბსურდული განცხადება გააკეთა, თითქოს 1774 წელს ოსეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. აქედან გამომდინარე საჭიროდ ჩაითვალა, რომ რუსეთმა დაიცვას ოსი მოქალაქეების უფლებები. აქ საქმე გვაქვს ისტორიის ელემენტარულ უცოდინარობასთან. აღვნიშნოთ, რომ იმ დროს გეოგრაფიული ცნება „ოსეთი“ არ არსებობდა. ცხადია, არც ასეთი სახელმწიფო არსებობდა. თვით ოსებსაც, რომლებიც ქართლის მთიანეთში ცხოვრობდნენ, თავი ხიზნებად მიაჩნდათ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსი ჩინოვნიკები ცდილობენ დაამკვიდრონ ხელოვნური ტერმინები „ჩრდილოეთი ოსეთი“ და „სამხრეთი ოსეთი“. XIX საუკუნემდე კი არავითარი საბუთი არ მოიპოვება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ შიდა ქართლის მთიანეთი ისეთად ინოდებოდა. რეალურად 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილო კავკასიის სამი ხეობის – ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური თემები. მეოთხე თემი – დიგორი ყაბარდის გამგებლობაში იყო და რუსეთს 1781 წ. შეუერთდა. რაც შეეხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც შემდგომში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლისა და ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა განუყოფლად. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული მასალები საშუალებას გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი და მისი უკიდურესი ჩრდილოეთი პროვინცია დვალეთი ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა (ერთხანს (XVII საუკუნე) გიორგი სააკაძე იყო დვალეთის მოურავი). რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიონის (1801 წ.) შემდეგ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი დვალეთითურთ ერთხანს იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, შემდეგ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. 1858 წ. კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით დვალეთი „კავკასიის ლინიის“ ოსეთის ოკრუგს გადასცეს. ამგვარად, ჩრდილოეთ ოს-

ეთს მიურეთეს მხოლოდ დვალეთი და არა შიდა ქართლის ის მინა, სადაც შემდგომში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ.) შემდეგ მეტობრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაც დაანგრია) დვალეთი კვლავ საქართველოში შემოვიდა. 1920 წლის 7 მაისის რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველო-რუსეთის საზღვარი – იგი კავკასიის მთავარ ქედზე გადიოდა. ამდენად სრულიად ცხადია, რომ შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი – დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო.

რუსეთს მიზნად ჰქონდა დასახული შიდა ქართლის შეერთება და ყოველგვარად ცდილობდა ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტური სიტყუაციის შექმნას. საბჭოთა რუსეთმა ოსეთში და შიდა ქართლში შეიარაღებული აჯანყებების ინსპირირება მოახერხა. მათი მიზანი იყო „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მისი საქართველოსგან ჩამოცილება და რუსეთისთვის მიერთება. შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ჩაიგდებდნენ ხელთ. 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა და ბოლშევიკებმა აჯანყებულ ოსებს ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი ე. წ. სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და ეს ტერიტორია საბჭოთა რუსეთის ნაწილად გამოცხადეს. ეს აქტი ყველა ნორმის დარღვევით გატარდა: დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იგნორირებულ იქნა ქართველი მოსახლეობის აზრი და ნება. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 23 მარტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „I. Организовать ревком в Южной Осетии... 2. объявить Советскую власть... 3. Немедленно сформировать вооруженный отряд. 4. Войти в связь с северной Осетией... в распоряжении Ревкома отпустить 100 тысяч рублей (сто тысяч рублей). არის ასეთი მიმართვაც: „Москва, ЦК РКП(Б), товарищу Ленину и Чичерину. Согласно приказу Кавказского Краевого комитета от 23 марта, подтвержденному особыми Курьерами того же Комитета... 8 июня в Южной Осетии провозглашена Советская власть“ არსებობს სხვა მასალები, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, თუ ვისი კარნახით გააჩაღეს ოსებმა ძმათამკვლელი ბრძოლა. ამდენად საქართველოს ე. წ. „ნაციონალ-შოვინისტური“ მთავრობის დადანაშაულება ოსი ხალხის „გენოციდში“ რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.

ქართველი ხალხის ნების სანინააღმდეგოდ განხორციელდა საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის მზაკვრული გეგმა – 1921 წლის თებერვალში საქართველო გასაბჭოვდა. რაც ფაქტობრივად ანექსიის (უკვე მეორედ) ტოლფასი იყო. ამით საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. ნიშანდობლივია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთს ბოლშევიკებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსი მისცეს (1922 წ. აპრილი). რაც შეეხება ოსების ისტორიულ სამშობლოს – ჩრდილოეთ ოსეთს, მას ორი წლის შემდეგ (1924 წლის ივლისი) მისცეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და იგი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. ე. წ. სამხრეთ ოსეთში შევიდა მეტ-ნაკლებად ოსური

მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რაიონები და ხელოვნურად მი-მატებული ქართული ქალაქი ცხინვალი (1900 წლის „Кавказский календарь“-ის მიხედვით XX საუკუნის დადგომისას ცხინვალში ცხოვრობდნენ, ქართველები, ქართველი ეპრაელები და სომხები) და მის ირგვლივ მყოფი რამდენიმე ქართული სოფელი. ეს გარკვეული ძალადობით მოხდა და ქართველი მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია (მასალები იხ.წიგნში: „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1991, გვ. 56-73). ავტონომიური ოლქის შექმნამ იმ რეგიონის ქართული მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად აქცია, რაც თავის მხრივ ადამიანის და ერის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში დარღვევა იყო.

აუცილებელია ხაზგასმით ალინიშნოს, რომ ოსებს საქართველოს შემადგენლობაში ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ 1990-91 წლებში საქართველოში 100 ზოგადსაგანმანათლებლო ოსური სკოლა იყო, აქედან 90 ე. წ. სამხრეთ ოსეთში იყო. აქ სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. დამოუკიდებელ საგნებად გადაიცემოდა ოსური ენა და ოსური ლიტერატურა. ცხინვალში ფუნქციონირებდა პედაგოგიური ინსტიტუტი, მასწავლებლთა დახელოვნების ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო, მუსიკალური, სამხატვრო სასწავლებლები; პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და სხვ. 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ე. წ. სამხრეთი ოსეთი უმაღლესგანათლება მიღებულთა რაოდენობით ყოველ ათას სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზე იყო. 1927 წელს შეიქმნა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტად (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში). ცხინვალში მომზადდა და გამოიცა ოსეთის ისტორიის (დოკუმენტები და მასალები) მრავალტომეული, „სამხრეთ ოსეთის ისტორიის“ ორტომეული, „ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ოთხ ტომად, „ოსური ლიტერატურის ისტორიის“ მრავალტომეული, ოსური ზღაპრების სამტომეული, ოსური სიმღერების კრეპული (ნოტებითურთ). აქ ფუნქციონირებდა სახელმწიფო ეროვნული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, საჯარო ბიბლიოთეკა; მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირები, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ეროვნული ანსამბლი. მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა რადიომაუწყებლობა. გამოიცემოდა გაზეთები, უურნალები, მხატვრული ლიტერატურა. 1988 წელს ავტონომიურ ოლქში ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან შედარებით ყოველ 10 ათას ოსი ეროვნების მოსახლეზე 5-ჯერ მეტი წიგნი გამოიცა, 3-ჯერ მეტი ტირაჟით. როგორც ვხედავთ, ოსებს საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი ყველანაირ საშუალებას აძლევდა ეროვნულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

რაც შეხება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, იქ ვითარების დასახასიათებლად მოვიტანთ მცირე

ამონარიძს ჩრდილო თხეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ა. გალაზოვის პუბლიკაციიდან: „Мне всегда искренне жаль молодых людей моей национальности, когда, несмотря на знание иностранных языков и мировой цивилизации, они чувствуют себя неуютно дома в силу незнания элементарных основ осетинской культуры... Национальную молодежь, к примеру, лишили ее родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения“ (გაზ. „Правда“, 1989, 11–ХI). აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

მას შემდეგ, რაც საქართველო გასაბჭოვდა (1921 წ.), აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო და აქვე დარჩა. ასე რომ, ამ ტერიტორიის ვინძესგან (რუსეთისა თუ ი. სტალინისგან) გადმოცემის საჭიროება არ არსებობდა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებდა.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, მიუხედავად ყბადალებული დაუსაბუთებელი მტკიცებებისა (რასაც რუსი ფუნქციონირები ეწაფებიან) ის-ტორიულად ყოველთვის იყო საერთო ქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სივრცის ორგანული ნაწილი (იხ. 3. პაპასკირი, ი სიციალно-გосударственном облике Абхазии/Грузия, თბ., 2003). 1918 წლის 11 ივნისს აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი გაერთიანდა დანარჩენ საქართველოსთან ავტონომიის უფლებით. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა აფხაზეთის ახლადარჩეულმა სახალხო საბჭომ 1919 წლის 20 მარტს. 1920 წლის 16 ოქტომბერს მიღებულ იქნა აფხაზეთის ატვონომიის კონსტიტუცია, რომელმაც ხაზგასმით დააკანონა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ეს დებულება თავის მხრივ გაამაგრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომელიც საქართველოს დაფუძნებელმა კრებამ მიიღო 1921 წლის 21 თებერვალს. საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის 16 დეკემბერს განსაკუთრებული „სამოკავშირე ხელშეკრულებით“ აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში ე. წ. „სახელშეკრულებო რესპუბლიკად“, თუმცა რეალურად იმთავითვე განიხილებოდა, როგორც საქართველოს ავტონომიური ერთეული. 1931 წელს აფხაზეთი გარდაიქმნა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (ასსრ) საქართველოს შემადგენლობაში.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აფხაზეთში დაიწყო სეპარატისტული მოძრაობა, რომელსაც საბჭოთა ხელმძღვანელებიც ახალისებდნენ. ეს მოძრაობა განსაკუთრებით გამდაფრდა 80-90-იან წლებში, როცა სეპარატისტებმა ძმათამკვლელი კონფლიქტის ინსპირირება შესძლეს. 1993 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციის რეგულარული სამხედრო დანაყოფების მხარდაჭერით საქართველოსთან შეიარაღებული დაპირისპირებისას „გამარჯვება“ მოიპოვეს. ბოლო 20-25 წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფლება

ვეღარ აკონტროლებდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს, ისინი ფაქტობრივად გასული იყვნენ საქართველოს იურისდიქციიდან.

სწორედ უკანასკნელი წლების მოვლენები გვიჩვენებენ, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, კერძოდ საქართველოში, ხელოვნურად შექმნას მუდმივი საომარი რეჟიმი. რუსეთის პრობლემა ისაა, რომ მას აღარა აქვს უფლება იყოს დომინანტი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. მისთვის ძნელია დაიჯეროს, რომ ეს რესპუბლიკები დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. დღეს პოლიტოლოგები საყოველთაოდ აღიარებენ, რომ რუსულ ელიტას სხვებზე დომინირების, ერთხელისუფლებიანობის ინსტიქტი ამოძრავებს. ისინი ცხოვრებას განიხილავენ იმ ადამიანის პოზიციონან, რომელსაც სხვისი დაჩაგვრა შეუძლია. რაც შეეხება კავკასიას, მისი ტრადიციები და კულტურა თავისუფლების სიყვარულითაა გაჯერებული. ჯერ იყო და რუსეთის არმის შენართები უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთის კონფლიქტისას. რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ეს თავად აღიარა საქართველოში ვიზიტის დროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სიტყვით გამოსვლისას.

რუსეთის სწრაფვა საქართველოში დამსჯელი ექსპედიციის მოვლენისა და ქვეყანაზე გავლენის გავრცელების სურვილი აშკარად გამოჩდა ზემოხსენებული 2004 წლის 10 ივნისის რუსეთის დუმის განცხადებაში, სადაც თითქოს რუსი მოქალაქეების დაცვის მიზნით, საქართველოს „დასჯით“ დაემუქრნენ. თვით რუსი პოლიტოლოგი-ანალიტიკოსები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთი არ წავიდოდა ჩეჩენეთში ომის ესკალაციასა და საქართველოში სამბრძოლო მოქმედების გადატანაზე. არ გამართლდა ექსპერტთა მოლოდინი. ჩეჩენეთში სისხლისმღვრელი ომი გააჩაღა რუსეთმა. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს ომი აუცილებელი იყო მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატის ვლადიმერ პუტინისათვის, რომლის რეიტინგი 2 პროცენტს უდრიდა. გასამარჯვებლად რაღაც უნდა გაკეთებულიყო. მიზანში ჩეჩენეთი იქნა ამოღებული. რუსულ ელიტას მუდამ სჭირდება საგარეო საფრთხის შექმნა, რათა რუსმა ადამიანმა არც ისე ხშირად ითვიქროს ამ ელიტის კორუმპირებულობაზე და ქვეყანაში დემოკრატიული წყობის შექმნაზე (დეივიდ სატერი – აშშ-ის ჰუვერისა და ჰადსონის ინსტიტუტების მეცნიერი-მკვლევარი).

ომისაკენ სწრაფვას განსაკუთრებით გამოხატავდა რუსეთის პრეზიდენტის 2002 წლის 11 სექტემბრის განცხადება, რომლის ძირითადი მომენტი იყო თეზისი, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება კვლავაც დააპირებს „игнорировать резолюции ООН и не положат конец бандитским вылазкам с территории Панкисского ущелья“, რუსეთი ჩათვლიდა თავს უფლებამოსილად თავი იარაღით დაიცვას, ე. ი. მიმართოს შეიარაღებულ იძულებით ზომებს. გაუთვითცნობიერებულ პიროვნებას, ვინც ამ განცხადებას გაეცნობა, ჩეჩენეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი ეგონება, საიდანაც ხდება მეზობელ რუსეთზე „бандитские вылазки“.

რას ნიშნავს „самообороны“ საერთაშორისო სამართალშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლი მიიჩნევს, რომ სახელმ-

წიფოებს აქვთ უფლება ინდივიდუალური და კოლექტური თავდაცვისა (самообороны). ამასთანავე მკაცრად გასათვალისწინებელია, რომ შეიარაღებული ძალის გამოყენება თავდაცვისათვის მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ესაა ერთი სახელმწიფოს აგრესიაზე საპასუხო მოქმედება მეორე სახელმწიფოს, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით. ყოველი შემთხვევისათვის ასეთი აგრესორი არ შეიძლება საქართველო ყოფილიყო იმ უპრალო მიზეზის გამო, რომ „წონით კატეგორიებში“ ასტრონომიული სხვაობაა რუსეთის სასარგებლოდ. რაც შეეხება ჩეჩენეთს, ესაა ერთ-ერთი ეროვნული რესპუბლიკა, რომელიც რუსეთის ფედერაციაში შედის და რომლის ხალხიც უთანასწორო ბრძოლაში იცავდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, გაეროს წესდების 51-ე მუხლის გამოყენებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ჩეჩენეთის სამხედრო კომპანიის საქართველოზე გავრცელება, როგორც ჩანს, რუსეთის უმაღლესი გენერალიტეტის მიზანს შეადგენდა. მიზანი კი საქართველოს ქალაქებისა და სოფლების დაკავება და მოსახლეობის გაძარცვა იყო. დავუშვათ, რომ პანკისის ხეობიდან მართლაც გადადიოდნენ რუსეთში თუნდაც ბანდიტები. ვთქვათ, ისინი წინააღმდეგობის გარეშე ჰქვეთდნენ საქართველოს საზღვარს, მაგრამ როგორ გადადიოდნენ რუსეთში, იქ ხომ რუსეთის მესაზღვრეები იდგნენ. როგორ ჰქვეთდნენ საზღვარს რუსეთისათვის არასასურველი პირები? აქ ხომ არ ვეძებოთ დამნაშავეები.

ვლადიმერ პუტინის 2002 წლის 11 სექტემბრის განცხადება საერთაშორისო ექსპერტების განხილვის საგანი გახდა. ნიშანდობლივია აშშ-ის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის ბერლინში დევანსის განცხადება: „ვაშინგტონში თვლიან, რომ პუტინი თავის გენერლებს მთლად ვერ აკონტროლებს. სრულიად შესაძლებელია, რომ რუსეთის პრეზიდენტის მრისხანე განცხადება საქართველოს შესახებ – ამ სისუსტის კიდევ ერთი გამოვლინება“.

რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის განცხადება ფაქტობრივად ულტიმატუმი იყო (დაწვრილებითი შეფასება იხ. ლ. მათარაძე, О силе возомнившей себя добродетелью и притязающей на вседозволенность, ‘Свободная Грузия’ 2002 г., 31. X). ეს იყო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ძალის გამოყენების მუქარა. ამგვარი მუქარა კი აგრესის ქრესტომატიული ნიმუშია (აგრესია მხოლოდ ძალის გამოყენება კი არა, არამედ მუქარაცაა ამ ძალის გამოყენების შესახებ). პრეზიდენტის განცხადებას დასავლეთის პრესის დაუფარავი კრიტიკა მოჰყვა და არა მხოლოდ დასავლეთისა. რუსეთის საერთო ეროვნულმა კომიტეტმა „ჩეჩენეთის რესპუბლიკაში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარებისათვის“ გამოაქვეყნა თავისი მიმართვა: „Любая попытка вторжения в Грузию станет абсолютной катастрофой для России... Удар по Грузии станет тягчайшим преступлением против российской истории и государственности. Это будет удар в сердце самой России, страшные последствия которого придется искупать еще многим поколениям“.

სხვადასხვა ფაქტორების გამო საქართველოს „დასჯის“ მისია გადაიდო. მაგრამ არც ისე დიდი ხნით. დროის მსველობა და ვითარება აჩვენებდა, რომ

რუსეთი პატივს არ სცემდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მის (ისე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების) სუვერენტიტეტს. იგი კვლავ ფიქრობს, რომ ყველაფერი კრემლმა უნდა გადაწყვიტოს და მზადაა მკაცრად დასაჯოს, ვინც ევროკავშირის ან ნატოსკენ გაიხედავს, ამის ნათელი მაგალითია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებთან უკანასკნელ ხანს დადებული საგანგებო ხელშეკრულებები. ასეთია რუსული რეჟიმის ხასიათი. როცა ასეთი ხელისუფლება კარგად შეიარაღებული და სამხედრო მზადყოფნამია, მისი ფუნდამენტალისტური მენტალიტეტიდან გამომდინარე, საშიში ფაქტორია. თანაც ტრადიციული დიდმშეყრობელური ფსიქოლოგია ზნეობრივი ნიადაგისგან შორსაა.

ნიშანდობლივია, რომ ახლადარჩეული პრეზიდენტის დ. მედვედევის ბრძანებით შემოვიდა რუსეთის ჯარი საქართველოში და ხალხის ხოცვა-ულეტა და ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა. ამას ხაზი გაუსვა თვით ვ. პუტინმაც – აგვისტოს ომისდროინდელ პირველივე ინტერვიუში ხმამაღლა მიუთითა მემკვიდრეზე – ომი პრეზიდენტ დ. მედვედევის ბრძანებით დაიწყო. შედეგი? შედეგი კატასტროფულია. ამაზე აღბათ ბევრი დაიწერება. დღეს ერთი რამის თქმა ლიად შეიძლება – ეს იყო რუსეთის მიერ ნინანარ გათვლილი და კარგად დაგეგმილი ოპერაცია. საქართველო მკაცრად „დაისაჯა“.

რუსეთის მმართველი ელიტის აზრი საკმაოდ გულწრფელად გადმოსცა დუმის დეპუტატმა სერგეი მარკოვმა. საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როდის დამთავრდება ომი კავკასიაში, ს. მარკოვმა უპასუხა: „კავკასიაში ომები დამთავრდება მხოლოდ მის შემდეგ, რაც ამ რეგიონში რუსეთის სრული და განუყოფელი დომინირება დამყარდება“ (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2008 წ., 9/IX). ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია.

რუსეთის ხელისუფლებამ დუმის სახით გადადგა მეტად არასწორი ნაბიჯი – დარღვია ადრე მის მიერ არაერთგზის გამოცხადებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. დამოუკიდებლად გამოაცხადა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი (შიდა ქართლი). ამ ორი სეპარატისტული ერთეულის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანმა ორგანიზაციამ (ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნატო და სხვ.) და თითქმის ყველა სახელმწიფომ დაგმო. საქართველოს მნიშვნელოვანი ნანილის ოკუპაციით რუსეთმა უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი - მოხდა ადამიანის უფლებების ხელყოფა, დაიღუპა დიდი რაოდენობით მშვიდობიანი მოსახლეობა, დაანგრიეს სახლები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები.

\* \* \*

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ეთნიკური უმცირესობების ჩაგვრაში ქართველი ერის დაედანაშაულება არავის უკადრებია. მხოლოდ XX საუკუნის 90- იან წლებში გაჩნდა შეურაცმყოფელი გამოთქმა – „საქართველო მცირე იმპერიაა“. მისი ავტორი ცნობილი მეცნიერი ანდრია სახაროვი იყო. ამ ფაქტმა დაუდო სათავე ოსური სეპარატისტული ორგანიზაციის „ადამონ ნიხა-

სის“ წარმომადგენელთა ბრალდებუს, რომელთაგან ყველაზე მტკიცნეული, „ოსების გენოციდში“ ქართველი ერის დადანაშაულებაა. ამ მიმართულებით პირველი „სამართლებრივი“ პრეცედენტი, „სამხრეთ ოსეთის“ პარლამენტის 2006 წლის ოქტომბერის სხდომამ შექმნა. მხედველობაში გვაქვს, 1918- 1920 წლებში ქართველების მიერ ოსი ხალხის „გენოციდის“ შესახებ მიღებული დეკლარაცია. ამ გაუგონარ ცილისწნამებასთან მიმართებაში, ქართველი ისტორიკოსები წლების მანძილზე ვდებული ისტორიულ ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ოსებისთვის შეგვეხსნებინა ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომელიც მისმა წინაპრებმა 1918- 1920 წლებში თავად ჩაიდინა ცხინვალის რეგიონის ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში და რაც მთავარია, ბ)არ გვსურდა საკითხის დრამატიზება.

ამჯერად, ჩვენს ნარკვევს აქვს პრეტენზია საარქივო (და არა მემუარულ ლიტერატურაზე) დოკუმენტებზე დაყრდნობით სიმართლის თქმისა. იგი იძულებამ განაპირობა. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ერს, ოსმა სეპარატისტებმა ის ბრალდება წაუყენეს, რა დანაშაულიც მათ წინაპრებს ჰქონდათ ჩადენილი ცხინვალის რეგიონის ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში. შევეცდებით რამდენიმე განმარტება მივცეთ ისტორიული სინამდვილის გამყალბებელი ოსი ისტორიკოსებისადმი მხარდამჭერ ზოგიერთ რუს ისტორიკოსსა და თვით რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ ხელმძღვანელს სინამდვილეში თუ რა სახის ისტორიულ მოვლენებთან გვქონდა საქმე და ვინ- ვის მოუწყო განუკითხავი ხოცვა-ულეტა, ამის წარმოსაჩენად, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით ორ ძირითად საკითხს შევეხებით: 1) ოსების მიერ ქართველებთან მიმართებაში 1918- 1920 წლებში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს და 2)წარმოვადგენთ, აღნიშნული პერიოდის ისტორიული ფაქტების გამყალბებელთა ვინაობას და იმ წინა პირობას, რომელიც ოსური მითის- „ოსთა გენოციდის“ შეთხზვას დაედო საფუძვლად.

### **1) ოსების მიერ ქართველებთან მიმართებაში 1918- 1920 წლებში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები.**

არქივსაცავებში მიკვლეულმა დოკუმენტურმა მასალებმა დაადასტურა, რომ 1918- 1920 წლებში, ცხინვალის რეგიონის ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში, საქართველოს მოქალაქე ასებმა, უდიდესი დანაშაულებრივი ქმედებები განახორციელეს. ამ მიმართულებით მათი მხრიდან პირველი მოსამზადებელი ნაბიჯი 1918 წლის 26 და 28 იანვარს გადაიდგა. მხედველობაში გვაქვს საფალავანდოში – სოფელ ბელოთსა და ყელეთში, ოსების ყრილობაზე მიღებული დადგენილებები. ამ დოკუმენტების მიხედვით, შიდა ქართლის თავად-აზნაურობა ოსებს უნდა განეიარალებინათ და ძირითადი ნაწილი დედაბუდიანად ამოეწყვიტათ. რაც შეეხება ცოცხლად გადარჩენილებს, კუთვნილი საცხოვრისიდან იძულებით განედევნათ და მათი ქონება მიესაცუთრებინათ. (გაზ. „ჩვენი რესპუბლიკა“ 1918 წ. 7 მარტი).

დასახული მიზნის განხორციელება, ოსმა სეპარატისტებმა 1918 წლის იანვრის ბოლო რიცხვებიდან დაიწყეს. ამის დადასტურებას თბილისის გუ-

ბერნიის კომისარის კ.ჯაფარიძის მიერ ამიერცავეკასის კომისარიატისა და საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი 1918 წლის 3 თებერვალს გაგზავნილი ტელეფონოგრამა წარმოადგენს. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პორუჩიკ ი.ხარებოვის 250-300 კაციანი შეიარარებული ოსური რაზმი, შიდა ქართლის თავადაზნაურთა მიმართ ვანდალურ ქმედებებს ახორციელებდა (სცსია. ფ.1836. აღნ. 1. საქ. 33. ფურც. 30).

ი.ხარებოვის რაზმა, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ იყო დაფინანსებული და კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისარის ს.შაუმიანის მითითებებით მოქმედებდა, 1918 წლის 28 იანვრიდან 17 მარტის ჩათვლით, არაერთი მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა ჩაიდინა მოსახლეობის მიმართ. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გორის სამაზრო პოლიციის განყოფილებაში შესული ოცერატიული მონაცემების მიხედვით, შიდა ქართლის ოსური მოსახლეობის ერთმანისამა, პორუჩიკ ი.ხარებოვის რაზმთან ერთად, საფუძვლიანად გაძარცვა და მინასთან გაასწორა შიდა ქართლის სოფლები: ავლევი, არადეთი, აბისი, ბალთა, ზემო ხვედურეთი, თედელეთი, ქარელი, თელათ-გორი, იგორეთი, კნოლევი, კეხიჯვარი, კასპი, ლეთა, მეჯვრისხევი, ნიჩისი, ოსიაური, სასხორისი, საციხური, სანებელი, ყინწვისი, ყორნისი, ცერონისი, ძვილეთი, წვერი, წალვლი, ხოდა. რაც შეეხება ამავე სოფლების თავად-აზნაურობას, მათი სახლ-კარი გადაწვეს, დიდი უმრავლესობა ადგილზევე სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ცოცხლად გადარჩენილები დევნილებად აქციეს. იმავე წლის 18 მარტს, ოსებმა ცხინვალი აიღეს და იქ მაცხოვრებელი ქართული, ებრაული და სომხური მოსახლეობა უმოწყალოდ გაძარცვეს. წამებით მოკლეს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ ცხინვალის რეგიონში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშნული წარმომადგენლები: გიორგი მაჩაბელი, სანდრო კეცხოველი, პეტრე ეფრემიძე, კოსტა კაძიევი, კოტე ცერცვაძე. 140 წითელგვარდიელი ტყვედ აიყვანეს. 19 მარტს „ოსების ეროვნული საბჭოს“ სახელით ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს და დაბა ცხინვალის კომენდატად კულუმბეკოვი დანიშნეს (შ.ვადაჭკორია. „ოსთა გენოციდის“ საკითხი და 1918-1925 წლების ისტორიული მოვლენების სინამდვილე. თბილისი. 2019 წ. გვ. 7-10).

თუ რა სადისტური მეთოდებით გაუსწორდა აჯანყებული ოსი სეპარატისტები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ცხინვალში, ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი მომხდარი ფაქტის თვითმხილველის დ.სულიაშვილის კორესპონდენციაში – „შიდა ქართლში ნაწყვეტები რევოლუციონერის დღიურიდან მარტი 1918 წ.“ რომელიც გაზეთ „ალიონში“ დაიბეჭდა. „შტაბში გავიგე – წერს დ.-ლი (დავით სულიაშვილი) – ვერაგულად მოკლული გ.მაჩაბელი, ს.კეცხოველი და სხვა გვარდიელები ჩამოასვენესო. ნახვის ნებართვა ავიდე და საავადმყოფოში, სადაც ისინი ესვენენ – სანახავად წავედი. როცა მეუბნებოდნენ თუ რამდენად იყვნენ ისინი დასახიჩრებულნი, არ მჯეროდა. მეგონა ძალიან გადამეტებულია მეთქი. საავადმყოფოს უფროსი თვით წამომყავა, დაწვრილებით ამისნა ჭრილობანი. საშინელი, გულშემზარევი სურათი იყო. ჩემდა მოულოდნელად, რაც გამეგონა ყველაფერი გამრავლებული აღმოჩნდა. გ.მაჩაბელი ტყვებით დაცხრილული იყო მუხლებში. მერე ხანჯლით

დაჩხვლეტილი მთელ ტანზე, საფეოქლის ზევით ხანვლის წვერით თავის ქალა თითქმის აგლეჯილი... სხეულის ასეთი უმსგავსო და ველური დამახინჯება... ჩემთვის აუხსნელია, ადამიანი ასეთ გამხეცებამდის როგორ მივა.

ს.კეცხოველს მარჯვენა მხრიდან მუცელში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, რამაც მას სიცოცხლე მოუსპონ ალბათ. შემდეგ ველურებს თავი მოექრათ, მაგრამ კისერში კი არა, მკერდიდან ჸქონდა აკეპილი, თავის ქალა დამსხვრეული. სახეზე წვერების მეტი აღარაფერი ჩანდა. ამბობდნენ მოკვლის შემდეგ სხეული ქუჩაზე ეგდო და ზედ ფაიტონებით დადიოდნენო... გაბრუებული, დაბნეული გამოვედი საავადმყოფოდან.“ (გაზ. „ალიონი“ 1918 წ. 5 აპრილი)

ოსური ვანდალიზმის ეს შემზარავი ფაქტები, ოსი სეპარატისტების ნამოქმედარის თვალსაჩინოების ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს და ფანტაზიით, ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანთა საწამებლად და დასასახიჩრებლად გამოყენებულ ფორმებსაც კი აღემატება. თუკი აღნიშნულ ფაქტს მიუდგომელი პოზიციიდან ცივი გონებით შევაფასებთ, წინა პლანზე ორი საკითხი წამოიწევა: ა) ქართველთა მიმართ ოსი სეპარატისტების განსაკუთრებული სიძულვილი და ბ) შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის დაშინების მცდელობა. „ოსური იდეის“ ხელშემშლელ ქართველობას აშკარად მიანიშნებდნენ, რომ წინააღმდეგობის განვის შემთხვევაში, ისინი გ.მაჩაბლისა და ს.კეცხოველის ბედს გაიზიარებდნენ.

ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ღონისძიებების პარალელურად, ოსი სეპარატისტები, შიდა ქართლის მთიანი ზოლის მიწის მუშა ქართული მოსახლეობის საფეხურებრივად დაშინებას და საცხოვრისიდან გამოდევნის დასახული მიზნის განხორციელებას შეეცადა. ამ ამოცანის შესრულებას, შიდა ქართლში 1917-1918 წლებში მოქმედი ოსი ყაჩაღების (დიანოზა ზაურბეგის ძე ძახოვი, ციცია იაგორის ძე ძახოვი, გურგენა წუწუნის ძე გულარაშვილი) შეიარაღებული რაზმების მეშვეობით ცდილობდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ფონდებში დაცული დოკუმენტური მასალებით დადასტურებულია, რომ ოს ყაჩაღებს, შეფარვითი ფორმით „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული საბჭო მფარველობდა. იმავე საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში, მათი მხრიდან სისხლის სამართლის უმძიმესი დანაშაულებრივი ქმედებები (გაუპატიურებები, მკვლელობები, სახლ-კარის გადაწვა, ძარცვა...) იქნა ჩადენილი. ამის დასადასტურებლად, საარქივო დოკუმენტებიდან მხოლოდ რამდენიმე ფაქტს შევთავაზებთ მკითხველ საზოგადოებას: ა) ოსი ყაჩაღების მიერ ქართული მოსახლეობის მიმართ 1918 წლს ჩადენილი მკვლელობები: 1) სოფ. ძეგვი – მოკლეს ტიტე ქისიშვილი და მისი ვაჟი იოსებ ქისიშვილი; 2) სოფ. უამუში – ამონწყვიტეს ავლახაშვილების ოჯახი; 3) სოფ. არბო – მოკლეს დავით ზაქარიას ძე ბედოშვილი და პეტრე ბედოშვილი; 4) სოფ. ძეგლევი – მოკლეს პეტრე ხინჩაგაშვილი და მისი ნათესავები; 5) სოფ. მონასტერი – ამონწყვიტეს ხუბაშვილების ოჯახი; 6) სოფ. საფერშეთი – მოკლეს შაქრო და მიხა დარიაბაშვილი; 7) სოფ. ბაგინეთი-მოკლეს მერაბაშვილი, ნიკა მირზაშვილი და ერთი მეეტლე; 8) სოფ. ანანური-მოკლეს გრიგოლ ლაზარიშვილი; 9) სოფ. კადოეთი – მოკლეს იოსებ რუბაშვილი.

ვიღი. ბ) ოსი ყაჩალებისგან 1918 წელს ქართველი ქალების გაუპატიურება: 1) სოფ. კისორეთი – ოსი ყაჩალები იოსებ მამინაშვილის ოჯახს დაესხნენ თავს, მეუღლე და ქალიშვილი გააუპატიურეს, ხოლო ი.მამინაშვილი მოკლეს; 2) სოფ. გრემისხევი – იგივე ყაჩალები ოჯახში მიუხტენ კოლია პაპუკაშვილს, მისი ქალიშვილი ნინა პაპუკაშვილი მამის თვალნინ გააუპატიურეს. შემდეგ ორთავენი მოკლეს; 3) სოფ. მონასტერი – სოფლის რამდენიმე ქალი გააუპატიურეს და მიმაღწენ; გ) ოსი ყაჩალებისგან ქართველი ბავშვების ცოცხლად ცეცხლში დაწვა: სოფ. მონასტერი – ოსმა ყაჩალებმა სოფლის ქართული სკოლა დაწვეს. წინააღმდეგობის განევის გამო, ცეცხლი წაუკიდეს სკოლის მახლობლად მცხოვრებ კორაშვილის ორ სახლს. ხოლო მისი ოთხი მცირენლოვანი ბავშვები ცეცხლში შეყარეს. როცა ტანსაცმელზე ცეცხლმოკიდებულმა ორმა ბავშმა გაქცევა სცადა, ყაჩალებმა ორივე ადგილზევე ჩახოცა. (უკრნ. „საარქივო მოამბე“ 2008 წ. № 3. გვ. 56- 58)

საარქივო მასალებით ირკვევა, რომ გორის მაზრაში შექმნილი ურთულესი მდგომარეობის გამო, ამიერკავკასიის მთავრობის და საქართველოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით, ოსმალეთის ფრონტზე გასაგზავნი გვარდის ერთი ქვედანაყოფი, შიდა ქართლში მოქმედი ოსური ბანდფორმირებების ასალაგმავად გაიგზავნა. პარალელურად, ოსი ყაჩალების წინააღმდეგაც შესაბამისი ღონისძიებები იქნა გატარებული, რის გამოც, ოსი ყაჩალების შიარალებული დაჯგუფებები და მისი მეთაურები (დიანოზა ძახოვე, ციცია ძახოვე, გურგენა გულარაშვილი) იძულებული გახდნენ, საქართველო დაეტოვებინათ და საბჭოთა რუსეთში – ვლადიკავკაზში გადასულიყვნენ.

დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ქართველებთან მიმართებაში, ოსი სეპარატისტების დანაშაულებრივ ქმედებებს, არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი, არამედ, იგი რსფსრს შემადგენლობაში მყოფი ისტორიული ოსეთის ფარგლებშიაც გაგრძელდა. მხედველობაში გვაქვს, ოსების მხრიდან, ალაგირში მცხოვრები ქართველების ეტაპობრივი შევიწროება, ეთნონმენდა და გენოციდი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ალაგირის ქართველების ახალშენის რწმუნებულის მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე.გეგეჭკორის სახელზე გამოგზავნილ ოფიციალურ მიმართვაში დასმული იყო საკითხი; 1) საქართველოს ხელისუფლებას, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ქართველების მძიმე მდგომარეობის შესასწავლად პასუხისმგებელი წარმომადგენელი გაეგზავნა; 2) გაერკვია ის მატერიალური და ფიზიკური ზარალი, რომელიც შეიარაღებული ოსების თავდასხმამ ალაგირში მცხოვრებ ქართველებს მიაყენა.

თუ გავითვალისწინებთ დენიკინსა და საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას შორის ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის შესაძლებლობებს, აშკარაა, რომ დიპლომატიური საშუალებებით პრობლემის მოწესრიგება შეუძლებელი იყო. ერთადერთი გამოსავალი, მხოლოდ საქართველოს საზღვრებამდე მოღწეული დევნილებისადმი დახმარება იყო. ამ მხრივ, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა. ამის დამადასტურე-

ბელია საგარეო საქმეთა მინისტრის ე-გეგეჭკორის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის ნ.რამიშვილისადმი გაგზავნილი ოფიციალური წერილი. „ყაზბეგი-დან – ვკითხულობთ დოკუმენტში – პოლკოვნიკი წერეთელი დეპეშით იუნიუბა, რომ ალაგირში ბოლშვიკების დამარცხების დროს ოსებს აუნიოკებიათ ქართველები, სახლები დაუწვავთ, სარჩო და ქონება დაუტაციათ. 500 ქართული ოჯახი გაფანტულა და მხოლოდ 60 კომლს კავკავამდე ჩამოუდნევია, მაგრამ იქაც მყუდროება ვერ უპოვნია, რადგან ამ ქალაქს გარს შემორტყმიან ისები და კაზაკები. კავკავის ქართველებიც საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილან... მე დეპეშით დავავალე პოლკოვნიკ წერეთელს, რათა სასწრაფო ლონისძიება მიიღოს და ლტოლვილებს საქართველოში დასაბრუნებლად ხელი შეუწყოს. ხოლო თქვენა გთხოვთ, სათანადო განკარგულება მოახდინოთ და ლტოლვილებს სასწრაფოდ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოთ.“ საარქივო მასალით დასტურდება, რომ ალაგირიდან დევნილ და კავკავში ჩასულ ქართველებს, ოსებისგან პოლიტიკური საბაბით დევნილი კავკავში მაცხოვრებელი ქართველებიც შეუერთდა. ამის შესახებ საქართველოს მთავრობის 1919 წლის 11 თებერვლის საგანგებო სხდომის საოქმო ჩანაწერებში ვკითხულობთ: „**მოისმინეს:** სამხედრო გზის რაზმის უფროსის პოლკ. წერეთელის პირდაპირი მავთულით ცნობა იმის შესახებ, რომ მოხალისეთა მიერ კავკავის აღების შემდეგ, რესპუბლიკის საზღვრის ახლოს თავი მოუყრიათ ქართველ ლტოლვილებს და პოლიტიკურ დევნილთ 600 კცამდე, რომელნიც სთხოვენ საქართველოს მთავრობას ნება მისცეთ მათ რესპუბლიკის საზღვრებში შემოსვლისა. **დაადგინეს:** გადაეცეს პოლკოვნიკ წერეთელს პირდაპირი მავთულით შემდეგი: საქართველოს მთავრობა თანახმა არის შემოუშვას თავის ტერიტორიაზე ქართველი ლტოლვილები. პოლიტიკურ დევნილთ მიეცეთ თავშესაფარი, როგორც ეს მიღებულია საერთაშორისო უფლებით. თუ მათ თან აღმოაჩნდებათ სამხედრო მასალა და სხვა რაიმე სახელმწიფო ქონება... ყოველივე ეს საზღვარზე ჩამოერთვათ კანონიერი მოწმების თანდასწრებით სათანადო ოქმის შედგენით. თვით ლტოლვილი კი ყარაულის ქვეშ გამოგზავნილი უნდა იქნენ თბილისში სადაც მათი ვინაობა იქნება გარკვეული. ეს გადაწყვეტილება ეცნობოს ინგლისელების მისიას.“

ამ დოკუმენტებში ალაგირიდან მხოლოდ 60 კომლის კავკავში ჩასვლაზე, ეთნიკურად ქართველობის მოტივაციით დევნილი კავკაველი ქართველების მათთან შეერთებაზე (600 კაცი) და საქართველოში დაპრუნების ხელშეწყობაზე საუბარი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილო ისეთში ქართველები პოლიტიკური ნიშნითაც იდევნებოდნენ. ამასთან ზემოაღნიშნული ქართველთა 60 კომლი, ალაგირიდან გამოდევნილი ქართველების მხოლოდ ერთ მცირე შტოს წარმოადგენდა.

ხაზგასმით უნდა ითქვას: ა) ალაგირში მცხოვრები ქართველები სეპარატიზმის გზაზე არ მდგარან და ოსური მოსახლეობის ძარცვა არ დაუწყიათ, ოსების წინააღმდეგ იარაღი არ აღუმართავთ და არც საქართველოსთან ტერიტორიულად შეერთება მოუთხოვიათ. მიუხედავად ამისა, ქართველთა ქონების მიტაცებისა და ოსური მიწა-წყლიდან მასობრივად გამოდევნის სურ-

ვილი ოსებში იმდენად დიდი იყო, რომ 1919 წლის 11 იანვარს, ზამთრის სუსხიან დღეებში, ოსებმა დამით ალაგირში მცხოვრები მშვიდობიანი ქართველების საშინელი ხოცვა-ულეტა, მათი ეთნომენდა და გენოციდი მოაწყო. ბავშვებისა და მოხუცების ცოცხლად ცეცხლში დაწვა, ქალების გაუპატიურება, ორსული ქალების მუცელზე დასერა... ოსების ქმედება, ქართველებისადმი ბიოლოგიური სიძულვილის დემონსტრირება იყო. ამ სამარცხვინო დანაშაულთან მიმართებაში, დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ოსების მიერ 1919 წლის იანვარში ჩადენილი ვანდალური ქმედებებიდან გამომდინარე, ცოცხლად გადარჩენილმა ალაგირელმა 500-მა ქართულმა (2700 კაცი) პირადი შრომის შედეგად შეძნილი ქონება მიატოვა და 1919 წლის იანვრის სუსხიან დღეებში, ჩრდილო კავკასიოდან იძულებით საქართველოში ეტაპობრივად გადმოსვლა დაიწყო. ცნობილი ფაქტია, რომ ალაგირის ქართველთა ტრაგედია წინასწარ განზრახული და მოფიქრებული აქცია იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ალაგირში ქართველთა განადგურებას, საკუთარი კარმიდამოებიდან აყრას და განდევნას, მათი ქონებისა და ბინების დასაკუთრებას, რამაც ს.ორჯონივიძის, ს.გეგეჭკორისა და მათ თანამზრახველთა წაყრუების ვითარებაში, ოსებს ჩანაფიქრის განსახორციელებლად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. (ს.რეხვიაშვილი. ალაგირელ ქართველთა ტრაგედდია. გაზ. „სახალხო განათლება“ 1989 წ. 18 ოქტომბერი)

ეს დასკვნა სრულ ჭეშმარიტებას შეესაბამება, რადგან იმავე ბოლშევიკების ხელშეწყობით, ქართველთა დევნა და ჩრდილო კავკასიოდან მისი სრული დეპორტაცია მიზანმიმართულად მიმდინარეობდა. ამის დადასტურებას ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ქართველების მიერ არმავირში მოწვეული კონფერენციის (1920 წლის 5 აგვისტო) შესახებ არსებული მონაცემები წარმოადგენს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა: სოჭის, ტუაპსეს, ნოვორისისკის, ეკატერინოდარის, რომანოვის ხუტორის, სტავროპოლის, მაიკოპის, არმავირის ქართველთა მიერ არჩეული დეპუტატები, რომლებიც 20 ათასი ქართველის მანდატით იყვნენ კონფერენციაზე წარდგენილი. კონფერენციაზე ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ რუსეთის საბჭოურმა ხელისუფლებამ, დელეგატების გაგზავნის უფლება 5000 ქართულ ოჯახს არ მისცა. მათი წარმომადგენლები შეგნებულად კონფერენციის დამთავრებამდე დააკავა. იმავე კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა მთავრობა ანგარიშს არ უწევს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებას. ქართველი მოქალაქეები ბოლშევიკებისგან შევიწროებას განიცდიან.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, კონფერენციის მიერ არჩეულ დელეგაციას დაევალა, რათა საქართველოს ხელისუფლების წინაშე პრინციპულად დაესვა საკითხი: 1) საჭირო პირობები მოემზადებინა ჩრდილო კავკასიოდან ქართველთა სამშობლოში დასაბრუნებლად და 2) საქართველოს ელჩი დაუყოვნებლივ დაენიშნა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ქართველებისათვის გაუსაძლისი პირობების ხელოვნურად შექმნის ზემოაღნიშნული ფაქტები, ქართველებისგან რეგიონის ეთნომენდის მოსამზადებელი საფეხურის შექმნის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი ბოლომდე გატა-

რება, ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოური ხელისუფლების წინასწარგამიზნული პოლიტიკური კურსის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად უნდა შეფასდეს. მითუმეტეს, ოსების მიერ 1919 წლის იანვარში ალაგირში ჩატარებული ქართველთა ხოცვა-ულების და ეთნომენტის გამო, საბჭოთა ხელისუფლებას დამნაშავეების მიმართ არანაირი საღამსჯელო ღონისძიება არ გაუტარებია. მომხდარი ფაქტი, ქართველთა სიძულვილიდან გამომდინარე ოსური შოვინიზმით განპირობებულ ქმედებად კი არ მიიჩნიეს, შეგნებულად სამოქალაქო მის ქრისტი გადაიტანეს და კონტრევოლუციონერთა ნამოქმედარად გამოაცხადეს. ამით, საბჭოთა ხელისუფლება, ოსების მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვას და შეგნებულად მიფურჩებას შეეცადა. ოსებთან მიმართებაში სახელმწიფოებრივ რანგში აყვანილი დაუსჯელობის პოლიტიკური კურსი, ოს სეპარატისტებს მთელი 70 წლის განმავლობაში სინამდვილის გაყალბების სრულ შესაძლებლობას აძლევდა. ამის საუკეთესო ნიმუშს, ვ.ლენინის მიერ ვლადიკავკაზის რევოლუციისადმი 1920 წლის 18 დეკემბერს გაგზავნილი დეპეშის ტექსტის შინაარსის ოსი ისტორიკოსებისგან თვითნებურად „გადაკეთება“ გამოდგება. ეს დოკუმენტი, თანამედროვე ოსმა ისტორიკოსებმა ვ.ლენინის მიერ გამოცემულ განკარგულებად გამოაცხადა და ოსების ე.ნ. „VII გენოციდ-ში“ მკითხველ საზოგადოებას შემდეგი ფორმულირებით მიაწოდა: «Беженцам из Южной Осетии по распоряжению В.И. Ленина в северо-восточной части г. Владикавказа выделили земельные участки и постепенно начали строить дома». სინამდვილეში, ვ.ლენინის ზემოაღნიშნული დეპეშა არა ოს ლტოლვილებს, არამედ 1919 წელს ალაგირიდან, ოსების მიერ დევნილ ქართველებს ეხება. ამის დამადასტურებლად იმავე დოკუმენტის სრულ ტექსტს მოვიტანთ და თავად მკითხველმა განსაჯოს ოსი ისტორიკოსების მეცნიერული პატიოსნების დონე. «Телеграмма Владикавказскому Ревкому. Владикавказ, Ревком. Копия члену реввоенсмотра Кавфронта Орджоникидзе. По полученным в Совнаркоме сведениям, беженцы гражданской войны, бежавшие от контрреволюционных банд в 1919 г. из селения Алагир в количестве, свыше 300 семей, находятся в станице Ардонской и в городе Владикавказе в черезвычайно бедственном положении. Несмотря на все наши хлопоты, беженцы до сих пор не могут добиться возвращения в родные места или помочь по переезду и устройству на новых местах. Срочно удовлетворите законные требования беженцев и окажите им действительную помощь по устройству на постоянное жительство. Написано 18 декабря 1920 г. Предсновнаркома Ленин». (В.И.Ленин. Пол. соб. соч. т. 52. ст. 299- 300). ნებისმიერი საღად მოაზროვნე მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ დეპეშაში საუბარია არა „სამხრეთ ოსეთიდან“ 1920 წელს გახიზნულ ოსებზე, არამედ ოსების მიერ 1919 წლის იანვარში ალაგირის ტრაგედიის შემდეგ ცოცხლად გადარჩენილი და ვლადიკავკაზში იმავე წელს ჩასული მხოლოდ 300 დევნილი ქართული ოჯახის შესახებ. საარქივო მასალების მიხედვით, აღნიშნული დეპეშის დაწერის მომენტისათვის, ოსების მიერ დეპორტირებული ქართული ოჯახები ძირითადად საქართველოში იყო გადმოსული და მასზე მზრუნველობა, დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სა-

მინისტროს შესაბამის განყოფილებას ჰქონდა დავალებული. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ალაგირიდან ოსების მიერ გმოდევნილი ქართული ოჯახების გადასარჩენად და ქართულ მიწაზე დასამკვიდრებლად, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ, ლაგოდეხის რაიონში 700 ჰექტარი მიწის ფართობი გამოყო და რაც მთავარია, იმ ეტაპზე ქვეყნის მნირი ბიუჯეტიდან, მათვის მაქსიმალური დახმარება გაიღო.

რაც შეეხება ოსების 1920 წლის აჯანყებას, იგი საბჭოთა რუსეთმა მოამზადა. მხედველობაში გვაქვს რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციისადმი 1920 წლის მარტში ოქროს კურსით 100 ათასი მანეთის, ხოლო იმავე წლის აპრილში „სამხრეთ ოსეთის“ რკპ (ბ) საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის ვ.სანაკოვისადმი ოქროს კურსით 40 მილიონი მანეთის გადაცემის ფაქტი. ისიც ცნობილია, რომ 1920 წლის 28 მაისს, ვლადიკავკაზში გამართულ რკპ (ბ) „სამხრეთ ოსეთის“ მეორე კონფერენციაზე მიღებული დადგენილებით, ჩრდილო ოსეთის წითელი პარტიზანული რაზმი (რსფსრ-ს მოქალაქეები) „სამხრეთ ოსეთის“ აჯანყებულებს უნდა დახმარებოდა. 1920 წლის 31 მაისს, აღნიშნული რაზმი მ.სანაკოვის მეთაურობით ვლადიკავკაზიდან გამოვიდა, სამ კოლონად გადანაწილდა, როკის, ზეკარისა და მამისონის ულელტეხილებით საქართველოში შემოვიდა. პირველი ორი რაზმი სოფ. ჯავაში შეერთდა და შეტევა ცხინვალზე განახორციელდა. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ცხინვალის რეგიონში აჯანყებული ოსების დამკვრელ ბირთვს, ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული შეიარაღებული ოსები (საბჭოთა რუსეთის მოქალაქეები) წარმოადგენდნენ. ისიც ცნობილია, რომ ოსმა ბოლშევიკებმა იარაღი საბჭოთა რუსეთის ტერიტორიიდან – ჩრდილო კავკასიიდან შემოიტანა. ამ ოპერაციას მ.სანაკოვი, ა.ჯატიევი, ა.აბაევი და მ.გაგლონევი ხელმძღვანელობდნენ. (**შ.ვადაჭკორია. ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917- 1925 წ.) წიგნი I. თბილისი. 2020 წ. გვ. 62-63**)

თუკი საკითხს აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით განვიხილავთ, საბჭოთა რუსეთის მიერ მომზადებული და დაფინანსებული ოსების აჯანყება, რუსეთის მხრიდან 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დარღვევას და „შეფუთულ“ ფორმებში საქართველოსადმი ომის გამოცხადებას წარმოადგენდა. მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველო სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვიათ და მისი გასაბჭოება იოლი გზით განეხორციელებინათ.

საარქივო მასალით ირკვევა, რომ დროებითი წარმატებით ფრთაშესხმულმა ოსმა სეპარატისტებმა სოფ. ჯავა, დაბა ცხინვალი და მისი მიმდებარე ტერიტორიები გორის მაზრას თვითნებურად ჩამოაცილა და მმართველობა „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნულ საბჭოს დაუქვემდებარა. ეს წაბიჯი, საქართველოს მთავრობისადმი ოფიციალურად დაუმორჩილებლობას, ომის გამოცხადების ტოლფას ქმედებას წარმოადგენდა. აუცილებლობა, ისი სეპარატისტებისადმი, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ღირსეული პასუხის გაცემას საჭიროებდა. ამ მიმართულებით სახელმწიფოებრივ დონეზე გატარებული ღონისძიებები, საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ფართო საზოგადოებას მრუდე საკუში დან-

ახული ფორმით წარუდგინა. დამოუკიდებული საქართველოს ხელისუფლება ანათემას გადასცა მხოლოდ იმისთვის, რომ ქართული მოსახლეობა ოსებისგან მოსალოდნელი ხოცა-ულების საფრთხისგან, გ.მაჩაბლისა და ს.კეცხოველის მიმართ ჩატარებული ზემოაღნიშნული წამებითი სასჯელისაგან დაიცვა და იმავდროულად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნა. ამ ფონზე, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ შეგნებულად პასუხგაუცემელი დატოვა ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა: აჯანყებული ოსების გამარჯვების შემთხვევაში, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა სრულიად საქართველო და კონკრეტულად შიდა ქართლის ქართული მოსახლეობა? ამ კითხვაზე პასუხს საბჭოთა ისტორიოგრაფია შეგნებულად გაურბოდა. აჯანყებული ოსი სეპარატისტებისადმი ღირსეული პასუხის გაცემით, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებამ თუ რა მოსალოდნელი უბედურებისაგან იხსნა ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობა, ამის შესახებ, გასაბჭოებულ საქართველოში ოსების მიერ ჩადენილი დანამატულებრივი ქმედებები, საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართველი მეცნიერების მიერ. (**შ.ვადაჭკვორია. ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1921- 1925 წწ.) წიგნი I. თბილისი. 2020 წ. გვ. 321-322**)

დაბეჭითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ 1920 წელს აჯანყებული ოსების გამარჯვების შემთხვევაში, ისინი 1918- 1919 წლებში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს ისევ გაიმეორებდნენ. რაც შეეხება „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციისა და პარტკომის 1921 წლის 6-8 სექტემბრის ერთობლივ სხდომაზე მიღებული დადგენილებისადმი დართულ „მოკლე განმარტებით ბარათს“, მასში ოსი სეპარატისტების მიზნები და ამოცანები გამოკვეთილი ფორმითაა გამჟღავნებული. დოკუმენტში გარკვევითაა მითითებული, რომ 1919 წლის ოქტომბრიდან, ოსები გამუდმებით აყენებდნენ საკითხს „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური თვითგამორკვევისა და თერგის რესპუბლიკასთან შეერთების შესახებ. იმავე „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციის მიერ საქართველოს რევოლუციის ადგი 1921 წლის 12 მაისს გაგზავნილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „1920 წლის ზაფხულში... სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უდარიბესმა ნაწილმა რევოლუციური აჯანყების დროშა აღმართა ლოზუნგით: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, ძირს ბურუუაზიულ-მენშევიკური ტირანია.“ (**შსა. ფ. 14. ალწ. 1. საქ. 48. ფურც. 12)** საბჭოთა და შემდგომი პერიოდის ოსურმა და რუსულმა ისტორიოგრაფიამ პასუხგაუცემელი დატოვა: 1) ოსი სეპარატისტების ზემოაღნიშნული მისწრაფებები, რამდენად ჯდებოდა სამართლებრივ ჩარჩოში; 2) დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქე ოსები ვალდებული იყვნენ თუ არა, ქართველი ერის მხარდამხარ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები დაეცვათ.

რა თქმა უნდა, შეიდა ქართლის ოსები, როგორც საქართველოს მოქალაქეები, ვალდებული იყვნენ – დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის სამსახურში ჩამდგარიყვნენ.

დამოუკიდებლი საქართველოს ხელისუფლება, რამდენადაც ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოს ინტერესებს იცავდა, ოსი სეპარატისტების აჯანყებებსა და ანტისახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელების მცდ-

ელობებს, ბუნებრივია, შესატყვისი ღონისძიებების გატარებით უპასუხებდა. ყოველივე ზემოთქმული და არსებული საარქივო მასალების საფუძვლიანი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს განვაცხადოთ: თანამედროვე ოსი ისტორიკოსების მიერ ოსების აჯანყებებთან მიმართებაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ გაკეთებული დასკვნები, ყალბი და ალოგიკურია.

ისინი ისეთ ფონს ქმნიან, თითქოს საქართველოში მართლაც არსებულიყო „ოსეთი“ და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას ბუნებაში არარსებული „ოსეთის“ მოსახლეობა დაესავოს. ერთი სიტყვითაც არ ახსენებენ, რომ ოსების მიერ მოწყობილი ამბოხების კერძი, საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხრიდან მისი ხელყოფა, ყოველგავარი სახის სამართლებრივ ნორმებს სცილდებოდა. ისტორიის გაყალბების თვალსაზრისით კიდევ უფრო შორს წავიდა ოსი ისტორიკოსი ვლ. აბაევი. მისი მტკიცებით, „მენშევიკების მხეცობის შედეგად მოხდა სამხრეთ ოსეთის მეურნეობის ეკონომიკური საფუძლის მოშლა, ქვეყნამ დაკარგა ყველა ძირითადი პირობა თავისი შემდგომი არსებობისათვის – ტერიტორია, სახლ-კარი, განიცადა აურაცხელი ტანჯვა.“ (ვლ. აბაევი. სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. იხ. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში. სტატიების კრებული. თბ. 1957 წ. გვ. 305). ამ ამონანერის მიხედვით, გორის მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი (შიდა ქართლის მთანი ზონა), საქართველოსგან გაუცხოებულ ცალკე ქვეყნადა გამოცხადებული, რომლის ეკონომიკა „მენშევიკების“ მიერ ოსების აჯანყების „მხეცურად“ ჩაქობის შედეგად იქნა თითქოს დანგრეული. ასეთი პოზიციის მიუხედავად, 1920 წლის აჯანყებული ოსების მხრიდან დაღუპულთა რაოდენობაზე იგი დუმს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მას, ამის შესახებ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სამხილი (შესაბამისი სამთავრობო კომისიების დასკვნის სახით) საარქივო დოკუმენტური მასალები არ გააჩნდა. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ი.ნ. ცხოვრებოვიც. მხედველობაში გვაქვს, მის მიერ 1960 წლს გამოცემული დოკუმენტების კრებული „Борьба трудящихся Юго- Осетии за советскую власть 1917-1921 гг. (Документы и материалы) издание второе. Сталинири. 1960.“ ეს სქელტანიანი პუბლიკაცია, 174 დასახელების საარქივო და ბოლშევიკური პერიოდის გადმობეჭდილ მასალებს შეიცავს. იგი 1917-დან 1928 წლის ივნისამდე პერიოდს ასახავს. რაც შეეხება ოსების 1920 წლის აჯანყებისადმი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას, ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში გამომავალი ბოლშევიკური გაზეთებიდან აღებული პუბლიკაციებია იმავე ნიგნში გადმობეჭდილი. მხედველობაში გვაქვს, 1920 წლის 1 აგვისტოს და 18 სექტემბრის გაზეთებიდან: «Жизнь Национальностей» და «Советский Кавказ»-იდან გადმოღებული სტატია – «О гражданской войне в Юго- Осетии» (ст. 153-156) და კორესპონდენცია – «О революционных восстаниях крестьян Юго-Осетии» (ст. 184-187).

ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ოსების 1918-1920 წლების აჯანყების შესახებ დანერილი ნიგნის ავტორები – ზ. ვანეევი და პ. დოგუზოვი.

„З.Н.Ванеев, П.Р.Догузов. Из истории борьбы трудящихся Юго-Осетии за советскую власть. Сталинири. 1957 г.“

ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში მომზადებული აღნიშნული პუბლიკაციების ავტორებისთვის უცნობი იყო, სამთავრობო კომისიების ისეთი დასკვნები, სადაც 1918- 1920 წლებში აჯანყებული ოსების წინააღმდეგ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების მხრიდან ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული ოსი მებრძოლების და მშვიდობიანი მოსახლეობის ციფრობრივი მონაცემები იქნებოდა დადასტურებული. ასეთი მასალები, გასაბჭოებული საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 1921- 1922 და 1924 წელს შექმნილი კომისიების მასალებშიაც არ აღმოჩნდა.

### **ვინ გააყალბა სინამდვილე, რომელიც საფუძვლად დაედო ოსური მითის შექმნას – „ოსთა გენოციდის“ შესახებ?**

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1918- 1920 წლებში, საქართველოს ხელისუფლების დასამხობად აჯანყებული ოსების წინააღმდეგ ჩატარებული საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული ოსების რაოდენობრივი მონაცემები, ზემოაღნიშნული კომისიების არცერთ დასკვნაში არ არსებობს. მიუხედავად ამისა, „სამხრეთ ოსეთის“ პარლამენტის, უპრეცედენტო გადაწყვეტილებით, 2006 წლის ოქტომბერში ქართველებისგან 1918- 1920 წლებში მოწყობილი „გენოციდის“ დეკლარაცია იქნა მიღებული. ეს „დოკუმენტი“ საფუძვლად დაედო ოსი ისტორიკოსებისგან შედგენილ 11 გვერდიან ცილისმნამებლურ ახალ ფანტასტიკურ ბრალდებებს-«14 Перманентных Геноцидов Южных Осетин Грузии с 1320 года по август 2008 года». ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ ამ „დოკუმენტის“ VII პუნქტზე, რომელიც 1918- 1920 წლებს ეხება და ოსების „VII გენოციდის“ სახითაა დასათაურებული. მეცნიერებაში არსებობს დაუწერელი კანონი; როცა ერს, გენოციდის ჩატარების ბრალდებას უყენებენ, იგი უტყუარი საარქივო დოკუმენტური მასალით უნდა იყოს გამაგრებული და დასაბუთებული. ამ თვალსაზრისით თუკი შევხედავთ „ოსების VII გენოციდის“ სტატიის ავტორს, მის მიერ მოტანილი მონაცემები კითხვის ქვეშ დგას, რადგან საარქივო დოკუმენტის ნაცვლად, იგი იმოწმებს გიორგი ხაჭაპურიძეს (**Г.В.Хачапуридзе. Борьба за пролетарскую революцию в Грузии. очерки. 1917-1921. Тб. 1936 г. стр. 295.**). ოსების „VII გენოციდის“ სტატიის ავტორს, მოკლული ოსების რაოდენობის შესახებ ციტატის სახით ამონანერი გ.ხაჭაპურიძის არარსებული წიგნის - „ოსების 1920 წლის აჯანყებიდან“ მოაქვს. „Специальная комиссия обследовала последствия карательной экспедиции в Южной Осетии уже после советизации Грузии, она установила, что в 1920 году здесь было убито 5279 человек. Было сожжено 1588 жилых домов и 2639 хозяйственных построек. Угнано 32400 голов крупного скота (80,36%) и 74485 голов мелкого рогатого скота (82,3%). Материалы комиссии хранятся в музее революции в Тбилиси.“ ეს ციტატა, 1936 წელს დაბეჭდილი გ.ხაჭაპურიძის წიგნის – „Борьба за пролетарскую революцию в Грузии“ სა-

განგებო თავიდან – „Борьба меньшевиков против национальных меньшинств“ უნდა იყოს აღებული, რადგან აღნიშნული წიგნისა და „ოსების VII გენოციდის“ სტატიის ავტორის ტექსტი ერთმანეთს ემთხვევა. იმავე ნაშრომის IV ქართულ გამოცემაში – „ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“, გ.ხაჭაპურიძემ განსხვავებული ციფრობრივი მონაცემები მოიტანა. მისი „მტკიცებით“, ოსების 1920 წლის აჯანყების ჩახშობის შედეგად, „მოკლული იქნა 4812 მამაკაცი, ქალი და ბავშვი. გადამწვარი და უგარებისად გადაქცეული იყო 1268 ნაგებობა, დიდი რაოდენობით გარეკეს მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, განადგურებული იქნა 1920 წლის მთელი მოსავალი 23657 დესეტინაზე. მიახლოებითი გამოანგარიშებით იქ მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 3317506 მანეთი ოქროთი.“ (გვ. 290-291) დაკვირვებული მკითხველი, „ოსების VII გენოციდის“ სტატიის ავტორისა და გ.ხაჭაპურიძის წიგნის უახლესი გამოცემიდან მოტანილ რაოდენობრივ მონაცემებს შორის სხვაობას ( $5279-4812 = 467$ ) კარგად შეამჩნევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საკითხთან მიმართებაში დაზუსტებული რიცხვი არ არსებობს და იგი ამა თუ იმ ფალსიფიკატორის თვითნებურად შესწორების და მანიპულირების საგანი ხდება.

„ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“ 1957 წელსაც გამოიცა. ამ ნაშრომში მის მიერ მოტანილი ნატყუარი მონაცემების სისწორეში მკითხველის დასარწმუნებლად, გ.ხაჭაპურიძემ „შემოვლითი გზა“ აირჩია და საარქივო ფონდის ნაცვლად, 1953 წელს დაბეჭდილი „საისტორიო მოამბე“ № 7 მიუთითა. (გ.ხაჭაპურიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. თბ. 1957 წ. გვ. 291). გ.ხაჭაპურიძის მიერ დამოწმებული და ამ უურნალში განთავსებული პუბლიკაცია, საარქივო დოკუმენტი არ არის. იგი გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ (1924 წლის 14 მაისი № 575) მეხუთე გვერდზე კორესპონდენტ ვინმე ი.ლ. ავტორობით გამოქვეყნებული სტატიის „Результаты интервенции в Грузии“ დუბლიკაცია წარმოადგენს. (გაზ. «Заря Востока» 1924 г. 14 мая. № 575) ამ სტატიის უცვლელი ტექსტი, უმნიშვნელო რედაქტირებით, სხვა საარქივო მასალებთან ერთად, ს.მაღლაკელიძემ, ავტორის ინიციალების მითითების გარეშე იმავე კრებულში შეიტანა „ზარია ვოსტოკას“ ზემოთ დასახელებული სტატიისგან განსხვავებული სათაურით: „1924 წლის 14 მაისი.– ცნობები ინგლისელი ოკუპანტებისა და სამშობლოს მოღალატე მენშევიკური „მთავრობის“ მიერ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ჩადენილი მხეცობისა, ნგრევისა და მტაცებლობის შესახებ.“ (უურნ. „საისტორიო მოამბე“ № 7. 1953 წ. გვ. 147- 149) ასეთი ქმედებით, „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტ ვინმე ი.ლ.-ს სტატიას, ს.მაღლაკელიძემ საარქივო დოკუმენტის ნიღაბი ჩამოაფარა და მკითხველი საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა. საქართველოს უახლესი ისტორიისა და ყოფილი პარტიული (ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს) არქივების შესაბამისი ფონდების საფუძვლი-ანად შესწავლა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ გ.ხაჭაპურიძისა და ოსების „VII გენოციდის“ სტატიის ავტორის მიერ მოტანილი რიცხობრივი მონაცემები არცერთ დოკუმენტში არ დასტურდება.

საარქიტო მასალათა (სხვადასხვა დოკუმენტები) ცალსახად ადასტურებენ 1)დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ ოსებს 1918, 1919 წლებში მოწყობილი აჯანყებები აპატია; 2)1920 წლს აჯანყებული და დამარცხებული ოსების სახლკარს ქართული ჯარის ნაწილები კი არ წვავდა, არამედ თვითონ ოსები უკიდებდა ცეცხლს, რათა იგი ქართველებს არ დარჩენოდა. აღნიშნულ-თან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო დასკვნაში ვკითხულობთ: „ოსებს 1918 წლის ...აჯანყება და მენშე-ვიკების ადგილობრივი ლიდერების – ს.კეცხოველის და გ.მაჩაბელის სიკვდილიც კი აპატიეს. არავითარი ძალმომრეობა მათზე არ უხმარიათ. მხოლოდ აჯანყების გამეორებას 1920 წელში მოჰყვა სასტიკი ზომები ჯარის მხრიდან ოსებისადმი... თბილისში მთავრობას ცნობა მოუკიდა, რომ ჯარები სახლებს სწვავენო. მთავ-რობა შეეკითხა სახლების დაწვის მიზეზს. ჯარის უფროსებმა უპასუხეს: ოსეთი მთიანი ადგილებია, ჯარის სხვადასხვა ნაწილებს შორის ურთიერთობა არ არ-სებობს და რომ ერთმა ნაწილმა გაიგოს სად იმყოფება მეორე ნაწილი, საჭიროა ცეცხლის გაჩენაო... აღზედ რომ გაიგონ ნაწილის ადგილსამყოფელი, ამისათვის სოფლის განაპირა ძველს და დანგრეულს, უპატრონოდ მიტოვებულ საბეჭდს ან სხვა ქოხს ვწვავთ, ისიც თითოეულ სოფელში მხოლოდ თითოს. თვითონ ოსები კი ბინის დატოვების დროს სახლებს უკიდებენ ცეცხლს.“ (სცსია. ფ. 1796. აღნ. 1. საქ. 70. ფურც. 2). ოსების სახლ-კარის მასობრივად გადაწვა ქართული ჯარის ნაწილებს მიზნად რომ ჰქონდა დასახული, ოსების ოთხზის აჯანყებების კერას - სოფელ ჯავას გადაწვავდნენ და მინასთან გაასწორებდნენ. სამხედრო ოპერაციების მაღალ დონეზე ჩატარების შედეგად, სოფელ ჯავას გადაწვა რამდენადაც ოსებმა ვერ მოასწორ, ამ სოფლის საცხოვრებელი სახლებისათვის ქართული ჯარის ნაწილებს ხელი არ უხლია. ამის უდაო დადასტურებას, გასაბჭოებული საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს რევკომისადმი 1921 წლს წარდგენილი მოხსენების დასკვნითი ნაწილი წარმოადგენს. „სოფ. ჯავაში, – ვკითხულობთ დოკუმენტში – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული უტყუარი ფაქტებით არცერთი სახლი არ არის დამწვარი ან დანგრეული.“ (სცსია. ფ. 1796. აღნ. 1. საქ. 70. ფურც. 6)

მიგვაჩინა, რომ ოსების დანაშაულებრივი ქმედების ქართული ჯარი-სადმი გადაბრალება მერქებელობა. აუცილებელია 1920 წლის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილი უსაფუძვლო ბრალდებების გადაფასება, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, მიუდგომელი პოზიციიდან განხორციელდება. სამწუხაროდ, როგორც მასალებიდან ჩანს, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის მიერ, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაცია და ოსური სეპარატიზმის გაფეტიშება, 70 წლის მანძილზე ისტორიის ფალსიფიკაციის ხარჯზე ხდებოდა.

დღეს, როცა მომხდური მტრისგან დანგრეულ და გადამწვარ სოფლებს ვუყურებთ, როცა ჩვენს თვალწინ ათასობით საკუთარი საცხოვრისიდან აყ-რილ და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეულ ათასობით ადამიანს ვხედავთ, ტკივილებთან ერთად დამარცხებით გამოწვეული შეურაცხყოფის გრძნობა არ გვტოვებს.

დასკვნა ერთია – ქართველ ხალხს დიდი ისტორია აქვს და იგი, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, დაიცავს მას. ყველამ უნდა იცოდეს, ყველამ - ზოგადად ისტორიისა და კერძოდ საქართველოს ისტორიის გაყალბება, დანაშაულია.

აშკარად ვხედავთ დიდ ბრძოლას - „ჯვაროსნულ ომს” საქართველოსა და მისი ჭეშმარიტი ისტორიის წინააღმდეგ. ჩვენი ვალია, პირველ რიგში პროფესიონალი ისტორიკოსებისა და საერთოდ საზოგადოების, წინ აღვუდგეთ ამგვარ ბოროტებას – საქართველოს ისტორიის გაყალბებას. საქართველოს დიდი ისტორია აქვს. ამისი არდანახვა შეუძლებელია, დანაშაულია.

### R. METREVELI, SH. VADATCHKORIA

### "CRUSADE" AGAINST THE HISTORY OF GEORGIA

#### Summary

The present paper is an attempt to respond to the facts of falsification of the history of Georgia, which are found in the publications of various authors (mostly Abkhazians and Ossetians) and in the Resolutions of some state bodies (e.g. Russian State Duma).

The paper gives an answer to the incredible falsity about the genocide of the Ossetian population by the Georgians provided to the society by the government of the so-called South Ossetia. On the contrary, a lot of material is obtained about the Ossetian aggression against the Georgian population in the 1920s, the criminal actions of a certain group of Ossetians against the Georgians.

Recognition of independence of the native Georgian territories and the states of the so-called South Ossetia (Shida Kartli, Samachablo) and Abkhazia by the Russian State Duma has been condemned by almost all the world organizations (EU, United Nations, NATO, etc.) and almost all the countries of the world. Occupation of much of the Georgia's territory by Russia grossly violated fundamental principles of international law - human rights were violated, the innocent population were massacred.

The paper points out that the question of Georgia's borders is thoroughly studied and it is unequivocally proved that the territories occupied by Abkhazians and Ossetians are Georgian. Even the scientists of Abkhazia and the so-called South Ossetia (including Dimitri Gulia, the founder of Abkhazian literature and historiography, and Vasil Abayev, the patriarch of Ossetian science) wrote about it.

The material provided in the paper proves that Abkhazians and Ossetians had all the conditions for development of the national culture and economy within Georgia. It is confirmed by abundant concrete facts that it was the violence of Ossetians in 1920s that was followed by the massacre of Georgians. It is shown who falsified the truth, on the basis of which the Ossetian myth about the "Ossetian genocide" was created.

The "Crusade" against Georgia and its true history is obvious. Professional his-

torians and society in general must be against such evil, against such falsification of Georgian history. Georgia has a long history and it is impossible not to admit it - it would be a crime not to admit it.

**Р.В. МЕТРЕВЕЛИ, Ш.И. ВАДАЧКОРИА**

## **«КРЕСТОВЫЙ ПОХОД» ПРОТИВ ИСТОРИИ ГРУЗИИ**

Резюме

В предлагаемой статье предпринята попытка ответить на факты фальсификации истории Грузии, которые встречаются в публикациях разных авторов (в основном абхазов и осетин) и решениях государственных органов (к примеру, Госдумы России) некоторых государств (например, России).

Дан ответ на невообразимую фальсификацию, предложенную властью т.н. Южной Осетии обществу - о проведенном грузинами геноциде осетинского населения. Показано, что наоборот, существует множество материала об осетинской агрессии в отношении грузинского населения в 20-х годах прошлого века, о преступных действиях части осетин против грузин.

Признание Госдумой России независимости исконно грузинских земель и государств - т.н. Южной Осетии (Шида Картли, Самачабло) и Абхазии осудили практически все международные организации (Евросоюз, Организация Объединенных Наций, НАТО и др.) и государства в мире. Оккупация Россией значительной части грузинской земли грубо нарушила основополагающие принципы международного права - были ущемлены права человека, погибли мирные жители.

В статье указывается, что вопрос границ Грузии основательно изучен и неопровергимо доказана грузинская принадлежность тех территорий, которые занимают абхазы и осетины. Это в свое время отмечали также ученые Абхазии и т.н. Южной Осетии (в том числе основоположник абхазской литературы и историографии Дмитрий Гулиа и патриарх осетинской науки Василий Абаев).

В статье приводится материал, подтверждающий, что абхазам и осетинам в составе Грузии были созданы все условия для развития национальной культуры и экономики. Множество конкретных фактов доказывают, что в 20-х годах XX века имело место именно насилие осетин, повлекшее за собой убийства грузин. Показано, кто на самом деле фальсифицировал действительность, на основании чего был создан осетинский миф - «о геноциде осетин».

Налицо «крестовый поход» против Грузии и ее истинной истории. Профессиональные историки и общественность в целом должны противостоять этому злу - фальсификации истории Грузии. У Грузии великая история и не увидеть ее невозможно, это преступление.

## კონსტანტინე ლერნერი

### საერთო-ქართველური ერთიანობის დაშლა ასურულ ცარცორათა შუქზე

|

ძველი წელთაღრიცხვის XII-IX საუკუნეების ასურეთის მეფეთა სალაშქრო წარწერებიდან პროტო-ქართველურ ტომთა განსახლების საკმაოდ ნიშან-დობლივი სურათი ისახება (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. [1]). კერძოდ, ასურეთის მეფის ტიგლატ-პილასერ I-ის (1115-1079) ცნობით, მისი ზეობის პირველ წელს „20 000 მუშკუ მათი 5 მეფითურთ მთებიდან ჩამოვიდნენ და კადმუხუს ქვეყანა დაიკავეს. მე ვეომე მათ <...>, ცოცხლად დარჩენილი ექვსი ათასი მუშკუ ჩემი ქვეყნის მაცხოვრებლებად ვაქციე“ [2, No. 92]. ამ წარწერის მიხედვით, მუშკები, ანუ მესხები [3: 410; 4: 436; 5: 11] კადმუხუს მეზობლად მდინარე ტიგროსის ჩრდილო // ჩრდილო-აღმოსავლეთით განლაგებულ ვრცელ მთიან პროვინციაში ბინადრობენ. მომდევნო თითქმის ასი წლის განმავლობაში ეს სატომო გაერთიანება (შდრ. „მათი 5 მეფე“) ასურეთის დიდი მეფის მუდმივ მტრად იქცევა... ამავე ტომს მოგვიანებით (ძვ. წ. აღ. IX საუკუნემდე) ასურეთის სხვა მეფებიც ებრძვიან: „მე მაღალი მთები გავიარე და მუშკუს ქვეყანას მივუახლოვდი (ტიკულთი-ნინურთა II, ძვ. წ. აღ. IX) [2, No.476]; ან კიდევ: „ მე ტიგროსის მდინარეზე გადავედი, კადმუხუსა და მუშკუს ქვეყანას მივადექი“ (აშურ-ნასრიპალი II, IX ს. შუა წლები) [2, No.549]... მე-9 საუკუნის შემდეგ მუშკუს ტომი ასურულ წარწერებში აღარ იხსენიება. მაგრამ, როგორც ვნახეთ, უფრო ადრინდელ პერიოდში მუშკები ახლო აღმოსავლეთის საკმაოდ მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ: მათ შეეძლოთ 20-ათასიანი ლაშქრის გამოყვანა, ისინი ასურეთის იმპერიას ებრძვიან და მის საზღვრებშიც იჭრებიან... უდავოდ, მუშკები სერიოზული მოწინააღმდეგება და მათზე გამარჯვებას სხვა მეფებიც აღნიშნავენ [6: 23].

მუშკების მეზობლად კიდევ ერთი პროტო-ქართველური ტომი ბინადრობს - დაიენუ. გ. მელიქშვილის დაკვირვებით, იგივე ტომი ურარტულ წარწერებში დიაუხი ფორმით გვხვდება და ის ტაოხებს უკავშირდება [4: 158]. დაიენუ // ტაოხი ტომის ტერიტორია უფრო ზუსტადაც შეიძლება განისაზღვროს - ვანისა და ურმის ტბებს შორის. ასურეთის ერთ-ერთი მეფის ცნობით, „ მე დავიძყარი ნაირი და დაიენუ ქვეყნები და ზემო ზღვას მიგადეები“ [2, No. 21]. „ზემო ზღვა“ ამ შემთხვევაში ვანის ტბას უნდა გულისხმობდეს, ნაირი კი ურარტუს მიგვანიშნებს და ამდენად დაიენუს ადგილმდებარეობაც გასაგები ხდება.

ამ ორი ტომის დასავლეთით, შავი ზღვის მიმართულებით ამ დროს ცხოვრობენ კოლხები, ანუ ასურული წარწერების კილხა //კულხა [1: 32-35], [6: 21-29], ე. ი. ლურსმულ წარწერათა მიხედვით, პროტო-ქართველურ ტომთა ეთნიკური ტერიტორია ძვ. წ. აღ. XII- IX საუკუნეებში ტიგროსის ზემო წელიდან ჭანეთის მთებამდე და შავ ზღვამდეა გადაჭიმული. მთელი ეს ვრცელი მხარე მსხვილი პროტო-ქართველური ეთნო-დიალექტური ერთეულებითაა დასახლებული, რომელთა სახელწოდება - ხი სუფიქსს შეიცავს. მაშინ, როდესაც მომდევნო ისტორიულ პერიოდში, აქემენიდთა იმპერიის შემადგენლობაში უკვე სხვა (უფრო მცირე?) ქართველური ტომები ივარაუდება - მაკრონები, მოსინიკები და სხვ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში მესხები (და ტაოხებიც?) ჯერ კიდევ იმავე რეგიონში (ან მის მახლობლად) ბინადრობენ, სადაც პროტო-ქართველური ეთნო-დიალექტური ერთიანობის დიფერენციაციის სავარაუდო პროცესი უნდა დაწყებულიყო [7: 859-894]. არსებითად ეს ის ქვეყანაა, რომელსაც „მოქცევაი ქართლისას“ (ქვემოთ: მქ) ქრონიკა აზო მეფის სამშობლოდ მიიჩნევს და არიან ქართლ-ს უნიდებს მას. ს. ჯანაშია ამ ქვეყანას ხურიტულ ეთნო-კულტურულ სამყაროს უკავშირებს: „Упоминаемая в хронике МК страна Ариан-Картли как прародина грузин представляет собой воспоминание о стране хурритов - Хури, где в древнейшие времена жили картвельцы. Возможно, здесь имеется в виду страна Матиена, или Урарту, или окрестности озера Ван, поскольку страна Хури включала в себя и то, и другое“ [8: 70].

როგორც ვხედავთ, ასურულ მეფეთა წარწერები ფაქტიურად მხარს უჭერენ ქართული მატიანეს ცნობას: ტაოხები არიან-ქართლში ნაირის (ურარტუს) მეზობლად ბინადრობენ. ქართული წარმართული პანთეონის ერთერთი ღვთაება კი სწორედ ხურიტული წარმომავლობისაა (იხ. ქვემოთ).

მეორე მხრით, ჩვენთვის საინტერესო წარწერები გარკვეულნილად ამართლებენ ლინგვისტური დაკვირვების გზით მიღებულ ქართველურ დიალექტთა დიფერენციაციის ზოგად სქემას, რომლის თანახმად საერთო მდგომარეობას ჯერ მომავალი სვანური ჯგუფები გამოეთიშნენ, მოგვიანებით კი კოლხურ-ქართული ერთიანობაც დაიშალა [9: 16]. მაგრამ, ამავე დროს, ძვ. წ. აღ. XII საუკუნის მდგომარეობა აშკარად ეწინააღმდეგება ქართველურ ენათა დიფერენციაციის აბსოლუტური დათარიღების ცნობილ ცდებს. კერძოდ, ერთ-ერთი დათარიღების მიხედვით, სვანური ენის (უფრო სწორედ - იმ დიალექტთა ჯგუფების, რომელიც მოგვიანებით სვანურ ენად და მის დიალექტებად ჩამოყალიბდება) გამოყოფა დაახლოებით ძვ. წ. აღ. XIX ს. უნდა დაწყებულიყო, მაშინ როდესაც ქართულ-კოლხურის დაშლა ძვ. წ. აღ. VIII- VII საუკუნებით თარიღდება [10: 119]. სხვა დათარიღებით კი, „სვანურის გამოყოფა - ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით X საუკუნეზე მოდის, ქართულ-კოლხური დივერგენცია კი - ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე“ [9: 17, სქოლიო 1]. როგორც ვხედავთ, ამ თარიღებს მხოლოდ სვანური ენის სავარაუდო ისტორია ემთხვევა, ისიც - ირიბად. თუკი მისი გამოყოფა მართლაც // ათასწლეულის დასაწყისში დაიწყო, მაშინ 700 წლის შემდეგ, ტიგლათ-პილასერ I-ის დროს ახლო აღმოსავლეთში ის

სავსებით ბუნებრივად აღარა ჩანს და ასურეთის მეფეთა ყურადღების სფეროში არ შედის. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროისათვის ის უკვე დიდი ხანია მიგრაციის გზაზე წასული. მაგრამ კოლხურ-ქართული დიფერენციაცია ამ ზოგადი პროცესის „უფრო გრძელ დათარიღებას“ მიგვანიშნებს.

მართლაც, ასურული წყაროს მიხედვით, მეთორმეტე საუკუნისათვის ერთმანეთისაგან გამოყოფილად ჩანან არა მხოლოდ კოლხური და ქართული, არამედ დიფერენციაცია შიგ ქართულშივე არის გატარებული. ქართული მთლიანობა თავისი წანილებითაა წარმოადგენილი - ტაოხები და მესხები უკვე ცალ-ცალკე იხსენებიან. ამ დროს უკვე არა მხოლოდ კოლხები, არამედ ტაოხები და მესხები დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენენ, ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს ასურეთის იმპერიას ებრძვიან და ზოგჯერ ერთმანეთსაც ესხმიან თავს... ამდენად, მათი ერთიანობის დაშლა გაცილებით უფრო ადრე დაწყებულად უნდა მივიჩნიოთ. საკმაოდ გვაქვს საფუძველი დავუშვათ, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოს მესხებისა და ტაოხების გვერდით სხვა ქართველური ტომებიც - ჯავახი, კახი, კუხი - არსებობდნენ. ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნეში მესხების დასავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ მოძრაობა კი ქართული და, საერთოდ, ქართველური ტომების მიგრაციის ბოლო ტალღას წარმოადგენს. ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მესხური მატერიალური კულტურის კვალი სხვა ქართულ ეთნოდიალექტურ კუთხეებშიც შეიმჩნევა. არქეოლოგიური გათხრების თანახმად, „ძ. წ. აღ. VII-VI სს-ში. თუშეთის ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო მცირეაზიური ქართველური ტომის – მოსხების შემოსვლა და დაკრძალვის კრემაციული ნესის შემოტანა“ [11:45].<sup>1</sup>

აქ „ლირიკული წიაღსვლის“ სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ დონეზე წებისმიერი მყაცრი ლინგვისტური ანალიზი ვერ სწვდება ქართველურ ენათა და დიალექტთა რეალურ ისტორიულ სილრმეს. კერძოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძ. წ. აღ. მე-12 საუკუნეში მაინც იმ დროს დადასტურებულ პროტო-ქართველურ გაერთიანებათა შორის ენობრივი სხვაობა მათ შორისვე ადმინისტრაციულ-სოციალურ-პოლიტიკურ სხვაობაზე გაცილებით მცირე იყო. ენობრივად ისინი ჯერ კიდევ ძლიერ მსგავსებას ინარჩუნებენ (რაც ლინგვისტურ შედარებაშიც დღემდე იგრძნობა), მაშინ როდესაც საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ დონეზე იმყოფებიან და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენენ.<sup>2</sup>

1 აქვე ავტორი შენიშნავს, რომ ამგვარი ფაქტების ფონზე ქ. მცხეთა-ს როგორც „მესხთა ქალაქის“ გავრცელებული ახსნა „არა დამაჯერებლად გამოიყურება“-ო. სავსებით სწორი დაკვირვებაა, მით უმეტეს, რომ დიდი ხანია, რაც ტოპონიმ „მცხეთა“-ს სულ სხვა ეტიმოლოგია არსებობს [12: 238-248], [13: 97- 106], [14: 87-91], [15: 28-38].

2 როგორც ჩანს, ეს პასიონალურად განვითარებადი ეთნოსის ექსპანსიისათვის ისტორიულად დამახასიათებელი თვისებაა. ანალოგიისათვის შეიძლება გავიხსენოთ თანამედროვე ინგლისურნოვანი სამყარო. ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში (ყო-

როგორც ზემოთაც აღნიშნე, ისტორიული წყაროები და იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის მეზობელი ქვეყნების ისტორია ქართველურ ტომთა და ენათა უფრო ხანგრძლივ ისტორიას მიგვანიშნებს. თ. გამყრელიძის სამართლიანი ვარაუდით: „Общекартвельский язык следует датировать периодом IV-III тысячелетий до н. э. Первая волна картвельских миграций, направленная к западу и северо-западу, в сторону Колхидской низменности, в III тысячелетии до н. э.... положила начало образования сванского языка...“ [ 7: 880-881]. და იქვე: “Процесс распада общекартвельского языка-основы ... может быть отнесен к III тысячелетию до н. э.“, რაც სავსებით შეესაბამება პროტო-ქართულის მეზობელი ინდოევროპულისა და პროტოსემიტურის დაშლას ძვ. წ. აღ. მეოთხე ათასწლეულში [ 7: 909].

## II

ყოველივე ზემოთქმული კი პროტო-ქართველურ ეთნო-დიალექტურ საზოგადოებას ახლო აღმოსავლეთის უძველესი შუმერულ-აქადურ-ხურიტული ცივილიზაციის თანამედროვედ და, აღბათ, თანამონაწილედაც გვისახავს. ამიტომ სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ქართველური ერთიანობის ერთერთი წევრი - მესხთა სატომო გაერთიანება (აღბათ იმიტომ, რომ ის სხვებზე უფრო დიდ ხანს შერჩა პროტო-სამშობლოს) - ძველი აღთქმის წიგნებშია დაფიქსირებული (დაწვრილებით იხ. [16]). კერძოდ, ივრიტში 120-ე ფსალმუნის მე-5 სტროფში ის ხურიტული მ ე შ ე ხ-ის ფორმითაა წარმოდგენილი: Oi li, ki-garti Meshech, shakhanti im ohel Kedar, რაც სიტყვა-სიტყვით შემდეგს ნიშნავს: „ვაი მე, რამეთუ ცხოვრობდი მეშეხთან, ვიმყოფებოდი კარავთა კედარისათა“, შდრ. ინგლ. თარგმანი: „Woi is me, that I sojourn in Meshech, that I dwelt in the tents of Kedar“ (Ps. 120,5). მეშეხისა და კედარის მნიშვნელობა ბიბლიისტიკაში დღემდე უცნობი რჩება, თუმცა ძველი ქართული თარგმანი, რომელიც ამ შემთხვევაში, აღბათ, ძველ ბერძნულს (სეპტაგინტა-ს) მიჰყვება, მ ე შ ე ხ-ის ნაცვლად სავსებით სამართლიანად შინაარსიან თუ შინაარსობრივ თარგმანს გვანვდის და მ ნ ი რ ო ბ ა-ს გვთავაზობს: „ვაი მე, რამეთუ გამიგრძდა მე მნირობაი ჩემი, დავემკვიდრე მე საყოფელთა თანა კედარისათა“ (დავითი 119,5).

საქმე ისაა, რომ ძველი აღთქმის ენაში ამ ეთნიკურმა სახელმა დიდი ხანია დაკარგა თავისი ამოსავალი მნიშვნელობა და ანდაზად იქცა. ფსალმუნთა შექმნის დროისათვის მან გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და „მეშეხთან ცხოვრება“ დაახლოებით „ჯანდაბაში ყოფნას“ ნიშნავდა. „სეპტაგინტას“ ეპრაელმა მთარგმნელმა, რა თქმა უნდა, იცოდა ამ ანდაზის მნიშვნელობა და შესაბამისი ბერძნული სიტყვა იხმარა. ქართველმა მთარგმნელმა ეს ბერძნული

---

ფილი დიდი ბრიტანეთის იმპერიის ნაწილებში) არსებითად ერთი და იგივე ინგლისური ენა იხმარება. ზოგი სპეციფიკური მოვლენა ურთიერთგაგებას სულაც არ უშლის ხელს. პოლიტიკურად კი ეს ქვეყნები სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ.

სიტყვა სწორად გაიგო (ან იქნებ თვითონაც ესმოდა ამოსავალი, ივრიტული ტექსტი?) და ფსალმუნის ეს ნაწყვეტი „მწირობად“ თარგმნა, რაც ზუსტად ასახავს დევნილი დავით მეფის განცდებს.

მეორე მხრივ, „დაბადებ“-ის მე-10 თავში მოცემულია იმ დროს ძველ ისრაელში ცნობილი ეთნოსების პარადიგმა: წარლვნის შემდეგდრობინდელი კაცობრიობა ნოეს სამი შვილის შთამომავლად არის დაყოფილი, და მესხები - ამჯერად ეთნონიმის ბერძნულ ფორმაში - მ ო ს ო ხ-ით არის ნახსენები. მოსოხი ნოეს უმცროსი შვილის - იაფეტის შვილებს შორის არის წარმოდგენილი.<sup>3</sup> ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ იაფეტის შთამომავალთა შორის დასახელებულთაგან დღესდღეობით ვერც ერთი ეთნონიმის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, მესხები კი დღესაც რეალურ ეთნონიმის ჯგუფს წარმოადგენენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ივრიტის თანამედროვე ლექსიკონებში უცნობად მიჩნეული ივრიტული kedar-ის მნიშვნელობა „ნინოს ცხოვრებ“-იდან ირკვევა, სადაც ეს ნასესხობა აშკარად „ჩრდილო“-ს ნიშნავს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ძველი აღთქმა ეხმაურება ასურულ მეფეთა ცნობებს და ახლო აღმოსავლეთის ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის რეალურ სიტუაციას ასახავს.

ლურსმულ წარწერებში და ძველი აღთქმის წიგნებში მუშკუ // მეშეხი // მოსოხის ხსენება, ასე ვთქვათ, ახლო აღმოსავლურ ცივილიზაციაში „ქართველურ კვალად“ შეიძლება მივიჩნიოთ. პირიქით კი, – მესოპოტამიური ცივილიზაციის ნიშნები ქართულში - მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია.

### III

ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან ხანგრძლივი უშუალო კონტაქტების ამსახველ სემიტურ-შუმერულ ლექსიკურ ნასესხობათა შორის პირველ რიგში თვით სახელმწიფოს სახელწოდება უნდა განვიხილოთ.

**ქ ა რ თ ლ ი.** მატიანის ცნობით, „ქართლოს მოვიდა ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი...და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას... ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი, ერქუა მთასა ქართლი. და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლ-სა ქართლი“ [17: 8]. მაშასადამე, ქ ა რ თ ლ ი თავდაპირველად გამაგრებულ დასახლებას, ანუ „ქალაქ“-ს ნიშნავდა. ქვეყნის სახელად ის მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ იქცა. ამოსავალი, ქალაქის მნიშვნელობით კი ქ ა რ თ ლ ი სემანტიკურად და ფორმობრივად სემიტურ k.r.t. ფუძეს ემთხვევა. ივრიტსა და არამეულში ეს მდედრობითი სქესის მიმღებური ფუძე სწორედ გამაგრებულ დასახლებას, ქალაქს აღნიშნავს. ამასთან, ივრიტში ის -e- გახმოვანებითა წარმოდგენილი - k e r e t, მაშინ როდესაც არამეულსა და ისრაელის არამეულში (იმ ენაში, რომელსაც ებრაელები ხმარობდნენ) ის -a-

<sup>3</sup> გავიხსენოთ, რომ ნ. მარის კლასიფიკაციის თანახმად, ქართველური ენები იაფეტურ ენათა ოჯახს ეკუთვნის.

გახმოვანებას გვიჩვენებს - k a r t a. ორივე ენაში ეს ფუძე „ქალაქს“ ნიშნავს, შდრ., ივრიტული k e r e t „დიდი ქალაქი“ და არამეულ-ებრაული k a r t a , კერძოდ, იერუსალიმის გალავნით შემოვლებული ძველი ქალაქი - Karta (შდრ. თანამედროვე პოლიტიკური პარტიის სახელმოდება - Naturej Karta „ქალაქის გალავნის დამცველინი“). ან, აგრეთვე, ქალაქ ქართაგენეს ძველი არამეული სახელი Kartxadata, და ივრიტული Kartxadasha, რაც სიტყვა-სიტყვით „ახალ ქალაქს“ ნიშნავს (დაწვ. იხ. [1: 35-36]).<sup>4</sup> ქართველურ დიალექტთა დივერგენციის თვალსაზრისით ნიშანდობლივია ამავე ფუძის არსებობა მეგრულში. ერთი მხრით, ი. ყიფშიძის შენიშვნით, მეგრულში გვაქვს აშკარად ქართული-დან ნასესხები ფუძე ქართული დან ნასესხები ფუძე ქართული და ფაქტიურად თბილი ს გულისხმობს [18: 345]. იგივე ფუძე იმავე მნიშვნელობით ცნობილია აფხაზურშიც - Kart – „თბილისი“. ეს ორივე საკმაოდ ძველი ნასესხობა უნდა იყოს, რადგანაც „ქართლის ცხოვრებაში“ დამოწმებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს – ქალაქს ნიშნავს და არა ქვეყანას.

მაგრამ მეგრულშივე ამ ფუძის სხვა, სილრმისეული სემანტიკაც არის წარმოდგენილი, რომელიც ქართულში ან სულ არ იყო ასახული, ან არ შემოგვრჩა. კერძოდ, გვაქვს ქართული, რომელიც არამეულ ფუძეს იმეორებს (karta და არა ქართულ დერივაციულ მოდელებში ჩართული ქართული დან ნასესხები) და, ი. ყიფშიძის განმარტებით, „საქონლის სადგომს“ აღნიშნავს - „Летний хлев (простое загороженное место, открытое сверху)“. იმავე ფუძიდან ჩანს ნანარმები ორთულ „Место, пригодное для хлева“ [18: 342]. მეგრულის ზოგიერთ თქმაში იმავე ფუძით საქართულო აღნიშნება, რაც ისევ უბრალოდ შემოღობილ ადგილს გულისხმობს. სწორედ ასეთი არქაული მნიშვნელობა ივარაუდება ძველი სემიტური k. r. t. ფუძისათვის. და თუ ქართული ნასესხობაა, ქართული სემიტური „ქალაქის“ მნიშვნელობით მეგრულში ქართული ნასესხობაა, ქართული სემიტური „ნასესხობას ადრინდელი, კოლხურ დერივაციულ მოდელში შესული ნასესხობა უნდა იყოს. კოლხურმა დიალექტმა ეს ფუძე ქართულისაგან (მესხური ან ტაოხურისაგან...) დამოუკიდებელად აითვისა და წყარო-ენის არქაული სემანტიკაც შეინახა.«

ამ ნასესხობას ქართველურში კიდევ უფრო ადრინდელი ისტორია

4 გ. მელიქიშვილის აზრით, გამაგრებული დასახლების, ქალაქის მატერიალური კულტურა „ხეთურ-მცირეაზიული ტრადიციის მატარებელი მესხების მოტანილ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ“ [19: 429]. „ქართლის“ აღმართებას კი ძვ. წ. აღ. VIII-VII საუკუნეებით ათარილებენ. ამავე დროს, ივარაუდება მესხების შემოჭრა თუშეთში (იხ. ზემოთ [11: 44-46]). დაახლოებით იმავე, ძვ. წ. აღ. პირველი ათასწლეულის შუა საუკუნეებში, ივარაუდება ადრეურპანული ცივილიზაციის არსებობა ივრის ხეობაში, ისტორიულ ჰერეთში [20: 99]. ჩემი აზრით, ყველა ეს ფაქტი ქართველურ ტომთა მიგრაციის მესხურ ტალღას შეიძლება დაგუვავეშიროთ. ეს კი იმის კიდევ ერთი მოწმობაა, რომ ძვ. წ. აღ. პირველ ათასწლეულში ქართულ ეთნო-დიალექტურ ერთეულთა დივერგენცია უკვე დიდი ხნის წინ მომხდარ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

აქვს. ჩვენთვის საინტერესო სემიტურ ფუძეს ძირად kir კომპლექსი მოუდის. დღევანდელ ივრიტში ამ ძირით აღინიშნება „ტიხარი, ოთახის კედელი“ - kir (მრავლობითში - kirot; xomot-ისაგან განსხვავებით, რომელიც „ქალაქის გალავანს“, ე.ი. ქვით ნაშენ კედელს გულისხმობს); ივრიტში გვაქვს აგრეთვე even-kir, რაც სიტყვა-სიტყვით „კირ-ქვას“ ნიშნავს; შდრ. ივრიტ. kiria „დასახლება“ და თანამედროვე პატარა ქალაქების სახელწოდება - Kiriat-Ono, Kiria-t-Arba... ისტორიულად ეს ძირი შუმერული gir//kir ძირისაგან მომდინარეობს, რომელიც ისევ „კირ“-ს ნიშნავს [21]. ქართული კი რი უდავოდ ამ ძირისაგან მომდინარეობს, თუმცა, ალბათ, არა უშუალოდ შუმერულიდან, არამედ აქადურის გზით. ეს სემიტური ძირი k.i.r. და მისგან ნანარმოები ფუძე k.r.t. სხვადასხვა დროს და ქართველური დიალექტების სხვადასხვა ჯგუფის მიერ უნდა ყოფილიყო ათვისებული, მაგრამ წყაროების ფონემის წარმოების ადგილის შენარჩუნებით - სემიტური ძირისეული k- ფონემა (სემიტური kuf-ი) ხან ფშვინვიერი ქ-თი არის გადმოღებული (ქართლი), ხან კი მკვეთრი კ-თი არის წარმოდგენილი (კირი). ეს ფაქტი კი კონტაქტის სიძველეს გვაფიქრებინებს და იმის მაჩვენებელიც არის, რომ ამ დროს უკვე სხვადასხვა ქართველური ეთნო-დიალექტური ჯგუფები ისტორიულ რეალობას წარმოადგენდნენ.

\* \* \*

პროტო-ქართველურ ტომთა ახლო აღმოსავლეთის ძველ ცივილიზაციებთან კონტაქტის შეფარდებითი დათარიღების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ერთ-ერთი უძველესი ლექსიკური ნასესხობა - ნახირი, რომელიც აშკარად აქადურ-შუმერულ n a x i r u-ს უკავშირდება (დაწვ. იხ. [22]).

**ნახირი.** ასურულ ლურსმულ წარწერებში სულ ცოტა ძვ. წ. აღ. XII საუკუნიდან გვხდება უცნობი ზღვის ცხოველის სახელი - n a x i r u, რომელზეც ასურეთის მეფეები ნადირობენ. კერძოდ, ტიგლატ-პილასერ I-ის ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ:

“მე ვილაშქრე ლებანონის მთებში <...> მე მოვკალი ზღვაში n a x i r u, რომელსაც ზღვის ცხენს ეძახიან“ [2, No. 82]. ან კიდევ: „ამურრუ ქვეყნის დიდ ზღვაში მე მოვკალი შუბით n a x i r u <...> მე დავამზადე n a x i r u -ს ბაზალტის ორი ქანდაკება და დავაყენე ჩემი სამეფო შესასვლელის მარჯვნივ და მარცხნივ“ [2, No. 103]. იგივე ცხოველი გვხვდება ასურეთის სხვა მეფეების წარწერებში: „მე შევქმენი n a x i r u-ს ორი ქანდაკება და დავდგი მათ კარებთან“ [2, No. 250]; “მე ვილაშქრე ლებანონის მთებში და დიდ ზღვამდე მივიწიე <...> მე მივიღე ორი n a x i r u, რომელნიც ზღვის ცხოველები არიან“ [2, No. 597].

ე. ი. აქ უდავოდ იგულისხმება რაღაც ზღვის ცხოველი, რომელზეც ასურეთის მეფეები ხმელთაშუა ზღვაში (ლებანონში) ნადირობენ, ან ხარკად იღებდნენ მას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ცხოველი სახარბიელო ნადავლად ითვლებოდა, რადგანაც მეფეები საგანგებოდ აღნიშნავნ ამ naxiru-ს მოპ-

ოვების ფაქტს და მის ქანდაკებას სასახლეშიც კი დგამენ... მაგრამ შემონახულ და გათხრილ ასურულ ბარელიეფებში ამ ცხოველის გამოსახულებების იდენტიფიკაცია დღემდე ვერ ხერხდება. უფრო მეტიც, ამ სიტყვის მნიშვნელობაც აქადურ ლექსიკოგრაფიაში უცნობი რჩება. კერძოდ, ჩიკაგოს უნივერსიტეტში შედგენილი აქადური ენის ლექსიკონი ამ ცხოველს ხან ‘წვრილ თევზად’, ხან კი ‘გველეშაპად’ გვისახავს, რაც აბსოლუტურად შეუძლებელია. ძნელად წარმოსადგენია, რომ ასურეთის რომელიმე მეცე ხმელთაშუა ზღვაში გველეშაპზე ნადირობდეს, ისიც – შუბით. ასევე წარმოუდგენელია, რომ რაღაც წვრილი თევზის ქანდაკება დაემზადებინათ და სასახლის შესასვლელთან დაეყენებინათ... აქ უდავოდ იგულისხმება ზღვის ცხოველი, რომელიც ზღვისპირა წყლებში ბინადრობს. ძველი ბერძნული მითოლოგიისა და ქართული „ნახირ“-ის („მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგი“) გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება ის ცხოველი, რომელსაც „ზღვის ძროხას“ უწოდებენ, და რომელიც ევროპულ ბიოლოგიურ ნომენკლატურაში ცნობილია ორგორც montee ან dugong და რომელიც დაახლოებით 170 კილოს იწონის... (იხ. [22: 102]; [23]).

ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის ბოლოდან მაინც ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით იხმარებოდა, რაც ჩვენ მიერ განხილულ წარწერებშიც აისახა. ამ ფუძის ძირითადი მნიშვნელობა კი ჩვეულებრივ ძროხას, ან საერთოდ მსხვილ საქონელს გულისხმობდა. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ შუმერულ და აქადურ მითოლოგიაში ცნობილია პირუტყვის ღვთაება, რომელსაც la-xar-u<sup>5</sup> ერქვა: „უმაღლესს ღმერთს, ენლილს, ორი უმცროსი ღვთაება შეუქმნია – პირუტყვის ღვთაება la-xar-u და მარცვლეულის ღვთაება ashan, რათა ღმერთებს სანოვაგე და სამოსელი ჰქონდათ“ [24: 21-22]<sup>6</sup>.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ძვ. წ. აღ. XII-XI საუკუნეების წარწერებში ეს ლექსიკური ერთეული უკვე გადატანითი მნიშვნელობითაა დაფიქსირებული, უნდა ვალიაროთ, რომ ნასესხობა ქართულში აქადურ-შუმერული ფუძის ადრინდელ, ამოსავალ სემანტიკას ინარჩუნებს, და, ამდენად, ახლო აღმოსავ-

5 აქედანვე შეიძლება მომდინარეობდეს ქართული ხ ა რ ი-ც. ასურულ წარწერებში დამოწმებული სათანადო ლურსმული ნიშნის ფონეტიკური რაობა უცნობია და საქონლის ღმერთის la-xar-u-ს სახელი თუ როგორ წარმოითქმოდა, პრინციპში დაუზუსტებელია. ამ ღმერთის სახელში სწორედ ის ფონემა უნდა ვივარაუდოთ, რომელიც ძველ ქართულში „ხარ“-ით არის ასახული. პროტოსემიტური ფონეტიკური სისტემა კი ფაქტიურად თანამედროვე ივრიტშია შემონახული (ისიც - ნაწილობრივად). და ივრიტული כ 'haf//kaf] არქიფონემა ფონეტიკურად ქართული „ხარ“-ის ეკვივალენტი ჩანს, რაც ძველ ქართულ „ხარ“-შიც აირეკლა. ანალოგიური პროცესი სხვა ნასესხობაშიც იჩენს თავს, შდრ. ქართ. ო ხ ე რ ი და ივრიტული ურ okher „უბედურების მომტანი“, ან „ებრაელი, რომელიც ისრაელს ემტერება“ [22], რომელიც სწორედ haf // kaf გრაფემით იწერება.

6 ასურეთის სახელმწიფოში ამ ღვთაების სახელის მატარებელი ქალაქიც არსებობდა [25: 300].

ლეთის ცივილიზაციასთან კონტაქტი უფრო ადრინდელ პერიოდს უნდა მი-ვაკუთნოთ.

ამგვარი კონტაქტების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ჩანს ის გარემოება, რომ ამავე ასურულ-შუმერული ფუძის დერივატები მთის იბერიულ-კავკასიუსის ენებშიც არის ცნობილი. კერძოდ, რუთულურში გვაქვს naxir „მსხვილფეხა საქონლის ჯოგი“ და naxtshir „კრაზანა, საქონლის მებენარი ფრთოსანი“; ხუნძურში არის - naxirban „მეჯოგე, მენახირე“ და ჩაჩნურში გვაქვს naxarat „შემოსავალი“, რაც აშკარად საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან არის დაკავშირებული. ყველა ეს სიტყვა ასურულიდან დამოუკიდებელ ნას-ესხობად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც კავკასიურ ენათა დერივაციულ მოდ-ელებშია ჩართული. ყველა ამ შემთხვევაში წყარო-ენის არქაული სემანტიკა იგრძნობა და ყველა ეს ლექსიკური ერთეული ჩვეულებრივ ძროხასთან ჩანს დაკავშირებული.<sup>7</sup>

\* \* \*

ქართული წარმართული პანთეონი, რომელსაც ჩვენ ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების მომენტიდან ვეცნობით, სინამდვილეში ახლო აღმოსავლეთში კარგად ცნობილი „მეფეთა პანთეონის“ სახეობას წარმოადგენს (დაწვრ. იხ. [1: 38-43]). ამგვარი პანთეონი მეფეთა პირად მფარველ ღვთაებებს შეიცავს; და კლიენტის(?)რედ.) გამეფების შემთხვევაში მისი მფარველი ღვთაება სახელმწიფოს მთავარ ღვთაებად იქცევა. სწორედ ამას გულისხმობს ქართული მატიანე, როდესაც ამა თუ იმ კერპის შემოღებას კონკრეტული მეფის სახელს უკავშირებს.

### გაც-ი.

ეს ღვთაება ახალი სახელმწიფოს – ქართლის – პირველსავე პანთეონში შედის და ფარნავაზის პირად ღვთაებას – არმაზს – უმშვენებს მხარს. მე ამ ღვთაებას არიან-ქართლს უკავშირებს: „ხოლო ესე აზო წარვიდა არიან ქართლად... და დაჯდა ძუელ მცხეთად, და თანა ჰყვანდა კერპი ღმერთად – გაცი და გაიმ“ [26: 82]. მაგრამ აზოს დამარცხების შემდეგაც ეს ღვთაება ქართლის გაქრისტიანების პერიოდშიც კი დგას არმაზის ხევის საკერპოში: „და აპა დგა კაცი ერთი სპილენძისაი (არმაზი – კ. ლ.)... და მარჯულ მისსა კერპი ოქრო-საი და სახელი მისი გაცი, და მარცხლ მისსა – კერპი ვერცხლისაი და სახელი მისი გა, რომელნი იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქუენთა არიან ქართლად“ [26: 119-120].

გაცი და გა ფაქტიურად ერთი და იგივე ღვთაებაა [1: 41], მაგრამ არ-

<sup>7</sup> მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ახლო აღმოსავლეთთან სავარაუდო უძველესი კონტაქტების თვალსაზრისით საინტერესოდ მეჩვენება ის ფაქტი, რომ, ინფორმატორის სიტყვებით, ვეინაზურ მითოლოგიაში შემორჩენილია მდინარე ტიგროსის სახელი - „დაბლობის, ან ვაკის მდინარე“ (პროფ. თამარ მაზაევასთან საუბარი თბილისში, საერთაშორისი მეორე ქართველოლოგიური კონგრესის დროს, 2018 წლის შემოდგომაზე). მდინარის ამგვარი სახელდება ბუნებრივი იქნებოდა ტიგროსის ჩრდილოეთით განლაგებული მთიანი ქვეყნის მაცხოვრებლებისათვის.

სეპითია არა ეს, ასე ვთქვათ, „საღმრთო ტავტოლოგია“, არამედ ის, რომ ეს ღვთაება არა კონკრეტულ პიროვნებას, არა რომელიმე მეფეს, არამედ მთლიანად ხალხს უკავშირდება. ის „მამათა თქვენთა“ ღმერთია პროტო-სამშობლოდან და ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს პანთეონში მეფის, ფარნავაზის, პირად მფარველ ღვთაებასთან ერთად ხალხის, ერის მონაწილეობას უსვამს ხაზს და ამდენად მეფისა და ერის ერთობას განასახიერებს. ქართული მატიანის მთელ ამ თხრობაში საოცარია ის, რომ ნახსენები ღვთაება ახლო აღმოსავლური მითოლოგიის სავსებით „რეალური“ პერსონაჟია! ამ ღვთაების ტაძარი ასურეთის მეზობელ ქვეყანაში იდგა და ასურეთის ერთ-ერთმა მხედარომთავრმა ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. XVIII საუკუნეზე ადრეულ პერიოდში ილაშქრა ამ ქვეყანაში და ამ ტაძარსაც დაეუფლა. გათხრების დროს აღმოჩენილ თიხის ნატეხზე შემდეგ წარწერას ვკითხულობთ: „მე, იტიტიმ, უმაღლესმა მსაჯულმა და ინინბალას ძემ, ეს ნივთი ჩემი ნადავლიდან გაცრას საგანძურიდა...“ [2, No. 14]. როგორც ირკვევა, ეს მეზობელი ქვეყანა ხურიტების ერთ-ერთი სახელმწიფო – მიტანი ანუ მატიენა უნდა იყოს. კერძოდ, Gacura ერქვა ერთ-ერთ ხურიტულ პროვინციას, რომელიც ძვ. წ. აღ. მეორე ათასწლეულში ტიგროსის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა [27: 31].

იტიტის წარწერა და გაცის ტაძრის სავარაუდო განლაგება საოცრად ემთხვევა მეტ ჩვენებას და, ტიგლატ-პილასერ პირველის ზემოთ განხილული წარწერებიდან გამომდინარე, მესხების ისტორიულ ეთნიკურ ტერიტორიას. ახ. წ. აღ. მეოთხე საუკუნისათვის ეს ხურიტული ღვთაება უკვე არსად იქნებოდა „ცოცხალი“ (ხუ-რიტების სახელმწიფო ძვ. წ. აღ. მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული ხომ აღარ არსებობდა, თვით ხურიტები კი ძვ. წ. აღ. მეხუთე საუკუნის მერე აღარ იხსენებიან წყაროებში). ქართლში კი ის სამეფო პანთეონში გაქრისტიანებამდე განაგრძობს არსებობას.

### აინინა // დანინა

ქართულ წარმათულ პანთეონში ა ი ნ ი ნ ა საურმაგ მეფის მფარველი ღვთაებაა [1: 82]. და ეს ის აინინაა, რომელიც იტიტის ზემოხსენებულ ასურულ წარწერაში გვხვდება: „მე, იტიტიმ... ეს ნივთი... გაცის საგანძურიდან შევსწირე უმაღლესს ქალ-ღმრთს ი ნ ა ნ ა-ს“ [2, No. 14]. ინანა ცის მფლობელი ქალღმრთია, სიყვარულისა და შუღლის შუმერული ღვთაებაა, რომელსაც ასურულ ხალხურ პანთეონში ი შ ტ ა რ ი (ა ს ტ ა რ ტ ა) შეესაბამება. აქადური ცივილიზაციის ადრინდელ პერიოდში ასურეთის საზოგადოების მაღალ ფენებში ამ ქალღმრთის სწორედ ეს, შუმერული, სახელი იხმარებოდა – ი ნ ა ნ ა [1: 41-42]. და უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველურ ტომთა ყოფაში ეს ღვთაება სწორედ იმ უძველესს დროს (ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში) შემოვიდა და ქრისტიანული პერიოდის დაწყებამდე ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ქართლში.

ქართული სამეფო პანთეონის შემდეგი ღვთაება, მეტ მიხედვით, მირიან მეფის მიერ შემოღებული – დ ა ნ ი ნ ა შუმერულ //აქადურ მითოლოგიაში აინინას წყვილ ღვთაებად არის მიჩნეული [1: 42-43] და, ამდენად, ამ ორი უძველესი ღვთაების ქართულ მატიანები ერთიმეორის გვერდით მოხსენიება

სავსებით გამართლებული ჩანს. ამავე დროს, ამ სამი ღვთაების – გაცის, დანინასა და ინანას მოთავსება ქართლის სახელმწიფო პანთეონში უძველესი პროტოსამშობლოს ხსოვნისა და განსახიერების ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლერნერი კ., ქართლი-ქალაქი და მისი ღვთაებები, „მაცნე“ 1, 2017, თბილისი, 2017: 33-46.
2. ARI – Assyrian Royal Inscriptions 1 – 2, publ. Alby Kirk Grayson, Wiesbaden 1976.
3. Меликишвили Г., Наири – Урарту, Тбилиси, 1954.
4. Меликишвили Г., Урартские клинообразные надписи, Москва, 1960.
5. Fähnrich H., Meshech, Kline Shriften, Jena, 2003.
6. Лернер К., Евреи Грузии. От эллинизма до позднего феодализма, Тбилиси, 2008.
7. Гамкрелидзе Т., Иванов Вяч., Индоевропейский язык и индоевропейцы, Москва, 1984.
8. Джанашиა С., Древнейшее грузинское национальное свидетельство о прародине картвелов в свете истории Ближнего Востока, С. Джанашиа, Труды, Тбилиси, 1952.
9. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
10. Климов Г. А., О глоттохронологическом методе датировки распада праязыка, ВЯ 2, Москва, 1952: 119-121.
11. დოლაბერიძე რ., თუშეთის კრემაციული სამარხები (ძვ . ნა. VII-VI სს.) და საქართველოს ტერიტორიაზე მოსხთა განსახლების საკითხი (არქეოლოგიური მასალების მოხედვით), საერთაშორისი ქართველოლოგიური კონგრესი I. მასალები, თბილისი, 2015: 44-46.
12. Lerner C., The city of “strangers” : A new etymology of Georgia’s ancient capital – Mcxeta, in Linguistic Studies 8, ed. H. Aronson, Chicago, 1996: 238-248.
13. Lerner C., Etymology if the name of the Georgian capital – Mcxeta, in The Wellspring of Georgian Historiography. The Early Medieval Historical Chronicle : The Conversion of K’artli and The Life of St. Nino, Translated with Introduction, Commentary and Indices by Constantine B. Lerner, Bennet and Bloom, 2004, 237 p.
14. Лернер К., Мцхета – город пришельцев, см. Лернер К., Евреи Грузии, Тбилиси 2008: 87-91.
15. ლერნერი კ., გერობის // მსხემობის ბიბლიური ინსტიტუტი წინა-ქრისტიანულ ქართლში, „მაცნე“ 1, თბილისი, 2018: 29-38.
16. ლერნერი კ., ფსალმუნი 120 (119), 5 და მისი მნიშვნელობა პროტო-ქართველურ ტომთა ისტორიისათვის, საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი II, თბილისი, 2018: 65-67.
17. ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955.
18. ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა კორნელი დანელიამ, თბილისი, 1994.
19. საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბილისი, 1970.

20. ფიცხელაური კ., ჰერეთი და ჰერები, „მაცნე“ 1, თბილისი, 2018: 86-105.
21. The Complete Hebrew Dictionary by R. Alkalay, Ramat-Gan 1991.
22. ლერნერი კ., ქართული ნახირი - აქადური ნახირი, „ქართველოლოგი“ თბილისი, 2015: 100-106.
23. Webster's Encyclopedic Unabridged Dictionary of the English Language, Gramercy Books, New York, 1989.
24. Hooke S., Middle Eastern Mythology, Chicago, 2005.
25. The Inscriptions of Tiglat-piliser III, ed. By Haym Tadmor, Jerusalem, 1994.
26. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (5-10 სს.) I, ი. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963.
27. Вильхельм Г., Древний народ хурриты, перевод с немецкого И. М. Дунаевского, Москва, 1992.

### CONSTANTINE B. LERNER

## THE SPLIT OF COMMON KARTVELIAN UNITY IN THE LIGHT OF ASSYRIAN INSCRIPTIONS

### Summary

1. According to the Assyrian Royal inscriptions of the XII- IX cc.BCE, Kartvelian tribe of Meskhs (Akkad. Mushku) during this historical period inhabited in a mountain country at the upstream of the Tigris River. So ,Assyrian King Tiglat Piliser I in the XII c. writes: “ I crossed the Tigris <...> I received the tax and tribute of the land of Mushku” (ARI II, No. 547)... On the west at the neighborhood of Nairi (Urartu) lived Taokhs (Dayenu // Diaukhi): “ I conquered the extensive lands Nairi to the land Dayenu” (ibid., No. 91). The mountain chain of Chanety was the territory of Kolkhis...

Properly Georgian tribes (Meskhians and Taokhs) at this time as a matter of fact lived in the country which in Georgian chronicle of the “Conversion of Kartli” is considered as the homeland of the legendary first King of Kartli - Azo and named as A r i a n K a r t l i : “This Azo set out for Arian Kartli, to his father”. Prominent Georgian historian S. Janashia identified this country with Hurrian ethno-cultural world. Significantly from this point of view, second idol of the Kartlian Royal pagan pantheon (even in the IV c. AD) was named G a t s-i. And this last appears to be the Hurrian deity G a t s. For example, Asasyrian inscription of the XIX c., BCE reads: “ I Ititi, supreme judge <...> dedicated ( this object- C. L.) from the boty of Gats-ura to the godness Inini” (ibidi, No. 14:; cf. Akkadian godness of heaven Inana with Kartlian deity Inina). Seemingly, the temple of Gatsura had been conquered by Assirian Judge in neighbour kingdom, while the central province of the Hurrian state of Matiena in the II millennia BCE was named G a t s u r a (Wilhelm).

2. So, at the end of the II mill. Bce some Kartvelian tribes already presented separate political units and even fought against Assyria..This indicates that their divergence from common Kartvelian unity has began much more earlier and thus supports

“the long chronology” of the Kartvelian tribes and justifres the supposition of T. Gamkrelidze that the divergence of common Kartvelian ethno-dialectal unity can be dated with the III mill. BCE.

3. If so, than proto-Kartvelian tribes must be regarded contemporaries and even participates of ancient civilizations of the Middle East. On the other hand, presupposed in Georgian historiography “Meskhian expansion in Eastern Georgia may be interpreted as a last wave of migration of the proto-Kartvelian tribes in South Caucasia in the IX -VII cc. BCE.

### К. Б. ЛЕРНЕР

## РАСЩЕПЛЕНИЕ ПРОТО-КАРТВЕЛЬСКОГО ЕДИНСТВА В СВЕТЕ АССИРИЙСКИХ НАДПИСЕЙ

### Резюме

I. Походные надписи ассирийских царей 12 - 9 вв. до н.э. дают достаточно чёткое представление о расселении некоторыхproto-картвельских племён. В частности, в этот исторический период месхи (аккадск. *Mushku*) живут в горной стране в верховьях р. Тигр. Тиглат- Пилисер I сообщает, что “в первый год моего царствования ( т. е. в 1114 г. до н.э. - К. Л) 20 000 тысяч *Mushku* спустились с гор, перешли реку и вторглись в мою страну <..>” ( ARI II, No. 545); другая надпись гласит: “ Я ( Тиглат- Пилисер - К. Л.) перешел Тигр <...> и получил дань и контрибуцию в земле *Mushku*” (там же, No. 547); дальше к западу, по соседству со страной *Nairi* (*Urartu*) живут таохи ( *Dayenu* // *Diauxi* аккадских и хурритских источников) : “ Я <...> совершил поход в пространные земли *Nairi* и дошёл до земли *Dayenu*” ( там же, No.91); ещё дальше к западу горный массив современной провинции Чанети вплоть до Чёрного моря (и Тиглат-Пилисер совершает поход к Великому морю! - К. Л.) был зоной обитания колхов ( *Kulkhu* // *Kilkhu*).

II. Итак, судя по надписям, собственно грузинские племена таохов и месхов в это время живут в пространной горной области между озёрами Ван и Урмия, которую, собственно говоря, древняя грузинская хронника “Обращение Картли” считает прародиной первого легендарного картлийского царя - Азо, и называет эту страну Ариан Картли: “Этот Азо пошёл в Ариан Картли, к своему отцу”. Выдающийся грузинский историк С. Джанашия предполагал, что территориально эта страна связана с хурритским этно-культурным миром. И с этой точки зрения показательно, что второй идол древнекартлийского царского языческого пантеона (просуществовавшего вплоть до принятия христианства в IV в.) - Г а ц и - оказывается божеством именно хурритского происхождения. Так, в ассирийской надписи XIX в. до н. э. говорится: “Я, *Ititi* верховный судья даровал это из сокровищницы храма *Gatsura* богине *Inini* ( там же, No. 14; срв. шумерскую богиню *Inana*, она же аккадская *Astarta* // *Ishtar*, с другим идолом

того же картлийского пантеона -Inina). иными словами, ассирийский вельможа совершил поход в соседнюю страну и захватил храм Gatsura (Gats -?). С другой стороны, центральная провинция хурритского государства Matiena во II тысячелетии до н. э. называлась Gatsura (Wilhelm).

III. Вместе с тем рассмотренные надписи свидетельствуют, что уже в это время, по крайней мере, некоторые картвельские племена представляют собой самостоятельные политические единицы, живут независимо друг от друга и даже воюют с Ассирией. Причём, дивергенция к этому времени затронула не только общекартвельский массив, что привело к расхождению собственно грузинских и колхских этно-диалектных групп, но и прошла внутри собственно грузинской диалектной группы, что выразилось в отдельном существовании месхов и таохов. Всё это очевидно свидетельствует, что дивергенция началась ранее 12 в. до н.э. И при этом условии вполне понятно, что третяя группаproto-картвельских племен и диалектов - будущие сваны - вообще не попадают в поле зрения ассирийских царей 12 в. до н. э. К этому времени сваны, видимо, давно покинули область древнего обитания и находятся где-то далеко на путях миграции.

Всё это свидетельствует в пользу ‘долгой хронологии‘ распада proto-картвельского единства и подтверждает предположение Т. Гамкрелидзе о том, что дивергенция этого единства началась уже в III тысячелетии до н. э.

Таким образом, proto-картвельские племена предстают перед нами в качестве современников и, возможно, соучастников древнейших цивилизаций Ближнего Востока (о чём свидетельствуют и многочисленные лексические заимствования).

Вместе с тем, предполагаемую в грузинской историографии ‘экспансию месхов’ в свете наших наблюдений можно признать последней волной proto-картвельской миграции в южное и восточное Закавказье в IX в. до н.э.

## 606 ჯავალიძე

### კათოლიკური სიგნოლო XIII ს-ის ქართველ მეცნიერზე

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ წყდება „ისტორიული საფუძვლების“ ძიება იმის თაობაზე, თითქოსდა ამჟამინდელი სახელმწიფო ალამი ფეოდალური საქართველოს სეფე დროშის მემკვიდრეა და რომ „ხუთჯვრიანი“ ნიშანი არის ქართული სიმბოლო. ამ დროშის მომხრე მკვლევარნი საკუთარი აზრის დასასაბუთებლად უპირველესად მოიხმობენ XIII-XVI სს-ის პორტულანოებს, სადაც ქ. თბილისია და ქ. ცხუმის ადგილას მონიშნულია „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო. იმის წარმოჩენას, რომ პორტულანოები არ გამოდგება როგორც წყარო, რათა ვამტკიცოთ სეფე ან სხვა დანიშნულების ქართულ დროშებზე ხსენებული სიმბოლოს გამოსახვა, ჩვენ მივუძღვენით რამდენიმე გამოკვლევა. ამ ნაშრომებში ასევე ვაჩვენეთ, რომ ფეოდალური საქართველოს დროშათა აღმებზე არც ჯვარი იყო გამოსახული [14, 5-28; 15, 105-143; 13, 5-30; 16, 325-342; 17, 229-247]. თუმცა მკვლევარნი მხოლოდ პორტულანოების საფუძველზე არ ამტკიცებენ საკუთარ თვალსაზრისს „ხუთჯვრიანი“ დროშის შესახებ და საბუთად ასახელებენ სხვა საბის (მონეტები, ეკლესიათა ბარელიეფები...) ნიმუშებსაც. გვსურს განვიხილოთ ნუმიზმატ ც. ღვაბერიძის სტატია, რომელშიც მკვლევარი ცდილობს დაასაბუთოს, რომ XIII ს-ის რამდენიმე ქართულ მონეტაზე მონიშნული „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო არის კიდევ ერთი ისტორიული მასალა, საიდანაც ჩანს, რომ ხსენებული ნიშანი გამოსახული იყო დავით აღმაშენებლის სამეფო დროშის ალამზე [7, 44-58]. სტატიის გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო მკვლევარის დასკვნამ, რომ, თურმე „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს ხუთჯვრიანი ალამი ცხრაასი წლისაა“ (?!), ამ თვალსაზრისს იზიარებს ზოგიერთი სხვა მკვლევარიც, ამიტომ გადავწყვიტეთ გვეპასუხა ავტორისთვის.

ქართული დროშების შესახებ ცნობები გვხვდება არაერთ ქართულ და უცხოენოვან (აღმოსავლური, რუსული, სომხური, დასავლეთევროპული) ისტორიულ წყაროში, საიდანაც ცხადდება, თუ რა იყო გამოსახული ფეოდალური საქართველოს დროშათა აღმებზე. ამას გარდა ხელთ გვაქვს მკვლევართა (პლ. ოსელიანი, ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, პ. კარბელაშვილი, პ. უმიკაშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვ.) აღწერილობა იმ დროშებისა, რომლებიც მათ უნახავთ და ან სამწუხაროდ, დაკარგულია. და ბოლოს, შემორჩენილია არაერთი სამეფო, საბატონიშვილო, სადროოშო, სამოურავო, საერისთავო,

ეპისკოპოსთა, ეკლესიათა დროშები, რომლებიც სხვადასხვა მუზეუმსა თუ ეკლესია-მონასტრებში ინახება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში მკვლევარებმა – აკად. აპ. სილაგაძემ, პროფ. გ. ჯაფარიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა სამეცნიერო ლიტერატურაში შემოვიტანეთ რამდენიმე უცნობი წყაროს მონაცემები და, აგრეთვე, იმ საისტორიო თხზულებების ცნობები, რომლებიც დროშათმცოდნეობის კუთხით უყურადღებოდ იყო დარჩენილი, რომელთა მიხედვით ქართული დროშების ალმებზე გამოსახული იყო წმ. გიორგი [8; 9, 2-3; 10, 73-75; 11, 39-47; 12, 24-29]. ამ ვექსილოლოგიური მასალიდან ცხადდება, რომ ფეოდალურ საქართველოში დროშათა ალმებზე უპირველესად და უმეტესწილად გამოსახავდნენ წმ. გიორგის ხატს. გარდა ამისა, ალმიან დროშებზე ზოგჯერ ამოქარგული იყო სხვა წმინდანების, მთავარანგელოზების, მაცხოვრის, ღვთისმშობლის ხატებიც. მიზანშენონილად მიგვაჩნია ქრისტიანულობიური რიგის მიხედვით ჩამოვთვალოთ ის ავტორები, რომლებმაც შემოგვინახეს ქართული დროშების ალმებზე წმ. გიორგის გამოსახულების არსებობის ფაქტი:

1. ევსტათი ანტიოქიელი (IV ს)
2. ლუდოლფ ფონ ზუპემი (XIV ს)
3. ოპან ჰილდესპაიმი (XIV ს)
4. ქვემორაინელი ანონიმი (XIV ს)
5. ჟან ტენო (XV ს)
6. ოპან ფონ კოტოვიჩი (XVI ს)
7. ფილიპი კლუვერი (XVI-XVII სს)
8. ემიდიო დორტელი დ'ასკოლი (XVI-XVII სს)
9. ფ. ელჩინი (XVII ს)<sup>1</sup>
10. ფრანც ფერდინანდ ტროილოელი (XVIII ს)
11. ბერძენი ღვთისმეტყველი ევგენიოსი (XVIII ს)
12. ტიმოთე გაბაშვილი (XVIII ს)
13. ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს)
14. ამბროსი ნეკრესელი (XVIII ს)
15. თეიმურაზ ბაგრატიონი (XIX ს).

ამ ავტორთა ცნობები მრავალმხრივაა საყურადღებო. ჯერ ერთი, მემატიანეთა უმეტესობის თქმით, რომელიც თვითმხილველი არიან საკუთარი ნაამბობისა, წმ. გიორგის ხატი არსებობდა არა ერთი რომელიმე დროშის ალმზე, არამედ – დროშათა ალმებზე („დროშათა ზედა“, „ყველა დროშაზე“, „თავიანთ დროშებზე“...). ე.ი. ეს ხატი ამშვენებდა სხვადასხვა დანიშნულების

<sup>1</sup> რუსეთის დესპანების, ფ. ელჩინისა და პ. ზახარიევის აღწერიდან ჩანს, რომ იმერეთის მეფის, გიორგი III-ის (1605-1639) დროშის ერთ გვერდზე გამოსახული იყო წმ. დემეტრეს ხატი. მართლმადიდებელი ეკლესია მთავარმოწამე წმ. გიორგის და წმ. დემეტრეს განიხილავს, როგორც ერთმანეთის დარ წმინდანებს, ორივე არის მეომარი და განმგმირავი გველეშაპისა. აღსანიშნავია, რომ წმ. გიორგი და წმ. დემეტრე ერთად გამოსახული არიან გურიის ერისთავის დროშაზე.

ქართულ დროშებს, იქნებოდა ეს სამეფო, სასარდლო, სამოურავო, საერი-სთავო და მისთ. მეორეც, ამ ავტორთაგან 4 მემატიანე (ლუდოლფ ფონ ზუკემი, იოპან ჰილდესპაიმი, ქვემორაინელი ანონიმი, უან ტენო) მოღვაწეობ-და XIV-XV სს-ში, როდესაც ერთიანი საქართველოს სამეფო ჯერაც არ იყო დაშლილი ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად და, შესაბამისად ამისა, არ-სებობდა ერთი სეფე დროშა, რომლის ალამზე უპირველესად გამოსახული იყო წმ. გიორგი. მემატიანეთა ნათქვამს ადასტურებს გვიანი შუა საუკუნეე-ბის ის ისტორიული დროშები, რომლებიც შემორჩენილია და, აგრეთვე, ქა-რთველ მკვლევართა მიერ დაკარგულ დროშათა აღნერაც. მართლაც, ყველა მათგანზე აღნუსხულია წმ. გიორგის გამოსახულება. ეს დროშებია:

1. სოლომონ II-ის დროშა (XVIII ს)
2. ერეკლე II-ის დროშა (XVIII ს)
3. იულიონ ბატონიშვილის დროშა (XIX ს)
4. გურიის ერისთავის დროშა
5. მალალაძიანთ დროშა (XVII ს)
6. მუხრან-ბატონის დროშა (XVIII ს)
7. ქაიხოსრო ორბელიანის დროშა (XVIII ს)
8. პაპუა ანდრონიკაშვილის დროშა (XVIII ს)
9. რუსთავის სადროოშოს (ეპისკოპოსის) დროშა (XVIII ს)
10. საომარი დროშები სოფ. გერიდან (XVIII ს)
11. წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესიის ლაპარუმი (XVIII ს)
12. ნაკურალეშის ეკლესიის ლაპარუმი (XVIII ს)
13. ქართველ ცხენოსანთა ლაშქრის დროშა (XIX ს)

ამრიგად, ხელთ გვაქვს თხუთმეტი ავტორის ცნობები, რომლებიც პირდაპირ ადასტურებენ, რომ ერთიანი საქართველოს სამეფოში და გვიანი შუა საუკუნეების სამეფო-სამთავროებშიც დროშებზე (სამეფო, საბატონიშ-ვილო, საერისთავო, სამოურავო, სადროოშოს, საეპისკოპოსო, ეკლესიათა) გამოსახული იყო წმ. გიორგი. ტრადიცია ფეოდალური საქართველოს ალმი-ანი დროშების წმ. გიორგის ხატით შემკობისა სათავეს იღებს IV საუკუნიდან, ქრისტეანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების შემდგომ და იგი არსებობდა მუდამ, ვიდრე საქართველოს სამეფო-სამთავროებმა არ დაკარგ-ეს დამოუკიდებლობა.

თუმცა მხოლოდ ზემომოხმობილი ცნობებითა და მასალით არ ამოი-ნურება ქართული დროშების იერ-სახის საკითხი. გარდა შემორჩენილი დრო-შებისა და იმ საისტორიო წყაროებისა, რომელთა თანახმად პირდაპირ დას-ტურდება წმ. გიორგის ხატი ლაპარუმებსა და ალმიან დროშებზე, არსებობს ის ისტორიული ცნობები, რომლებითაც ირიბად დასტურდება ყოველივე ზე-მოთქმული და რომელთა ავტორები მოღვაწეობდნენ XII-XVIII სს-ის განმავ-ლობაში. ეს ავტორებია:

1. ევსტათი ანტიოქიელი (IV ს): „საქართველო იმთავითვე იყო წმ. გიორ-გის ქვეყანა“.
2. გოტიე დე მეცი (XII ს-ის I ნახ.): „მათი სახელია გეორგიანები, რადგანაც

ნმ. გიორგის სახელს გაიძახიან ყოველთვის, ბრძოლის დროს“.

**3. ანონიმი ავტორი (XII ს):** „და არიან კიდევ ქართველები, რომლებიც წმ. გიორგის დიდი ბრძყინვალებით ეთაყვანებია“.

**4. ჟაკ დე ვიტრი (XIII ს-ის I ნახ.):** „ეს ხალხი განსაკუთრებით მონინებით ეპყრობა და ეთაყვანება წმ. გიორგის, ვინც თავის მფარველად და მედროშედ მიაჩნია ურნმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში და პატივს მიაგებს ყველა წმინდაზე მეტად“.

**5. პლანო კარპინი (XIII ს-ის I ნახ.):** „ქართველებს მიაჩნიათ, რომ თავად წმ. გიორგი ეხმარებათ ბრძოლების დროს, ამიტომ ისინი მას ყველა წმინდაზე მეტ პატივს მიაგებენ“.

**6. ბენედიქტე პოლონელი (XIII ს-ის I ნახ.):** „ამ ხალხს გეორგიანებს უწოდებენ, რადგანაც ბრძოლოს დროს წმ. გიორგის მოუხმობენ, თავიანთ მფარველად მიიჩნევენ და ყველა წმინდაზე მეტად აღიარებენ“.

**7. თიტმარი (XIII ს-ის I ნახ.):** „ქართველები თაყვანს სცემენ წმ. გიორგის“.

**8. მეტრი გოსუენი (XIII ს-ის I ნახ.):** „გეორგიანები სარკინოზთა წინააღმდეგ ომში ყოველთვის წმ. გიორგის სთხოვენ დახმარებას. წმ. გიორგიზე ლოცულობენ და მას ყველა სხვა წმინდაზე მეტად მიაგებენ პატივს“.

**9. ფრანცისკელი ანონიმი ბერი (XIII ს):** „ქართველთა მთავარი დამახასიათებელია წმ. გიორგის კულტი“.

**10. მარიონ სანუდო ტორსელი (XIV ს-ის I ნახ.):** „ქართველების წარმართთა წინააღმდეგ მფარველი, მშველელი და პატრონი წმ. გიორგია და ყველა სხვა წმინდაზე უწინარესად განსაკუთრებული მონინებით თაყვანს სცემენ მას, როგორც მედროშეს“.

**11. ქვემორაინელი ანონიმი (XIV ს):** „ქართველები საშველად (ბრძოლის დროს) უხმობენ ღმერთს, წმ. გიორგის და სამ წმ. მეფეს“.

**12. უან დე მანდევილე (XIV ს-ის II ნახ.):** „ქართველები მოინათლნენ წმ. გიორგის მიერ, ისინი მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ, ვიდრე სხვა წმინდანებს, გაჭირვების უამს შველას წმ. გიორგისგან ითხოვენ“.

**13. ჰანს შილტბერგერი (XV ს-ის I ნახ.):** „საქართველოში ცხოვრობენ ქრისტეანები და წმ. გიორგია მათ ქვეყანაში მთავარი მფარველი“.

**14. ბერნჰარდ ფონ ბრაიდენბახი (XV ს-ის II ნახ.):** „მათ ეწოდებათ გერგიანები, რადგან სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლებში ადიდებენ წმ. გიორგის და მიაჩნიათ იგი თავიანთ მფარველად, რომელსაც ლაშქრობაში გამგზავრების წინ მსხვერპლს სწირავენ“.

**15. იოჰანი, სოლმის გრაფი (XV ს-ის II ნახ.):** „ქართველებს გეორგიანები ეწოდებათ წმ. გიორგის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველად აურჩევიათ“.

**16. ინგლისური „სამყაროს სარკე“ (XV ს-ის II ნახ.):** „გეორგიანები ეწოდებათ, რადგან სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლებში ადიდებენ წმ. გიორგის და თაყვანს სცემენ მას ყველა სხვა წმინდაზე მეტად“.

**17. ანონიმი პილიგრიმი (XVI ს-ის დასაწყისი):** „ქართველები თაყვანს სცემენ წმ. გიორგის, როგორც პატრონს“.

**18.ლუდვიგ ჩუდი (XVI ს-ის დასაწყისი):** „ქართველები ძლიერ სცემენ პატივს წმ. გიორგის, იგი მიაჩნიათ თავიანთ დამცველად“.

**19.პ. ბაუმგარტენი (XVI ს-ის დასაწყისი):** „სახელი გეოგრიანებს წმინდანის მიხედვით ჰქვიათ, რომელსაც ისინი თავიანთ მფარველად და შემწედ აღიარებენ და ყველაზე მეტად სცემენ თაყვანს“.

**20.ლეონარდ როიპეგოლფენი (XVI ს-ის II ნახ.):** „ქართველები... თავიანთ წმინდანთა შორის ყველაზე მეტად რაინდ წმ. გიორგის ეთაყვანებიან, რომელსაც ისე უყურებენ, როგორც მფარველსა და შემწეს ომის დროს...“

**21.იოპან ფონ კოტოვიჩი (XVI ს-ის II ნახ.):** „ქართველები გიორგი მთავარმოწამეს უაღრესად თაყვანსა სცემენ და სხვა წმინდანებზე მეტად განსაკუთრებით მიაგებენ პატივს, თავის მფარველად მიაჩნიათ“.

**22.ფილიპი კლუვერი (XVI-XVII სს):** „სახელი გეორგია წმ. გიორგისგან მომდინარეობს, რომელიც მფარველად და პატრონად აღიარეს ქართველებმა“.

**23.ფრანც ფერდინანდ ტროილოელი (XVIII ს):** „გეორგიანები თაყვანსა სცემენ წმ. გიორგის და ერთგული არიან მისი“.

ერთი სიტყვით, არაერთი ქართველი და უცხოელი ავტორი, რომელიც მოლვანეობდნენ IV და XIV-XVIII საუკუნეებში, პირდაპირ ადასტურებს, რომ ფეოდალური საქართველოს სხვადასხვა დანიშნულების დროშებზე იყო წმ. გიორგის გამოსახულებიანი აღმები. ამავე საუკუნეების მრავალი დასავლეთევროპელი ავტორის ცნობებით ასევე ირიბად დასტურდება, რომ ერთიან საქართველოში და გვიანი შუა საუკუნეების სამეფო-სამთავროებად დაშლილ „საქართველოებში“ სამეფო და სხვა დანიშნულების დროშათა აღმებზე გამოხატული იყო წმ. გიორგი. ამ წყაროთა ცნობებს უნდა დავამატოთ ის ვექსილოლოგიური მასალა, რამაც ჩვენამდე მოაღწია და, აგრეთვე, დაკარგული დროშების აღწერილობა, რომელთა მიხედვით კვლავაც წარმოჩნდება წმ. გიორგის ხატი აღმიან დროშებსა თუ ლაპარუმების დაფებზე. ქართული დროშათმცოდნეობის ისტორიიდან არ დასტურდება, რომ ფეოდალურ საქართველოში რომელიმე დანიშნულების ან რაიმე სახეობის დროშაზე გამოსახული იყო „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო.

უნდა ითქვას, რომ ის მკვლევარები, რომელიც იზიარებენ ერთიანი საქართველოს სამეფო (სეფე) თუ სხვა დანიშნულების დროშათა აღმებზე „ხუთჯვრიანი“ სიმბოლოს არსებობის ფაქტს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არ ითვალისწინებენ საისტორიო წყაროებში დაცულ უხვ ცნობებს, უგულებელყოფენ ქართული ვექსილოლოგის მდიდარ მასალას და ხელმძღვანელობენ მხოლოდ იმ ფაქტით, რომ ზოგიერთ დასავლეთევროპულ პორტულანოზე ქალაქების – თბილისისა და ცხუმის ადგილას მონიშნულია ე.წ. ხუთჯვრიანი დროშები. „ხუთჯვრიანი“ დროშის მომხრე მკვლევარებს, ალბათ, უპირველესად, უნდა გაერკვიათ, თუ რატომ ჩნდება პორტულანოებზე იქ, სადაც ასახულია საქართველოს ტერიტორია, „ხუთჯვრიანი“ დროშები მხოლოდ XIV ს-ის 20-იანი წლებიდან და რატომ არ აღინუსხება ეს სიმბოლოები უფრო ადრეულ საზღვაო რუკებზე? რატომ არის ამ დროშებით მონიშნული საქართველოს მხოლოდ ორი ქალაქი – თბილისი და ცხუმი და მათ გარდა სხვა ქართული ქალაქების ადგილას რატომ არ აღინუსხებიან ისინი? არის თუ არა პორტუ-

ლანოების ეს ნიშნები საქართველოს ტერიტორიულ-ადგილობრივი სიმბოლო, თუ ისინი სხვა ქვეყნების ტერიტორიებზეც გვხვდება და, თუკი ეს ასეა, რა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძლებოდა ჰქონოდა რუკის ამ ნიშნებს ეპ-როპელ ზღვაოსან-მოგზაურთათვის და ა.შ. თუმცა ისინი არ გვთავაზობენ ამ პრობლემის საკუთარ კვლევას და ძირითადად იფარებიან იმით, რომ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებენ აკად. დ. მუსხელიშვილის მოსაზრებებს, რომელმაც XX ს-ის 90-იან წლებში პირველმა განაცხადა, თითქოსდა საქართველოს სეფე დროშაზე გამოსახული იყო „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო.

იგივე შეიძლება ითქვას მკვლევარ ც. ღვაბერიძის სტატიის შესახებაც. მართალია, ავტორი პრობლემას განიხილავს ძირითადად ნუმიზმატიკური მასალის მოველიებით, თუმცა მისი მსჯელობა სამეფო დროშის იერ-სახის შესახებ ისევ და ისევ ეფუძნება აკად. დ. მუსხელიშვილისეულ ძიებას და იგი ყოველგვარი ანალიზის გარეშე იმეორებს ავტორის შეხედულებებს. არა-და, როდესაც მკვლევარი ახალი კუთხით, კერძოდ ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე წარმოაჩენს საკუთარ თვალსაზრისს, ალბათ უპრიანი იქნებოდა უპირველესად ეჩვენებინა, თუ რის მიხედვით ქმნიდნენ ქართველი მეფები მონეტებს და რა წინაპირობა უნდა არსებულიყო, რათა ქართულ საფასეზე გაჩენილიყო „ხუთჯვრიანი“ გამოსახულება.

მონეტები ჩნდება ჯერ კიდევ წინარე ისტორიულ ხანაში, როდესაც საა-ლებმიცემო საქმიანობა ველარ თავსდებოდა ნატურით გაცვლის წესებში და ბუნებრივ თუ შექმნილ პროდუქციასთან ერთად საფასე საშუალებად მეტ-ალებიც გამოიყენეს. ქართული მონეტის გაჩენა, იმის გათვალისწინებით, რომ ძვ. წ. აღ.-ის XIV-XIII სს-ში მცირე აზიის ტერიტორიაზე უმეტესწილად მკვიდრობდნენ ქართველტომელნი და ტროას დამცველთა შორის ხალიბებიც სახელდებიან, ჩვენი აზრით, შეიძლება დავუკავშიროთ ტროას ომის ეპოქას. „ილიადადან“ ვგებულობთ, რომ, როდესაც ელადელებმა ტროას ალყისას დაატყვევეს დოლონი, იგი მათ თავის დახსნის მიზნით სთავაზობდა მამა-მისის განძს – ოქროსა და სპილენძის ზოდებს და რკინისგან დამზადებულ ლამაზ ნაკეთობებს. აქ ეპოსში დასახელებულ მეტალებს უკვე ფულის სახე აქვს მიღებული [18, 21]. ჩვენამდე მოლწეული პირველი კოლხური მონეტა თარიღდება ძვ. წ. აღ.-ის VI ს-ით და იგი უძველესი ნივთიერი ნიმუშია ქარ-თული საფასეს არსებობისა. ქართულ ნუმიზმატიკაში ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოს მეფები საკუთარ მონეტებს ჭრიდნენ უცხო ქვეყნის ფულის ნიმუშის მიხედვით (გამონაკლისია დავით აღმაშენებლის სპილენძის ორი მო-ნეტა „სომეხთა მეფის“ ტიტულით) [4, 194]. ამგვარი მონეტები არაერთია შემორჩენილი ადრეანტიკურ, ელინისტურ, ქართულ-სასანურ, არაბობის-დროინდელ, ე.წ. ბიზანტიურ, მონლოლთადროინდელ და ა.შ. ხანაში. თუკი ეს ასეა, და, ვფიქრობთ, ამ ნათევამის მართებულობა ეჭვს არ იწვევს, მაშინ XIII-ის ქართულ მონეტებზე გაჩენილი „ხუთჯვრიანი“ ნიშნის კვალი სხვა სახ-ელმწიფოთა ნუმიზმატიკურ დარგში უნდა ვეძიოთ. მართლაც, თვალს თუ გა-დავავლებთ ევროპული ქვეყნების ნუმიზმატიკურ მასალას, დავრწმუნდებით, რომ ევროპულ მონეტებზე „ხუთჯვრიან“ ნიშანს გაცილებით ადრეულ საუ-

კუნძული აღმატდავდნენ. ასე მაგ. „ხუთჯვრიანი“ ნიშნები დადასტურებულია X-XII სს-ის არაერთ ევროპულ მონეტაზე:

**გერმანია (წმ. რომის იმპერია)**

ოტო I (936-973) (სურ. 1)

ოტო II დუკა (973-983) (სურ. 2)

ოტო III (983-1002) (სურ. 3)

**ინგლისი:**

უილიამ I (1165-1214) (სურ. 4)

ჰენრი II (1154-1189) (სურ. 5)

**პოლანდია:**

უილიამ I (1213-1222) (სურ. 6)

**საფრანგეთი:**

შარლ-ემანუელ I სავოიელი (სურ. 7)

ჰერცოგი ანრი III (982-985) (სურ. 8)

**უნგრეთი:**

შტეფან I (1000-1038) (სურ. 9)

ბელა II (1131-1142) (სურ. 10)

**ჩეხეთი:**

**ბოლესლავ მამაცი (992-1025) (სურ. 11)**

როგორც ვხედავთ, კათოლიკურ-ევროპულ (გერმანია, პოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი, უნგრეთი, ჩეხეთი...) საფასე ერთეულებზე „ხუთჯვრიანი“ ნიშანი არსებობდა უფრო ადრე, ვიდრე იგი ჩნდება ქართულ მონეტებზე



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11

(თამარის (1200 წ.), გიორგი IV-ის (1207 წ.), რუსუდან დედოფლის (1227 და 1230 წ.წ.), ქართულ-პულაგუიდურ (1295-1304 წ.წ.) და ვახტანგ III-ის (1297-1308 წ.წ.) ე.ი. ამ სიმბოლოთი მოჭედილი ევროპული მონეტები წინ უსწრებდა ანალოგიურ ქართულ მონეტებს, რომელთა ემისია შემოიფარგლება XIII ს-დან XIV ს-ის დასანყისამდე. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ „ხუთჯვრიანი“ ნიშანი არ გახლავთ ის სიმბოლო, რომელიც მხოლოდ ქართულ ფულად ერთეულებს ახასიათებდა. მეტიც, ამ მონეტებით ცხადდება, რომ ქართულ ნუმიზმატიკაში იგი უნდა გაჩერილიყო კათოლიკეთა მონეტების გავლენით, ვინაიდან ევროპულ მონეტებზე „ხუთჯვრიანი“ ნიშნების არსებობა დასტურდება მთელი ორი საუკუნით ადრე, კერძოდ X საუკუნიდან. ყოველივე ზემოთქმული კი მონმობს, რომ „ხუთჯვრიანი“ ნიშანი არ გახლავთ საუკუნივ ქართული საფასეს სიმბოლო და იგი კათოლიკური სამყაროდან გავრცელდა აღმოსავლეთის ქრისტეანულ ქვეყნებში. ჩვენი მსჯელობის მართებულობას მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯვაროსანთა ეპიქაში „ხუთჯვრიანი“ ნიშნის მქონე მონეტების ემისია ახასიათებდა მახლობელი აღმოსავლეთის ახლად დაარსებულ კათოლიკურ ქვეყნებსა და კილიკიის სომხეთს. ასე მაგ.:

**იერუსალიმის სამეფო: ჰენრი I (1181-1197) (სურ. 12)**

**ტრიპოლის საგრაფო: რაიმონდ II (1137-1152) (სურ. 13); ანონიმური მონეტა (1250-1268) (სურ. 14)**

**ანტიოქიის სამთავრო: ბოემუნდ III (1163-1201) (სურ. 15); ბოემუნდ IV (1201-1216) (სურ. 16); ბოემუნდ V (1233-1251) (სურ. 17)**

კილიკიის სომხეთი: რუბენ I (1080-1095) (სურ. 18); რუბენ II (1175-1187) (სურ. 19); ჰათუმ I (1213-1270) (სურ. 20). ლევონ III (1301-1307) (სურ. 21); ლევონ V (1374-1375) (სურ. 22) და ა.შ.

კვიპროსი (ჯვაროსნები): გაი ლუზიანელი (1192-1194) (სურ. 23), ჰუგო I (1205-1218) (სურ. 24), მეფე ანრი II (1310-1324) (სურ. 25), ჰუგო IV (1324-1359) (სურ. 26) და ა.შ.

ერთი სიტყვით, თუკი შეუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის კათოლიკური ქვეყნების ფულად ერთეულებს გადავხედავთ, რომელთა ემისია იწყება XII ს-დან, ვნახავთ, რომ ჯვაროსნებმა კათოლიკური ეკროპის წიაღში გაჩერნილი, ჯვარცმის ეს სიმბოლური გამოსახულება გაავრცელეს მათ მიერვე დაარსებული ლევანტის სამფლობელოების [იერუსალიმის სამეფო (1099-1291), ედესის საგრაფო (1098-1146), ანტიოქიის სამთავრო (1098-1268), ტრიპოლის საგრაფო (1105-1289), კვიპროსისა და კილიკიის სამეფოს



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16



სურ. 17



სურ. 18



სურ. 19



სურ. 20



სურ. 21



სურ. 22



სურ. 23



სურ. 24



სურ. 25



სურ. 26

(1080-1370)] მონეტებზე. აქედან იღებს სათავეს მახლობელ აღმოსავლეთში „ხუთჯვრიანი“ სიმბოლოს დამკვიდრება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით მკვლევარ ც. ლვა-ბერიძის თვალსაზრისას, თითქოსდა XIII ს-ის ქართული მონეტების „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო გახლავთ ქართული ნუმიზმატიკური ნიმუშებისთვის დამახა-სიათებელი ნიშანი. დასავლეთევროპული მონეტებისა და XII ს-ის მახლობელ აღმოსავლეთში ჯვაროსანთა სამფლობელოების საფასეთა შესწავლით წარ-მოჩნდა, რომ „ხუთჯვრიანი“ ნიშანი არის კათოლიკური სიმბოლო და მისი გაჩენა წინა აზიაში უკავშირდება ჯვაროსანულ მოძრაობას.

საყურადღებო გახლავთ, რომ დავით აღმაშენებლის დროს ქართულ მონეტებზე ხსენებული ნიშანი არ ჩნდება და იგი პირველად დასტურდება თამარის ერთ-ერთ მონეტაზე. ამიტომ საჭიროა გაირკვეს, თუ რატომ არ აისახა „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო XII ს-ის ქართველ მეფეთა საფასებზე, რა გახდა მიზეზი იმისა, რომ XIII ს-ის დასაწყისიდანვე იგი ჩნდება ქართულ მონ-ეტებზე და რის მაუნყებელი უნდა ყოფილიყო ეს ფაქტი.

XII ს-ის დასაწყისიდან მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო პოლი-ტიკური ვითარების შეცვლა მაშინვე გახდა თვალშისაცემი, როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა პირველივე ლაშქრობის შედეგად ლევანტში დააარსეს რამ-დენიმე კათოლიკური სამფლობელო. აშკარა იყო, რომ არც პიზანტიის იმპერია და არც თურქ-სელჩუკთა რუმის სასულთნო თუ სხვა მუსლიმური სამფლო-ბელოები იმხანად აღარ წარმოადგენდნენ რეგიონის მთავარ პოლიტიკურ ძა-

ლებს და ასპარეზზე გამოჩნდა ახალი მოწინააღმდეგე, რომელიც მანამდე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში ჩართული არ ყოფილა. ქრისტეან ჯვაროსნებს მდიდარი აღმოსავლეთის დასაპყრობად ჰქონდათ ბრძოლა წამოწყებული და ყოველგვარი ექსპანსია პოლიტიკურ-ეკონომიკურ მისწრაფებათა ნიადაგზე იყო აღმოცენებული [3, გვ. 25]. ამიერიდან რამდენიმე საუკუნის განმავლობაში წინა აზის გეოპოლიტიკურ ვითარებას წარმართავს სამი ძირითადი მხარე – მართლმადიდებლური ქვეყნები: ბიზანტია, საქართველო, ნიკეის იმპერია, ტრაპიზონის საკეისრო; მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმური სამფლობელოები და ლევანტის კათოლიკური ქვეყნები. ამ მხარეთა კავშირების ხასიათი განსაზღვრავდა, თუ რა სახის პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდებოდა რეგიონში, ვის ხელში აღმოჩნდებოდა მსხვილი სავაჭრო ქალაქები, ვინ შეძლებდა მთავარ საქართვის გზებზე უპრატესი გავლენის მოპოვებას და სავაჭრო საქმიანობის წარმართვას. კათოლიკური სამფლობელოების დაარსებაში ვენეციელებმა და გენუელებმა დიდი წვლილი გაიღეს, რაც მათი სავაჭრო მიზნების განხორციელების სურვილით იყო განპირობებული. ასე მაგ., გენუელები საკუთარი ფლოტით 1097 წლიდან მონაწილეობდნენ ანტიოქიის ალყაში, ქერბელას, ლაოდიკეასა და იერუსალიმის აღებაში. ამ უკანასკნელისთვის ბრძოლისას ჯვაროსნებმა სწორედ გენუელთა დახმარებით ააგეს კოშკები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის აღებისთვის. გენუელები მონაწილეობდნენ ჯებაილისა და აკრას ალყაშიც (1102-1104). ისინი 1110 წელს ხელმეორედ გაემგზავრნენ ლაოდიკეაში, იაფასა და იერუსალიმში. ასევე საგულისხმო იყო ვენეციელთა დახმარება – 1099 წლიდან ისინი წმ. მინაზე იმყოფებოდნენ. ერთი წლის შემდგომ ვენეციელთა ფლოტი მიადგა ლიკიის ნაპირებს და შემდეგ გაემართა კვიპროსისა და სირიისკენ, მივიდნენ იაფაში მყოფ ჯვაროსნებთან, მონაწილეობდნენ „წარმართობის სიამაყისა და მთავარი ქალაქის“, კაიფას აღებაში, რომელიც ზღვიდან ალყაში მოაქციეს. 1122 წელს ვენეციელთა 200-გემიანი ფლოტი იაფას კვლავ მიადგა და მომდევნო, 1123 წელს ისინი ასკალონთან ამარცხებენ ეგვიპტელებს, იმავდროულად თავს ესხმიან ქ. ტირს და 4-თვიანი ალყის შემდგომ ქალაქი მათ ნებდება. ამრიგად, გენუელები და ვენეციელები საკუთარი ფლოტით ეხმარებოდნენ ჯვაროსნებს მუსლიმთაგან სირია-პალესტინის ქალაქების გათავისუფლებისას და მათმა საზღვაო-სამხედრო დახმარებამ მნიშვნელოვანნილად განაპირობა ჯვაროსანთა წარმატებები. ვენეცია-გენუელები „ჯვრის სახელით ღვრიდნენ სისხლს, რათა შემდგომ სავაჭრო ექსპანსიის გზით ათასჯერ აენაზღაურებინათ ეს დანაკლიის“. ამიტომაც იყო მნიშვნელოვანი ის პრივილეგიები, რომლებიც მათ მოიპოვეს ლევანტის ქვეყნებში – იქ, სადაც ჯვაროსნებმა ფეხი მოიკიდეს. რას მიაღწია ამ ორმა ქალაქ-რესპუბლიკამ XII ს-ის მახლობელ აღმოსავლეთში? ჯვაროსნებთან დადებული ხელშეკრულებით მათ სირიისა და პალესტინის სანაპირო პუნქტებსა თუ ახლომდებარე ქალაქებში დაარსეს საკუთარი კოლონიები – ყოველ ქალაქში თითო კვარტალი საბაზრო მოედნით, ეკლესიით, აბანოთი და, რაც მთავარია, საკუთარი მმართველობით. თუკი ისინი თავადაც იბრძოლებდნენ, მაშინ მათი მონაპოვარი უფრო მეტად იზრდებოდა. ამ კოლონიებში პიზა-ვენეცია-გენუელე-

ბი თავისუფლად ანარმოებდნენ ტვირთის გადაზიდვას, შენახვას, ვაჭრობას, მათზე არ ვრცელდებოდა „სანაპირო უფლებები“ და დაზიანებული გემის ქონება მათვე რჩებოდათ. ლათინთა კვარტლების მუსლიმი და იუდეველი მოსახლეობა მათ გადასახადებს უხდიდა. ისინი სამართლებრივად ექვემდებარებოდნენ თავიანთ მაგისტროსებს და ამ ქალაქებში 1104 წლიდან მოსახლეობის უმრავლესობას უკვე იტალიელები შეადგენდნენ. გენუა-ვენეცია-პიზის კოლონიები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გაყოლებით და მის სიახლოვეს (ჟდესა, ანტიოქია, ტრიპოლი, დამასკო, აკრა, იერუსალიმი, იაფა, ასკალონი) წარმოადგენდნენ სავაჭრო ცენტრებს, სადაც თავს იყრიდა აზიდან ევროპისკენ დაძრული საქონელი, კერძოდ, მესოპოტამია-არაბეთ-ჩინეთიდან შემოზღული ტვირთი. ამას გარდა, ლათინი ვაჭრები ეგვიპტის პორტებშიც (კაირო, დამიეტა) შედიან ზღვით, ტრიპოლი-საც ხშირად სტუმრობდნენ და, რაც მთავარია, ისინი „ითვისებენ“ ალექსანდრიის პორტს, რომელიც იყო ინდოეთის ოკეანის აუზის ქვეყნებიდან წამოღებული საქონლის თავმოყრის ცენტრი და რომელსაც იმხანად შემთხვევით არ უწოდებდნენ ორი მსოფლიოს – ალმოსავლეთისა და დასავლეთის – მთავარ ბაზარს. მოგვიანებით მათ დაამყარეს სააღებმიცემო კავშირები ტუნისის, ალჟირისა და მაროკოს პორტებთან და ამ ორი იტალიური ქალაქის კოლონიებს გამორჩეული სავაჭრო უფლებები ჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის მთელ სამხრეთ სანაპიროზე – დაწყებული სირიიდან ვიდრე გიბრალტარის სრუტემდე.

რა ვითარება იყო ამ მხრივ თავად ბიზანტიაში?! პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამდე ალექსი I ჯვაროსანთა მიმართ უნდობლობას იჩენდა. რა თქმა უნდა, თუკი იმპერიისა და ჯვაროსანთა მიზნები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდა, ბიზანტიელები ჯვაროსნებთან ერთად მოქმედებდნენ და იმპერატორები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მათ მეთაურებს. თუმცა, ეს პოლიტიკური კავშირი არამყარი იყო და იგი ირლვეოდა იმის გამო, რომ ჯვაროსანთა ქმედებები ხშირად სრულიად საპირისპირო სახეს იღებდა, ვიდრე ამას ქადაგებდა ევროპიდან დაძრულ კათოლიკეთა გაცხადებული იდეოლოგია. ჯერ კიდევ I ჯვაროსნული ომის დაწყებამდე პეტრე მეუდაბნოეს და ვალტერ უპოვარის მიერ დაძრულმა უზარმაზარმა ლაშქარმა თავისი ძალადობითა და დაუნდობლობით იმპერატორს გაუჩინა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჯვაროსანთა სარწმუნოებრივი სწრაფვანი და მათი წამდვილი ზრახვანი ერთმანეთისგან ძალზე შორს იყო. ალექსი I, რომელიც ლათინი ქრონისტების მიერ იწოდებოდა, როგორც „უქრისტეანესი იმპერატორი“, „დიდებული და სახელოვანი“, „გულმოწყალებით აღვისილი“ (ალბერტ აახენელი), თვალნათლივ ხედავდა, თუ როგორ არბევდნენ და ხოცავდნენ ბიზანტიის მოსახლეობას დასავლეთევროპელნი<sup>2</sup>, თუმცა მხოლოდ დაუნდობლობა მკვიდრი მოსახლეობისადმი არ ყოფილა მიზეზი იმპერატორის სიფრთხილისა. იგი ჯვაროსნების სახით ხედავდა იმ ძალას, რომელიც ემუქრებოდა იმპერიის არსებობას. ამიტომაც

<sup>2</sup> ანა კომნენოსი „ალექსიადა“-ში აღნერს, თუ როგორ ძარცვავდნენ პეტრე მეუდაბნოეს ნორმანები ნიკეას შემოგარენს, სასტიკად ანამებდნენ მოხუცებს, მღვდლებს ხოცავდნენ, ხოლო ჩვილებს შამფურებზე წვავდნენ.

იმპერატორმა ჯვაროსანთა ლაშქარი ბოსფორიდან წინა აზიაში გადასხა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათი მეთაურები დააფიცა ერთგულების თაობაზე და დაადებინა პირობა, რომ ისინი ბიზანტიის დაუბრუნებდნენ ყველა მის ყოფილ ტერიტორიას, რომლებიც იმსანად მუსლიმებს ჰქონდათ დაპყრობილი. შეზღუდული იყო იმპერიის ფარგლებში ჯვაროსანთა, უკეთ გენუავენეცია-პიზელთა სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობაც. მართალია, ალექსი I-ისგან ვენეციამ 1082 წლის ოქროს ბულით მიიღო სავაჭრო შეღავათები (უბაუ ვაჭრობა, ქალაქებსა თუ პორტებში სააღებმიცემო საქმიანობა გადასახადების გარეშე), რამაც მათთვის ხელმისაწვდომი გახადა „ბიზანტიის ბაზარი“, მაგრამ პიზა-ვენეცია-გენუელთა საქმიანობა დასაზღვრული იყო იმპერატორისგან ბოძებული პირობებით და მათ არ ჰქონდათ უფლება, დამოუკიდებლად ეწარმოებინათ ვაჭრობა. ამიტომაც იყო, რომ იერუსალიმის აღების შემდგომ ჯვაროსნები ბიზანტიაშიც აჩაღებენ ბრძოლას ბერძნებთან, რათა დაიკავონ ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქალაქები. ეს ლოგიკურიცაა, რადგანაც მსოფლიო საქარავნო გზაზე იერუსალიმი, რომელიც უკვე ჯვაროსანთა ხელშია, იყო ის კარიბჭე, რომლის გაუვლელადაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნები ერთმანეთს ვერ უკავშირდებოდნენ, ხოლო ამ დამაკავშირებელი გზების მნიშვნელოვანი მონაკვეთები მდებარეობდა წინა აზიაში, საკუთრივ ბიზანტიის იმპერიის მიწა-წყალზე. გამომდინარე აქედან, არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ ვინ ფლობდა ამ გზების გასწვრივ მდებარე სავაჭრო ქალაქებსა თუ პორტებს. ბიზანტიელები თავის მხრივ არ თმობენ საკუთარ ქალაქებს და მათ შეინარჩუნეს სმირნა, ეფესო, სარდამი... მეტიც, დაიპრუნეს ის მიწა-წყალი, რომელიც მათ სელჩუკებმა წაართვეს – იმპერატორის ძალაუფლება აღდგა სირიის საზღვართან მდებარე ტერიტორიაზეც. ამას მოჰყვა 1122-1126 წლის ვენეცია-პიზანტიის ომი, რომელიც ძირითადად მიმდინარეობდა იმპერიის დასავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულებისა და ქალაქების გამო და რომლის შედეგად, 1126 წელს იმპერატორმა ითანა ॥-მ გამოსცა ახალი ბულა. ამ ბულით ლათინებს განუახლეს ძველი პირობები და მათ ახალი შეღავათებიც მიანიჭეს. კერძოდ, ლათინი ვაჭრები პოზიციებს იმყარებენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მანამდე ბერძნი ვაჭრები მოღვაწეობდნენ. 1148 წ.-ს ვენეციელებმა უკვე მანუილ I-ისგან (1143-1180) მესამედ მიიღეს ოქროს ბულა, რომლის მიხედვით მათი პრივილეგიები გავრცელდა კ. კრეტასა და კ. კვიპროსზე. ამრიგად, თუკეთ XII ს-ში ვენეცია-გენუა-პიზელებმა მოახერხეს დაეფუძნებინათ საკუთარი სავაჭრო პუნქტები ისტროსის, დალმაციის, სირიისა და ჩრდ. აფრიკის სანაპიროებზე და აქ შექმნეს სავაჭრო ცენტრები, შუამავლის როლს რომ ასრულებდნენ აზიისა და ევროპის სავაჭრო ურთიერთობებში, წინა აზიის მიწა-წყალზე მათ ვერ შეძლეს დაეარსებინათ საკუთარი კოლონიები. ჯვაროსანთა და უკეთ, ვენეცია-გენუა-პიზელთა მიღწევა მხოლოდ ის გახლდათ, რომ XI-XII საუკუნეებში მათ იმპერატორებისგან რამდენიმეგზის (1082, 1126, 1148 წ.წ.) მიიღეს ეკონომიკური ბულა, რომლითაც ბიზანტიის კანონმდებლობის ფარგლებში მოიპოვეს სავაჭრო შეღავათები. ლათინები ამაზე წინ

ვერ წავიდნენ და მათი მონაპოვარი ბიზანტიაში (აქ გამავალ სატრანზიტო გზებსა და სახმელეთო საპორტო ქალაქებში) შემოიფარგლებოდა ოდენ პრივილეგირებული სააღებმიცემო საქმიანობით<sup>3</sup>. წინა აზის არცერთ ბერძნულ ქალაქსა და, რაც მთავარია, არც დედაქალაქ კონსტანტინოპოლში არ შექმნილა ლათინთა კოლონიები თავიანთი დამოუკიდებელი მმართველობითა და თავისუფალი ვაჭრობით, ისინი მხოლოდ ბიზანტიის კანონებით დასაზღვრულ სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობდნენ. XII ს-ში კონსტანტინოპოლი წარმოადგენდა უმსხვილეს და უმდიდრეს ქალაქს, რომელიც ბევრად აღმატებოდა ევროპის ქალაქებს. ამასთან, ბიზანტიური ოქროს მონეტა, რომელსაც უწოდებდნენ „შუა საუკუნეების მსოფლიო ვალუტას“, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავისი გავრცელების არეალს და მას ვერ გაუტოლდა ევროპიდან მახლობელ აღმოსავლეთში ახლადშემოტანილი, კათოლიკური „ხუთჯვრიანი“ ნიშნით აღბეჭდილი მონეტა. შედეგად – კათოლიკური ინტეგრაციის სიმბოლომ ასახვა ვერ ჰქონა ბიზანტიურ ფულად ერთეულზე. ამას თან ერთვოდა ლათინ ვაჭართა არასტაბილური ყოფა იმპერიის ტერიტორიაზე, რაც გამოწვეული იყო გამდიდრებულ ევროპელთა და დაზარალებულ ბერძენ ვაჭართა შორის არსებული დაძაბული ურთიერთობებით, განსაკუთრებით თვალშისაცემი რომ გახდა XII ს-ის II ნახევარში. „სიმდიდრით აღაღებულ“ ევროპელთა დასათრგუნავად 1171 და 1182 წლებში ორჯერ მოეწყო ჯანყი. ჯერ იყო და მანუილ I-ის ბრძანებით ლათინ ვაჭრებს იჭერენ მთელ ბიზანტიაში და მათ ქონებას ართმევენ. ხოლო 1182 წლის ამბოხებისას ბერძნებმა ამოხოცეს თითქმის ყველა გენუელ-პიზელი (ვენეციელები ციხეებში ისხდნენ და ამიტომ გადარჩნენ), ლათინთა თემი (60.000-მდე) აღარ არსებობდა.

ამრიგად, I ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებისთანავე ბერძენ-ჯვაროსანთა შორის არსებობდა დაპირისპირება, რომელსაც ჰქონდა სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური წანამდლვრები. მართალია, ბიზანტიის იმპერატორებსა და ჯვაროსნებს ერთმანეთისთვის დროდადრო დახმარების ხელიც გაუწვდიათ, მაგრამ მათ შორის დასადგურებული იყო არსებითი ხასიათის ურთიერთმიუღებლობა – იმპერატორები ჯვაროსანთა სახით ხედავდნენ მუდმივ საშიშროებას მართლმადიდებლობისა და იმპერიის მთლიანობისა გამო, რაც, თუკი გავითვალისწინებთ ჯვაროსანთა წამდვილ ზრახვებს, უსაფუძლო სულაც არ გახლდათ. ამიტომაც იყო, რომ ლევანტის ქვეყნებისა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთი სანაპირო ქალაქებისგან განსხვავებით, სადაც ჯვაროსნებმა დაარსეს კათოლიკური სამფლობელოები (ლევანტში), ხოლო გენუა-ვენეცია-პიზელებმა შექმნეს სავაჭრო კოლონიები, XII ს-ის ბიზანტიაში ვერც ჯვაროსნებმა და ვერც ევროპელმა ვაჭრებმა სანადელს ვერ

3 აღსანიშნავია, რომ XI-XII სს-თა ბიზანტია-ვენეციის ხელშეკრულებაში არ არის ნახსენები შავი და აზოვის ზღვების არცერთი პუნქტი. ბიზანტია საკუთარი ეკონომიკის განვითარებისთვის სავაჭრო ურთიერთობებს ჩრდილოეთან განიხილავდა, როგორც ხელშეუხებელს და არავის აძლევდა უფლებას, შეეღნია ამ ზღვებში და მუდმივი ურთიერთობები ჰქონდა მათ სანაპირო ქალაქ-პორტებთან.

მიაღწიეს ვერც პოლიტიკურ და ვერც სავაჭრო-საფინანსო სფეროში. აქედან გამომდინარე, წინა აზის ქალაქებში ვაჭრობისას ლათინთა მონეტები მეტო-ქეობას ვერ უწევენ ბიზანტიურ მონეტას – იმხანად არ არსებობდა არანაირი საფუძველი, რათა ლათინთა მონეტები სრულფასოვნად ჩართულიყო წინა აზის ფულად-საკრედიტო პროცესებში. შედეგად – XII ს-ის ბიზანტიის იმპერატორთა მონეტებზე „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო ასახული არსად ჩანს.

გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში.

## იოსებ ჩიხიაშვილი

### გაგრატიონთა სამეცო ღიანასტიის განეალოგიის დაზუსტებისათვის (XV ს.)

(ქართლის სამეფო შტოს პირველი მეფის, კონსტანტინე II-ის  
წარმომავლობის დადგენისათვის)\*

ახლა ვუახლოვდებით ჩვენი კვლევის იმ მთავარ მონაკვეთს, რომელიც მოიცავს ალექსანდრე I დიდის შვილთა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, სტატუსს და მათ შთამომავლობას. ზემოაღნიშნულ 1414 წლის სიგელიდან ნათლად ჩანს, რომ ალექსანდრე I დიდს ამ დროისათვის, პირველი ცოლისგან ჰყავს ორი შვილი – ვახტანგი და დიმიტრი.


1420 წელს, ალექსანდრე I დიდის მიერ გაცემულ სიგელში უკვე დასახ-ელებულია მისი მეორე მეუღლე, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს „პრო-ვინციის მეფის“ ალექსანდრეს (დავით ნარინის შტო) ასული თამარი, მეფის შვილები და მეფის ძმანი - „ჩუენ მეფეთ-მეფემან ალექსანდრე და თანამეცხ-ედრემან ჩემმა, დედოფალთა დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა... მონაზონმან დავით, ვახტანგ, დიმიტრი და გ(იორ)გი და ძმათა ჩუენთა: ბაგრატ და გ(იორ)გი... დაინერა სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა მეშუილესა, ქ(რონი) კ(ონ)სა რც (108), სეკდენბერსა ი (10), გელითა... დემეტრე მარკოზისშვილისათა“ [24:226; 42:128-129]. ამ სიგელიდან ჩანს მეფე ალექსანდრეს ოთხი ძე – მონა-ზონი დავით (შემდგომ კათოლიკოსი დავით II). ვახტანგი, დემეტრე და გიორგი.

1433 წ. [42:182] და 1439 წ. [42:209] ორ სიგელში ალექსანდრე I დიდის პირმშო ვახტანგი, მამის სიცოცხლეში მეფის ტიტულით არის მოხსენებული. ივ. ჯავახიშვილი ამ ფაქტს თანამოსაყდრეობით ხსნის, ხოლო ნ. ბერძენიშ-ვილი თვლის, რომ აქ ვახტანგი „პროვინციის მეფედ“ გვევლინება [25:9,40].

„პროვინციის მეფეთა“ წარმომავლობა და მათი ისტორია მონოგრაფი-ულად შეისწავლა მკვლევარმა, პროფესორმა დავით ნინიძემ [23].

ზემოაღნიშნული წყაროებიდან იკვეთება შემდეგი გენეალოგიური ფრაგ-მენტი: მეფე კოსტანტინე I, მისი ვაჟი - მეფე ალექსანდრე I დიდი, რომელსაც ჰყავს ორი მეუღლე: 1. დედოფალი დულანდუხტი და 2. დედოფალი თამარი, დასავლეთ საქართველოს „პროვინციის მეფის“ ალექსანდრეს (დავით ნარი-ნის შტო) ასული. პირველი მეუღლისგან ალექსანდრე I-ს ჰყავდა შვილები – ვახტანგი და დემეტრე, ხოლო მეორესაგან – გიორგი და მონაზონი დავითი. სქემატურად ეს გენეალოგიური ფრაგმენტი ასე გამოიყურება:

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე“ ისტორიის... სერია, №2, 2019. გვ. 16-26.



ალექსანდრე I დიდის შვილების, შემდგომ საქართველოს მეფეების, ვახტანგ IV-ის და გიორგი VIII-ის მოღვაწეობა კარგად არის ასახული ისტორიულ დოკუმენტებში, ხოლო ამ ორ მეფეს შორის მყოფი ძმის, დიმიტრი ბატონიშვილის შესახებ ცნობა, რომელიც მეფეს პირველი მეუღლისაგან – დედოფალ დულანდუხტისაგან ჰყავდა და „პროვინციის მეფის“ ტიტულს ატარებდა, დაცულია დიმიტრისვე გაცემულ ერთ სიგელში, სადაც დიმიტრი „მეფის“ ტიტულით უმტკიცებს შიომღვიმის მონასტერს მამულებს – „ჩუენ მეფეთ მეფის ალექსანდრეს ძემან, მეფემან დემეტრე, დავითიან-ბაგრატონიან[მან], ნებითა ღ(მრ)თისათა ჩრდილოეთისა, აფხაზთა], რანთა, კახთა და სომეხთა მეფესა, შარვანშე, შესაბამის სიგლითა ამით შეგიწყალეთ...“. ამ საბუთზეა მისი ხელორთვა - „მე დემეტრე ამის დამამტკიცებელი ვარ“ [62:22; 63].

იგი იყო „წყალს იქითა“ (შიდა ქართლის გარკვეული ტერიტორიის) „პროვინციის მეფე“. 1445-1450 წლებს შორის გაცემული საბუთის მიხედვით, მან განუახლა შენირულება შიომღვიმის მონასტერს და გაიჩინა აღაპი ამბროსობა დღეს [29:272-273; 64]. 1450 წელს დემეტრემ სოფლები უწყალობა სიონის ღვთისმშობლის ეკლესიას [65:52].

1445 წელს ზაქარია და დავით დარიბეგაშვილებისათვის მიცემულ სიგელშიც დიმიტრი თავის თავს მეფეს უწოდებს – „ქ. ჩუენ, მეფეთა მეფისა ალექსანდრეს ძემან მეფემან დიმიტრი, ესე ნასყიდობის სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ თქუენ, დარიბეგაშვილთა: ზაქარიას და დავითს... და მოგყიდეთ ქალაქს, მეფისა ზურის თავს მინა სავენახე... კლდეს ქუეით... დაიწერა სიგელი ესე ქ(რონი)ქ(ონ)ს რლგ [1445 ქ.], აგვისტოსა კვ [16]“. მერე ხვეულად „...მეფისა დიმიტრის დამიმტკიცებია“ [24:257; 62:21]. ცაიშის საწინამძღვრო ვერცხლის ჯვარზე გაკეთებულ ასომთავრულ წარწერაშიც მოხსენებულია მეფეთ მეფე დიმიტრი ალექსანდრეს ძე [2:270].

მეფე ვახტანგ IV-ისა და დიმიტრის შორის ურთიერთობას გვიანდელი, 1466-1478 წლებს შორის შედგენილი უცნობი [ზევდგინიძის] საჩივრის წიგნი არკვევს, სადაც აღნიშნულია, რომ „...ოდეს ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალი იქით მისსა ძმასა პატრონსა დიმიტრის მიანება, თაყას გარეთ“ [25:50; 66]. მკვლევარ ჯ. ოდიშელის აზრით, ალექსანდრეს I-ის ძე დიმიტრი „პროვინციის მეფედ“ უნდა მივიჩნიოთ [27:82]. ამ საბუთიდან ნათლად ჩანს, რომ დემეტრე შიდა ქართლის გარკვეული ტერიტორიის (წყალს იქითი – მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო) „პროვინციის მეფე“ იყო. ხოლო, რაც ძალზედ

ნიშანდობლივია, არც ერთ თავის სიგელში დემეტრე არ ასახელებს არც თავის მეუღლეს და არც შვილებს. სხვათა მიერ გაცემულ საბუთებშიც, იგი ცოლ-შვილის გარეშე მოხსენიებული. მაშინ, როცა მისი თანადროული ყველა მეფე ყოველთვის იხსენიებს სიგელებში თავის მეუღლესა და შვილებს. მაგალითი-სათვის მოვიყანოთ იმავე ეპოქის ერთ-ერთი სიგელი – „ჩუენ მეფეთა მეფის სულკურთხეულისა გ(იორ)გის ძემან მეფემან ალექსანდრე, პატრონმან დედუ(ფა) ლთა დედუ(ფა)ლმან, დედამან ჩუენმან ნესტანდარეჯან და თანამეცხედრემან ჩუენმან დედუფალმან ანამ... დაიწერა... ქ(რონი)კ(ო)ნსა რნიზ [1479 წ.], ინდიგ-ტიონსა მეფობისა ჩუენისასა გ [3], თუესა იენვარსა კგ [23]“ [24:301; 62:242-243].

დიმიტრის უშვილოდ გარდაცვალების მოსაზრებას ასევე ამტკიცებს 1452-1466 წლებს შორის მეფე გიორგი VIII-ის მიერ სამთავისისადმი გაცემული შენირულების სიგელი, სადაც აღნიშნულია: „ქ. ყ(ოვლა)დ საშინელო, არსებისა ხატო სამთავისისაო, მე... პატრონმან და მ(ლრ)თივ-გუირგუინოსანმა[ნ] მეფეთ მეფემან გიორგი, და ძემან ჩუენმან ალექსანდრე, გვადრეთ და მოგაჭინეთ მც-ირე ესე შესანირავი – უსისტყვეს სოფელი, დიმიტრის ნაქონი კაცნი და მამული მათითა... შეინირე, ეკლესიაო მღოთებისაო“ [62:62; 67].

იმავე მოსაზრებას ადასტურებს 1678-1688 წლებს შორის გაცემული საბუთიც, რომელიც საქართველოს კათოლიკოსის ნიკოლოზ VII ამილახ-ვრის მიერ შედგენილ სამთავისისადმი შენირულებათა ნუსხას წარმოადგენს. საბუთში აღნიშნულია, რომ „ნეტარმან მეფემან გიორგი მამამან ალექსანდრე მეფისამან, უსიტყვე სოფელი მამული დიდი ნაქონი დიმიტრი ბაგრატონისა რომელსა სახელ იყავნ კურთხეულ; ხოლო შეუდგა ალექსანდრე კეთილსა კვალ-სა მამისა თვისსა გიორგი მეფისასა, მეფემან ალექსანდრემ და შექმნა ჯვარი დროშად წინამძღვარი ცხოვრებისა და წარმმართებელი მეფობისა, თვისისა პატივად და წინასამძღოლად დიდისა მღუდელ მთავარსა დროშად სამთავისის ეპისკოპოსისა...“ [24:261; 29:272-273; გ68].

ეს სიგელები იმის დამადასტურებელია, რომ დემეტრე ალექსანდრეს ძეს ცოლ-შვილი რომ ჰყოლოდა, ანუ ერთი შვილი მაინც, მისი გარდაცვალების შემდეგ მის მამულს მეფე მონასტერს არ შესწირავდა, მამული მემკვიდრეობით გადავიდოდა მისი შვილის მფლობელობაში, აქედან გამომდინარე ქართლის მეფე კონსტანტინე // ვერანაირად გამოდის დემეტრე ალექსანდრეს ძის შვილი. არადა, როგორც ვიცით, კონსტანტინე სიგელებში თავის თავს დიმიტრის შვილად ასახელებს. მაშ ვინ არის ის დიმიტრი, რომელიც კონსტანტინე // -ის მამად სახელდება?

მეფე კონსტანტინე // თავის სიგელში არ ასახელებს საკუთარ მამას მეფის ტიტულით – „ჩუენ მეფემან დემეტრეს ძემან, პატრონმან ალმაშენებელმან კონსტანტინე დედამან ჩემმან გულაშარ...“ [24:265]. ასევე 1477 წლის დედა-ბერ ნინოს მიერ გაცემულ ქვათახევის მონასტრისადმი შენირულობის ნიგნში, კონსტანტინე // -ის მამა დემეტრე მოხსენიებულია მეფის ტიტულის გარეშე – „კითხვითა და ბ(რძანე)ბითა დიმიტრის ძისა მეფისა კონსტანტინესითა...“ [62:224; 69]. მხოლოდ ერთ-ერთ გვიანდელ, უთარილო (პირობითად XV ს. მინურული) სასისხლო სიგელში კონსტანტინე // თავის მამას (მის ადრინდელ სიგელებთ-

ან განსხვავებით) ასახელებს მეფეთ-მეფის ტიტულით, თუმცა დედას ისევ ძველებურად დედათა-დედად მოიხსენიებს, რაც უცნაურად გვეჩვენება – „...ქრისტეს ღმერთისა] მიერ სულკურთხეულისა, მეფეთ-მეფისა დემეტრესი ძე-მან, პატრონმან ალმაშენებ(ე)ლმან კონსტანტილე და დედათა დედამან ჩემ(მ)ან, პატრონებან გულაშარ“ [62:323; 70]. დედოფლის ტიტულის გარეშეა გულა-შარი მოხსენებულია ეკვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოაქვეყნებულ „საქართველოს სიძველენში“ – „...კოსტანტინე და დედათა დედამან ჩემმან, პატრონმან გულაშარ...“ [71:41-44]. თუმცა, თავად გულაშარი, მის მიერ გაცემულ ორ სიგელში, თავის თავს უწოდებს დედოფალს – „მე პატრონმა, დედოფალმა გულაშარ“ [62:128-129,283; 72; 73].

დააკვირდით, რომ კონსტანტინე // თავის მამას და დედას ადრინდელ პერი-ოდში გაცემულ სიგელებში მოიხსენიებს სამეფო ტიტულის გარეშე, მაგალითად – „დემეტრეს ძემან“ და „დედათა დედამან გულაშარ“ და არა „მეფეთ“ ან „დედოფლად“, რაც ბუნებრივად მიღებული ფორმა იყო მეფის ძის მიერ მშობლების მოხსენებისას. მხოლოდ გვიანდელი პერიოდის ერთადერთ სიგელში, როცა უკვე გარდაცვლილია ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII, კონსტანტინე // თავის მამას, დემეტრე დავითის ძეს მეფეთ-მეფის ტიტულით ასახელებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი საკვლები პერიოდის, კერძოდ XV საუკუნის I ნახევარში ისტორიულ წყაროებში მხოლოდ ორი დემეტრე ჩანს: 1) დემეტრე, ქვემო ქართლის „პროვინციის მეფის“ დავითის ძე, რომელიც თავის მამის „მეფობის“ დროს მმართველის ტიტულის გარეშეა მოყვანილი და 2) შიდა ქართლის („წყალს იქითა“) „პროვინციის მეფე“ დემეტრე, ალექსანდრე I დილის ძე. წარმოდგენილ ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ კონსტანტინე II-ის მამა იყო დემეტრე დავითის ძე და არა დემეტრე ალექსანდრეს ძე. ამას ადასტურებს ასევე ის ფაქტიც, რომ ქართლის სამეფო შტოში კონსტანტინეს შემდგომ თაობაში ხშრად მეორდება მისი წინაპრის - დავითის სახელი, რაც ზოგადად გასათვალისწინებელი დეტალია გენეალოგიისათვის. მაგალითად, მეფე კონსტანტინე II-ის ძმასაც [25:140; 38:303; 52; 62:138; 74; 59; 75:349; 76; 77:124-125,139; 78] და მის უფროს შვილსაც, დავითი ერქვათ [24:187,305-309,320,326; 29:267-269,766; 36; 38:295,300-301,392-400; 43:40-41,134; 48:125,127-128,205-207,217-221; 49:144,181,16; 77:99-102; 79:486-487,490-493; 80:39-40; 81:93,95,98,102,226; 82:336]. სქემატურად ეს გენეალოგიური ფრაგმენტი ასე გამოიყურება:



საქართველოს მეფის ვახტანგ IV-ის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს ტახტზე ადის მისი უმცროსი ძმა გიორგი VIII, რომელსაც მძიმე მემკვიდრეობა ერგო წილად. მის გამეფებამდე დაწყებული ქვეყნის პოლიტიკური დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. 1465-1466 წლებში გიორგი VIII სამცხის ათაბაგმა, ყვარყვარე II ჯაყელმა ვერაგულად შეიპყრო, ამით ისარგებლა იმერეთის „პროვინციის მეფეზ“ ბაგრატმა, გადმოვიდა ქართლში და თავი მეფედ გამოაცხადა [60:97].

ქვეყნისათვის ასეთ მძიმე ვითარებაში პოლიტიკურ არენაზე ასევე გამოჩნდა კონსტანტინეც, რომელიც შემდგომ ქართლის ბაგრატიონთა სამეფო შტოს მამამთავარი გახდა.

1466 წელს ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII იძულებულია კახეთში გამაგრდეს, სადაც კახეთის სამეფო შტოს ფუძემდებელი ხდება.


1466 წელს კონსტანტინე II-ის მიერ ზაქარია ჯავახიშვილისადმი გაცემულ წყალბის სიგელში ის მეფე გიორგი VIII-ს ბიძად მოიხსენებს - „...მას ჟამს, ოდეს ღმრთისა გარეგანმან ყუარყუარე პატრონმა, ბიძასა ჩუენისა მეფესა გიორგის ულალატა და ჩუენსაცა ლალატსა და ავსა აპირებდა... დაიწერა ესე სიგელი ქორონიკონსა რნდ (1466 ნ.)“ [83:134]. ხაზგასასმელია, რომ კონსტანტინე II ბიძად იხსენიებს გიორგი VIII-ს, თუმცა ისინი ერთმანეთისათვის შორეული ბიძაშვილები იყვნენ. საერთოდ, შუა საუკუნეებში, თუკი ერთი ბიძაშვილი ასაკით დიდად აღემატებოდა მის მეორე ბიძაშვილს, მაშინ უმცროსი უფროსს ხშირად ბიძად მოიხსენებდა.

1460 წლის ცნობილი უურულის სიგელს, რომელიც თავის დროზე ბოძებული იყო მეფე გიორგი VIII-ის მიერ, აქვს მეფე ბაგრატ VI-ის შემდეგი მინაწერი, შესრულებული 1472 წელს: „ქ. შემდგომად ამისა, ჩუენ ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან მეფეთ მეფემან ბაგრატ, ნებითა ღ(მრ)თისათა დავიპყარით მეფობა ორისავე ტახტისა ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, და ვნახეთ სიგელი ესე სასისხლო შეწყალებისა ბიძის ჩუენისა გ(იორ)გისაგან წყ(ა)ლობით ბოძებული, და ჩუენცა შეგიწყ(ა)ლეთ და დაგიმტკიცეთ... დაიწერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა ზ [7], ქ(ორონი)კ(ონ)ისა რდ [160 (=1472 ნ.)]“ [24:280; 62:62]. ამ სიგელს ასევე ამტკიცებს ქართლის კათოლიკოს-პატრიიარქი დავით III (1466-1479) და ამ სიგელშიც მეფე გიორგი VIII არის მოხსენებული, როგორც ბაგრატ VI-ის ბიძა – „ქ. ჩ(უე)ნ, ესე ვითა ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანსა მეფეთა მეფესა ბაგრატს ბიძისა მათისა ნაბოძები სასისხლო სიგელი და წიგნი დაუმტკიცებია უურულისათუის, მე გლახაკი ქ(ართლი)ს კ(ათალიკო)ზი და(ვი)თი კანონითა ვამტკიცებთ“ [24:280; 62:117].

ამ სიგელითაც ნათლად ჩანს, რომ ბაგრატ VI, ისევე როგორც კონსტანტინე II, თავის ბიძაშვილს, მეფე გიორგი VIII ბიძას უწოდებს. ეს ასევე მიუთითებს იმაზე, რომ გიორგი VIII წლოვანებით თავისი თაობის ნათესავებზე (ბაგრატ VI, კონსტანტინე II) ასაკით უფროსია, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს გიორგი VIII-ის სამეფო შტოს გენეალოგიურ უფროსობას.

ზემოთ მოყვანილ ისტორიულ დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება

შემდეგი გენეალოგიური სურათი: მეფე კონსტანტინე I, მისი შვილები – ალექსანდრე I დიდი და ბატონიშვილი გიორგი; შვილიშვილები – გიორგი VIII ალექსანდრე მეფის ძე და ბაგრატ VI გიორგის ძე. სქემატურად ეს გენეალოგიური ფრაგმენტი ასე გამოისახება:



ზემოთ წარმოდგენილი კვლევის შედეგად ჩანს, რომ ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის მამა იყო მეფე ბაგრატ V-ის უმცროსი შვილის, „პროვინციის მეფე“ დავითის ვაჟი – დიმიტრი ბატონიშვილი და არა საქართველოს მეფის – ალექსანდრე I დიდის ვაჟი, „პროვინციის მეფე“ დიმიტრი.

ასე დგინდება კახეთის, იმერეთის და ქართლის ბაგრატიონთა სამეფო შტოების წარმომავლობა, რომელსაც სათავე დაუდეს ბაგრატ V-ის შვილთაშვილებმა. (იხ. დანართი, ტაბულა №16)

### წყაროები და ლიტერატურა:

- თ.ჭყონია. გორევის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი. კრებული „ლიტერატურული ძიებანი“, ტ.IV, თბ., 1948, გვ.279, დანართი №1 - „ბაგრატიონთა გენეალოგიური ხე“.
- ვახტანგ ბატონიშვილი. „ბაგრატოანთ ნათესაობის წიგნი“. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი ც-884 (ხელნაწერი).
- P.P.Օրბელი. Грузинские рукописи Института Востоковедения АН СССР, вып. I, М.-Л., 1956.
- ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.). მთავარი რედაქტორი კ.ტატაშევე. თბ., 1997.
- ვახუშტი. საქართველოს ისტორია. განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის (ცნობებით დ.ზ.ბაქრაძის მიერ. ტფ., 1885.
- M.Deguignes. Histoire generale des Huns, des Turcs, des Mogols. t.I. partie premiere, Tables Chronologiques. Paris, MDCCCLVI (1756).
- Histoire de la Géorgie. Depuis l'Antiquité jusqu'au XIX siècle. vol.V, 2-re partie, 4. Addition, t.IX, Traduction et additions par M.Brosset. S.-Petersbourg, 1856.
- А.Филадельфин. Генеалогия Грузинского Царского Дома. “Кавказский календарь” на 1853 год. Тифлис, 1852.


9. Российская родословная книга издаваемая князем Петром Долгоруковым. Часть 2. СПб., 1855.
10. მარი ბროსსე. საქართველოს ისტორია, ნაწილი მეორე მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ქრონოლოგიით. გამომცემელი ნ.ღოღბერიძე. ტფ., 1900, დანართი: შთამომავლობითი სია ქართლის და კახეთის მეფეთა.
11. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე.თაყაიშვილის ფონდი №589 - ხროლოგია ცარствований, ლ.1-3.
12. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე.თაყაიშვილის ფონდი №603 - „ბაგრატ დიდის გენეალოგია“, ფ.1.
13. ნ.ბერძენიშვილი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწ. I. ს.ჯანაშიას რედაქტორობით. უფროსი კლასების საშუალო სკოლის სახელმძღვანელო, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ. თბ., 1946.
14. მ.სურგულაძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლი. სერია მეფეები და სამეფო ოჯახები. თბ., 1995. გენეალოგიური ტაბულები შეადგინეს: მ.სურგულაძემ და მ.ქავთარიამ.
15. Histoire de la Géorgie. Depuis l'Antiquité jusqu'au XIX siècle. vol.V, 2-re partie, 4. Addition, t.IX, Traduction et additions par M.Brosset. S.-Petersbourg, 1856.
16. ივ.ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, ნაწ. II (XV ს.). ტომის რედაქტორი მ.დუმბაძე. თბ., 1982.
17. ს.კაკაბაძე. გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა. თბ., 1913.
18. ს.კაკაბაძე. უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II. თბ., 1913.
19. ს.კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. წიგნი 2, თბ., 1913.
20. ს.კაკაბაძე. სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი 1488 წლისა. თბ., 1913.
21. ს.კაკაბაძე. ვეფხის ტყაოსანი. თბ., 1913.
22. ს.კაკაბაძე. მე-XV საუკუნის I ნახ. აფხაზ-იმერეთის მეფეთა გენეალოგიურ საკითხთაგან. „კვლევა-ძიება საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ“, თბ., 1920.
23. ს.კაკაბაძე. გენეალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფისა. თბ., 1921.
24. თ.უორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ტ.II. თბ., 1897.
25. ნ.ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. I, თბ., 1937.
26. ე.მეტრეველი მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ., 1962.
27. ჯ.ოდიშელი. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.). კრებულში: „XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი“. თბ., 1964.
28. მ.სურგულაძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლი. გენეალოგიური ტაბულები შეადგინეს: მ.სურგულაძემ და მ.ქავთარიამ. თბ., 1995.
29. პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ.I. გამოსაცემად მოამზადეს დ.კლდიაშვილმა, მ.სურგულაძემ, ე.ცაგარეიშვილმა, გ.ჯანდიერმა. თბ., 1991.
30. დ.ნინძე. XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი. თსუ „შრომები“, ტ.283, თბ., 1989.


31. დ.ნინიძე. გომრგი VII წინააღმდეგ შეთქმულების ისტორიისათვის. ჟურნ. „მნა-თობი“, №7, თბ., 1991.
32. დ.ნინიძე. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმოშობისათვის. „მაცნე“, ის-ტორიის სერია, №3, თბ., 1992.
33. დ.ნინიძე. „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში. თბ., 1995.
34. ს.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ა.მხეიძე. ბაგრატიონები. თბ., 1995.
35. ს.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ა.მხეიძე. ბაგრატიონები. 2 გამოცემა. თბ., 2000.
36. ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია, ტაბულები №1, №2, №3, №4, №5. წიგნში: ბაგრა-ტიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003.
37. დ.ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია. თბ., 2004.
38. ვახუშტი. აღნერა სამეფოსა საქართველოსა. წიგნში: ქართლის ცხოვრება. ტ.IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.
39. ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ.3. თბ., 1982.
40. მიქელ პანარეტისი. ტრაპიზონის ქრონიკა. „გეორგიკა“, ტ.3. ბიზანტიული მწერ-ლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანულურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1967.
41. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი ცდ-1368 (ხელნაწერი).
42. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ.II. ქართული ისტორიული საბ-უთები XIV-XV საუკუნეები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომონაძემ. ტომის რედაქტორი მზია სურგულაძე. თბ., 2013.
43. ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბ., 1980.
44. თოვმა მენოფელი. ისტორია თემურ-ლენგის და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმანა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ.კუციამ. თბ., 1987.
45. ვეფხის ტყაოსანი. ს.კაკაბაძის რედაქტორობით. თბ., [1913].
46. ე.თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, ტ.I, გამოცემა მეორე, წ.I. ტფ., 1920, გვ.6.
47. დ.ბაქრაძე. საქართველოს ისტორია. თბ., 1885.
48. ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ.4. თბ., 1967.
49. დ.გრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XV სს.). თბ., 1962, გვ.340.
50. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.3. ტომის რედაქტორები ზ.ანჩაბაძე და ვ.გურია. თბ., 1979.
51. დ.ნინიძე. შიდაპოლიტიკური ბრძოლა და „პროვინციის მეფეები“ საქართველოში XIV-XV სს. დისერტაციის ავტორეფერატი ისტორიული მეცნიერების კანდიდა-ტის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1992.
52. დ.ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII სს.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მო-საპოვებლად. თბ., 1998.
53. ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია, ტაბულა №3. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003.

54. С.С.Какабадзе. Грузинские документы института народов Азии. Москва, 1967.
55. Дворянские Роды Российской империи. т.III, Князья. Москва, 1996.
56. Histoire de la Géorgie. Depuis L' Antiquité jusqu'au XIX siecle. Traduite du Georgien par M.Brossel. 1-re Parte. Histoire ancienne jusqu'en 1469 de J.-C.S.-Petersbourg, 1849.
57. C.Toumanoff. Manuel de genealogie et de chronologie pour l'histoire de la Caucassie Chretienne (Armenie-Géorgie-Albanie). Roma, 1976.
58. თ.ქორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა. ტფ., 1896.
59. ს.კაკაბაძე. დიდის ალექსანდრე მეფის გამეფების თარიღი. თბ., 1913.
60. ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ.IV, თბ., 1948.
61. ე.მეტრეველი მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ., 1962.
62. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ.III. ქართული ისტორიული საბუთები XV საუკუნის მეორე ნახევარი. შეადგინეს: თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ. გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ. თბ., 2014.
63. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad-1გ, (ხელნაწერი).
64. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad-1ე (1445-1450 წწ.), (ხელნაწერი).
65. დ.Пурцеладзе. Церковные гуджары. Тб., 1891.
66. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd-1242 (1466-1478 წწ.), (ხელნაწერი).
67. სცია, ფონდი 1449, საპ. №1613 (1452-1466 წწ.).
68. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad-565 (1678-1688 წწ.), (ხელნაწერი).
69. სცია, ფონდი 1449, საპ. №1488 (1477 წ.).
70. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd-521 (XV ს. მიწურული), (ხელნაწერი).
71. ე.თაყაიშვილი. „საქართველოს სიველენი“, II, თბ., 1909.
72. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd-1355 (1462 წ.), (ხელნაწერი).
73. სცია, ფონდი 1449, საპ. №1489 (1488 წ.).
74. სცია, ფონდი 1448, საპ. №5027 (1464 წ.).
75. ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. წიგნში: ქართლის ცხოვრება. ტ.II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959.
76. ნ.ასათიანი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (კახეთის სამეფოს წარმოქმნის საკითხისათვის). თსუ „შრომები“, ტ.78, თბ., 1963.
77. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 2. თბ., 1965.
78. ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გენეალოგია, ტაბულა №4. წიგნში: ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003.
79. ახალი ქართლის ცხოვრება (მესამე ტექსტი). წიგნში: ქართლის ცხოვრება. ტ.II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959.
80. მცირე ქრონიკები. ტექსტები გამოსცა ჯ.ოდიშელმა. თბ., 1968.
81. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.4. რედაქტორი მ.დუმბაძე. თბ., 1973.
82. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.III. მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე. თბ., 1978.
83. ი.დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.II, თბ., 1965.

### დანართი


**ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა №1** (თ.ჭყონია. გორგას ღლები აღმოჩენილი ქართული სიძველენი. კრებული “ლიტერატურული ძეგლები”, ტ.IV, თბ., 1948, გვ.279; ვახტანგ ბატონიშვილი. “ბაგრატონით ნათესაობის წიგნი”. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Q-884 (ხელნაწერი)).





## დანართი

**ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა №3**  
 (ვახუშტი. საქართველოს ისტორია. განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ.ზ.ბაქრაძის მიერ. ტფ., 1885, გვ.339-342).



## დანართი

**ბაქარ ბაგრატიონის მიერ შედგენილი (1737-1738 წ.) გენეალოგიური**

**ტაბულა №4** (M.Deguignes. Histoire generale des Huns, des Turcs, des Mogols. ტ. I. partie premiere, Tables Chronologiques. Paris, MDCCLVI (1756), p.438).

Mepe Alexandre II. Il avoit un fils nomme Tamar. Alexandre a fair rebatir l'Eglise patriarchale de Mskhet.

Mepe Vakhtang III.

Mepe Giorgi VIII, fils d'Alexandre II. Sous son règne les Turcs se font empereurs de Constantinople.

Mepe Bagrat VI.

Mepe Konstantine I.


Mepe Alexandre, fils de Bagrat VI, Il avoit un fils nomme Tamar.

Mepe Konstantine II. Il avoit un fils nomme Tamar.

## დანართი


**აკად. მარი ბროსსეს მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა №5**

(Histoire de la Géorgie. Depuis l'Antiquité jusqu'au XIX siècle. vol.V, 2-re partie, 4. Addition, t.IX, Traduction et additions par M.Brossel. S.-Pétersbourg, 1856, p.625-626.)



### დანართი


ა.ფილადელფინის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა №6  
 (А.Филадельфин. Генеалогия Грузинского Царского Дома. “Кавказский календарь”  
 на 1853 год. Тифлис, 1852).



**დანართი**

**3.დოლგორუკოვის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა №7**

(Российская родословная книга издаваемая князем Петром Долгоруковым. Часть 2. СПб., 1855, стр.9).

**დანართი**


**აკად. მარი ბროსსეს მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა №8**

(მარი ბროსსე. საქართველოს ისტორია, ნაწილი მეორე მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ქრონოლოგიით. გამომცემელი ნ.ლოლერიძე. ტფ., 1900, დანართი: შთამომავლობითი სია ქართლის და კახეთის მეფეთა)




### დანართი

აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიური  
ტაბულა №9 (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე.თაყაიშვილის ფონდი №589 -  
Хронология царствований, л.1-3)



### დანართი

აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა №10  
(ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე.თაყაიშვილის ფონდი №603 -  
„ბაგრატ დიდის გენეალოგია“, ფ.1)




### დანართი

აკად. ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის მიერ  
შედგენილი გენეალოგიური ტაბულა №11

(6. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნან. I.  
ს. ჯანაშიას რედაქტორობით. თბ., 1946).

ბაგრატიონთა საქართველოს სამეფო ხახვის ძრიული შტატი  
სწავლის უძინესი ტაბულა. კრისტინი საქართველოს მეცნიერება



### დანართი


მ.სურგულაძის და მ.ქავთარიას მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა №13 (მ.სურგულაძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლი. სერია მეფეები და სამეფო ოჯახები. თბ., 1995, გვ.50-51. გენეალოგიური ტაბულები შეადგინეს: მ.სურგულაძემ და მ.ქავთარიამ.)

#### ერთიანი საქართველოს სამეფო სახლი

ბაგრატ V (1365-1395).


= 1. ქლენე (7-1366)

= 2. ანა ქომიანოზი, ტრაპიზონის ქაისრის ასული




## დანართი

ს.დუმინის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა №14  
**Династическое старшинство в Царской династии Багратионов**  
**(краткая родословная схема)**



შეჯგუმისა და სამუშაოების გენერის ფინანსურული ფუნქციები (XIV-XV სს.).



J. (IOSEB) BICHIKASHVILI

**TO THE QUESTION OF CLARIFYING THE GENEALOGY OF THE  
GEORGIAN ROYAL DYNASTY OF BAGRATIONI (XV CENTURY)  
[On the issue of clarifying the origin of the first king of Kartli Constantine II]**

**Summary**

The objective of this work is to clarify issues related to the genealogy and the chronology of the Bagrationi Royal Dynasty. In particular the article casts light on the question of the founder of the Kartlian Royal House of Bagration (XV century). It also considers which of the three Royal Houses of Bagrations is genealogically the most senior and which is the most junior. The article analyses when and by whom mistakes were made regarding the genealogy of Georgian kings, which mistakes were later erroneously used by famous historians in their studies, a list of which is also given in this study. Based on historical sources and XV century sources, the author demonstrates that the father of Constantine II of Kartli was Dimitri who was the son of the “provincial king” of Kvemo (Lower) Kartli David rather than the son of the other “provincial king” of Shida (Internal) Kartli, Dimitri, who was the son of Alexander I the Great, King of Georgia. Thus, it reveals that the founders of the emerged three Royal Houses that are Kakheti, Imereti and Kartli were the great-grandchildren of the King of Georgia Bagrat V, and the line of the Kings of Kartli is the most junior in relation to the lines of the Kakheti and the Imereti.

**И.Л.БИЧИКАШВИЛИ**

**К ВОПРОСУ ОБ УТОЧНЕНИИ ГЕНЕАЛОГИИ ГРУЗИНСКИЙ  
ЦАРСКОЙ ДИНАСТИИ БАГРАТИОНИ (XV В.)  
[К вопросу об уточнении происхождении первого царя Картли  
Константина III]**

**Резюме**

Целью настоящего труда является уточнение вопросов, связанных с генеалогией и хронологией Грузинской Царской Династии Багратиони, в частности, статья проливает свет на вопрос о родоначальнике карталинских Багратионов (XVв.), а также на то, какая из генеалогических линий грузинских царей является старшей, а какая младшей.

В статье подробно разбирается, когда и кем из грузинских царей были допущены ошибки в генеалогии, в дальнейшем перенесенные известными учеными в свои таблицы, список которых также приведен в статье. Основываясь на исторических источниках и документах XV века, автор доказывает, что отцом Константина II был сын “провинциального царя” Квемо (Нижней) Картли Давида Димитрий, а не сын Царя Грузии Александра I Великого, “провинциальный царь” Шида (Внутренней) Картли Димитрий. Таким образом выясняется, что родоначальниками линии Царей Кахети, Имерети и Картли были правнуки Царя Грузии Баграта V, а генеалогически линия карталинских царей является младшей по отношению к линиям царей Кахети и Имерети.

## ვახტანგ გურული

### არჩილ ჯორჯაძე

(ეროვნული თანხმობის იდეა და მისი განხორციელების გზები)

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს ქართულ საზოგა-დოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში სამი ახალგაზრდა მოღვაწე გამოირჩა, რომელთაც, ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრის პრეტენზია შეიძლებოდა ჰქონოდათ. ილია სამივეს კარგად იცნობდა, სამივეს აფასებდა და ამიტომ ცდილობდა როგორმე ისინი ეპოქის სენის, სოციალისტური იდეების, გავლენისაგან დაცვა. ეს იმდენად ძნელი მისაღწევი იყო, თვით ილია ჭავჭავაძესაც კი გაუჭირდა... სამთაგან ორი ეროვნულსა და სოციალურს შორის კარგა ხნის მერყეობის შემდეგ სოციალისტები გახდა, მესამე ამ სენისაგან ილიამ იხსნა. ილიას მკვლელობის დროისათვის არჩილ ჯორჯაძე (1872-1913) 35 წლის იყო. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულს საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული, სილრმისეულად ჰქონდა შესწავლილი საქართველოს ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული უურნალისტიკის ისტორია. არჩილ ჯორჯაძე ქართული ეროვნული მოძრაობის შესანიშნავი მცოდნე და ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვანის სათანადო დამფასებელი იყო. ილია ჭავჭავაძესთან უთანხმოების მიუხედავად, არჩილ ჯორჯაძე იყო ერთადერთი მოღვაწე, რომელსაც, ცხადია, არ შეიძლებოდა პრეტენზია ჰქონოდა ერის სულიერ მამობასა და საქართველოს უგვირგვინო მეფობაზე, მაგრამ ყველაზე უკეთ შეეძლო ქაზრთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის წინამძლოლობა და პარტიებად გათიშული ქართველობის ეროვნული იდეის ირგვლივ შემოკრება.

არჩილ ჯორჯაძის ნააზრევის ერთ სისტემაში მოყვანა და ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შეფასება ერთ საუკუნალო სტატიაში შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას შევეხებით.

### საერთო მოქმედების ნიადაგი

არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობის გააზრება 1901-1902 წლებში მის მიერ გაზეთ „ცნობის ფურცელსა“ და უურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულ წერილებსა და სტატიებზე დაყრდნობით ხდება შესაძლებელი. ამ პერიოდისათვის მისი შეხედულებები საქართველოს ხსნის გზის თაობაზე სოციალიზმ-ფედერალიზმის იდეოლოგიის შემუშავებას უკავშირდება და რადიკალურ ცვლილებებს არ განიცდის. ამ პერიოდში არჩილ ჯორჯაძემ ჩამოაყალიბა

„საერთო მოქმედების ნიადაგის” პრინციპები, რაც ახალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში იღია ჭავჭავაძის „ნოდებათა შერიგების” იდეის გაგრძელებას და განვითარებას წარმოადგენდა. არჩილ ჯორჯაძემ ამ დიდ ეროვნულ პრობლემას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის: „ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები”, „საერთო მოქმედების ნიადაგი”, „მოკამათე დასთა საერთო მოქმედების ნიადაგი ევროპაში”, „რა არის ინტელიგენცია?”, „ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო”, „ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო დედა-აზრი”, „ვის უნდა დარჩეს ჩვენი მიწა?”, „ეროვნულ საკითხის განმარტების გამო”, „კიდევ საერთო მოლვანეობაზე”, „ეკონომიური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა” და სხვ.

ნერილს „ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები” (1901 წ.)<sup>1</sup> არჩილ ჯორჯაძე ეროვნული საკითხის მნიშვნელობის გარკვევით იწყებს: „იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელიც აღძრა ჩვენმა ცხოვრებამ, ყველაზე მეტად ღირს-შესანიშნავი ეროვნული საკითხია, რადგან მისი სისწორით განმარტება და აღსნა ამავე დროს აღსნაა სოციალურ საკითხისა, იმ საკითხისა, რომელმაც ასე თვალსაჩინოდ დაჰყო, დაანაწილა ჩვენი ინტელიგენცია ერთმანეთის მოპირდაპირე დასებათ.” როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე აღიარებს, სოციალური საკითხის გადაჭრა ეროვნული საკითხის სწორად გაგებასა და სწორად გადაჭრაზეა დამოკიდებულიო. ასეთი დასკვნით სტატიის ავტორი იმ-თავითვე დაუპირისპირდა სოციალისტური ორიენტაციის ძალებს და პირველ რიგში, ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც სოციალური საკითხის მოგვარებას ეროვნული პრობლემატიკის გადაჭრის წინაპირობად მიიჩნევდნენ.

ეროვნულ და სოციალურ საკითხთან მიმართებაში არჩილ ჯორჯაძე ქართველ საზოგადოებაში არსებულ განწყობილებას ასე აფასებს: „ერთის მხრით, ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ძველთა გმირთა მოგონებით გატაცებული, ოცნებობს წარსულის ცხოვრების შესახებ და თვალებ დახუჭვილს, არა ჰსურს დაინახოს რთული პირობები თანამედროვე ცხოვრებისა, თაგს არ იტკივებს აწინდელის წესწყობილების უთანხმოების ასაცილებლად, და ასე კი შეუძლებელია ნორმალური წარმატება ჩვენი ერისა. მეორეს მხრით კი, ჩვენი ახალ-დაბადებული ეგრედ წოდებული „მესამე დასი” საქართველოს ორ კლასადა ჰყოფს და ამბობს, ამ კლასთა შორის ეკონომიური განხეთქილება არსებობს, რის გამოც მათ არავითარი საერთო ინტერესები არა აქვთო. ეს დასი იმის ცდაშია, იდეოლოგიურად შექმნას განკერძოვებული კლასები, და ეს მისი ცდა ეწინააღმდეგება ხშირად ქართველ ერის ნამდვილ ინტერესებს.” ამ შემთხვევაშიც არჩილ ჯორჯაძე პრინციპულად არ ეთანხმება სოციალ-დემოკრატების უმთავრეს დოგმას – კლასთა ბრძოლის გარდაუვალობის აღიარებას. არჩილ ჯორჯაძის მისწრაფება შექმნილ ვითარებაში ასეთი იყო: „საჭიროა, ამ ორმა მოკამათე მხარემ კარგად გაითვალისწინოს, თუ რა აშორებს მათ ერთმანეთს და რომელ შემთხვევაში შეუძლიანთ ხელი ხელს

1 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 1-7.

მისცენ.” როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა შორის შეთანხმების იმედს არ კარგავდა.

XX საუკუნის დამდეგისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგად საქართველოში საკმაოდ რთული, არაერთგვაროვანი ვითარება შეიქმნა. არჩილ ჯორჯაძე წერს: „ჩვენმა ბურუუაზიულ-ეროვნულმა ჯგუფმა სახეში უნდა იქონიოს ის გარემოება (ჩვენ ვამბობთ იმ პირთა შესახებ, რომელთა იდეალი ძველი ფეოდალური საქართველო), რომ საქართველო ადრე თუ გვიან ველარ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს და აგრეთვე ამ პროცესის შედეგს, ეს იგი შრომის განსაზოგადოებრივობას და მით შრომის და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის მოსპობას. ის გარემოება, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არიან მკაფიოდ განკერძოებული კლასები (პროლეტარიატი და ბურუუაზია), რომ ჩვენი მრეწველობა ჯერ განუვითარებელია, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხში ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობაა, – ყოველი ეს შეუძლებელია ჩაითვალოს იმის საბუთად, რომ საქართველო, ერთხელაც არის, მრეწველობის გზას არ დაადგეს. ეს ფაქტები მხოლოდ იმას ჰმობენ, რომ ჩვენ ცოტა გვიან დავადგებით ამ გზას. მიუხედავად ამისა, ჩვენს ცხოვრებაში უკვე ისეთი პირობებია, რომელთა გავლენით ჩვენი ქვეყანა ვერ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს. ქართველი მწარმოებელი, უმეტეს შემთხვევაში მეურნე, დიდი ხანია მსოფლიო ბაზრისათვის მუშაობს, და ჩვენის სოფლის ნატურალური ნარმოება თანდათან ადგილს უთმობს ფულით ნარმოებულ მეურნეობას. საკმაოა ამ ორი თითქმ უმნიშვნელო ფაქტორის არსებობა, რომ შეუძლიარათ იწინასწარმეტყველოს კაცმა ის ეკონომიკური პროცესი, რომელსაც დაადგება ესა თუ ის ერი.” როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძემ საზოგადოებას არსებული სოციალური და ეკონომიკური ვითარების ღრმა და სერიოზული ანალიზი მიაწოდა, ზუსტად იწინასწარმეტყველა ამ ორი სფეროს მხრივ ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივა.

არჩილ ჯორჯაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ძირეული სოციალური და ეკონომიკური ცვლილების მიმართ ქართველი ერი არაერთგვაროვნად რეაგირებდა: „ჩვენს ბურუუაზიულ ნაციონალისტებს, რომელნიც ხალხის კეთილდღეობისათვის პფიქრობენ, მიუხედავად მათის მიმართულებისა (ლიბერალი იქნება, თუ კონსერვატორი), არ შეუძლიანთ უარჲყონ ის მოვლენანი, რომელნიც წინ გადაელობებიან ამ კეთილდღეობის განხორციელების საქმეში, რადგან განვითარება ეროვნულ ცხოვრების ფორმათა ყოველთვის არ არის ხოლმე თავმდები ამ ერის კეთილდღეობისა და წარმატებისა.” სხვაგვარად ფიქრობდნენ სოციალ-დემოკრატები: „მეორეს მხრით, ჩვენს „მარქსისტებს” არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ რთული და საშიში საკითხი ქართველთა ცხოვრებისა ის კი არ არის, რომ ჩვენს ეკონომიკურ დამოკიდებულებაში უთანხმოებაა – ის უთანხმოება, რომელიც ყველა თანამედროვე საზოგადოებათა ცხოვრებაშიცა (არ უნდა დავივინყოთ, რომ ეს უთანხმოება ჩვენში ნაკლებ მწვავეა), არამედ ის, რომ მთელი ჩვენი ერი და ქვეყანა განსაცდელშია, რომ ჩვენ ერს თანდათან გადაგვარება მოელის. ჯერ ერი უნდა დავიცვათ და მერე ის ვიზრუნოთ, თუ რა გზაზე დავაყენოთ იგი. როდესაც მონამე ხარ ერის

გადაგვარებისა, როდესაც ხედავ, რომ ეს გადაგვარება ერთნაირად ემუქრება ხალხის ყველა კლასთა, პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის გულის სიღრმეში – თუ ჯერ კიდევ სრულად არ არის ღონე-მიხდილი – არის აზრი საერთო ალორძინებისა და საერთო მოქმედებისა თავისი ვინაობის დასაცავად და შესარჩენად.” ამ შემთხვევაშიც არჩილ ჯორჯაძემ სრულიად გარკვევით აღნიშნა, რომ „სოციალიზმის სამოთხის” მიღწევამდე ქართველი ერის წინაშე იდგა უპირველესი ამოცანა: ეროვნული საკითხის იმგვარად და იმ დონეზე გადაჭრა, რომ დაუყოვნებლივ შეჩერებულიყო ქართველთა გადაგვარების პროცესი და დაწყებულიყო შედაბული ეროვნული ღირსების აღდგენა – ქართული ეროვნული ცნობიერების ალორძინება-გაძლიერება. არჩილ ჯორჯაძე წუხდა, რომ ზემოთ ხსენებული ორი თვალსაზრისიდან ამას არცერთი არ ითვალისწინებდა: „ასე რომ, როგორც ჩვენი ბურჟუაზიული წაციონალისტები სცდებიან ქართველი ერის იდეალების შემუშავებაში, ისე სცდებიან ჩვენი „მარქსისტებიც”, იმის გამორკვევაში, თუ რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის.”

არჩილ ჯორჯაძემ ქართველ საზოგადოებაში ორი მიმდინარეობის შეთანხმება აუცილებლად მიიჩნია, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ეს არცთუ ისე ადვილი საქმე იქნებოდა: „როცა პირველ ჯგუფის პირთ (წაციონალისტებს – ვ. გ.) ეუბნები, რომ ჩვენს ხალხში უკვე თავი იჩინა ახალმა ეკონომიურმა პროცესმა, რომ იმ პროცესის შეჩერება იმგვარადვე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია კაცმა იძულებულ ჰყოს მდინარე აღმა იდინოს; როცა ამათ უთითებ იმ ცვლილებაზე, რომელიც ჩვენს მეურნეობაში ხდება, როცა ეუბნები, რომ ქალაქში ქართველი მუშები ჩნდებიან და რომ ჩვენი თავად-აზნაურობა გადაგვარების გზაზეა დამდგარიო, როცა ეუბნები მოვაჭრეთა და მრეწველთა წოდება ჩნდება, როცა ეუბნები, რომ ამ მოვლენათა გავლენით საჭიროა ახალი კრიტერიუმი და ახალი საზოგადოებრივი იდეალის შექმნაო, – აი, სწორედ ამ დროს ამ პირველ ჯგუფის პირნი განგაშს სცემენ და მაღალის ხმით გაიძახიან – არიქათ, მამულს განსაცდელი მოელისო!.. ხოლო, მეორეს მხრით, როცა მიჰმართავ მეორე კატეგორიის პირთ (სოციალ-დემოკრატებს – ვ. გ.) და ეუბნები, რომ საჭიროა დაიცვათ საერთო ეროვნული ინტერესები (თუნდა, მაგალითად, სომეხთა ცრუ პატრიოტთა დასის წინააღმდეგ, რომელსაც ჰსურს აღმოფხვრას კავკასიაში ყოველი ნიშან-წყალი საქართველოს ძველის კულტურისა); როცა ეუბნები, რომ გარედან მტერი მოგვდგომია და ამ დროს შეუძლებელია კლასთა ბრძოლა გაუხადოთ საფუძვლად ჩვენს პრაქტიკულს მოქმედებასაო; როცა ეჭვის თვალით დაპყურებ იმ „სამეცნიერო“ და ეკონომიურ კანონებს, რომელიც შემუშავებული არიან გერმანელ ავტორთა დიდტანიან თხზულებებში, – თქვენ სიტყვას გაწყვეტინებენ, ქედმაღლურად და ზიზღით გნათლავენ „ბურჟუას“ სახელით.” წარმოდგენილი ანალიზი მთელი სისრულით გვიხატავს იმ სამწუხარო მდგომარეობას, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ-ბალიტიკურ მოძრაობაში არსებობდა.

შექმნილ ვითარებაში არჩილ ჯორჯაძეს მოვლენათა განვითარება ასე წარმოედგინა: „ჩვენ ვამბობდით, რომ კანონიერად განმარტებული ეროვნუ-

ლი საკითხი, საკითხია ადამიანთა სიცოცხლისა და თავისუფლებისა, თანახმად წინამდებარე დროისა და ადგილისა. და ამისათვის ჩვენებურ დასთა შორის ატეხილ კამათს მხოლოდ მაშინ მოელება პოლო, როდესაც თვალსაჩინოდ განმარტებული იქნება თავისუფლება ადამიანთა ცხოვრებისა, თანახმად დროისა და ადგილისა. როცა ჩვენ ვახსენებთ სიტყვა „თავისუფლებას“ და „ადამიანთა თავისუფლების“ შესახებ ვლაპარაკობთ, სახეში გვაქვს არა მეტაფიზიკური ახსნა ამ მცნებისა, რომელიც, როგორც მოგვითხრობენ ფილოსოფოსნი, ტრიალებს ზესთა-გრძნობათა სფეროში, არამედ სრულიად რეალური, განსაზღვრული, შუათანა ნიჭის ადამიანის გონებისათვის ადვილად მისაწვდომი და გასაგები ახსნა. სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ადამიანისათვის განავითაროს ფიზიკური და სულიერი თვისებანი; ამიტომ ეროვნება ამჟამად, განსაკუთხებით ჩამორჩენილ ერთა შორის, აუცილებელი პირობაა ადამიანთა თავისუფლად განვითარებისათვის და მხოლოდ იმდენად შესაწყნარებელი, რამდენადაც იგი სავსებით ემსახურება ამ დანიშნულებას.“ ასეთი დასკვნით არჩილ ჯორჯაძე კვლავ სოციალისტებს უპირისპირდება და აცხადებს: ადამიანის ნორმალურად განვითარებისათვის აუცილებელი პირობა ეროვნული თავისუფლებაა, ადამიანი სოციალურად თანასწორთა საზოგადოებაში ეროვნული თავისუფლების გარეშე ნორმალურად ვერ განვითარდება.

არჩილ ჯორჯაძემ წერილის დასასრულს მიანიშნა ევროპიდან მომდინარე დიდ საფრთხეზე: „მართლია, თანამედროვე ევროპაში აქა იქ აღძრულია ბრძოლა ეროვნულ იდეის წინააღმდეგ და ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ეროვნება, რომელმაც უკვე აღასრულა თავისი ისტორიული მისია, ახალ პირობებში შეიქმნა იარაღათ თავისუფლების დამხობისათვის და არა მის დაცვისათვის. ბრძოლა ეროვნულ პრინციპის წინააღმდეგ იბადება ყოველ ხალხში მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ხალხი იმ ზომამდე განვითარდება, რომ ეს ეროვნული პრინციპი ვეღარ დააკმაყოფილებს ახლად დაბადებულ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებას და მაშინ ეროვნებაც ხდება ძალად უკუქცევისა. მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე ეროვნული პრინციპი გადაიქცეოდეს დაქვეითებულ ერთათვის ამგვარ საშიშ ძალად, უსათუოდ საჭიროა მათთვის განვლონ ის გზა მატერიალურ და კულტურულ განვითარებისა, რომელიც უკვე გაუვლია თანამედროვე ევროპას (...).“

ევროპაში მიმდინარე პროცესის შეფასების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ამ ვითარებაში საქართველოსა და ქართველი ერის პერსპექტივაზე მეტად საინტერესო დაკვირვებებს ახდენს: „ჩვენში კი (...) ერთნი, დაძაბუნებულნი და გულგატეხილნი აწინდელ მდგომარეობით, ოცნებითაც კი ვერ პბედავენ ჩვენს ეროვნულ ცხოვრების გაუმჯობესებას; მეორენი, განსჭვალულნი ცრუ ეროვნულ აზრებით, ქველ წესწყობილების დარღვევაში ჰედავენ დაკარგვას იმ აუცილებელ ცხოვრების პირობათა, ურომლოდაც ვითომც შეუძლებელი იყოს ხალხის წარმატება; მესამენი კი, გატაცებულნი ევროპიდან გადმოტანილ დოქტრინულ თეორიებით და გახარებულნი იმით, რომ ჩვენ ცხოვრებაშიც იჩინეს თავი ევროპისათვის საზოგადო კანონად გადაქცეულ მოვლენათა, მიჰყვეს ხელი იდეოლოგიურ მცნების გავრცელებას იმ ხალხში, რომლისა-

გან შესაძლებელია, ამ მოკლე სანში მარტო ეთნოგრაფიული მოგონება-და დარჩეს.” ამ მეტად საშიში მდგომარეობიდან გამოსავალს არჩილ ჯორჯაძე შემდეგში ხედავს: „ამჟამად კი ორი რამა გვაქვს საზრუნავი: ა) შესწავლა და განმარტება იმ ცხოვრების ეკონომიურ და სულიერ პროცესისა, რომელიც, თანამედროვე პირობების შეფარდებით ქართულ ეროვნულ ხასიათში გამოისახება და ბ) ამ ეროვნულ ფორმების საშუალებით მომზადდება ქართველ ხალხის შესათვისებლად და შესაფერებლად მსოფლიო კულტურისა.” ცხადია, არჩილ ჯორჯაძეს კარგად ესმოდა მის მიერვე დასახული პროგრამის განხორციელების მთელი სირთულე, მაგრამ 1901 წელს იგი ოპტიმიზმით აღსავსე აგაპეურებდა ქვეყნის მომავალს.

1901 წელსვე არჩილ ჯორჯაძე აქვეყნებს უმნიშვნელოვანეს სტატიას „საერთო მოქმედების ნიადაგი”<sup>2</sup>, რომელიც ლოგიკური გაგრძელებაა სტატიისა „ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები” და ამდენად, გარსმოვარულ პრობლემათა არსში გარკვევის ცდაა. XX საუკუნის დამდეგის ქართველ საზოგადოებას ავტორი ასე ახასიათებს: „ჩვენი საზოგადოება ჯგუფებად დაიყო. რასაკვირველია, ამ ჯგუფების დაბადებას თავისი საძირკველი თვით საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაშივე აქვს. მიწის მფლობელი და მიწის მომქმედი, მრეწველი, ვაჭარი და დღიური მუშა ერთი ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში სცხოვრობენ. ამას ვერ უარ-ვყოფთ”. ამ სამწუხარო მოვლენის გვერდით არჩილ ჯორჯაძე სხვა პროცესსაც ხედავს: „(...) ჩვენსავე საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელიც არამცთუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ჰპბადავენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის. ეს მოვლენანი გვასწავლიან, რომ საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როდესაც საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ იმისი გამთელება და გაერთება”. ამ დასკვნით არჩილ ჯორჯაძე ახალ ეპოქაში ილია ჭავჭავაძის წოდებათა თანამშრომლობის, კლასთა შერიგების, „ჩატეხილი ხიდის” აღდგენის დიდი იდეის გამგრძელებლად და განმავითარებლად გვევლინება.

არჩილ ჯორჯაძემ ილია ჭავჭავაძის იდეა დააკონკრეტა და გამოყო ის საკითხები, რომელთა გარშემო მთელი ქართველი ერის, ყველა წოდებისა და კლასის გაერთიანება შეიძლებოდა: „ჩვენ გვსურს დავასახელოთ სამი უმთავრესი საკითხი ჩვენი ცხოვრებისა, რომლის გარკვევაში ჩვენს მოპირდაპირე დასებს საერთო მოქმედება შეუძლიანთ. ჩვენ სახეში გვაქვს: ა)ქართული ენის დაცვა, ბ)ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ)ქართულ მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა.”

გაერთიანების საფუძვლად დასახელებული სამი საკითხის არსა არჩილ ჯორჯაძე დაწვრილებით განმარტავს:

**1. ქართული ენის დაცვა:** „ჩვენ აქ ბანალური აზრების განვითარებას არ შეუდგებით იმის შესახებ, რომ სამშობლო ენა გონების წარმატების

2 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 7-16.

აუცილებელი პირობაა და რომ სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს ეკარგება საჭირო ორგანო გრძნობების და იღების გამოთქმისათვის. არც იმას ვიტყვით, რომ სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს სიცოცხლე აკლდება, ცხოვრება ფერს და სიხარულს კარგავს და რომ ამგვარ საზოგადოებაში მეცნიერება მოითხოვს აზროვნების მოძრაობას, ხელოვნებას ადგილი არა აქვთ, რადგან მეცნიერება მოითხოვს აზროვნების მოძრაობას, ხელოვნება კი გრძნობების და საზოგადოთ შინაგან ცხოვრების განვითარებას, უწინოთ კი ყველა ეს იხუთება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ დროა რაიმე პრაკტიკული ღონისძიება შევიმუშაოთ, რათა გადავარჩინოთ სიკვდილს სამშობლო ენა და ამასთან ერთად, მთელი ჩვენი ეროვნული ხასიათი. თუ მართლა ჩვენს საზოგადოებაში სამი დასი არსებობს, აი, ის პირველი საკითხი, რომელიც უნდა აერთებდეს ამ დასებს და რომლის განმარტებაში არც „დიალექტურ პროცესს“ აქვსა ადგილი და არც „ეკონო-მიურ მატერიალიზმს“.

**2. ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა:** „მეორე საკითხი, არანაკლებად რთული და მნიშვნელოვანი, ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის შექმნის, წარმატების საკითხია. ბევრსა ჰქონია ჩვენში, რომ აი, სწორედ ეს საკითხია ის, რომელმაც აუცილებლად ჩვენი საზოგადოება მოპირდაპირე ჯგუფებად უნდა დაჰყოს. და ეს დასკვნა უფრო იქედან გამოჰყავთ, რომ სხვა ქვეყნებში სწორედ ამ ნიადაგზე იჩენს თავს კლასთა ბრძოლა. ჩვენის აზრით კი, კაპიტალის ზრდა-განვითარებამ საქართველოში, თანამედროვე პირობებში, ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს. საქართველოს ეკონომიური წარმატება – ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში – კლასთა ბრძოლის ნიადაგად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენის ხალხის ნაციონალურ აღორძინებისა. ქართველი კაპიტალისტი, ესე იგი ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დავუპირდაპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის (სომხების – ვ. გ.) ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს ალებ-მიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშა, ასოთ-ამწყობია იგი, თერძი, მეჩექემე თუ კარის დარაჯი, ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს განმსჭვალული. მართალია, ამ სახით შესანიშნავად ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში იმისი მატერიალური მდგრამარება, რადგან ნაციონალურის იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება, ხოლო ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია, თავისი კერძო კლასიური ინტერესები საერთო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს თავისი ეროვნული თვით-ცნობიერების სიმწიფე. ჩვენთვის ფულიანი კაცები საჭირონი არიან, რადგანაც უფულოდ ჩვენ ვერ ვაწარმოვებთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, რადგან უფულოდ ჩვენ ვერ ვახეირებთ ვერავითარს ქართულს საზოგადო საქმეს – თეატრია იგი, წერა-კითხვის საზოგადოება თუ გამომცემელი საზოგადოება. ჩვენთვის საჭირო არის ქალაქებში შეგროვილი და გამრავლებული ქართველი მუშა-ხალხი, რომელიც შეჰქმნის ნიადაგს ჩვენის ერის ეკონომიურ ევროლუციისათვის“.

**3. ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩევა:** „მესამე საკითხი ამავე ხასიათისაა. ქართული მიწის მფლობელობა ამ უამად დიდ განსაცდელ-

შია. ჩვენი თავად-აზნაურობა, რომელიც მიწად-მფლობელი წოდება იყო ჩვენში, თანდათან თავის მამულებს ჰყარგავს. ჩვენი ბანკები, მიწად-მფლობელობის სასარგებლოდ დაარსებული, იმის მტრად გადაიქცნენ, რადგან მამულების გაყიდვის პროცესი დაჩქარეს. ფული, გამოღებული მამულის გირაოთი და არა მოხმარებული მამულის საჭიროებისათვის სწორედ ის ულ-მობელი, დამარღვეველი ძალა, რომელმაც წოდებრივ მიწად-მფლობელობას საქართველოში ბოლო მოულო. მხოლოდ ვის უნდა ჩაუვარდეს ხელში ის მამულები, რომელიც ჩვენს თავად-აზნაურობას ეკარგება? იქნება ჩვენ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ დავეხმაროთ თავად-აზნაურობას და რაიმე ღონისძიება ვიხმაროთ, რომ შევინარჩუნოთ მამული და თავისი წოდებრივი ხასიათი? ჩვენი აზრით, ძალიანაც რომ გვდომოდა თავად-აზნაურობის აღდგენა, იგი უკვე წარსულს ეკუთვნის და მისი წოდებრივი აღორძინება შეუძლებელია. მიწათ-მფლობელობა მხოლოდ იმათ შერჩებათ, ვინც მამულს ფულით ახერხებს, ე. ი. ვინც მრეწველობის გზას შეუდგება. და რადგან ჩვენს თავად-აზნაურობაში ამ იარაღით შეიარაღებული პირი ძალიან ცოტანი არიან, ამიტომ იმ საკითხმა, თუ ვის ხელში დარჩება ამოდენა ქართული მამული, ღრმად უნდა ჩაგვაფიქროს და აგვაცილოს ის შეცდომა, რომელშიაც ადვილად გავებმევით, თუ ამ მოვლენას დოკტრინის თვალით შევხედავთ. ჩვენის აზრით, ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა მოვნახოთ, რომ გასაყიდი მამულები **ა6** ქართველმა გლეხეკაცობამ შეისყიდოს, **ა6** კიდევ ქართველმა ვაჭარმა, მრეწველმა და საზოგადოთ იმათ, ვისაც მეტი ღონე აქვს გარეშე პირობებთან ეკონომიურ ბრძოლისათვის. ასე რომ, მესამე პრაკტიკული საგანი, ჩვენ ცხოვრებაში წამოყენებული საგანია, რომლის განმარტებაშიც ჩვენი შეერთებული ძალაა საჭირო, საგანი ქართულ მიწათმფლობელობის და ქართულ მიწად-მოქმედების დაცვისა.”

არჩილ ჯორჯაძე კარგად ხვდებოდა, რომ ზემოთ ხსენებული სამი კარდინალური საკითხის გადაჭრა ადვილი საქმე არ იყო, ამიტომაა, რომ ავტორი მის მიერ დასმულ სამ საკითხს „საერთო მოქმედების ნიადაგის” გაფართოების მიზნით კიდევ ორს უმატებს: „1) ჩვენმა ინტელიგენციამ სახალხო კულტურული მოღვაწეობა უნდა იყიდოს და 2) ჩვენივე ინტელიგენცია უნდა ენერგიულად ჩაერთოს ქალაქების თვით-მართველობის არჩევნებში.” ამ ორ საკითხს ავტორი დაწვრილებით განმარტავს:

**1. ინტელიგენციის სახალხო კულტურული მოღვაწეობა:** „ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში ზოგიერთი იმ აზრისაა, ვითომც ინტელიგენციას არ ძალუდს „სახალხო მოღვაწეობის” გაძლოლა. ამგვარი უცნაური მოსაზრება დამყარებულია შემცდარ შეხედულებაზე ინტელიგენციის მნიშვნელობის შესახებ ხალხის ცხოვრებაში (...). ქართულ დემოკრატიულ და ეროვნულ წარმატებაში „სახალხო მოღვაწეობას” უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს.”

**2. ინტელიგენციის მონაწილეობა ქალაქების თვითმმართველობების არჩევნებში:** „მეორე საკითხი, რომელიც ჩვენ ამ წერილის სათაურში აღვნიშნეთ, უფრო რთული საკითხია, რადგან მის განმარტვაში ჩვენ უნდა შევეხოთ უცხო ტომებსაც, სახელდობრ, სომხებს და შეიძლება იმისთა-

ნა რაიმე ვთქვათ, რაც არ მოეწონოთ ჩვენ ლიბერალებსა და დემოკრატებს. საქმე ის არის, რომ თითქმის ყველა ქართლ-კახეთის ქალაქების თვით-მართველობებიდან ქართველობა განდევნილია და მოქალაქეობრივ საქმეებში არავითარს მონაწილეობას არ ღებულობს. ჩვენ ვამბობთ „განდევნილია”, რადგანაც ეჭვს გარეშეა, რომ ქართველების ნინააღმდეგ არჩევნების დროს სხვა ტომთა შეთანხმებული ნაციონალური ძალა მოქმედებს ხოლმე. იყითხავთ, რა მიზეზია ქართველების ამგვარი სისუსტისა და რა ღონე უნდა ვიღონოთ ამ ჩვენ მოქალაქობრივ უმოქმედობის მოსასპობად? ან იქნება ჩვენ ნორმალურ მოვლენად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ქალაქში (თბილისში – ვ. გ.) ორმოცი ათასი ქართველია, სიღნაღში, თელავში და გორში ქართველ მკვიდრთა რიცხვი ნახევარზე მეტია და ყველა ამ ქართული ქალაქების მართვაში ქართველები გამორიცხულნი უნდა იყვნენ? რა მიზეზია ჩვენი ამ მოქალაქობრივ ცხოვრებიდან გამორიცხვისა? ჩვეულებრივად ამ კითხვაზე იმას ამბობენ, რომ უპირველესი მიზეზი ამ მოვლენისა ქართველების ეკონომიური დაქვეითებაა, რომ ქალაქებში ვაჭრობა და მრეწველობა სხვა ტომთა ხელშია და რომ რიცხვი ქართველ მესაკუთრეთა ძალიან მცირედია. ბევრი მართალიც არის ამ მოსახრებაში. მხოლოდ მასში არ ისახება სრული სიმართლე. რით აიხსნება, რომ ამ ათი-თორმეტი წლის ნინად ქალაქის (თბილისში – ვ. გ.) საბჭოში ამორჩეული იქმნა 24 ხმოსანი ქართველი? საიდან გაჩნდა ამოდენა ქართველი ამრჩეველი, რომ 70 ხმოსნიდამ 1/3 ქართველობა ამოირჩია? აშკარაა, აქ ამომრჩევების მცირედი რიცხვი არაფერშია. ამ პატარა ამრჩეველთა დასმა შესძლო ნაყოფიერი მოქმედება და ჯეროვანი მხნეობის გამოჩენა ქალაქის არჩევნების აგიტაციაში. ყველა ეს იყო შედეგი შეწყობილის და შეთანხმებულის მოქმედებისა.” როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე არჩევნებში გამარჯვების პირობად ნინასაარჩევნო პერიოდში ქართველთა გაერთიანებას და მათში განეულ აქტიურ აგიტაციას მიიჩნევდა.

სტატიაში „რა არის ინტელიგენცია?“ (1901 წ.)<sup>3</sup> არჩილ ჯორჯაძე დაწვრილებით განიხილავს ინტელიგენციის როლს ეროვნულ მოძრაობასა და საერთოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ავტორი აღნიშნავს, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაწყებული სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ცვლილებების ეპოქაში ინტელიგენცია ერის ცხოვრებაში მუდამ დიდ როლს ასრულებდა: „ჩვენი ინტელიგენციის პროგრამა იყო, არის და უნდა იყოს ღრმად ეროვნული. ამას მოითხოვდა და მოითხოვს თვით ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობაც. დაქვეითებული ეროვნული ცნობიერება ისე პლახავს ხალხის ეკონომიკურ ცხოვრებას, რომ მეორის ნარმატება უპირველოდ შეუძლებელია. ჩვენს პირობებში ეროვნება ერთად ერთი იარაღია ქართველ ხალხის ყოველმხრივ ნარმატებისათვის და აღორძინებისათვის. მაშასადამე, ჩვენ ნინ ეროვნული იდეალები არიან ნარმომდგარნი და ჩვენი ინტელიგენციის მოქმედების ნაიდაგი ეროვნული ნაიდაგი უნდა იყოს.“ ამ ფონზე არჩილ ჯორჯაძეს უკვირდა,

3 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 25-32.

თუ რატომ უარყოფნენ ინტელიგენციის როლს ქართველი ერის ცხოვრებაში: „რით აიხსნება გაუგებარი უარ-ყოფა ქართველ ინტელიგენციისა, უარყოფა, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში დროგამოშვებით გაისმის ხოლმე? განა ამგვარი ინტელიგენციის უარყოფა თვით ეროვნულ საქმის უარ-ყოფას არ მოასწავებს? ერთად ერთი, – ან ჩვენს „უარ-მყოფლებს“ მართლაც და ეროვნება არა სწამთ, ან კიდევ ისინი ეროვნების საქმეს თავისებურად, ჩვენთვის გაუგებრად ემსახურებიან.“ ინტელიგენციის როლის უარყოფასთან დაკავშირებით არჩილ ჯორჯაძეს ერთი სერიოზული ეჭვი უჩნდებოდა: „ან იქნება ყველა ეს უბრალო მიბაძვაა, მწიგნობრობაა, ჩვენს ნიადაგზე იმ აზრის განმარტება, ვითომ ჩვენის ინტელიგენციის დაფასებაში საჭიროა წოდებრივ და კლასისურ პრინციპით ხელმძღვანელობა? თუ მაინც და მაინც გვინდა ევროპას არ ჩამოვრჩეთ, ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ სწორედ ევროპიულ ცხოვრების პრაქტიკამ გამოარკვია კლასთა ბრძოლის პრინციპის უნაყოფობა და უსაფუძვლობა თანამედროვე რთულ ცხოვრების განსამარტავად და ნუ თუ ჩვენში, ამ იდეოლოგიურ ცდას უნდა შევალიოთ ჩვენი ძალ ღონე?..“ ერის ცხოვრებაში ინტელიგენციის, როგორც სხვადასხვა სოციალური ფენის გამაერთიანებლის, როლის აღიარებით არჩილ ჯორჯაძე „საერთო მოქმედების ნიადაგის“ მიღწევის რეალურ გზას სახავდა.

არჩილ ჯორჯაძე ეკონომიკის არსებით საკითხებს „საერთო მოქმედების ნიადაგის“ იდეასთან მიმართებაში იხილავდა. ასეთივე შეხედულებას ავითარებდა იგი სტატიაში „ჩვენი ეკონომიკური პროგრამის გამო“ (1901 წ.)<sup>4</sup>, ხოლო ამავე წელს გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო დედა-აზრი“<sup>5</sup> ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში წამოჭრილი პრობლემების სხვადასხვა კუთხით განხილვას აგრძელებს. სტატიის დასაწყისშივე ავტორი სვამს კითხვას: „როგორი უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების გამოსარკვევი „სახელმძღვანელო“ დედა-აზრი? რა უნდა ედვას მას საფუძლად? ამაზე ერთად ერთი პასუხია: ჩვენ უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ყოველი ის, რაც შეადგენს ერის ნორმალურ ცხოვრებას და ურომლისოდაც ამ ცხოვრების წინსვლა შეუძლებელია“. ცხადია, პასუხი ერთადერთი იყო, მაგრამ ეს ეხებოდა არჩილ ჯორჯაძეს და მის თანამოაზრებს. იყვნენ ადამიანები, რომელთათვისაც ეს ერთადერთი პასუხი არ იყო, არადა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ავტორს აუცილებლად მიაჩნდა და თანაც თვლიდა, რომ ქართველების იმ ნაწილს, რომელსაც უპირველეს ამოცანად კაცობრიობის სამსახური მიაჩნდა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ხელს არ უშლიდა: „დაუკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას და თუ „კაცობრიობა“ მართლა გვაწუხებს, ვემსახუროთ მას ჩვენი ხალხის საშუალებით.“ ეს ქართველი სოციალ-დემოკრატების პირდაპირი გამოწვევა იყო, რომლებიც საკაცობრიო იდეალებს ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებზე წინ აყენებდნენ და ეროვნული საკითხის გადაჭრის წინა პირობად რუსეთის იმპერიის მასშტაბით სოციალიზ-

4 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 32-38.

5 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 39-46.

მის გამარჯვებას სახავდნენ. საკითხის ამგვარი დაყენებით არჩილ ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძის პლატფორმას უჭერდა მხარს და მის გზას აგრძელებდა.

მოქმედების სახელმძღვანელო დედაბზრი, ანუ ეროვნული პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილები, არჩილ ჯორჯაძეს ასე წარმოედგინა: „ჩვენ აღვნიშნეთ ოთხი უმთავრესი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა და ვსოდეთ, რომ მათი ჯეროვანი განმარტება ჩვენი ეროვნული პროგრამის განმარტებად ჩაითვლება; ასე რომ, ჩვენი ეროვნული პროგრამის შინაარსს შემდეგი კითხვები შეიცავენ: 1) საჭიროება ენის დაცვისა, 2) ლიტერატურის და ხელოვნების საშუალებით ეროვნულ იდეალების შემუშავება და ეროვნული გრძნობების ხალხში გაღვიძება, 3) ქართულ ეკულესის დაცვით ძველ ტრადიციების განმტკიცება ხალხში (მამულისათვის თავდადება) და 4) ეროვნულ ნიადაგზე, არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ბრძოლის მიხედვით, ეროვნული პრინციპებით ხელმძღვანელობა თვით-მართველობის საარჩევნოებში და მრეწველობა-მეურნეობის კითხვებში“. ოთხივე საკითხს არჩილ ჯორჯაძე ცალ-ცალკე დაწვრილებით განმარტავს:

**1. საჭიროება ენის დაცვისა:** „ერთხელ და საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა ჩვენი სამშობლო ენა, თუ უმისოდაც იოლად წავალო? აგრეთვე საჭიროა ვიცოდეთ, რა მიმართულებას უნდა აღგეს ჩვენი ლიტერატურა და საზოგადოთ ხელოვნება? უნდა გავიგოთ და გვესმოდეს ქართულ ეკულესის მნიშვნელობა ეროვნულ ცხოვრების წარმატებისათვის. ყველაზე ნათლად და ცხადად კი ის უნდა შევიგონოთ, რომ ჩვენი ცხოვრების ნიშან-წყალი ჩვენი ეროვნების ჩამორჩენაა, რის გამოც უნდა განვსაზღვროთ ის, თუ რა ურთიერთობა აქვს ქართველ ხალხს სხვა ხალხებთან როგორც საზოგადოებრივ მოედანზე, აგრეთვე ეკონომიკურ განწყობილებაში? ყველა ამ კითხვების ჯეროვანი განმარტება შეადგენს დედა-აზრს ჩვენი მოქმედების გეგმისას. ბევრ ფრაზებს ლაპარაკობენ ჩვენში ქართული ენის შესახებ. ყველანი იმას სჩივიან: ენა გვეკარგება, სკოლებიდან და საზოგადო დაწესებულებებიდან განდევნილია იგი; საჭიროა მთავრობის ყურადღება მივაქციოთ ამ საგანზე, იქნებ გვეშველოს რაიმეო და სხვა. საკვირველია, კაცის ბუნება იმ გვარადაა მოწყობილი, რომ თავისი შეცდომა და დანაშაულობა სხვას თუ არ დააბრალა, ვერ მოისვენებს. ჩვენც სწორედ ასე გვემართება. რასაკვირველია, სკოლებში რომ ქართულს არ გვასწავლიან და საზოგადო დაწესებულებაში რომ არ ხმარობენ ჩვენ ენას, ყველა ამას დიდი ზიანი მოაქვს ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, გვავიწყებინებს დედა-ენას. მხოლოდ, თუ ჩვენ მართლა გვესმის სამშობლო ენის საჭიროება, რატომ არ ვსმარობთ მას შინ, ოჯახში, გარედ, სხვადასხვა ქართულ დაწესებულებაში, სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ არის აკრძალული? ქართული ენა იკარგებაო. დიალაც, დაიკარგება. რომელი ენა გაუძლებდა ამგვარ ძალმომრეობას? რატომ არ ვსარგებლობთ ჩვენ იმ კანონის შელავათით, რომლის ძალითაც ჩვენ გვაქვს ნება ჩვენი საქმეები ჩვენს კრებაზე ქართულად ვანარმოოთ? განა თავად-აზნაურობის (წარსულ) საგანგებო კრებაზე წამლად ერთი ქართული სიტყვა წარმოითქვა? ქართული ენა არ ვიცითო. მაშ, რომელი ენა ვიცით? იქნება ჩვენი ორატორების რუ-

სული მჭერმეტყველება მართლა რესული ენის ცოდნად ჩაითვლება? მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს იმ „საგანგებო“ კრებაზე დამსწრეთ ქართული უფრო ეხერხებათ. რატომ არ ხმარობენ ისინი ამ ენას? ან იქნება ქართული ენის ხმარება იმ დაწესებულებაში, სადაც **კანონი** ხელს არ გვიშლის, რაღაც უკანონ „ბუნტად“ მიგვაჩნია? რით უნდა დავასაბუთოთ მთავრობის წინაშე თხოვნა სკოლებში ქართული ენის შემოლების შესახებ? განა არ ექნება საბუთი მთავრობას გვითხრას, რომ ქართული ენის შემოლება თქვენი, ქართველების ტანჯვა-ვაებად შეიქმნება, რადგან თქვენს ცხოვრებაში, სოფელში თუ ქალაქში, ოჯახში თუ საზოგადო კრებაზე რუსულსაც კარგად ხმარობორ? და ვაძლევთ რა ამ მოსაზრებას საფუძველს, ჩვენი დაუდევრობით და უზრუნველობით, ქართული ენის ბედ-ილბალს ჩვენვე ვსწყვეტთ. მხოლოდ ვიდრე ამ კითხვას საბოლოოდ გადავსწყვეტდეთ, საჭიროა მოვიგონოთ ის საყურადღებო გარემოება, რომ ხალხის ჯეროვანი განათლება, სასამართლოებში სინდისიერი და საქმეების სამართლიანი წარმოება და ბევრი სხვა ერის ნამდვილი მოთხოვნილებანი არა მშობლიური ენით დაკმაყოფილებულ ვერ იქნებიან. ხალხის დაქვეითება ნივთიერ მოუწყობლობის გარდა, გაუნათლებლობითაც არის გამოწვეული. განათლება და ცოდნის შეძენა კი დედა-ენის საშუალებით უნდა იყოს შეძენილი.”

არჩილ ჯორჯაძე იოტის ოდენადაც არ აჭარბებს, მან საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა დიდი ეროვნული პრობლემა: **ქართულ ენას რუსეთის იმპერიის ხელისუფლება დევნიდა, მაგრამ ოჯახებიდნან, სკოლებიდან და სხვა დაწესებულებებიდან, სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ იკრძალებოდა, ქართული ენის განდევნა თვით ქართველთა უმწეობის, უდარდელობისა და დაუდევრობის შედეგიც იყო.** სწორედ ამაზე მიუთითებდა არჩილ ჯორჯაძე: „ჩვენი მოწინავე დასი (იგულისხმება ქართველი ინტელიგენციის ელიტა – ვ. გ.), შედარებით იოლად მიდის სამშობლო ენის უცოდო მოწინარობით, მან ავად თუ კარგად შეითვისა უცხო ენა, რომელიც აძლევს მას საშუალებას თავის-თავის რჩენისას სამსახურით თუ საზოგადო მოღვაწეობით. ხალხის აღზრდა-განათლებაზე, უნდა ვთქვათ, მაინცა და მაინც იგი არ ზრუნავს. და როცა ენის დაკარგვაზე ჩივილს იწყებს, ეგ ჩივილი რაღაც ყალბ პატრიოტობად მიგვაჩნია”. ესეც მწარე სიმართლე იყო, რომლის ალიარება, სამწუხაროდ, ქართველი ინტელიგენციის ელიტას არ სურდა.

**2. ლიტერატურის და ხელოვნების საშუალებით ეროვნული იდეალების შემუშავება და ეროვნული გრძნობების ხალხში გაღვიძება:** „ენასთან ვიწროდაა დაკავშირებული ლიტერატურა და ლიტერატურასთან, საზოგადოდ, ხელოვნება – მხატვრობა, ქანდაკება და მუსიკა. ხელოვნებას მეცნიერებასთან აქვს ის უპირატესობა, რომ იგი უფრო მისაწვდომია ხალხისათვის, რადგან იმის მოქმედების ასპარეზი ადამიანის გრძნობაა. პოეზია, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა – სიტყვების, ფერადების, მარმარილოს და სხვების საშუალებით ადამიანის გრძნობა-გონებას აღვიძებენ. ამისათვის ნამდვილ ხელოვნებას ყოველთვის აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა (...). ლიტერატურა და ხელოვნება საუკეთესო იარაღია იმ გრძნობათა და აზრთა გაღვიძებისათვის,

რაზედაც უნდა იყოს მიქცეული ჩვენი ყურადღება. ჩვენის აზრით, ეროვნულ პროგრამის გარკვევასთან ერთად უნდა გაირკვეს ჩვენი ხელოვნების მიმართულებაც, ის, თუ რა კითხვები, ერის დამახასიათებელი ნიშნებია წამოყენებული მის წინაშე. ან იქნება ჩვენი ეროვნული ცხოვრება ვერ მისცემს შინაარსს ჩვენს ლიტერატურას, მხატვრობას, ქანდაკებას და მუსიკას? ჩვენის აზრით კი, უნდა მისცეს, რადგან ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერია, რაც კი საჭიროა ნამდვილ ხელოვნებისათვის”. ამ შემთხვევაშიც არჩილ ჯორჯაძე აგრძელებს და ავითარებს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრების შეხედულებას მწერლობასა და ხელოვნებაზე.

**3. ქართულ ეკულესის დაცვით ძველ ტრადიციების განმტკიცება ხალხში (მამულისათვისთვის თვალიდება):** „ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც ჩვენი პიროვნება, ყოველი ჩვენი განსაკუთრებული თვისება და ხასიათი დიდ განსაცდელშია, არ შეიძლება არ მივმართოთ ყოველგვარ საშუალებას, რომელიც კი ცოტად თუ ბევრად ჩვენთვის სასარგებლო გამოდგება და დაგვიფარავს გადაგვარებისაგან. ჩვენა გვაქვს სახეში ქართული ეკულესია და ეროვნების დაცვაში მისი მნიშვნელობა.” ამ დასკვნის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ეხება ქართული ეკულესისათვის მეტად მტკიცნეულ თემას, რომელიც იმხანად და მომდევნო ეპოქებშიც გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ საგანგებოდ იყო ინსპირირებული: „თავდაპირველად კი საჭიროა ვიცოდეთ, აქვს ნიადაგი ჩვენს მდგომარეობაში იმას, რასაც ევროპაში „კლერიკალიზმს” და „ანტიკლერიკალიზმს” უწოდებენ? თავისუფალი მოაზროვნენი იქ, ევროპაში, უარ-ჰყოფენ ეკულესისა და მის დოგმატურ მოძღვრებას, რადგანაც ეკულესისა (კათოლიკეთა) ჰქონდა იქ დიდი პოლიტიკური ძალა, მას ყოველთვის ჰქონდა სურვილი მფლობელობისა და იგი ყოველთვის გონების და მსჯელობის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო. ანტიკლერიკალიზმი ძალაა, რომელიც ებრძვის ეკულესის მიწიერ პრეტენზიებს.” ამ ზოგადი განმარტების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე სვამს კითხვას: აქვს თუ არა ანტიკლერიკალიზმს საფუძველი საქართველოში? ავტორის ღრმა რწმენით, ასეთი საფუძველი არ არსებობდა: „ჩვენს ეკულესის უფრო ეროვნული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ქრისტიანული, ვინაიდგან ქრისტეს მიძღვრება არღვევს საზღვრებს ეროვნულ ცხოვრებისას, და ქართული ეკულესია კი ამ საზღვრების დაცვაში იყო. ისტორიულ მსვლელობაში მარტო ქართულ ეკულესისა არა ჰქონდა ამნაირი ხასიათი. ებრაელთა ცხოვრება შესამჩნევ ნიმუშებს წარმოგვიდგენს ამგვარ ზეციერ და მიწიერ ელემენტების ერთი ერთმანეთთან შერევისა და გადაბმისა. იუდაიზმი – შერევაა რელიგიურ აზრისა მამულის სიყვარულში, დაცვაა მამულისა, რჩეულ ხალხისა, ღვთის ხვედრისა. ჩვენი ისტორიული ქრისტიანიზმიც ამ ხასიათისაა (...). ჩვენს დროშიაც ქართულ ეკულესის შეუძლია ჰქონდეს იგივე საერო ხასიათი ქართულ წირვა-ლოცვით, გალობის ისტორიის და ეროვნულ ტრადიციების დაცვით. ამისათვის ქართულ ეკულესის საკითხის გარკვევა-საც უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს მოქმედების გეგმის შემუშავებაში.” არჩილ ჯორჯაძის ნაშრომის დაწერის დროს, 1901 წელს, ავტოკეფალისტური მოძაობა საქართველოში მხოლოდ ჩანასახოვან პროცესში იყო, არჩილ ჯორ-

ჯაძე კი, ფაქტობრივად, უკვე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდენის საკითხს თამამდ აყენებდა.

**4. ეროვნულ ნიადაგზე, არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ბრძოლის მიხედვით, ეროვნული პრინციპებით ხელმძღვანელობა თვით-მართველობის საარჩევნოებში და მრეწველობა-მეურნეობის კითხვებში:** „მხოლოდ უპირატესი საკითხი ჩვენის ცხოვრებისა, რაზედაც უმთავრესი ყურადღების მიეცევა საჭირო, საკითხი, რომლის ჯეროვან გარკვევიდამ გამომდინარეობს სხვა კითხების გარკვევაც, ეროვნულ ნიადაგზე პრაქტიკულ მოქმედების კითხვაა. უწინარეს ყოვლისა, იმის გადაწყვეტა და განმარტებაა საჭირო, არის თუ არა ჩვენში ერთა შორის ბრძოლა? ჩვენი საერთო ინტერესები ეწინააღმდეგებიან თუ არა უცხოტომელების ინტერესებს? თუ ეს ბრძოლა მართლა არსებობს, მაშინ ადვილია პასუხის მიცემა იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენს პრაქტიკულ მოქმედებაში, ვინაიდან ამ მოქმედების ხასიათი სულ სხვა უნდა იყოს. თუ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი დროის პირველი კითხვა ერთა შორის ბრძოლის კითხვაა და არა ეკონომიური, წოდებრივი ან კლასიური ბრძოლა, თუ ჩვენთვის ცხადად გამოირკვა ეროვნული და არა ეკონომიური ხასიათი ჩვენი ბრძოლის ნიადაგისა, მაშინ საჭიროა შევიმუშაოთ **ერთ** პრინციპზე დამყარებული რთული ეროვნული პროგრამა, საჭიროა გავიგოთ, ან როგორ უნდა მოვიქცეთ საზოგადოებრივ ასპარეზზე (თვით-მართველობის კითხვაში), ან ძველ ქართულ ნაშთების დაცვის საქმეში და ან სხვა ტომებთან ეკონომიურ ურთიერთობაში. ლოლიკის წინააღმდეგი იქნება, ვცნობთ რა და გამოვაჩენთ ჩვენში ეროვნულ ბრძოლის ნიადაგს, ერთ შემთხვევაში მტერი მოვიგერიოთ ეროვნულის იარაღით, მეორე შემთხვევაში კი ეს იარაღი უარ-ყოთ.” არჩილ ჯორჯაძის მიერ დაყენებული საკითხი უმწვავეს ეროვნულ პრობლემას წარმოადგენდა, რომელსაც არ სცნობდნენ და საგულდაგულოდ ჩემალავდნენ სოციალ-დემოკრატები.

არჩილ ჯორჯაძე ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე მწვავე კითხვას სვამს: „ჩვენ ამ წერილში დაწვრილებით ვერ გამოვარკვევთ ამ საგანს, მხოლოდ მკითხველს დავეკითხებით, რას ნიშნავს ის გარემოება, რომ ბაქოში, მაგალითად, მრეწველები იმერელ მუშებს აღარ იღებენ და, აქ, ტფილისშიაც, ქართველ მუშებს ისტუმრებენ ზოგიერთ ქარხნებიდამ და მათ ადგილებზედ გადმოსულებს აყენებენ? ან რა არის, თუ არა გამწვავებული ეროვნული ბრძოლა ტფილისის ხმოსანთა არჩევნების საკითხი, რა არის, თუ არა თავგასული ეროვნული ჯიუტობა (სომეხთა ჯიუტობა – ვ. გ.) ეხლანდელ ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება არჩევნების რიგის შეუცვლელობისა? ნუ თუ ყოველივე ამაზე ზრუნვა მხოლოდ ბურჟუაზიის საქმეა და არა საერო საქმე? ან იქნება ქართველ მუშების აქაურ ქარხნებიდან გამორიცხვაც ბურჟუაზიულ და არა ქართველ მუშის, ჩვენი საერო საქმე არ იყოს? მაშ, სხვა ერის ბურჟუაზიის გამეფება მუშათა კეთილდღეობის კითხვათ ჩაითვლება? თუ ქალაქის არჩევნების წესის შეცვლა იმ რიგად, რომ დამყარდეს თანაბრივი წარმომადგენლობა, ბურჟუაზიული კითხვაა და არა – საერო, მაშ, ანინდელი საარჩევნო წესი, რომლის საშუალებით ქართველები ყოველთვის დამარცხე-

ბული იქნებიან, რადგან ერთ საარჩევნო ნაწილში სხვებს ყოველთვის ექნებათ უპირატესობა, ჩვენი, ქართველების, საერთო კეთილდღეობის წესად ჩაითვლება? თუ ქართულ ნარნერების წაშლა, ქართულ ისტორიის გადაკეთება და ქართულ ნაშთების სხვათაგან მითვისება მარტო ბურუუაზის საქმეა? რატომ ერთი სინდისიერი „დემოკრატი“ არ გამოუჩნდათ სხვა ერებს სიმართლის აღსადგენად და ქართველების სამართლიან წყორძის დასაშოშმინებლად?” ცხადია, დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ „ქართულ ნარნერების წაშლა, ქართულ ისტორიის გადაკეთება, ქართულ ნაშთების სხვათაგან მითვისება“ სომხების საქმე იყო და ეს ანტიქართული პოლიტიკა მთელი ქართველი ერის სასტიკი წინააღმდეგობის შედეგად უნდა აღკვეთილიყო. არჩილ ჯორჯაძე სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ სომეხი „დემოკრატები“ მხარში ედგნენ ყოველგვარი ანტიქართული საქმის წამოწყებას და არც კი ფიქრობდნენ, რომ ქართველთა სამართლიანი ინტერესებისთვის ანგარიში გაეწიათ. ამის საპირისპიროდ ქართველი „დემოკრატები“ საერთოდ არაფრად აგდებდნენ ქართველი ერის ინტერესების შელახვას და მხოლოდ „საკაცობრიო იდეალების“ გამო წუხდნენ. წაშრომში ვკითხულობთ: „უცხოელ სიტყვიერებას (საკაცობრიო იდეალებს – ვ. გ.) ნუ გამოუდგებით – იგი ჩვენ არას გვეუბნება, არაფერს გვიხსის.“ ასეთ ვითარებაში რა უნდა მოიმოქმედოს ქართველობამ? წაშრომში ავტორი სრულად წათლად გვამცნობს ამ საკითხის მიმართ თავის პოზიციას: „ჩვენ ჩვენი წყლული გვაწუხებს, ეს წყლული ჩვენი ეროვნების დაჩაგვრაა. ნუ დავაჩაგვრინებთ ჩვენ თავს. სხვის მაყურებელნი ნუ შევიქნებით, თუ თვითონ არ უშველეთ ჩვენ თავს, სხვები, თუ მეტსაც არ გვიზამენ, არას გვიშველიან!“ არჩილ ჯორჯაძის ეს მოწოდება მეტად აქტუალური რომ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ მას არათუ მაშინ, დღესაც არ დაუკარგავს სიმწვავე.

გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში.

## ნატა თეოთვაძე

### 1942 წლის შეთქმულების ისტორიიდან – კონსატანციი (კოტე) ხიმშიაშვილი

საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს 1942 წლის შეთქმულება, რომელიც „სამანელთა“ მოძრაობის სახელითაც არის ცნობილი. ამ მოვლენამ ცხადყო, რომ მიუხედავად 1921 წლიდან დაწყებული უნივერტი რეპრესიებისა, საქართველოში ეროვნული მოძრაობა არ შეწყვეტილა და როგორც კი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება შეიქმნა, ქართველმა ახალგაზრდობამ საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა გააგრძელა.

1942 წლის შეთქმულებისა და, კერძოდ, კონსტანციი (კოტე) ხიმშიაშვილის მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე ნაშრომი დაიწერა, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ როსტომ ჩხეიძის წიგნი და და მისი საგაზეთო წერილები. დავით ოუკურიძის, რევაზ კვერენჩილაძის ნაშრომები. ცალკე უნდა გამოყოფოთ ჯარჯი აქიმიძის საგაზეთო წერილები.<sup>1</sup>

1942 წლის შეთქმულების შესახებ გამოქვეყნდა მემუარული მასალა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ლადო სულაბერიძის, კიტა ბუაჩიძის, ლოტე ლაბაძისა და მირანდა ტყეშელაშვილის, თინათინ თუშმალიშვილისა და ლევან კვაჭაძის, თამარ შაიშმელაშვილის, მოსე გვასალიას, ხატია შევარდნაძის, მანანა ნოზაძის, ომარ ბატიაშვილის მოგონებები<sup>2</sup>, აგრეთვე, მემუარები, რომლებიც

1 როსტომ ჩხეიძე. დაწყებულილი თაობა (წიგნი პირველი, თბილისი, 1992); როსტომ ჩხეიძე. ჩანაწერები 1942 წლის შეთქმულებაზე (პირველი ნაწილი, გაზეთი „თბილისი“ 1992, № 4, 14 იანვარი, მეორე ნაწილი, გაზეთი „თბილისი“ 1992, №14, 30 იანვარი, მესამე ნაწილი, გაზეთი „თბილისი“ 1992, №19, 30 თებერვალი); დავით ოუკურიძე. თუშთა შეთქმულება. თბილისი, 1997; რევაზ კვერენჩილაძე. საბუთები დალადებენ. წიგნი პირველი, თბილისი, 2007: წიგნი მეორე, თბილისი, 2011; რევაზ კვერენჩილაძე. წამების გზა. წიგნი პირველი, თბილისი, 1999; წიგნი მეორე, თბილისი, 2005; წიგნი მესამე, თბილისი, 2007; წიგნი მეოთხე, თბილისი, 2017; ჯარჯი აქიმიძე. ურჩები . - გაზეთი „ქართული ფილმი“ 1991, 30 ოქტომბერი, გვ. 2; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991, 23 აგვისტო.

2 ლადო სულაბერიძე. ვიგონებთ სიამაყით და გულისტკვილით. - გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1985, 1 მარტი, გვ.11; კიტა ბუაჩიძე. შავი წიგნი. თბილისი, 1990; ლოტე ლაბაძე, მირანდა ტყეშელაშვილი. საბედისწერო დამე. - გაზეთი „კალმასობა“ 2003, №2 ; თინათინ თუშმალიშვილი, ლევან კვაჭაძე. 1942 წლის შეთქმულთა მოსაგონრად. - ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ 2007, №

შევიდა კრებულში „კოტე ხიმშიაშვილი“ (თბილისი, 2010)

1942 წლის შეთქმულების მონაწილეთა და, მათ შორის, კონსტანტინე (კოტე) ხიმშიაშვილის შესახებ მასალები მოვიძიეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივში. აღნიშნული მასალები საშუალებას იძლევა დაზუსტდეს როგორც შეთქმულების აღმოცენების, ისე კონსტანტინე ხიმშიაშვილის მოღვაწეობის არაერთი დღემდე უცნობი დეტალი.

1942 წლის შეთქმულების აღმოცენება დააჩქარა ხელსაყრელმა საერთაშორისო ვითარებამ. მხედველობაში გვაქვს 1941 წლის 22 ივნისს დაწყებული საბჭოთა კავშირ - გერმანიის ომი. 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გერმანიის არმიამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. გერმანელებმა დაიკავეს ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია, უკრაინის დიდი ნაწილი, რუსეთის ფედერაციის დასავლეთი ოლქები და 1941 წლის შემოდგომაზე საფრთხე შეუქმნეს მოსკოვსა და ლენინგრადს. გერმანიის სწრაფმა გამარჯვებებმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირი ომში დამარცხდებოდა. ეროვნულ პატრიოტულ ძალებს, როგორც უშუალოდ საქართველოში ისე ემიგრაციაში იმედი ჩაესახა, რომ საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა 1921 წელს საბჭოთა რუსეთის აგრესის შედეგად დაკარგული სახელმწიფობრიობის აღდგენა. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იმედი მოკლებული იყო რეალობას, რის პირველ ნიშანსაც 1941 წლის დეკემბერში მოსკოვთან გერმანიის ჯარების მარცხი წარმოადგენდა, მაგრამ იმ ხანად (1942 წლის ზაფხული-შემოდგომა) არავინ უწყოდა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტებზე და როგორ დამთავრდებოდა ომი. უფრო რეალურად ჩანდა საბჭოთა კავშირის დამარცხება. ამან განაპირობა ის, რომ 1942 წლის შეთქმულება შედარებით მოკლე დროში აღმოცენდა, თუმცა, ცხადია, რომ იდეურად შეთქმულების მონაწილენი ამისათვის მანამდეც მზად იყვნენ. მათთვის მიუღებელი იყო არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა რუსეთის მიერ, არამედ ის პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც 1921 წლიდან დამყარდა საქართველოში.

საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივში დაცულ 1942 წლის შეთქმულების საქმის მასალებში დაცულია დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ: „როცა ომი დაიწყო, როგორც აღვნიშნეთ, მათ (შეთქმულებმა - ნ. თ.) საქართველოს მომავალი ომში გერმანიის წარმატებას და ომის შემდეგ გერმანიის დახმარებას დაუკავშირეს. მათი რწმენით, გერმანიასთან დამარ-

29, 9 ნოემბერი, გვ. 25-28; თამარ შაიშმელაშვილი. ვარ უმტკიცსი რვალისა. - უურნალი „ჩვენი მწერლობა“ 2007, №15; მოსე გვასალია. კოტე ხიმშიაშვილი. - უურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2007, №10; ხატია შევარდნაძის. სიზმრად ვნახე საქართველო. - უურნალი „პირველი სხივი“, 2008, № 27; ომარ ბატიაშვილი. საზღვარგარეთ, რომ არ გამიშვეს, მაშინ გავიგე მამაჩემზე სიმართლე. - უურნალი „გუმბათი“, 2009, №42; კოტე ხიმშიაშვილი. - თბილისი, 2010; მანანა ნოზაძე. კოტე ხიმშიაშვილის დახვრეტა ადრეც უნდოდათ, რადგან მიხეილ ჯავახიშვილმა შეაქო. - უურნალი „გუმბათი“, 2010, №1; ომარ ბატიაშვილი. 17 ოქტომბერი, 17 პატრიოტი. - უურნალი „ჩვენი მწერლობა“ 2012, № 21.

ცხებული საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და გაჩინდებოდა საქართველოს და-მოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობა.<sup>“3”</sup>

თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტში არსებობდა სტუდენტთა და ას-პირანტთა ეროვნულად მოაზროვნე და ანტისაბჭოურად განწყობილი ჯგუფი, რომლის თითქმის ყველა წევრის ოჯახს შეეხმ საბჭოური რეპრესიების სუსხი. ასე მაგალითად, რეპრესირებულნი იყვნენ გიორგი ახობაძის, მიხეილ საბაშვი-ლის, თურქმან შანშიაშვილის, ზურაბ მისაბიშვილის, კოტე ხიმშიაშვილს - მამ-ები, გიორგი თარგამაძის, აბო ფარესაშვილის, დავით ლაშქარაძის-ძმები.

ჰატრიოტულად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის პირველ ნაბი-ჯებს დავით იუკურუიძე ასე ახასაითებს: „ყველაფერი კი მართლაც 1941 წელს დაიწყო, ომის გაჩაღებისათანავე, უნივერსტეტსა და ავჭალის ქართულ დივიზიაში. თავდაპირველად შეთქმულებმა უნივერსტეტში შექმნეს პოლი-ტიკური ორგანიზაცია „სამანი“, რომელშიც გაერთიანდა პროფესორ-მასწავ-ლებლების, ასპირანტებისა და სტუდენტების მცირე ნაწილი. „სამანს“ დღეს სხვადასხვანაირად შიფრავენ: „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ინ-ტერნაციონალი“, ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ამ ორგანიზაციას „სამანი“ კი არა „სამონ“ ერქვაო და ასე განმარტავენ: „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ნაციონალური ორგანიზაცია“.<sup>4</sup>

შეთქმულება, რომელიც 1941 წელს ჩაისახა და იმავე წელს გასცეს, 1942 წლის იანვრიდან კი დაიწყო დაპატიმრებები. დაპატიმრებული და გასამარ-თლებული იქნა 33 ადამიანი. აქედან 17 დახვრიტეს, დანარჩენს გადასახლება და ჰატიმრობა მიუსაჯეს.

**კონსტანტინე ხიმშიაშვილმა** მიუხედავად თავისი ხანმოკლე სიცოცხლისა (სულ 25 წელი იცოცხლა) შეძლო ქართულ მწერლობაში თავისი კვალის და-ტოვება, რასაც თვალნათლივ მოწმობს მხატვრული ნაწარმოებები, რომელთა გამოქვეყნებაც მან მოასწრო.

ომის დაწყების პირველივე დღეებში, 1941 წ. 9 ივლისს, ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი კოტე ხიმშიაშვილი ჯარ-ში გაინვიეს. ის ჯერ ავჭალაში, შემდეგ კიროვობადში (ანინდელი ქ. განჯა აზერბაიჯანში) მდგარ სამხედრო ნაწილში გაამწესეს.

კოტე ხიმშიაშვილი და მომავალი ორგანიზაციის სხვა წევრები ერ-თად მოხვდნენ ჯერ ავჭალის, შემდეგ კიროვობადის სამხედრო ნაწილებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიში შემონახული ძიების მასალებში ვკითხულობთ: „В связи с войной, навязанной Советскому Союзу гитлеровской Германией, в первые месяцы мобилизации в 35-й и 83-й запасные стрелковые полки (ЗСП) проникла часть антисоветски настроенных фашистующих элементов, как то: в 35-й ЗСП (Авчала) – группа аспирантов Госуниверситета Грузии, до мобилизации тесно связанная между собой на почве

3 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე N4221549, ტომი 1, ფურცელი 41.

4 დავით იუკურიძე. თურქთა შეთქმულება. თბილისი, 1997, გვ.3.

контрреволюционных националистических убеждений: ДЖОГЛИДЗЕ К.С., ШАВИАНИДЗЕ Ш.Н., ДЗИГВАШВИЛИ Г.М. и др.; в 83-й стрелковый полк (Кировабад) – ИМЕРЛИШВИЛИ Г.С., ХИМШИАШВИЛИ К.А., СЕПАШВИЛИ И.М. (не установлен, выбыл на фронт), ШИХАШВИЛИ В.И. и др.

В период временного отступления Красной Армии, когда немецко-фашистские войска подошли к Москве, упомянутые выше группы аспирантов Госуниверситета, делавшие ставку на победу фашистской Германии, став на позиции контрреволюционного пораженчества, повели активную нелегальную повстанческую работу по сколачиванию фашистско-повстанческой контрреволюционной организации среди среднего комсостава названных полков, а также среди своих ближайших гражданских связей. Указанная нелегальная военно-повстанческая фашистская контрреволюционная организация готовилась к вооруженному восстанию с целью свержения советской власти в случае взятия немцами г. Москвы и провозглашения независимой Грузии под протекторатом Германии.

Основной упор в вопросе свержения советской власти в Грузии организация делала на захват г. Тбилиси, как центра республики, с последующим обнародованием по радио падения советской власти и создания независимого грузинского государства.

Практическое проведение плана вооруженного восстания с расчетом на одновременное выступление крестьянства в районах, в основном, сводилось к следующему:

- а) наступление 35-го ЗСП из Авчала на Тбилиси, захват по пути склада боеприпасов в Грмагеле;
- б) разоружение и уничтожение русских частей, дислоцированных в Авчала, в случае сопротивления повстанцам со стороны этих частей;
- г) захват почты и телеграфа, радиоузла, арсенала, КП(б) Грузии, НКВД и Штаба Закавказского военного округа;
- д) установление радиосвязи в процессе вооруженного восстания с командованием германских войск в целях поддержки вооруженного выступления;
- е) провозглашение по радио о свержении советской власти, издание приказа по войскам, находящимся на территории Грузии, о присяге новому правительству.<sup>5</sup>

როგორც ვხედავთ შეთქმულთა ვარაუდით, თუ გერმანელები საქართველოში შემოვიდოდნენ, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მათივე ჩანაფიქრით, გერმანიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგებოდა გერმანიის პროტექტორატით.

გიორგი იმერლიშვილის ფრონტზე გაგზავნის მერე კოტე ხიმშიაშვილმა ჩაიბარა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. თბილისში ჩასვლის მერე მან

<sup>5</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ტომი 1, ფურცელები 11- 12.

შეთქმულების წევრების გაცემის და დაპატიმრების ამჰები მალე გაიგო. როსტომ ჩხეიძის ნაშრომში ვკითხულობთ: „ნუნუსთვის (იგულისხმება კ. ხიმშიაშვილის მეუღლე ნუნუ ქადეიშვილი ნ. თ.) დაურიგებია, თუ რამე მოხდეს და აუცილებლად მოხდება, იცოდე, შენ არაფერზე გქონია ნარმოდგენა, არც აქ მოდიოდა ჩემთან ვინმე, არც არავინ მკითხულობდა, არც ის იცი, ვის ვხვდებოდი, ჩვენც თითქმის ალარ შევხვედრივართ ერთმანეთსო“.<sup>6</sup>

კოტე ხიმშიაშვილი ნაწილში დაბრუნებისთანავე დაპატიმრეს, ამის შესახებ მისი ოჯახის წევრებისთვის არ უცნობებიათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია კოტე ხიმშიაშვილის შესახებ დოკუმენტები (ფორმა №1, №2 და №3), რომლის ტექსტსაც მოვიტანთ მთლიანად:

„УТВЕРЖДАЮ“  
30 января 1942г  
НАРКОМВНУДЕЛ ГРУЗ ССР  
Комиссар Госбезоп. 3 ранга  
(РАПАВА)

форма № 1

Орест санкционировано  
(Подпись Прокурора)  
31 января 1942 г.

ПОСТАНОВЛЕНИЕ  
(На арест)

**Гор:** ТБИЛИСИ 30 января 1942 г.  
Я -----НАЧ .Следственного Отделения СПО НКВД ГРУЗ ССР

**должность отдел и орган** –Мл.Лейтенат Госбезапосности ТАВДИШВИЛИ.

**Рассмотрев поступившие в НКВД ГССР материалы о преступной деятельности Фамилия, имя и очестваи другие \_\_\_\_\_ ХИМШИАШВИЛИ Константина Александровича, 1917г. Р. Урож. Г.Кутаиси, грузина, гр-на ССР, б/п., ссемейного, с высшим образованием, Установочные данные \_\_\_\_\_ окончил филологический факультет Госунта, Ком. 790 стр. полка, аспирант, Мл.Лейтенант. Прож. в г.Тбилиси, ул.Калинина №9.**

НАШЕЛ:

**Проинвольном изложении дается развернутая мотивировка необхадимости ареста приводятся выдержки \_\_\_\_\_ ХИМШИАШВИЛИ К.А. является одним активных организаторов к-р нелегальной Фашистской организации, котори, среди молодежи Научных работников Госунта Частах Красной Армии, нащупывал из показаний содержание агентурных материалов \_\_\_\_\_ антисоветский настроенных элементов и вербовал их нелегальную к-р организацию.**

**Выдержки на актов обследования ревизии и т.п..\_\_\_\_\_ ныне орестованный один**

<sup>6</sup> როსტომ ჩხეიძე. დაწყევლილი თაობა. თბილისი, 1992, გვ. 45.

из активных участников этой организации ИМЕРЛИШВИЛИ Г.С., поизноввшись в к-р работе, показал что совместно с ХИМШИАШВИЛИ Константином и СЕПАШВИЛИ Ильей создали нелегальную организацию, одновременно договорились о необходимости вербовки в организацию надежных лиц, при этом ХИМШИАШВИЛИ предложил, что особенно раздувать организацию следует ограничиться вербовкой несколько человек.

„Мы Согласилис на том,что Грузия быт независима»

(см.показания ИМЕРЛИШВИЛИ Г.С.от 27/1-42г.).

И далес:.... По поводу создания нелегальное организации больше всего инициативу проявлял ХИМШИАШВИЛИ Константин».

(см.показания ИМЕРЛИШВИЛИ Г.С.от 27/1-42г.).

**ПОСТАНОВИЛ:**

**Фамилия, имя и отчество----- ХИМШИАШВИЛИ К.А.**

**проживающего по----- ул.Калинина№ 9.**

**Подвергнут аресту и обыску.**

**„СОГЛАСЕН“ Нач----подпис**

НИБЛАДЗЕ  
Оперуп.----- 1-го  
Отделения С . П. О. Мл.  
ГОСБЕЗОПАСНОСТИ –  
ТАВДИШВИЛИ <sup>7</sup>

„УТВЕРЖДАЮ“

форма № 2

30 января 1942г.

ГРУЗ ССР. КОМИССАР ГОЗПЕЗОПОСНОСТИ

3-го ранга

РАПАВА

Арест санкционировано

Подпись прокурора

30 января 1942г.

**ПОСТАНОВЛЕНИЕ**  
**Об избрании меры пресечения**

Гор. \_\_\_\_ ТБИЛИСИ \_\_\_\_ 30 января –1942 г. должность \_\_\_\_ Я, нач-к 5-го отд-ны \_\_\_\_  
НКВД ССР ---Мл. Лейтенант Гос безопасности ТАВДИШВИЛИ -----расмотрев  
поступившее в НКВД СССР материаламы о преступной деятельности:

**Фамилия ---- ХИМШИАШВИЛИ**

**Имя и отчество---- Константина Александровича,**

**Год рождения----1917г ----место рождения . г.Кутаиси**

<sup>7</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ფომი 14, ფურცელები 69-70.

**Профессия и специальность-----Аспирант**

**Место работы и должность ----- Ком.звода 790 стр.полка. мл.Лейтенант**

**Образование \_\_\_\_ выс—нац.—грузин---гр-во—СССР---парт.-б/п.**

**Семейное положение \_\_\_\_ Семейный**

**Адресс \_\_\_\_ ул.Калинина № 9. г.Тбилиси**

**НАШЕЛ:** Что -----**фамилия -- ХИМШИАШВИЛИ К.А.**----подозревается в преступлениях, предусмотренных 58/10.ч 2 58/11 ----ст УК ГССР и принимая во внимание что –

**Фамилия ----- ХИМШИАШВИЛИ К.А.**

Находясь на свободе может ----повлиять на ход следствия.-----

**Руководствуясь ст ст 145 и 158 УПК РСФСР**

**Постанавлил:**

Мерой пресечения способов уклонения от следствия и суда-----

Фамилия имя и отчество----- **ХИМШИАШВИЛИ Константина Александровича**  
Избрать содержание под стражей,---арест---о чем в порядке ст. 145 УПК РСФСР объявить арестованному под расписку в настоящем постановлении

В настоящий ст. 60 УПК РСФСР, копию постановления направить Прокурору начальнику тюрьмы для приобщения к личному тюремному делу.

**Следователь----- ТАВДИШВИЛИ**

**,СОГЛАСЕН “Нач --- Капитан Гос безопасности НИБЛАДЗЕ**

**Настоящее постановление мне обявлено.<sup>8</sup>**

**„УТВЕРЖДАЮ“**

форма № 3

28 февраля- 1942 г.

**НАЧАЛЬНИК СПО. НКВД .ГССР.**

**КАПИТАН ГОСВЕЗОПОСНОСТИ**

**(НИБЛАДЗЕ )**

**ПОСТАНОВЛЕНИЕ**

**о предъявления обвинения**

Город Тбилиси 1942 г. 28 февраля дня

Я --НАЧ 5-го ОТД. СПО НКВД ГРУЗ ССР

**должность отдел и орган нквд гсср**

**СТАРШИ ЛЕЙТЕНАНТ ГОСБЕЗОПАСНОСТИ –МАРКАРОВ**

**звание и фамилии**

рассмотрев следственный материал по делу N1964 и приняв во внимание;что **ХИМШИАШВИЛИ Константин Александрович, (фамилия, имя и отчество)** \_\_\_\_\_

**достаточно изобличается в том, что (перечислить все пункты обвинения) :**

**фамилия, имя и отчество** Химшиашвили Константин Александрович

Летом 1941г. попав по мобилизации в Кр.армию,будучи в/с. убежден совместно

<sup>8</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ტომი 14, ფურცელი 71.

с ИМЕРЛИШВИЛИ Г. и ХИМШИАШВИЛИ К. проходящими по данному делу, сколотил к-р нелегальную националистическую военно-поставческую организацию, ставившую своей целью свержение Сов. власти и установление „независимой Грузии". Для осуществления своих к-р целей ХИМШИАШВИЛИ Константин вел активную работу как среди гражд. лиц а также среди военнослужащих РККА.

**постановил:**

**Руководствуясь ст. ст. 128 и 123 УПК РСФСР привлеч. ХИМШИАШВИЛИ КОНСТАНТИН АЕКСАНДРОВИЧ в качестве обвиняемого. по. ст. ст. 58-10 ч.2 58-11 УК, о чем обявить обвиняемому под расписку в настоящем постановлении.**

**Копию постановления в порядке ст. 146 УПК РСФСР направить Прокурору.**

**Следаватель: НАЧ.5-го ОТД. СЛО. НКВД. СТАРШИЙ ЛЕЙТЕНАТ ГОСПЕЗОПАСНОСТИ (МАРКАРОВ)**

"СОГЛАСЕН" Нач.\_\_\_\_\_ отд-ния

Настоящее постановление мне обявлено 28/02 1942г.

**Подпись обвиняемого: ХИМШИАШВИЛИ**

**Верно: ХИМШИАШВИЛИ<sup>9</sup>**

1942 წლის შეთქმულების მონაწილენი ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა 1942 წლის 11-20 სექტემბერს. მოვიტანთ სასამართლო განაჩენიდან ამონარიდა:

Дело № 902

СОВ.СЕКРЕТНО

**Приговор № 194**

**Именем Союза Советских Социалистических Республик**

**Военный Трибунал Закавказского фронта**

**11-20 сентября 1942г.**

В закрытом судебном заседании, в городе Тбилиси

**В составе:**

Председательствующего –военного юриста 2 ранга ФОМЕНА

Членов : военного юриста 3 ранга, ЗАДАШКО и военного юриста Романовича

При секретаре-военном юристе Берловском,

Рассмотрел дело по обвинению военнослужащих:

-----  
2. Командира взвода 790 СП-младшего лейтенанта –

**ХИМШИАШВИЛИ КОНСТАНТИНА АЛЕКСАНДРОВИЧА**

1917 года рождения, из служащих, служащего, уроженца гор.Кутаиси, Грузинской ССР, Грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА аспирантом, при Тбилисском Госуниверситете, беспартийного, несудимого, в рядах РККА с 9-го июля 1941 года по мобилизации ;

<sup>9</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ფომი 5, ფურცლები 86-87.

**Предварительным и судебным следствием установлено :**

В связи с войной, навязанной советскому союзу фашистской Германией в 1941 году, в отдельные войнские части, формируемые на территории Грузинской ССР, Проникли антисоветские настроенные элементы, из бывший аспирантов Тбилисского государственного университета как то

ИМЕРЛИШВИЛИ Георгия, Джоглидзе Константина, Шавианидзе Шалва, Химшиашвили Константин, Дзигашвили Георгий и другие, тесно связанных между собой общностью националистических контрреволюционных взглядов, ещё 3 бытность свою в стенах Тбилисского ГосУниверситета.

В период временного оккупирования немецкими войсками отдельных районов и проникновения вглубь советского союза, а тем более, когда враг подходил к Москве, контрреволюционный элемент, находившегося в рядах РККА и в лице Имерлишвили Георгия, Химшиашвили Константина и других, деловших ставку на поражение советского союза фашистской Германией, повели активную, Контрреволюционные работу по свиданию военно-повстанческой организации, в целях свержения советской власти в Грузии, путём вооруженного восстания и оказания помощи немецко-фашистскому командованию о скорейшей оккупации Грузии и установления по договорённости с фашистскими руководителями „Независимой Грузии“ под протекторатом Германского фашизма .

---

Положившие начало организации контрреволюционной повстанческой группы в гор. Кировабаде-Имерлишвили Георгий, Химшиашвили Константин и Сепашвили Илья с переездом в Авчалы продолжали вести работу по вовлечению новых лиц в контрреволюционную военно-повстанческую организацию среди военнослужащих и гражданского населения, причем подсудимый Джоглидзе, как возглавивший организацию после отъездам Имерлишвили Георгия в другое место службы, постедством членов своей к/р. Организации – Шавианидзе и Шавшиашвили Турмана, в Сентябре-октябре месяцах 1941 года, установили связь с паралельно существовавшей в гор.Тбилиси фашистско-повстанческой группой, в лице её членов – подсудимых по делу – Кацитадзе, Мисабишвили и Ахобадзе.

---

**На основании наложенного трибунал признал подсудимых виновными :**

Имерлишвили Георгия Семеновича, Химшиашвили Константина Александровича, Имерлишвили Михаила Ясоновича, Джоглидзе Константина Сергеевича, Дзигвашвили Георгия Михайловича, Кацитадзе Михаила Ильича, Мисабишвили Зураба Николаевича, Ахобадзе Георгия Михайловича, Таргамадзе Георгия Рафазловича и Сабашвили Михаила Михайловича в том, что они будучи враждебно настроенными к социалистическому строю, в период напряженного положения на фронтах отечественной войны в 1941 году, проводили работу по созданию и создали военно-фашистскую повстанческую организацию, ставившую себе целью свержение советской власти путем вооруженного восстания и востановления на территории Грузинской ССР власти капиталистов под протекторами фашистской Германии, т.е. в преступлениях предусмотренных ст.ст.58-2 , 58-10 ч.П. и 58-11 УК ГССР.

Бурдиашвили Дмитрия Исааковича, Торадзе Левана Ивановича, Батиашвили Романа Федоровича, Кадагидзе Георгия Ивановича, Имерлишвили Соломона Андреевича, Шавианидзе Шалва Наумовича, Лапиашвили Ивана Федоровича, Шаншиашвили Турмана Моисеевича и Парешишвили Або Николаевича в том, что они состояли членами военно-фашистской повстанческой организации, в которую были вовлечены в 1941 году руководителями этой организации - Имерлишвили Георгием Джоглидзе Константином, Кацитадзе, Ахобадзе и другими указанными в 1-ой части обвинения и по их указанию проводили среди военнослужащих и гражданского населения вербовку в революционную организацию, распространяли пораженские настроения и готовились к вооруженному свержению, Советской власти, т.е. в преступлениях предусмотренных ст.ст.58-2,58-10, ч.П. и 58-11 УК ГССР.

---

учитывая тяжесть совершенного преступления и степень социальной опасности каждого из подсудимых-ТРИБУНАЛ ПРИГОВОРИЛ :

Имерлишвили Георгия Семеновича, Химшиашвили Константина Александровича, Бурдиашвили Дмитрия Исааковича, Имерлишвили Михаила Ясоновича, Торадзе Левана Ивановича, Батиашвили Романа Федоровича, Кадагидзе Георгия Ивановича, Имерлишвили Соломона Андреевича, Джоглидзе Константина Сергеевича, Шавианидзе Шалва Наумовича, Дзигвашвили Георгия Михайловича, Шаншиашвили Турмана Моисеевича, Кацитадзе Михаила Ильича, Мисабишвили Зураба Николаевича, Ахобадзе Георгия Михайловича, Таргамадзе Георгия Рафаэловича и Сабашвили Михаила Михайловича - подвергнуть всех высшей мере уголовного наказания - РАССТРЕЛУ с конфискацией лично принадлежащего им имущества;

Лапиашвили Ивана Федоровича и Парешишвили Або Николаевича подвергнуть лишению свободы в ИТЛ сроком на ДЕСЯТЬ лет каждого, с поражением в правах согласно ст.31 п.п. " а " "Б" и "В" УК ГССР на ПЯТЬ лет каждого и с конфискацией лично принадлежащего им имущества

Имерлишвили Исаака Семеновича, Имерлишвили Иосефа Георгевича, Утургайдзе Аксентия Григорьевича, Арсенидзе Георгия Викторовича, Каландадзе Георгия Александровича, Буачидзе Никиту Михайловича и Шихашвили Вахтанга Ивановича - подвергнуть лишению свободы в ИТЛ сроком на семь лет каждого с поражением в правах согласно ст.31 п.п." а " "Б" и "В" УК ГССР на три ГОДА каждого и с конфискацией лично им принадлежащего имущества. По ст.58-2, 58-10 ч.П. и 58-11 УК ГССР по суду их считать оправданными.

**Приговор окончательный и обжалованию не подлежит.**

**Подлинный за надлежащими подписями**

**Отп..... экз**

**Разослано**

**По списку**

**22.9.42**

**Л.а.**

**ВЕРНО: ПРЕДСЕДАТЕЛЬСТ. ВОЕННЫЙ ЮРИСТ /ФОМИН/ <sup>10</sup>**

---

<sup>10</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ფომი 14, ფურცლები 17-29.

### **წყაროები და ლიტერატურა:**

#### **I. საარქივო დოკუმენტები**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ტომი 1, ფურცელი 41.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ტომი 14, ფურცელი 297.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ტომი 14, ფურცელები 69-70.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ტომი 14, ფურცელი 71.
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ტომი 5, ფურცელები 86-87.
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №4221549, ტომი 14, ფურცელები 17-29.

#### **II. მემუარები**

1. ლადო სულაბერიძე. ვიგონებთ სიამაყით და გულისტყვილით - გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1985, 1 მარტი, გვ. 11.
2. კიტა ბუაჩიძე. შავი წიგნი - თბილისი, 1990.
3. ლოტე ლაბაძე და მირანდა ტყეშელაშვილი. კოტე ხიმშიაშვილის საბედისწერო ღამე - გაზეთი „კალმასობა“ 2003, №2.
4. თინათინი თუშმალიშვილი და ლევან კვაჭაძე. 1942 წლის შეთქმულთა მოსაგონრად - ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ 2007, № 29, 9 ნოემბერი, გვ. 25-28.
5. თამარ შაიმელაშვილი. ვარ უმტკიცსი რვალისა - ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ 2007, №15.
6. მოსე გვასალია. კოტე ხიმშიაშვილი - ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2007, №10.
7. ხატია შევარდნაძე. სიზმრად ვნახე საქართველო - ჟურნალი „პირველი სხივი“, 2008, № 27.
8. ომარ ბატიაშვილი. საზღვარგარეთ, რომ არ გამიშვეს, მაშინ გავიგე მამაჩემზე სიმართლე - ჟურნალი „გუმბათი“ 2009, №42.
9. კოტე ხიმშიაშვილი. კრებული. თბილისი, 2010. „კოტე ხიმშიაშვილი“
10. მანანა ნოზაძე. კოტე ხიმშიაშვილის დახვრეტა ადრეც უნდოდათ, რადგან მიხეილ ჯავახიშვილმა შეაქო - ჟურნალი „გუმბათი“, 2010, №1.
11. ომარ ბატიაშვილი. 17 ოქტომბერი, 17 პატრიოტი - ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ 2012, № 21.

#### **III. ლიტერატურა**

1. ჯარჯი აქიმიძე. საგაზეთო წერილები : „ურჩები“ გაზეთი „ქართული ფილმი“ 1991, 30 ოქტომბერი, გვ. 2; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991, 23 აგვისტო.
2. დავით იუკურიძე. თუშთა შეთქმულება. თბილისი, 1997.
3. რევაზ კვერცხისლაძე. საბუთები ლალადებენ. წიგნი პირველი, თბილისი, 2007. წიგნი მეორე, თბილისი, 2011. წამების გზა. წიგნი პირველი, თბილისი, 1999. წიგნი მეორე, თბილისი, 2005. წიგნი მესამე, თბილისი, 2007. წიგნი მეოთხე, თბილისი, 2017.

4. როსტომ ჩხეიძე, დაწყევლილი თაობა. ნიგნი პირველი, თბილისი, 1992. ჩანაწერები 1942 წლის შეთქმულებაზე. პირველი ნაწილი.- გაზეთი „თბილისი“ 1992, № 4, 14 იანვარი; მეორე ნაწილი. - გაზეთი „თბილისი“ 1992, №14, 30 იანვარი; მესამე ნაწილი. - გაზეთი „თბილისი“ 1992, №19, 30 ოქტომბერი.

**N. THETHVADZE**

## **FROM THE HISTORY OF THE 1942 CONSPIRACY**

### **Summary**

On June 22, 1941, the war of the Soviet Union began. The success of the German army in the summer and autumn of 1941 was the hope of the national-patriotic forces of Georgia. Georgian youth believed that Germany would win the Soviet Union, which would be a prerequisite for restoring Georgia's independence. Since 1941, Georgia has been formed into a circle of conspirators, which is gradually increasing. The most important figure among the conspirators was Konstantine (Kote) Khimshiashvili, who tied several dozen people in the plot. On January 8, 1942, Konstantine (Kote) Khimshiashvili was arrested and convicted, along with other participants (33 people) on September 11-20, 1942, for condemning the military tribunal of the Transcaucasian Front. Konstantine (Kote) Khimshiashvili was executed by the court and sentenced to confiscation of property.

**Н. ТЕТВАДЗЕ**

## **ИЗ ИСТОРИИ ЗАГОВОРА 1942 ГОДА - КОНСТАНТИН (КОТЭ) ХИМШИАШВИЛИ**

### **Резюме**

22 июня 1941 года началась война Советского Союза. Успех немецкой армии летом и осенью 1941 года дал надежду национально-патриотическим силам Грузии. Грузинская молодежь верила, что Германия победит Советский Союз, что станет предпосылкой восстановления независимости Грузии. С 1941 года в Грузии был сформирован круг заговорщиков, который постепенно увеличивался. Наиболее важной фигурой среди заговорщиков был Константин (Котэ) Химшиашвили, который внес несколько десятков человек в заговор. Константин (Котэ) Химшиашвили был арестован 30 января 1942 года, а с другими участниками (33 человека) был осужден военным трибуналом Закавказской границы 11-20 сентября 1942 года. Константин (Котэ) Химшиашвили был приговорен к расстрелу и конфискации имущества.

# ეთიოლოგია

ლიანა მალიქიშვილი, ლავრაციი ჯანიაშვილი

## ინტერკულტურული ურთიერთობა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროგლობები ქვემო ქართლიშვილების სომხეთსა და აზერბაიჯანელები

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის“  
ფინანსური მხარდაჭერით გრანტი № FR17-76

დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგომი საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია. ისტორიულად პოლიტიკურ და მულტიკულტურულ ქვეყანაში განსაკუთრებით გამოიჩინა ქვემო ქართლი, სადაც ქართველებთან ერთად კომპაქტურად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლები (აზერბაიჯანლები, სომხები, ბერძნები და სხვ). მათი კულტურული და სამეურნეო იზოლაციის მაღალი ხარისხი, მულტიკულტურალიზმის მიმართ კონსერვატიული დამოკიდებულება და ე.ნ. ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული სხვა პრობლემები ინტეგრაციის გზაზე ძლიერ გამოწვევად რჩება. განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მრავალრიცხოვანი ე.ნ. ეროვნული უმცირესობის სომხების და აზერბაიჯანლების ურთიერთობები და ინტეგრაციის პერსპექტივა.

ქვემო ქართლში აზერბაიჯანლები მოსახლეობის დაახლოებით 37%, ხოლო სომხები 5,5 %-ს შეადგენენ [6:25]. აზერბაიჯანელთა წინაპრები ძირითადად მე-17 საუკუნის დასაწყისიდან, მტრის ხშირი შემოსევებისაგან გაუკაცრიელებულ აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლი და კახეთი) სოფლებში დამკვიდრდნენ. სომხების ინფილტრაცია კი უფრო ადრე დაიწყო და საუკუნეების მანძილზე მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა. შუა საუკუნეებში საკუთარ სამშობლოში მტერთა ძალმომრეობას გამოქცეული სომხები თავს სასაზღვრო ქართულ რეგიონებს აფარებდნენ. თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით გადმოსახლდა ირანიდან და თურქეთიდან.

ხსენებული ჯგუფები იზოლირებულად ცხოვრობენ. ერთი შეხედვით, მათ პოზიტიური განწყობები აქვთ ერთმანეთის მიმართ, თუმცა სხვა ჯგუფის ტრადიციებისა და ადათ-წესების შესახებ ნაკლებად იციან, ისინი ერთი რეგიონის შიგნით თანაარსებობენ, მაგრამ ნაკლებად თანამშრომლობენ. ჯგუფებს შორის დიდი სოციალური დისტანცია და ნაკლებად განვითარე-

ბული ინტერკულტურული სენსიტიურობა, ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპები და ეთნოცენტრიზმი განაპირობებს კულტურათაშორის დაპირისპირების მაღალ რისკს, რაც შეიძლება განხილულ იქნას, არა როგორც მხოლოდ კულტურათა დაპირისპირების ან კონკურენციის, არამედ როგორც მათ შორის კომუნიკაციის მოშლის და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის პერიოდული გამწვავების შედეგი.

ზემოთქმულის მიუხედავად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში გარდაუვალი გახდა სომხური და აზერბაიჯანული ჯგუფების ერთი სეგმენტის (არასამთავრობო ორგანიზაციების) ინტერესების თანხვედრა. ამიტომ თანდათანობით ფართოვდება მათი თანამშრომლობის სივრცე და ცალკეულ საკითხებში ურთიერთობის მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა. ზოგჯერ ეს ორგანიზაციები ცდილობენ ეთნიკური ელფერი მიანიჭონ საქართველოს რეგიონებში არსებულ ტიპურ პრობლემებს, როგორიცაა: სოფლების მოსახლეობისაგან დაცარიელება, სტაგნაცია, გაუცხოება, სოფლის მეურნეობის დაცემა, ინფრასტრუქტურის მოშლა, ინტენსიური მიგრაცია, ენობრივი ბარიერი, საინფორმაციო ვაკუუმი, გადაუჭრელი ყოფითი, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, განათლების არასახარბიერო მდგომარეობა. ცხოვრების დაბალ დონეს სახელმწიფოსაგან ყურადღების ნაკლებობით ხსნიან და საზღვარგარეთ ეკონომიკურ მიგრაციას პოლიტიკურ ტაქტიკად მიიჩნევენ, ამიტომ მას აზერბაიჯანლები - „კულტურულ დეპორტაციას“, ხოლო სომხები - „ძალდატანებით დეპორტაციას“ უწოდებენ [8: 373].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეთნიკური ჯგუფების განსახლების არეალების ერთმანეთთან გადაფარვის შემთხვევაში სეპარატისტული მოთხოვნების წარმოშობის ალბათობა მცირეა და უფრო მნიშვნელოვანია ცენტრალურ ხელისუფლებაზე კონტროლის ან გავლენის მოპოვება [1: 42-43]. ქვემო ქართლში სწორედ ამგვარი სიტუაციაა - თუმცა გასული საუკუნის ბოლოსთვის რეგიონში ეთნიკური ურთიერთობები გამწვავდა. ქართული მოსახლეობა აქ მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს ქვეყნის მთლიანობისათვის საფრთხედ აღიქვამდა, სომხურ და აზერბაიჯანულ ჯგუფებში კი შეიმჩნეოდა მისწრაფება სხვადასხვა ტიპის ავტონომიისაკენ ან ირიდენტიზმისკენ. მასშტაბური დაპირისპირებისა და სისხლისღვრის თავიდან აშორება იმ პერიოდში გარკვეულმა ფაქტორებმა, მათ შორის, მოსაზღვრედ მდებარე აზერბაიჯანული და სომხური სახელმწიფოების ინტერესებმა განაპირობა, რასაც საველე ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ საკუთარ ჯგუფში არსებული ექსტრემისტული განწყობის აფიშირებას ყველა ერიდება და სხვებზე უფრო ღიად საუბრობს. ქართველები გასული საუკუნის ბოლოს შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციაში ე.წ. უმცირესობებს ადანაშაულებენ. აზერბაიჯანლები და სომხები კი ეროვნული მოძრაობის ფონზე აზვირთებულ ნაციონალიზმს. არსებობდა დაპირისპირების ნიშნები სომხურ და აზერბაიჯანულ თემებს შორის, რაც, სხვათა შორის, ყარაბახის კონფლიქტითაც იყო პროვოცირებული.

**ეთნოცენტრიზმი და ეთნიკური იდენტობის პრობლემა.** წარსულის განდიდება და კულტურული განსაკუთრებულობის აფიშირება, როგორც ცალკეული ხალხის ყოფაში, ისე სამეცნიერო წრეებშიც, საკმაოდ ხშირია. ეთნოცენტრისტული კონცეპტუალური პარადიგმა, ერთი მხრივ, დიდი სახელმწიფოების მძღვრიული მიზნების დაკმაყოფილების, მეორეს მხრივ, კი „მცირე“ ხალხების ეროვნული მობილიზაციისა და კონცენტრაციის ეფექტურ საშუალებად იქცა. იგი ზოგჯერ დიდი დოზით გვხვდება მოძღვრებებში, რომელიც გარეგნულად დემოკრატიისა და კოსმოპოლიტიზმის შინაარსს ატარებენ, თუმცა ნაციონალური პრობლემების გადაწყვეტისა და საზოგადოების მობილიზაციისათვის ამა თუ იმ ხალხის კულტურული უპირატესობის ქადაგებას და წარსულის გააიდეალება-განდიდებასაც არ ერიდებიან.

საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ხალხის პოლიტიკური უპირატესობა, თუნდაც ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში, თანამედროვეობაში გარკვეული პრეტენზიის საფუძველი შეიძლება გახდეს. ზოგჯერ ამგვარი განწყობები სათავეს ფსევდოისტორიული ნარატივებიდან, ან ისტორიული ფაქტების არაობიერტური ინტერპრეტაციიდან იღებს. ამგვარი მიდგომის კლასიკური მაგალითია აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას ინტერვიუ. მან განაცხადა, რომ ისტორიულად აფხაზეთი კი არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, არამედ საქართველო იყო აფხაზეთის ნანილი [2:25]. კონფლიქტური სიტუაციის დროს განსაკუთრებით აქტუალური ხდება ისტორიული წარსული. დაპირისპირებული მხარეები მას ტერიტორიული თუ სხვა სახის პოლიტიკური პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად იყენებენ. ამ დროს ისტორია დამოკიდებული ხდება პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. ინგლისელი მკვლევარი პ. ბერკი აღნიშნავს, რომ ისტორიკოსების შემოქმედება სულაც არ არის დამახსოვრების უწყინარი აქტი, ის სხვების მეხსიერების ჩამოყალიბების მცდელობა [2:25].

ისტორიული თემებით რომ მიზანმიმართული მანიპულირება შეიძლება, ეს ჩვენმა მთხოვბელებმაც კარგად იციან. „ჩვენ ხალხში (სომხებში ავტ.) ისევ პასკევიჩის ისტორია ზის. მიაჩინიათ, რომ პასკევიჩმა იყიდა მათთვის ეს მოწები“ (სომეხი მამაკაცი, წალკა). ამგვარ ვითარებას სასკოლო სწავლებასთანაც აკავშირებენ და მიაჩინიათ, რომ „ჩვენს სახელმწიფოში საგნები მხოლოდ საქართველოში დაწერილი წიგნებით უნდა ისწავლებოდეს“ (სომეხი მამაკაცი). „სკოლაში ისტორიას გვასწავლიდნენ აზერბაიჯანულად, ბაქოში გამოცემული წიგნით.“ (აზერბაიჯანელი ახალგაზრდა კაცი).

ჯგუფის პრიორიტეტულობაზე აპელირებას ანუ, შიდა ეთნოჯგუფურ ფავორიტიზმს, რომელიც ძირითადად ისტორიულ (ხშირად ფსევდოისტორიულ) ფაქტორებზეა დაფუძნებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ გარემოში, სადაც საკუთარი ეთნიკური ჯგუფის უპირატესობის აღქმა იდენტობის შენარჩუნება/განმტკიცების და ასიმილაციის თავიდან აცილების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ი. კონი მიიჩნევს, რომ ცხოვრებისეული მოვლენების იმ პრიზმიდან აღქმა და შეფასება, რომლიდანაც მისი ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ტრადიციები და

ღირებულებები გარკვეული ეტალონისა და ოპტიმების როლშია, ადამიანის დამახასიათებელი ჩვევაა [11: 812]. საკუთარი კულტურა არის ნორმა, ისტორია ყველაზე მდიდარი, ღირებულებები ყველაზე მისაღები, ბუნებრივი და სწორი, რაც სიმაყის და უპირატესობის შეგრძნებას უდევს საფუძვლად. სხვა ჯგუფის კულტურა, ღირებულებები და ნორმები საკუთარ კულტურასთან მიმართებით განიხილება და, როგორც წესი, უფრო დაბალ დონედ მიიჩნევა, რაც ხელს უშლის ჯგუფთაშორის ურთიერთობას და ინტეგრაციულ პროცესს, სამაგიეროდ აძლიერებს შიდაჯგუფურ მობილიზაციას და ეთნიკურ საზღვარს.

ქვემო ქართლის ე.ნ. „ეთნიკური უმცირესობები“ მეზობელი ქვეყნებიდან გარკვეულ მაპროვოცირებელ იმპულსებსაც ღებულობენ. აზერბაიჯანული და სომხური თემის კონსოლიდაციის და იდენტობის განმტკიცების საქმეში მონაწილეობენ სომხეთის და აზერბაიჯანის აკადემიური წრეების, ბიზნეს სექტორის და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რადგან მიაჩნიათ, რომ სასაზღვრო რეგიონში სომხეური და აზერბაიჯანული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის განმტკიცება მათ სახელმწიფო ინტერესებში შედის. აქ მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესზე გავლენას ახდენს, ასევე, რუსეთი და თურქეთიც. ამ მიმართებით საკამაოდ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. საქართველოს სასაზღვრო ზოლში კომპაქტურად მოსახლე ეთნიკურ უმცირესობებში, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, შეიმჩნევა სეპარატისტული და ირედენტული სწრაფვები. სწორედ ეთნიკური „კოზირის“ გათამაშებით შეძლო რუსეთმა ქართული ტერიტორიის 20%-ის ოკუპირება. [3: 111 -124]

სომხეურ და აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში ჩამოყალიბებული ტენდენციები ნაწილობრივ გამყარებულია რუსულ იდეოლოგიურ ცენტრში შექმნილი დებულებით, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის დროს სტალინმა, როგორც ქართველმა, საქართველოს შემოუერთა მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიები და ამიტომ, ვინც ამტკიცებს, რომ ეს მიწები საქართველოს მიეკუთვნება - სტალინისტია, სტალინის გადაწყვეტილებას იცავს [16]. ამ დებულების აბსურდულობა მარტივად დაასაბუთეს ქართველმა მეცნიერებმა [15:10-15; 4:168-175]. თუმცა, იგი ხელსაყრელად მიიჩნიეს მეზობელ სომხეურ და აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში. რუსეთის იმპერია და მით უფრო სტალინური რეჟიმით თანამედროვე მსოფლიოში ბოროტებასთან ასოცირდება, ცხადია ბოროტებასთან იგივება მათი გადაწყვეტილებებიც. ამიტომ საქართველოს დამარცხების და დანანერვრების შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოების თვალში ტერიტორიული პრეტეზიების გამოცხადების პერსექტივა სწორედ ამ გზით შეიძლება გაამართონ [7].

შედარებით ძველია ე.ნ. „დიდი სომხეთის თეორია“ რომელიც ამტკიცებს, რომ საქართველოს ნაწილი (ქვემო ქართლი და ჯავახეთი) ისტორიის გარკვეულ ეტაპზე სომხეთის სახელმწიფოში შედიოდა, ამიტომ იგი პერსპექტივაში კვლავ სომხეურ ეთნოპოლიტიკურ სივრცეს შეიძლება შეუერთდეს. ქართული ტერიტორიების სომხეურ ისტორიულ ტერიტორიად გამოცხადებას

სათანადო ოპონირება გაუნიეს ქართულ აკადემიურ წრეებში. ამ მასალის ნაწილი გამოქვეყნდა კრებულში [10]. „დიდი სომხეთის თეორიის“ აზერბაიჯანულ საპირნონეს წარმოადგენს ბაქოს ინტელექტუალურ წრეებში ბოლო სანებში გაჩენილი ე.წ. „ალბანური თეორია“, რომლის თანახმადაც, იძერის ისტორიული მეზობლის, ალბანეთის მოსახლეობა ეთნიკურად თურქული// აზერბაიჯანული იყო, ალბანურ//აზერბაიჯანულ პოლიტიკურ გაერთიანებად მიიჩნევენ შექის სახანოს და თბილისის საამიროს, რომლის დაცემის შემ-დეგაც ყველა კულტურულ-ისტორიული ძეგლი გაანადგურეს (იგულისხმება ქართველებმა ავტ.) [12].

ორივე ეს თეორია მრავალკომპონენტიანია და ისეთ ელემენტებს შეი-ცავს როგორიცაა: ეთნოდემოგრაფიული ვითარება ისტორიულ და თანამე-დროვე ჭრილში, პოლიტიკური ისტორიის, მატერიალური კულტურის ძე-გლების (ძირითადად რელიგიური) კუთვნილების საკითხები და ა.შ. მაგ.: სომხური თვალსაზრისით ქვემო ქართლი ისტორიულად სომხური პოლიტი-კური ერთეულების შემადგენლობაში შედიოდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი უწყვეტად სომხური (ყოველ შემთხვევაში ქალკედონიტი სომხებით დასახლე-ბული) იყო, ორი ათასწლეულის მანძილზე სომხები აქ დემოგრაფიულ უმ-რავლესობას წარმოადგენდნენ და არასდროს შეუწყვეტიათ კულტურულ-აღმშენებლობითი მოღვაწეობა, ამიტომ ქრისტიანული ტაძრების უმეტესობა მათი ეროვნული შემოქმედების ნაშთს წარმოადგენს [14: 3-8]; აზერბაიჯან-ელი მკვლევრების ნაწილი, თავის მხრივ, ამ ქართულ მხარეს, ისტორიულად თურქულ-აზერბაიჯანული გაერთიანებების გავლენის სფეროში მყოფად მი-იჩნევს, მოსახლეობას უძველესი დროიდან - აზერბაიჯანელად, შესაბამისად მატერიალური კულტურის ძეგლებსაც აზერბაიჯანულად//ალბანურად თვ-ლის [12: 18, 160-170; 9, 88].

10 წლის წინ ქვემო ქართლში, ექსპედიციის მუშაობისას დავაფიქსირეთ, რომ აზერბაიჯანელთა ინტელექტუალური წრის ნაწილი, მართალია აზერბაი-ჯანელად მიიჩნევდა თავს, მაგრამ იმავდროულად თვითდასახელებად ახალ სახელს ირჩევდა - "Мы не азербайджанцы, мы албанцы". 2019 წელს ჩატარებულმა ექსპედიციამ გამოავლინა ამ ახალი იდენტობის პოპულარობის ზრდა ქვე-მო ქართლის თითქმის ყველა აზერბაიჯანულ სოფელში. აქ არსებულ ქართულ ძეგლებს (მათ შორის ეკლესია-მონასტრებს) და საფლავების ქვის ზოომორ-ფულ ქანდაკებებს, ალბანურად მიიჩნევენ და გვიხსნიან, რომ ეს ყველაფერი იციან იმ ხალხისგან, რომლიც აქ „თქვენსავით (ეთნოლოგებივით ავტ.) დადის“.

ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები, ამასთანავე ვერ ელე-ვიან თურქულ ეთნოკულტურულ სამყაროსთან კავშირს. ცდილობენ აღნიშ-ნონ ან დააწესონ დღესასწაულები, რომლებიც თურქებთან მათ ერთიანობას ადასტურებს, გაუფრთხილდნენ იმ საკულტო ძეგლებს, რომლებიც, მათი თვალსაზრისით, თურქული წარმომავლობის დამადასტურებელია. ეს ჯგუ-ფი ეთნიკური სახელდების მიხედვით გაურკვეველ სიტუაციაში იმყოფება, რადგან გააჩნია ნეგატიური და პოზიტიური ნიშნებით დატვირთული რამდენ-იმე სახელი (ეთნონიმი) - აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანელი თათარი, თათარი,

ბორჩალო, თურქი. ზოგიერთი ამ ტერმინებისაგან (მაგ თათარი, აზერბაიჯანელი თათარი) კატეგორიულად მიუღებელია მათვის, მაგრამ სრულიად გასა-აგები და ფართოდ გავრცელებული სხვა ჯგუფის (სომხების, ქართველების) წევრებში. საგულისხმოა, რომ ახალი ეთნონიმის, „ალბანელის“, „გაჩენა კიდევ უფრო გაართულებს მათი ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის ისედაც ბუნდოვან საკითხს.

ეთნიკური კუთვნილების შეხსენება//განმტკიცება მუდმივად ხდება იმ ტიპის საერთო სახალხო შეკრებებით, რომლებიც ამძაფრებს ჯგუფის ერთანობის შეგრძნებას სომხებთან ან აზერბაიჯანელებთან. ძველი რელიგიური დღეობების გვერდით ახალი რიტუალები გაჩნდა. 2009 წლიდან აზერბაიჯანელები, ბაქოში დაფუძნებული საზგადოება „ბორჩალოს“ ორგანიზებით პანტიანის ტბაზე (დმანისის რაიონში) ზეიმობდნენ „ელათი“-ს (მწყემსის დღე) რომელსაც ფორმალურად მეგობრობის ღონისძიება უწოდეს, თუმცა ძირითადად თურქულ-აზერბაიჯანული სულის გალვივებას ემსახურებოდა (ამჟამად დმანისის მუნიციპალური ხელმძღვანელობის ინიციატივით ეს დღესასწაული ჩაანაცვლა „დმანისობამ“). სომხები ყოველწლიურად 24 აპრილს აღნიშნავენ „გენოციდის დღე“-ს. ისტორიულ სამშობლოსთან მუდმივი თანაზიარობის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ეროვნული სულის მატარებელ მემორიალებს (გენოციდის აღმნიშვნელი ბარელიეფი ან ყარაბახის ომში მონანილის ბიუსტი, ისტორიული პიროვნების ძეგლი და ა.შ.).

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ კულტურული განსაკუთრებულობის შეგნება გარკვეულ საფუძველს ემყარება, რადგან თითოეული ჯგუფი ამ თვალსაზრისით მართლაც უნიკალურია. მხოლოდ უარყოფითი ნიშნით არ შეიძლება წარმოვადგინოთ, ეთნოცენტრიზმიც რადგან ეს სამყაროს საკუთარი კულტურის ფილტრის მეშვეობით შეფასების ტენდენციაა და რომელიც ყველას გააჩნია და ამდენად ყველა ადამიანი ეთნოცენტრისტია, რადგან აქვს კულტურით განსაზღვრული ჩვევის გარკვეული მოდელები [13: 104]. ქვემო ქართლში ამ მიმართებით ჩამოყალიბდა არც თუ ისე მკაფიო ვითარება. ერთის მხრივ არის „სომხური“ ან „აზერბაიჯანულ“ ჯგუფი მჭიდრო ბმაშია სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოსთან, მათ ისტორიულ სამშობლოდ აღიქვამს, ხოლო ახლანდელ საცხოვრებელ ადგილს, ეთნოცენტრისტული ნარატივების გავლენით კულტურულ-ისტორიული, თვალსაზრისით ამ სამშობლოს ნანილად. მეორეს მხრივ, იგი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მისი საცხოვრებელი ტერიტორია ქართული სახელმწიფოს ნაწილი. ამგვარი სიტუაცია ეთნიკური იდენტობის მარგინალიზაციის და კონფლიქტის მაპროვოცირებელ პოტენციურ ფაქტორად გვევლინება.

ინტეგრაციის პოლიტიკა და სახელმწიფოს აღმა ეთნიკურ ჯგუფებში. პოლიეთნიკური რეგიონის ინტეგრაციის თვალსაზრისით სამი ძირითადი შესაძლებლობა არსებობს: I. ეთნიკური ჯგუფების (ე.წ. უმცირესობების) ერთიან სახელმწიფო ორგანიზმში ინტეგრაცია; II. ჯგუფთა შორის არსებული კულტურული საზღვრების კიდევ უფრო განმტკიცება, კულტურული განსხვავებების გაღრმავებით; III. სეპარაცია. ეს პრობლემა შედარებით მწვავედ დადგა

ქვემო ქართლში სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ჯგუფები, რომელთაც განსხვავებული ეთნოკულტურული იდენტობა გააჩნიათ [8: 122].

ქართული საზოგადოების ნაწილის აზრით საგარეო საფრთხეები კავშირშია ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტერესებთან, რაც განსაზღვრავს კიდეც დამოკიდებულებას მათ მიმართ. თავის მხრივ, ამ ეთნიკურ ჯგუფებშიც მოხდა ღირებულებათა სისტემის გარკვეული აღრევა, რადგან ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება ენის და ტრადიციული კულტურის გაფრთხილება-კონსერვაციას მოითხოვს, ინტეგრაციული პროცესები კი პირიქით, მათ ტიტულოვანი ეთნოსის კულტურული ელემენტების ათვისებისაკენ უბიძგებს.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები შეიძლება მიმართული იყოს ინტეგრაციის ან ეთნიკური ასიმილაციის მიმართულებით. ეთნიკური ასიმილაცია წარიმართება შიდა ეთნიკური იდენტობის წაშლის გზით (ამ დროს ძირითადი აქცენტი გაკეთდება ჯგუფების ეთნოკულტურული თავისებურებების რადიკალურ ტრანსფორმაციაზე); ინტეგრაციული პროცესის გააქტიურება კი შეიძლება ჯგუფთაშორისი სოლიდარობის და ტოლერანტობის გაზრდის ხარჯზე, როდესაც სახელმწიფო გამოდის ჯგუფთა თვითმყოფადობის და კულტურული იდენტობის დაცვის გარანტად. პირველი სტრატეგია, როგორც წესი, დამახასიათებელია ტოტალიტარული სახელმწიფოს ტიპისათვის და შესაძლებელია, კონფლიქტის მაპროვოცირებელ ფაქტორად იქცეს, რადგან ენინაალმდეგება ეთნიკურ ერთეულთა მისწრაფებას თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის [17: 48].

სხვადასხვა წარსულის, მენტალიტეტის, ტრადიციული ყოფითი და სულიერი კულტურის ჯგუფების თავმოყრა ერთ რეგიონში, რა თქმა უნდა, გულისხმობს მათ შორის. გარკვეულ დაპირისპირებას. ამასთან, თავისთავად მიმდინარეობს ეთნიკური პროცესები, როდესაც ცალკეული პირების ანდა მთელი ჯგუფების გადასვლა ხდება სხვა ეთნოსოციალურ ერთობაში. ეს პროცესი შეიძლება ასიმილაციითაც დასრულდეს, თუმცა მანამდე ცალკეული ინდივიდები გარკვეულ ეთნიკურ საზღვარზე მარგინალურ სიტუაციაში იმყოფებიან; რაღაც ნიშნებით ერთ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რაღაცით კი სხვას. ამგვარი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად აისახება მათ შეხედულებებზე, ცხოვრების სტილზე, თვითრეფლექსიაზე, კარიერაზე, სოციალურ სტატუსზე და ა.შ. ხდება ადამიანის ერთგვარი პიროვნული გაორება. ქვემო ქართლში ამგვარი ვითარება ხმირად ისტორიულ კონტექსტში განიხილება და საკმაოდ მტკიცნეულად აღიქმება ერთის მხრივ ე.წ. "დონორი" ჯგუფის და მეორეს მხრივ, მიმღები ჯგუფის მიერ. [8: 138].

რეგიონში მოსახლე სომხების და აზერბაიჯანელების იდენტობის კონსტრუირება ძირითადად ქართულ პოლიტიკურ ორგანიზმში მიმდინარეობდა, მათი წინაპრების უმრავლესობას არ უცხოვრია თვით XX საუკუნის დასაწყისში აღმოცენებულ სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოებში. თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი ეთნიკურობას სწორედ სომხეთს და აზერბაიჯანს უკავშირებენ. ქვემო ქართლის სომხურ და აზერბაიჯანულ თემებზე, ბუნებრივია, გარკვეულ გავლენას ახდენს ზემოაღნიშნული თეორიებიც, რადგან

მათ, პირველ რიგში, ავტოქტონობა მიაჩნიათ ამ ტერიტორიაზე ცხოვრების ძირითად არგუმენტად. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მეხსიერება საკუთარი ხალხის თავგადასავლის შესახებ ძირითადად საქართველოს უკავშირდება ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: სოფ. გოულბალში (მარნეულის მუნიციპალიტეტი) სომხები გვიამბობენ გადმოცემას დონლუზვრანის შესახებ. მათი თქმით დონლუზვანი ადგილობრივი სომხი გმირი ყოფილა მეფე ერეკლეს ეპოქაში. „მეფე ერეკლეს დროს დაღესტნიდან აქ ხშირად დადიოდნენ საყაჩალოდ. ერთმა ყაჩალმა ძალზე შეაწუხა აქაურები. ერეკლემ კაცი გამოუგზავნა, დაიჭირეთ ეგ დაღესტნელი და მომგვარეთო. დონლუზვრანმა და მისმა ძმებმა ხუდმა და ჯიმბალმა იცოდნენ, რომ ამ ყაჩალს საყვარელი ჰყავდა სადახალოში და მასთან მივიღოდა. დაუდარაჯდნენ, დაიჭირეს იგი და გათოკეს“. ბოლნისის მკვიდრი ახალგაზრდა აზებაიჯანელი კი გვიამბობს, რომ მათ მხარეში არის „თამარას კალა“ (თამარის ციხე, ავტ.) სადაც დაკრძალულია მეფე თამარი. მათი გადმოცემის თანახმად თამარი მუსლიმი ყოფილა. ცხადია, მთხრობელთა თვალსაზრისით ეს კუთხე (თამარ მეფის, ერეკლეს ეპოქაში) საქართველოში შედიოდა, თუმცა მოსახლეობაში იყვნენ სომხებიც და აზერბაიჯანელებიც (მთხრობლის სიტყვებით თამარი ხომ მუსლიმი//თათარი იყო).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია გასული საუკუნის 90-იან წლებში ჯავახეთში, სომხებით კომპაქტურად დასახლებულ ქართულ რეგიონში, არსებული მდგომარეობა. აქაური სომხები მიიჩნევდნენ, რომ ჯავახეთის მიკრორეგიონი მათი სამშობლოა, რომელიც მოიცავს ტერიტორიას აქედან (ახალქალაქიდან) მოყოლებული სომხეთის რესპუბლიკის ჩათვლით. რაც ამ რეგიონშივე, საველე საექსპედიციო მუშაობისას, ქართველ მკვლევრებთან საუბარში გამოიხატებოდა ფორმულაში „თქვენთან საქართველოში ასეა, და ჩვენთან (აქ) სომხეთში კი ასე.“ [19: 288].

ქვემო ქართლში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები, ჯავახეთის სომხებისაგან განსხვავებით, მკაფიოდ მიჯნავენ რეგიონს, როგორც ქართული სახელმწიფოს ტერიტორიას, მეზობლად მდებარე სომხური და აზერბაიჯანული სახელმწიფოებისაგან. „სასმელი წყალი სომხეთის ტერიტორიიდან მოდის (ხაზი ჩვენია ავტ.). ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ავკრიბეთ ფული, სადღაც 50 წლის წინ. მთავრობა არაფერში დაგვეხმარებია. ვიყიდეთ მილები და ჩავყარეთ.“ (სომხები, სოფ. ხოյორნი). „პირველები მისკალიანები ჩამოვიდნენ (სოფ. ჩანახში ავტ.) 1850 წელს. შემდეგ კი სომხეთიდან, ალავერდის, ახპატ სანაიანის რაიონიდან (ხაზი ჩვენია ავტ.) გადმოვიდნენ, ხუდონიანები.“ (სოფ. ჩანახში). ზოგი სომხი და აზერბაიჯანელი ღიად აცხადებს, რომ როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია საქართველოს დაცვაში იარაღით ხელში მიიღოს მონაწილეობა. ქართული სახელმწიფოს სამსახურში ყოფნა ზოგჯერ შიდაჯგუფური დაპირისპირების მიზეზიც შეიძლება გახდეს.

რელიგია ტრადიციულ საზოგადოებებში ჯგუფთა შორის განმასხვავებელ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. ყოფით დონეზე აზერბაიჯანელებს სწორედ ამ ნიშნით განასხვავებენ. მათ თითქმის ყველა ჯგუფი "თათრებად"

მოიხსენიებს „რადგან მათი იდენტობის მთავარ კომპონენტად ისლამი მიაჩნიათ. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს მეტ-ნაკლებად შეგნებული აქვთ რომ „ეს ქრისტიანული ქვეყანაა“. ისინი შედარებით ლოიალურად არიან განწყობილი და თვით მუსულმანის გაქრისტიანებასაც არ აღიქვემდენ ტრაგედიად „მუსულმანის მიერ ქრისტიანობის მიღებაში, ან პირიქით არაფერი არაა ცუდი. ყურანშიც ნერია ქრისტიანებს ჩვენზე ნინ მიუღიათ ნიგნი და სუფთად მიყვებიან.“ ისლამური გარემო განსაკუთრებული რადიკალიზმითაა ცნობილი. ისლამის ინდივიდუალური და კოლექტიური რეალიზაციისათვის აუცილებელია ისლამური სახელმწიფო. ქრისტიანული სახელმწიფოს ქვეშევრდომად ქცეულმა მუსულმანმა უნდა შეასრულოს ჰიჯარა (დატოვოს არამუსლიმითა ტერიტორია), თუ ამის ფიზიკური შესაძლებლობა არსებობს. უკიდურეს შემთხვევაში საგანგებო ფეტვა უშვებდა ფორმალურად ისლამზე უარის თქმასაც კი. იმ შემთხვევებში კი, როდესაც მუსულმანს აიძულებდნენ მიუღებელი რამ ჩაედინა (ეჭამა ღორის ხორცი, დაელია ღვინო, მონაწილეობა მიეღო ნირვაში და ა.შ.) თავისი ამგვარი ქმედებებისადმი დისტანცირება მას სულში უნდა გაეკეთებინა [20: 125]. ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების მიერ მუსლიმური რელიგიისათვის დამახასიათებელი აკრძალვების დარღვევას რელიგიური ინდივერენტიზმით ხსნის „მე სუნიტი ვარ, თუ შიიტი არც ვიცი, მეჩეთში სიარულის მეტი საქმე არა მაქვს (იცინის), ისე ბიჭს სუნიათი (წინადაცვეთა) კი გავუკეთე ნოვრუზს აღნიშნავს ძირითადად ძებერი ხალხი, ხოლო რამადანს არავინ იცავს... ისე ღორის ხორცს მეც მივირთმევ“ (შუა ასაკის აზერბაიჯანელი).

იმავდროულად, ქრისტიანი მოსახლეობა ისლამური რელიგიური ნაგებობების მშენებლობის გააქტიურებაზე საუპრობს და ამას აზერბაიჯანელთა მხრიდან ტერიტორიული პრეტენზიის გამოცხადების პერსპექტივას უკავშირებს. ჩვენთან საუბარში არატიტულოვანი ჯგუფების წარმომადგენლები საქართველოს სახელმწიფოსა და მთავრობისადმი თავიანთ კეთილგანწყბას ხაზს უსვამდნენ. თუმცა თითოეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ქართველებს. „თქვენ ქართველები ხართ, თქვენ გაიფიცებით და გისმენენ, ჩვენ კი არ გვისმენენ“ (სოფ ხოურნი). თავის მხრივ ქართველებს მიაჩნიათ, რომ პირიქით, აზერბაიჯანელები და სომხები არიან პრივილეგირებული. მაგ. აზერბაიჯანის ხელისუფლება „სოკარის“ მეშვეობით დიდ გავლენას ახდენს ქვემო ქართლში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე.

რეგიონის ეთნიკური სპეციფიკადან გამომდინარე ითვლება, რომ ეს მხარე არჩევნების დროს არსებული ხელისუფლების მუდმივი მხარდამჭერია. ნანილობრივ ეს სიმართლეს შეესაბამება. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამით არატიტულოვანი კონტინგენტი საკუთარ ლოიალობას ამჟღავნებს არა კონკრეტული პოლიტიკური ძალის, არამედ სახელმწიფოს მიმართ. მაგ. სოფ. სადახლოში ჩვენ აზერბაიჯანელ მთხოობელთა უმეტესობა 2006 წელს ამბობდა, რომ აქ არჩევნები ფორმალურ ხასიათს ატარებს, მასში ქალები საერთოდ არ მონაწილეობენ, რადგანაც მუსლიმური კულტურა ვერ იტანს ქალის ზედმეტ აქტიურობას. ისინი საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების

გამოხატვას თუ ის ოჯახის უფროსისას არ ემთხვევა, ვერასოდეს გაპედავენ. რამდენიმე წლის შემდეგ, 2010 წელს იმავე სოფლის მაცხოვრებელთა ნაწილი გვიმტკიცებდა, რომ აქაური ქალები არჩევნებში აქტიურად მონაწილეობენ და თავიანთ პოლიტიკური გემოვნების გამუღავნებასაც არ ერიდებიან. 2018 წელს კი ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა თქვა, რომ მომავალი არჩევნების შედეგების პროგნოზირება საკმაოდ ძნელია, რადგან იგი დამოკიდებული იქნება არა მმართველი ძალის სურვილზე, არამედ რე-გიონში არსებულ რეალურ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე.

ამრიგად, ქვემო ქართლში სომხები და აზერბაიჯანლები ძირითადად იზოლირებულად ცხოვრობენ და ხასიათდებიან როგორც ფიზიკური, ასევე საინფორმაციო და ფსიქოლოგიური იზოლაციით. ერთი შეხედვით, მათ პოზიტიური განწყობები აქვთ ტიტულოვანი ეთნოსის და ერთმანეთის მიმართ, მაგრამ სხვა ჯგუფის ტრადიციებსა და ადათ-წესებს ნაკლებად იცნობენ, ისინი ერთი რეგიონის შიგნით თანაარსებობენ, მაგრამ ნაკლებად თანამშრომლობენ, თუმცა საველე მასალა მოწმობს, რომ მათში თანდათანობით მყარდება შეგნება, რომ ქართული სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და სათანადო უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ ქვეყნის, საქართველოს წინაშე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კორნელი სვანტე, ავტონომია-კონფლიქტის წყარო, ცივილიზაციათა დიალოგი, №2, თბილისი, 2004
2. თორია მ., ნარსულის გააზრებისა და მეხსიერების პოლიტიკის როლი კონფლიქტური იდენტობებს ჩამოყალიბებაში, (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მაგალითი), ცივილიზაციათა დიალოგი, №4, თბილისი, 2006
3. მელიქიშვილი ლ., კონფლიქტის ანთროპოლოგია, თბილისი, 2006.
4. მეტრეველი რ., On Some Issues of Georgian History (In response to the Interview of V. Putin, the President of Russia, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 13, №3, 2019.
5. სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიტიკურ საზოგადოებაში, თბ. რედ. მელიქიშვილი ლ. თბ., 2011.
6. ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, გამომცემლობა "უნივერსალი", თბ. 2012
7. ჭეიშვილი გ., «Дабы не заблуждаться и не вводить в заблуждение», ინტერნეტ ვერსია, [http://reportori.ge/inside.php?menuid=48&id=105734&fbclid=IwAR1f58ZAdmvqt-MBZUE9\\_orOXFFLaGBsEbv2szW9kkuuqNM8T83jU2M1bAE](http://reportori.ge/inside.php?menuid=48&id=105734&fbclid=IwAR1f58ZAdmvqt-MBZUE9_orOXFFLaGBsEbv2szW9kkuuqNM8T83jU2M1bAE)
8. ჯანიაშვილი ლ., ჯგუფთაშორის საზღვრები და ინტერკულტურული დიალოგი ქვემო ქართლში, ნიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი, თბ., 2011.
9. გეიбулаев Г. А., К этногенезу Азербайджанцев (по данным топонимии), К проблеме этногенеза Азербайджанского народа, Баку, 1984.

10. Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии. Тбилиси, Универсал, 2009.
11. Кон И. Этноцентризм// Философский энциклопедический словарь, М., 1983.
12. Территория Грузии искусственно увеличивалась за счет Азербайджана, Интервью с директором института истории имени А. Бакиханова Национальной Академии Наук Азербайджана, членом-корреспондентом Академии Ягубом Махмудовым, ინტერნეტ ვერსია, <https://www.gumilev-center.ru/territoriya-gruzii-iskusstvenno-uvelichivalas-za-schet-azerbajjdzhana/>.
13. Мацумото Дэвид, Человек, культура, психология. Удивительные загадки, исследования и открытия. Санкт-Петербург, 2008.
14. Мусхелишвили Д, Вместо предисловия, Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии. Тбилиси, Универсал, 2009.
15. Лордкипанидзе М., Мусхелишвили Д., Открытое письмо премьер-министру российской федерации В. Путину, Некоторые вопросы истории осетин Шида картли, Тбилиси, 2010.
16. Путин В., Интервью Председателя Правительства Российской Федерации В.В. Путина американской телекомпании «Си-Эн-Эн» Сочи, 28 августа 2008 г., ინტერნეტ ვერსია, <http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hideText=0&itemPage=1>
17. Тишков В. А. Как обновить концепцию национальной политики? Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N48. 2003.
18. Юнусов А., Ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Центральная Азия и Кавказ, №1(2), 1999 г
19. მელიქიშვილი ლ., ეთნიკური ღირებულების როლი კონფლიქტურ სიტუაციაში: ნიგბში კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ რეგიონში, რედ. ლ. მელიქ-იშვილი თბ. 1998
20. Ланг М., Традиция Миграций в Мусульманском кругу, Центральная Азия и Кавказ, #1, 1998

L.MELIKISHVILI, L. JANIASHVILI

## **INTERCULTURAL RELATIONS AND PROBLEMS OF CIVIC INTEGRATION OF THE ARMENIANS AND AZERBAIJANIS LIVING IN KVEMO KARTLI**

### **Summary**

The Armenians and Azerbaijanis living in Kvemo Kartli are in physical, informational and psychological isolation. At one glance, they have a positive attitude towards the titular ethnoses and each other; however, they have less knowledge about the traditions and customs of other ethnic groups. The large social distance between the groups and less developed intercultural sensitivities, negative ethnic stereotypes, and ethnocentrism pose a high risk of intercultural conflict. Representatives of the academic circles, business sector and religious organizations of Armenia and Azerbaijan, participate in the consolidation and strengthening of the Azerbaijani and Arme-

nian communities in Georgia. They believe that the recognizing the autochthony of the groups living in the border region and the strengthening of their "Armenian" and "Azerbaijani" identities increase the prospect of territorial claims. Under the influence of ethnocentric narratives the situation is not very favorable. Part of the Armenian and Azerbaijani citizens of Georgia, perceives Armenia and Azerbaijan as their historical homeland, Kvemo Kartli, from the historical standpoint, is considered part of these countries; but they clearly distinguish the region as the territory of the modern Georgian state from the neighboring states of Armenia and Azerbaijan. The field material obtained in Armenian and Azerbaijani groups testifies that the members of these communities are gradually gaining awareness that they are citizens of the Georgian state and have appropriate rights and obligations.

**Л. Ш.МЕЛИКИШВИЛИ, Л. М. ДЖАНИАШВИЛИ**

**МЕЖКУЛЬТУРНЫЕ ОТНОШЕНИЯ И ПРОБЛЕМЫ  
ГРАЖДАНСКОЙ ИНТЕГРАЦИИ АРМЯН И АЗЕРБАЙДЖАНЦЕВ  
В КВЕМО КАРТЛИ**

Резюме

Армяне и азербайджанцы, проживающие в регионе Грузии Квемо Картли, характеризуются как физической, так и информационной и психологической изоляцией друг от друга. На первый взгляд, они положительно относятся к титулальному этносу и друг к другу, хотя о традициях и обычаях другой этнической группы особым знанием не владеют. Большая социальная дистанция между группами и менее развитая межкультурная чувствительность, негативные этнические стереотипы и этноцентризм создают высокий риск межкультурного конфликта. Представители, армянских и азербайджанских научных, деловых и религиозных организаций участвуют, по отдельности, в консолидации азербайджанской и армянской общин, проживающих из-за разных исторических событий в приграничном регионе Грузии, присваивают им автохтонность, чем и укрепляют их идентичность и увеличивают перспективу территориальных претензий. Под влиянием этноцентрических нарративов сложилась не очень благоприятная ситуация. Часть армянской и азербайджанской граждан Грузии, приграничный с Арменией и Азербайджаном исконный регион Грузии - Квемо Картли, воспринимают как часть своей исторической родины, хотя четко отличают этот же регион как территорию современного грузинского государства от соседних армянской и азербайджанской государств. Полевой материал, полученный в армянских и азербайджанских группах, свидетельствует о том, что члены этих общин постепенно осознают, что являются гражданами Грузии и имеют перед ней соответствующие права и обязанности, как и государство, имеет перед ним соответствующие обязанности

# 01სტორიული დემოგრაფია

## ანზორ სახელაძე

### ხაშურაბის კანონების დემოგრაფიული ასახულები\*

როგორც აღვნიშნეთ, ხამურაბის კანონები ართულებდა, განსაკუთრებით კი ქალის ინიციატივით აღძრულ განქორწინებებს, მაგრამ ის მაინც უშვებდა ამის თუნდაც თეორიულ შესაძლებლობას. კერძოდ: „(§141) უკეთუ კაცის ცოლი, რომელიც ქმრის სახლში ცხოვრობს, სახლიდან გასვლას ფიქრობს,<sup>1</sup> ქონებას იუნჯებს,<sup>2</sup> თავის სახლს აჩანაგებს და ქმარს ამცირებს, უნდა ამხილონ და, თუკი ქმარი მის გაშვებას იტყვის, შეუძლია გაუშვას, გზისა და გაშვებისა არაფერი მიეცემა. თუკი მისი ქმარი მის გაშვებას არ იტყვის, ქმარს შეუძლია მეორე ქალი მოიყვანოს. ის ქალი კი ქმრის სახლში მონა ქალად დარჩება.“ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქალია განქორწინების ინიციატორი და თავისი არაკანონიერი ქმედებით (სახლის გაჩანაგებითა და ქმრის დამცირებით) ცდილობს სახლიდან წასვლას. მაგრამ, მიუხედავად ქალის ინიციატივისა, საბოლოო გადაწყვეტილებას, გაშორდეს თუ არ გაშორდეს თავის ცოლს, მაინც იღებს კაცი.

განქორწინებისადმი ქალის ასეთივე ინიციატივა იკითხება მომდევნო მუხლშიც, სადაც წერია: „(§142) უკეთუ ქალმა თავისი ქმარი მოიძულა,<sup>3</sup>

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. მაცნე, ისტორიის... სერია, 2, 2019, გვ.73-86.

1 „ – სახლიდან გასვლაზე ფიქრობს:“ გ ა ს ვ ლ ა ამ კონტექსტში, როგორც ს ა ხ ლ შ ი შ ე ს ვ ლ ი ს საპირისპირო მოქმედება, გულისხმობს უზნეო საქციელს; სახლიდან გამოსვლის კაზუსები განსაკუთრებით გათვალისწინებულია აშურულ კანონებში. ამ თვალსაზრისით შდრ. ნიშების ტექსტი: „უკეთუ სამხვერბლო ცხვარი კბილებს დააკრაჭუნებს, კაცის ცოლი იმრუშებს, სახლიდან გავა“ (GAOC vol. 86, ნ. 4, 1966, გვ. 362). //იხ. ხამურაბის კანონები (აქა-დურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკაძემ). თბ., „მეცნიერება“, 1988, გვ. 72.

2 „ – ქონებას იუნჯებს,“ სამართლის ტექსტებში იხმარება ისეთი ქონების მიმართ, რაზედაც ოჯახის წევრებს პრეტენზია ვერ ექნებათ. ამ მუხლში იგულისხმება, რომ ცოლი ქმრის უჩუმრად აგროვებს ქონებას საოჯახო შემოსავლის ხარჯზე, რითაც აჩანაგებს ოჯახს. //იხ. ხამურაბის კანონები (აქა-დურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკაძემ). თბ., „მეცნიერება“, 1988, გვ. 72.

3 „§142..მოიძულა,“ ეს კაზუსი (ცოლის მოძულება) გათვალისწინებულია ძველ-ებრაულ სამართალში: „თუ ვინმე ცოლს ითხოვს, შევა მასთან და მერე მოიძულებს მას ...“ (მე-2 რჯ., 22, 13).

– „არ მომექარო მი tahhazanni ან: „არ დამეუფლო,“ ან: „არ ამიყვანო.“ ეს ზმნა (ahāz(um)) აქ გულისხმობს სქესობრივ ურთიერთობას, თუმცა საოჯახო სამარ-

„არ მომეუკაროო,“ უთხრა, მისი საქმე მის უბანში უნდა გაირჩეს. თუკი იგი თავშენახულია და ცოდვა არ აწევს, მისი ქმარი კი სახლიდან გადის ხოლმე და ძლიერ ამცირებს მას, ამ ქალს ბრალი არ დაედება, თავის მზითევს წაიღებს და მამის სახლში წავა.“ განქორნინების ეს ნორმა (მისი საქმე მის უბანში უნდა გაირჩეს), ძალიან წააგავს ჩევენს ქვეყანაში მეორე მსოფლიო ომის ბოლოდან სამოციანი წლების შუახანებამდე მოქმედ ნორმას, რომლის თანახმადაც განქორნინების მოსურნე წყვილს თავიანთი განქორნინების შესახებ განცხადება უნდა გამოექვეყნებია ადგილობრივ პრესაში, რაც, რა თქმა უნდა, წყვილების უმეტესობისთვის მიუღებელი იყო. ამიტომაც ფაქტობრივად, ბევრი ქორნინება ფიქტიურ ქორნინებად იქცეოდა ხოლმე, და თავისი დემოგრაფიული შედეგებით დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებას.

იმ შემთხვევაში კი, როცა ქალს ქმრისადმი უდიერ ქცევაში ამხელენ, ხამურაბის კანონები მის მიმართ დაუნდობელია: „(§143) უკეთუ ქალი თავშენახული არ არის, სახლიდან გადის ხოლმე, თავის ოჯახს აჩანაგებს, ქმარს ამცირებს, ეს ქალი წყალში უნდა გადააგდონ.“

ხამურაბის კანონების თანახმად განქორნინების საკითხი მნიშვნელოვანილად უკავშირდებოდა ოჯახში შვილების ყოლას: „(§144) უკეთუ კაცმა ნადითი მოიყვანა, ამ ნადითმა თავის ქმარს მონა ქალი მისცა და შვილები შეაძენინა,<sup>4</sup> კაცმა კი შუგითის მოყვანა განიზრახა,<sup>5</sup> ამის ნება არ მიეცემა, შუგითს ვერ მოიყვანს.“<sup>6</sup> მაშასადამე, კაცს არ ჰქონდა უფლება, რომ ოჯახში ბავშვების არსებობის შემთხვევაში შუგითი, ანუ მეორე ცოლი მოყვანა. თუმცა, როგორც ჩანს, იყო გამონაკლისებიც. კერძოდ კი, მომდევნო მუხლში აღნერილია შემდეგი შემთხვევა: „(§145) უკეთუ კაცმა ნადითი მოიყვანა, ნა-

---

თალში მისი მნიშვნელობა სუბლიმირებულია, ნიშნავს საქორნინო ურთიერთობას – „წაყვანას,“ „თხოვას;“ შდრ. 159, სადაც სიძე ეუბნება სიმამრს: mārat-ka ûl âħaz შენი ქალიშვილი არ მიმყავს;) ეს არის, როგორც ჩანს, ცოლის საქორნინო ურთიერთობის განყვეტის სიტყვიერი ფორმულა.

– „თავშენახული“ naṣrat სიტყვა. „დაცული,“ იგულისხმება ზეობრივად დაცული, როგორც §133-ში. //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიენაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 72-73.

4 ე.ი. მას მიუყვანა თავისი მონადგილე მონა ქალი, რომლის ბავშვებიც მის საკუთრებად ითვლებოდნენ. //ix. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

5 აქად. „შუგეტუმ,“ მეორე (პირველის არათანასწორი) ცოლი. //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

6 „§144. მონა ქალისაგან ნაშობი ბავშვები ნადითის (კანონიერი ცოლის, ამ შემთხვევაში) შვილებად ითვლებიან, რაკი მონა ქალი ნადითის საკუთრებას წარმოადგენს. შდრ. სარასა და აგარის ამბავი: „სარას აბრამის ცოლს, არ უშობია მისთვის, მაგრამ ჰყავდა სარას ერთი ეგვიპტელი მხევალი, სახელად აგარი. უთხრა სარამ აბრამს: აპა, დამხმა უფალმა, რომ არა ვშვა. შედი ჩემს მხევალთან, ვინდლო შვილიერი შევიქნე მისგან ...“ (დაბ. 16, 1-2). აგრ.: „თქვა (რახელმა): აპა, ბალა, ჩემი მხევალი. შედი მასთან და შობოს ჩემს მუხლებზე, რათა შვილიერი შევიქნე მისგან“ (დაბ. 30, 3).//იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიენაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 73.

დითმა შვილები გაუჩინა, კაცმა კი შუგითის მოყვანა განიზრხა, ამ კაცს შეუძლია შუგითი მოყვანოს და სახლში შეიყვანოს. ოღონდ შუგითი ნადითს ვერ გაუთანასწორდება.“ ე.ი. ამ მუხლის თანახმად, პირველი და მეორე ცოლი ერთმანეთის თანასწორად არ მიჩნევა, უპირატესობა (ბავშვების არსებობის შემთხვევაში) აქვს პირველ ცოლს (ამაზე მეტყველებს თვითონ აქადური სიტყვა „შუგეთუმ“-ის მნიშვნელობა. იხ. სქოლიო).

უფრო მეტიც, თავისი სტატუსით არათუ პირველი და მეორე ცოლი, არამედ კანონიერი უშვილო ცოლი და ამ ცოლის ინიციატივით მოყვანილი, თვით ბავშვის გამჩენი, მონა ქალიც კი. ასე რომ, ხამურაბის კანონებში უპირატესობა ენიჭება არა მარტო შვილის გაჩენას, არამედ პირველ რიგში მეუღლეთა სტატუსს სოციალურ იერარქიაში. „(§146) უკეთუ კაცმა ნადითი მოყვანა, ნადითმა თავის ქმარს მონა ქალი მისცა, რომელმაც შვილები შვა, ხოლო შემდგომ ამ ქალმა თავის ქალბატონთან გათანასწორება დააპირა,<sup>7</sup> რაკი მონა ქალმა შვილები შვა, ქალბატონი მას ვერცხლზე ვერ გაყიდის. შეუძლია მხოლოდ (მონობის) ნიშანი დაადოს და მონა ქალებში ჩათვალოს.“ როგორც მოტანილი მუხლიდან ჩანს, ბავშვის ყოლა მაინც იძლეოდა გარკვეულ სოციალურ იმუნიტეტს თუნდაც კანონიერი ცოლის მიერ მოყვანილი ბავშვის გამჩენი მონა ქალისთვისაც კი, რასაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ხამურაბის კანონთა მომდევნო მუხლი: „(§147) უკეთუ შვილები არ უშვია, მის ქალბატონს შეუძლია ვერცხლზე გაყიდოს იგო.“

გათხოვილი ქალისთვის სოციალური გარანტიების უვადოდ მიღების შესაძლებლობას იძლეოდა ისეთი ავადმყოფობით დაავადება როგორიცაა ციება, რაც, როგორც ჩანს, მაშინ ბაბილონში საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო (თორემ ალბათ კანონში არ იქნებოდა ასახული). „(§148) უკეთუ კაცმა ცოლი მოყვანა, ცოლს ციება<sup>8</sup> შეეყარა, და კაცმა მეორე ცოლის

7 „§146. .... გათანასწორება დააპირა.“ როგორც ჩანს, შვილებიანი მხევალი (მონა ქალი), ან შუგითი ვერ გაუთანასწორდება კანონიერ ცოლს, რომელიც ქალბატონად, მის ქალბატონად იწოდება, ისევე, როგორც სარა აგარის მიმართ (ძვ. ქართული თარგმანის მიხედვით: „დედოფალი მისი“). შვილიერობით გათანასწორების იდეა კარგად ჩანს იაკობის ცოლების – რახელისა და ლიას ურთიერთობაში. როდესაც რახელმა, ჯერეთ უშვილომ, იაკობს თავისი მხევალი ქალისგან შვილი აყოლია, თქვა „თანასწორ ვექმენ დასა ჩემსა“ (დაბ. 30, 8); საქმე ის არის, რომ ვიდრე რახელი ბერწი იყო, ვერ თვლიდა თავს ნაყოფიერი დას თანასწორად. სიტუაცია უფრო გამძაფრებულია სარასა და აგარის ურთიერთობაში: შვილიანი აგარი არათუ გაუთანასწორდება სარას, არამედ მოინდომა (უფრო სწორად, შინაგანად იგრძნო) მასზე უპირატესობა. „შევიდა აბრამი აგართან და დაორსულდა აგარი, როცა შეატყო, რომ ორსულად იყო, დამცირდა მის თვალში მისი ქალბატონი.“ მაშინ უთხრა სარამ აბრამს: „შენზეა ჩემი შეურაცხყოფა. მოგინვინე ჩემი მხევალი და, როცა დაინახა, რომ ორსულადაა, დავმცირდი მის თვალში ...“ (დაბ. 16, 4-5).“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კინაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 73-74.

8 „ციება“ lahb(um) ან la'b(um). ზოგი კომენტატორის აზრით, აქ იგულისხმება კეთრი. მაგრამ რაკი სხვა ტექსტში ამ სიტყვით გამოხატული სხვა

მოყვანა განიზრახა, შეუძლია მოიყვანოს, ოღონდ ციებიანი ცოლი არ უნდა გაუშვას, ქალმა ქმრის აშენებულ სახლში იცხოვროს და ქმარმა სიკვდილამდე არჩინოს იგი.“ უფრო მეტიც, ციებით დაავადებულ ცოლს უფლება ჰქონდა აერჩია თუ სად ეცხოვრა, ქმრის სახლში, თუ, დაპრუნებულიყო მამის სახლში. „(§149) უკეთუ ეს ქალი ქმრის სახლში ცხოვრებას არ მოისურვებს, ქმარმა მამის სახლიდან გამოყოლილი მზითევი უნდა გაუმრთელოს და ისე გაუშვას.“

იმის გამო, რომ განქორწინების მარეგულირებელი კანონები ამავ-დროულად უკავშირდებოდა ამ პროცესში წამოჭრილ ქონებრივ საკითხებ-საც, კანონმდებელი ოფიციურად გადადის მეუღლეებს შორის სხვა ქონებრივ ურთიერთობათა განხილვაზე. „(§150) უკეთუ კაცმა თავის ცოლს მიწა, ბალი ან სხვა რამ საქონელი აჩუქა და ბეჭდიანი საბუთიც მისცა, ქმრის შემდეგ<sup>9</sup> შვილები მას ვერ შეეცილებიან. დედა თავის მემკვიდრეობას საყვარელ შვილს მისცემს,<sup>10</sup> სხვას არ მისცემს.“

სენი დახასიათებულია როგორც ცხელება და ანთება napāh(um), nabāt(um), ამ მუხლში ის მაღარიულ სწეულებას უნდა აღნიშნავდეს, როგორც ქრონიკულ უკურნებელ სენს, რომელიც სიკვდილამდე ტანჯავს კაცს. //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 74.

9 „§150. „ქმრის შემდეგ,“ ე.ი. ქმრის სიკვდილის შემდეგ.“

- „მემკვიდრეობა“ warkat(um) სიტყვიდან warku „შემდეგი.“

- „სხვა არ მისცემს“ ana ahīm ul inaddin სიტყვას ahī(um) ორი მნიშვნელობა აქვს აქადურში ასევე ებრაულში – „სხვა“ და „dmba“, „ამიტომაც ამ ადგილს განსხვავებულად თარგმნიან: „... dmba ვერ მისცემს.“ ასეთი გაგება გამორიცხული უნდა იყოს, რამდენადაც ზუსტი ტერმინოლოგიის მიმდევარი კანონმდებელი არ დატოვებდა ამ სიტყვას (ahīm) განუსაზღვრელ ფორმაში და უთუოდ დააკონკრეტებდა კუთვნილებითი სუფიქსით, რომ ცხადი ყოფილიყო, ვის ძმაზეა ლაპარაკი. ამ ინტერპრეტაციით, თითქოს „საყვარელი შვილის“ dmba უნდა იგულისხმებოდეს. შესაძლებელია, ahī(m) გულისხმობდეს არა „dmbas“ და არც „სხვას.“ არამედ „სხვა (შვილს),“ რაკი ამ ფრაზის სუბიექტი დედაა. ასეთ შემთხვევაში თარგმანი ამგვარი იქნება: „დედას შეუძლია თავისი მემკვიდრეობა საყვარელ შვილს მისცეს, სხვა შვილს არ მისცეს.“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 74-75.

10 „საყვარელ შვილს მისცემს“ – ამასთან დაკავშირებით სასარგებლოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მემკვიდრეობის მხოლოდ საყვარელი შვილისთვის დატოვების ეს პრინციპი აღნიშნული აქვს ძველ ბერძენ ფილოსოფოს პლატონსაც, თავის ნაშომში „კანონები,“ სადაც ვკითხულობთ: „მთელ სახელმწიფოში მტკიცე მდგომარეობას შეიძლება მივაღწიოთ ასე: ნადელის (მიზომილი, ნაწყალობევი მიწის – ა.ს.) მფლობელი თავის საცხოვრისს სამემკვიდრეოდ ყოველთვის მხოლოდ ერთ-ერთ თავის შვილს, ყველაზე საყვარელს უტოვებს, რომელიც იქნება კიდეც მისი მემკვიდრე ...“ //იხ. **Платон.** Законы / Пер. с древнегреч.; Общ. ред. А.Ф. Лосева, В.Ф. Асмуса, А.А. Тахо-Годи; Авт. ст. в примеч. А.Ф. Лосев; Примеч. А.А. Тахо-Годи. – М.: Изд-во «Мысли», 1999. – 192 с. – (Классическая философская мысль)). როგორცჩანს, ჯერ კიდევ ხამურაბის კანონებში აღნიშნული და მოგვიანებით პლატონის მიერ გამეორებული ეს პრინციპი დაედო საფუძვლად მემკვიდრეობის დასავლურ მოდელს – ე.ნ. „მაიორატს“ (მაიო-

ეს ნიშნავს, რომ კანონიერ ცოლს ჰქონდა მეუღლისგან ნაჩუქარი ნივთების (მიწა, ბაღი ან სხვა რამ საქონლის) მემკვიდრეობით მიღების უფლება, თუკი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ეს ჩუქება ბეჭდიანი საბუთით იქნებოდა დადასტურებული. უფრო მეტიც, ქალს არა მარტო მემკვიდრეობის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა, არამედ, თანამედროვე ტერმინოლოგით რომ ვთქვათ, შეეძლო ქმართან წერილობით გაეფორმებია ე.წ. ქორნინებითი ხელშეკრულებაც კი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ორივე მხარისთვის მისაღები პირობები, მათ შორის ცალკეული მხარის სავალო პასუხისმგებლობაზე. „(§151) უკეთუ ქალმა, რომელიც კაცის სახლში ცხოვრობს, თავისი ქმარი დაავალდებულა და საბუთი მიაცემინა, რომ ქმრის მევალეები მას არ დაიხუთავენ,<sup>11</sup> თუკი ამ კაცს ქალის მოყვანა-მდე ემართა ვალი, მისი მევალეები მის ცოლს ვერ დაიხუთავენ. თუ ამ ქალს, ვიდრე კაცის სახლში შევიდოდა ვალი ემართა, ქალის მევალეები მის ქმარს ვერ დაიხუთავენ.“ (§152) უკეთუ მას შემდეგ, რაც ქალი კაცის სახლში შევა, ვალს დაიდებენ, თამქარის<sup>12</sup> წინაშე ორივენი აგებენ პასუხს.“ ამგვარად, თავისთავად ის ფაქტი, რომ ქალს შეეძლო თავის ქმართან ხელშეკრულების გაფორმება, მიანიშნებს მის ოურიდიულ ქმედუნარიანობაზე.

გარკვეული თვალსაზრისით ოჯახის დაშლასა და გათხოვილი ქალის ღალატს ეძღვნება ხამურაბის კანონთა შემდეგი მუხლი: „(§153) უკეთუ კაცის ცოლი სხვა მამაკაცის გულისთვის თავის ქმარს მოაკვლევინებს, ეს ქალი მარგილზე უნდა გასვან.“ ვფიქრობთ რომ, ამ შემთხვევაში, სასჯელი თითქმის ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია.

კანონების მომდევნო რამდენიმე მუხლი ეძღვნება ინცესტსა და მასთან

რატი [გერმ. Majorat<ლათ. majorufrosi] – 1. მემკვიდრეობისფეოდალურიწესი, რომლისმიხედვითაც უძრავიქიერნებამთლიანადგადადისუფროსივაჟიშვილისანგვარშიუფროსიმამაკაცისხელში. 2. ამნესითმიღებულიმამული. //იხ. უცხოსიტყვათაღექსიკონი. თბ., 1973, გვ. 248), რომელშიც სამწუხაროდგამარჯვამემკვიდრისარჩევისარასუბიექტურმა (სიყვარულისმიხედვით), არამედობიექტურმა (უფროსობისმიხედვით) ფაქტორმა. „მაგრამმემკვიდრეობისსწორედამპრინციპმა (ქონებისადასაუთრებისგადაცემამ), მხოლოდერთმემკვიდრეზეგადაცემამ, ნარმოშვა „დემოგრაფიულგადასვლამდე“ დასავლეთევროპისქვეყნებშიმცირებვილიანოჯახზეორიენტაცია“ //იხ. А.Г. Злотников Демографические идеи и концепции. Минск, 2014, с. 24).

11 ე.ი. არ ნაიყვანს ვალის გირაოში (იხ. მუხლი 115 დაშემდეგი) //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

12 „§32. „თამქარი“ tamkär(um), ძირიდან მკრ „დაგროვება,“ კანონების ტექსტში იწერება ყოველთვის სილაბოგრამებით DAM.GAR.

კანონის მუხლებიდან ჩანს თამქარის, რომელსაც ჩვეულებრივ „ვაჭრად“ თარგმნიან, მრავალფეროვანი ფუნქციები: ის არის კაპიტალის დამგროვებელი, რომელიც აპანდებს თავის კაპიტალს სხვადასხვა საქმეში, გასცემს ფულს სარგებელში, კისრულობს მონებისა თუ ტყვევების გამოსყიდვას, აგზავნის თავის აგენტებს – შამალუებს (იხ. ქვემოთ) – უცხო ქვეყნებში სავაჭროდ და სხვ.“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 62.

გათაპრეპულ შემთხვევებს: „(§154) უკეთუ კაცმა თავისი ასული შეიცნო, <sup>13</sup> ის თემიდან უნდა გააძევონ.“ „(§155) უკეთუ კაცმა თავის ვაჟს საცოლე<sup>14</sup> აურჩია, ვაჟმა ეს ქალი შეიცნო, და მერე ეს კაცი დაწვა ქალთან და წაასწრეს, ეს კაცი უნდა შეკრან და წყალში გადააგდონ.“ „(§156) უკეთუ კაცმა თავის ვაჟს საცოლე აურჩია, ვაჟს ეს ქალი ჯერ არ შეუცვნია, ეს კაცი კი ქალთან დაწვა, ქალს 1/2 მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს და ყველაფერი, რაც მამამისის სახლიდან მოჰყვა, სრულად უნდა გაუმრთელოს. ქალი მისი გულის ქმარმა წაიყვანოს.<sup>15</sup>“ „(§157) უკეთუ კაცი მამის სიკვდილის შემდეგ<sup>16</sup> დედასთან დაწვება, ორივენი ცეცხლში უნდა დაწვან.“ „(§158) უკეთუ კაცს მამის სიკვდილის შემდეგ, თავის გამზრდელთან, რომელსაც შვილები ჰყავს ნაშობი, წაასწრეს, ეს კაცი მამის სახლიდან უნდა მოიკვეთოს.“<sup>17</sup>

**13 „§154. „შეიცნო“** *iltamad* (lamäd(um)) („სწავლა“); ამავე მნიშვნელობით უფრო გავრცელებულია სხვა ძირის ზმნა თითქმის იდენტური სემანტიკისა, რომელიც გამოყენებულია 130-ში (იგივე ძირი გვხვდება ძველი ალთქმის ტექსტში სქესობრივი ურთიერთბის გამოსახატავად უკლებლივ ყველა შემთხვევაში). //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება“, 1988, გვ. 75.

**14** ამრიგად, „ავილუ,“ როგორც ოჯახის წევრებზე პატრიარქალური ძალაუფლების მატარებელი, თავის ვაჟიშვილებს თვითონ უნიშნავს ცოლს. იმავე მიზეზის გამოა, რომ რძალი არ აგებს პასუხს (წინააღმდეგ შემთხვევაში ის პასუხს აგებდა 129 მუხლის მიხედვით). //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

**„§155. „საცოლო“** *kallat*(um), ებრ. *kallah*, შუმერული იდეოგრამა ე-gi4 შეიძლება ნიშნავდეს „სახლიდან გაბრუნებულს (წაყვანილს).“

– „აურჩია“ *ihir*, აქედან *hirt*(um) „არჩეული ცოლი“ ანუ პირველი ცოლი. //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება“, 1988, გვ. 75-76.

**15** უდავოდ, მხედველობაშია, არა გაუპატიურება (ასეთის შესახებ სპეციალურად იქნებოდა ნათქვამი, შდრ. მუხლი 130).//იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

**16 „§157. „მამის შემდეგ,“** იგულისხმება „მამის სიკვდილის შემდეგ,“ ასევე 158-ში. //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება“, 1988, გვ. 76.

**17 154–158** მუხლებში საჯელების განანილების თავისებური ლოგიკა, როგორც ჩანს, ასეთია: სისხლის აღრევა ისჯება რიტუალური მოსაზრებებით (აქადულები, ისევე როგორც არქაივის ხალხთა უმეტესობა, თვლიდნენ, რომ ნებისმიერ სექსუალურ აქტს შეუძლია და უნდა გამოიწვიოს კიდეცრეზონანსი გარე სამყაროში, აისახოს მის ნაყოფიერებაზე და მისი ყველა ელემენტის კვლავნარმოებაზე). სწორედ ასეთი რეზონანსის ეფექტი გამოიყენებოდა „ნმინდა ქორწილის“ ნეს-ჩვეულებაში. შესაბამისად, სისხლის აღრევა იწვევდა აღშფოთებას, დარღვევას, ან კიდევგანყევეტას – მშობელი დედის ვაჟიშვილთანინცესტის შემთხვევაში, როგორც ჩანს, ნაყოფიერების „ძალოვანი ხაზების“ დარგოლვით). მეორე მხრივ, ისჯება, სხვის საკუთრებაში მყოფ ქალზეთავდასხმები. შედეგად მამა, როგორც გოგონას მესაკუთრე, მასთან კაგშირისთვის გაცილებით სუსტადისჯება, ვიდრე ვაჟიშვილი – დედასთან კავშირის გამო (მისი გარდაცვლილი მამის საკუთრება), და ზუსტად ისევე როგორც ვაჟიშვილი – დედინაცვალთან კავშირისთვის (გარდაცვლილი მამის საკუთრებაზე თავდასხმა, რომელიც

ხამურაბის კანონებში გარკვეული ადგილი ეთმობა არა მხოლოდ ქორნინებისა და განქორნინების საკანონმდებლო რეგულირებას, არამედ აქვეა განხილული ნიშნობასთან დაკავშირებული შემთხვევებიც. „(წ159) უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი<sup>18</sup> გაგზავნა, ურვადიც გადაიხადა, ხოლო შემდეგ თვალში სხვა ქალი მოუვიდა და სიმამრს უთხრა: „შენი ასული აღარ მიმყავსო,“ ქალის მამა ყველაფერს, რაც მოუტანეს, თავისთვის დაიტოვებს.“ „(წ160) უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი<sup>19</sup> გაგზავნა, ურვადიც გადაიხადა, ხოლო შემდეგ ქალის მამამ უთხრა: „ჩემს ასულს არ მოგცემო,“ ყველაფერი, რაც მას მიუტანეს, ერთიორად უნდა დააბრუნოს.“ „(წ161) უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი გაგზავნა, ურვადიც გადაიხადა, მერე მისმა მეგობარმა მას ცილი დასწამა და სიმამრმა ცოლის პატრონს უთხრა:<sup>20</sup> „ჩემს ასულს ვერ წაიყვანო,“ ყველაფერი, რაც მოუტანეს, ერთიორად უნდა დააუბრუნოს. მისი მეგობარი მის საცოლეს ვერ წაიყვანს.<sup>21</sup>“

სიძესა და სიმამრს შორის ქონებრივი ურთიერთობების გარკვევასა და დარეგულირებას ეძლვნება კანონმდებლობის მომდევნო მუხლები: „(წ162) უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა, ცოლმა შვილები უშვა და ქალი მოკვდა, მის

არაა დაკავშირებული რიტუალური საშიშროებით). 155-ე მუხლის დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენს ვაჟიშვილის საკუთრებაზე თავდასხმას და ისჯება შესაბამისად; ხოლო რადგანაც 156 მუხლში საცოლე ჯერ არ გამხდარავაჟიშვილის რეალური საკუთრება, ასეთი სასჯელისგამყენების საფუძველი არ არსებობს. როგორც ვხედავთ, ხამურაბი (ან ჩვეულებითი სამართალი, რომლითაც მას მოცემულ შემთხვევაში შეეძლო ეხელმძღვანელა) სკურპულოზურად წონიდა დანაშაულის სიმძიმეს და ყველა ფაქტორსითვალისწინებდა. //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

18 „წ159. „მისატანი“ *biblum* (ზმნიდან *babäl(um)* „მიტანა“); იგივეა, რაც „ნიშანი,“ „ბელგა,“ „ნინდი.“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 76.

19 თანხა, რომელიც „გამოსასყიდზე“ ნაკლებია და წინ უსწრებს მას; სასიძოს ის საცოლის მამასთან მოლაპარაკებისასმიჳქონდა.//იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

20 ე.ი. მას, ვისაც ცოლს შეპირდნენ.//იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

21 „წ161. „ცოლის პატრონი“ ან „ცოლის ქმარი,“ რამდენადაც *bēl(um)* შეიძლება „ქმარსაც“ ნიშნავდეს, როგორც სხვა სემიტურ ენებში. შდრ. ანალოგიური შესიტყვება ებრაულ ენაში *ba'al iššah* (ცამოსვლ. 21, 3). ეს „ცოლის პატრონი,“ ცხადია, იგივე სიძეა ან სასიძო; ალსაიშნავია, რომ ხამურაბის კანონებში არ იხმარება „სიძის“ აღმნიშვნელი გავრცელებული სიტყვა *ḥatān(um)*, თუმცა ის გვხვდება ახალბაბილონურ კანონებში.

ამ კაცს „ცოლის პატრონი“ ეწოდება, მიუხედავად იმისა, რომ ქორნინების აქტი ბოლომდე არ შესრულებულა.

- „მისმა მეგობარმა,“ უნდა იგულისხმებოდეს „მაყარი.“ ამ კაზუსთან კავშირში აღსანიშნავია, რომ სამსონის საცოლე მამამისმა მის მაყარს მიათხოვა იმ საბაბით, რომ სამსონმა მოიძულა ქალი (მსაჯ. 15, 2).“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 76.

მზითევს ქალის მამა უკან ვერ მოითხოვს. მზითევი შვილებს ეკუთვნის.“ „(§163) უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა, ქალმა შვილები არ გაუჩინა და ეს ქალი მოკვდა, თუკი ურვადს, რომელიც ამ კაცმა სიმამრის სახლში მოიტანა, სიმამრი დაუპრუნებს, ქალის მზითევს ქმარი ველარ მოითხოვს. მისი მზითევი მამის სახლს ეკუთვნის.“ „(§164) უკეთუ სიმამრმა ურვადი არ დააპრუნა, ქმარმა მისი მზითევიდან ურვადის ლირებულება უნდა გამოქვითოს და მისი მზითევი მამამისის სახლში დააპრუნოს<sup>22</sup>“ ისევე როგორც ზემოთ აღნიშნული ნორმებიდან (მუხლები 150-151), აქ მოტანილი მუხლებიდანაც ჩანს, რომ ხამურაბის ეპიქაში მეუღლეებს განსხვავებული ქონებრივი უფლებები ჰქონდათ. კერძოდ, მზითვი წარმოადგენდა ცოლის კერძო საკუთრებას და ქმარს არ ჰქონდა უფლება, რომ ეს ქონება მემკვიდრეობით მიეღო, თუმცა შესაძლებელია, რომ ის სარგებლობდა და მართავდა მას შვილების სრულწლოვანებამდე.

ოჯახის შიგნით მემკვიდრეობის საკითხებს ეხება კანონების მომდევნო მუხლებიც: „(§165) უკეთუ კაცმა თავის მემკვიდრე ვაჟს, რომელიც მის თვალში უპირატესია, მიწა ანდა ბალი, ანდა სახლი აჩუქა და საბუთიც დაუწერა, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ ძმებმა გაყოფა განიზრახეს, მემკვიდრე ვაჟი საჩუქარს წაიღებს; ამას გარდა ძმები მამის სახლის ქონებას თანაბრად გაიყოფენ.<sup>23</sup>“ „(§166) უკეთუ კაცმა თავის შვილებს, რომლებიც ჰყავს ცოლები მოუყვანა, მცირენწლოვანი ვაჟისათვის კი არ მოუყვანია, მამის სიკვდილის შემდეგ, როცა ძმები გაყოფას განიზრახავენ, მამის სახლის ქონებიდან მცირენწლოვან უცოლო ძმას მისი კუთვნილი წილის გარდა ურვადის საფასური ვერცხლი გამოუყონ და ცოლი მოუყვანონ.“ „(§167) უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა და ცოლმა შვილები უშვა, ეს ქალი მოკვდა, მის შემდეგ კაცმა მეორე ცოლი მოყვანა და მან შვილები შვა, მამის სიკვდილის შემდეგ შვილები დედების მიხედვით არ უნდა განიყვნენ. თითოეულმა თავისი დედის მზითევი უნდა აიღოს, ხოლო მამის სახლის ქონება თანაბრად უნდა გაიყონ.“ „(§168) უკეთუ კაცი ვაჟის მოკვეთას განიზრახავს და მოსამართლებს ეტყვის; „ვაჟი უნდა მოვიკეთონ,“ მოსამართლენი მის საქმეს გაარჩევენ და, თუკი ვაჟს მემკვიდრეობისგან მოსაკვეთი მძიმე დანაშაული არ ჩაუდენია,

22 ამ მუხლიდან ჩანს რომ, მზითევი აღემატებოდა გამოსასყიდს, ე.ი. ქორწინება არ იყო, ბევრი აღმოსავლური ხალხისთვის ტიპიური, ყიდვა-ქორწინება, არა-მედ წარმოადგენდა ჩვეულებრივ მზითვიან ქორწინებას (როგორც, მაგალითად, რუსეთში და საქართველოშია). ამრიგად, თვითონ გამოსასყიდს, ჰქონდანმინდასიმბოლური აზრი. //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

23 „§165. „მოკვეთა“ nasāḥ(um) ძირეული მნიშვნელობით „ამოძირკვა,“ „აღმოფევრა“ (ფესვის, საძირკვლის, გულის და სხვ.). ქართული სამართლის ტექსტებში ამ მნიშვნელობით გამოყენებულია „განყენება,“ მაგ.: „მოინდომოს მამამან განყენება მის ქონებისაგან ...“ (ქართ. სამართ. ძეგლ., I, გვ. 229). ან სხვანაირად: „თვის მშობელთა სამკვიდრებელისა ყოვლისაგან უმკუიდრო იქმნას“ (დასახ. წიგნ., გვ. 197, §290). მაგრიურ ტექსტებში გაიცხულია მამის უკანონო მოქმედება: „კანონიერი მემკვიდრე მოკვეთა, კანონიერი მემკვიდრე არ დაამკვიდრა“ (წარე, II, 44).“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიუნაძები). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 76-77.

მამა თავის ვაჟს მემკვიდრეობისგან ვერ მოკვეთს.“ „(§169) უკეთუ მამის წინაშე მემკვიდრეობისგან მოსაკვეთი მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, პირველად უნდა აპატიონ;“<sup>24</sup> თუკი მეორედ ჩაიდინა მძიმე დანაშაული, მამას შეუძლია თავისი შვილი მემკვირეობისგან მოკვეთოს.“ „(§170) უკეთუ კაცს პირველმა ცოლმა შვილები უშვა, მონა ქალმაც შვილები უშვა, და მამამ თავის სიცოცხლეშივე უთხრა მონა ქალის შვილებს: „ჩემი შვილები ხართო“ და ცოლის შვილებთან გაათანასწორა, მამის სიკვდილის შემდეგ მამისეული სახლის ქონება ცოლისა და მონა ქალის შვილებმა თანასწორად უნდა გაიყონ. პირველი ცოლისაგან ნაშობ მემკვიდრე ვაჟს გაყოფისას შეუძლია თავისი წილი აირჩიოს და წაიღოს.“ „(§171) უკეთუ მამამ თავის სიცოცხლეშივე არ უთხრა მონა ქალისაგან ნაშობ შვილებს, „ჩემი შვილები ხართო,“ მამის სიკვდილის შემდეგ მამის სახლის ქონებას მონა ქალის შვილები ცოლის შვილებთან ერთად ვერ გაიყოფენ. მაგრამ მონა ქალი და მისი შვილები უნდა გააზატდნენ. ცოლის შვილები მონა ქალის შვილების მიმართ მონობის სარჩელს ვერ აღძრავენ. პირველმა ცოლმა უნდა მიიღოს თავისი მზითევი და საჩუქარი, რომელიც ქმარმა მისცა და საბუთში ჩაუწერა; ქმრის საცხოვრებელში იცხოვროს და, ვიდრე ცოცხალია, ამით ისაზრდოოს; ვერცხლზე მას ვერ გაყიდის რადგან მისი მემკვიდრეობა მის შვილებს ეკუთვნის.“ „(§172) უკეთუ ქმარს მისთვის საჩუქარი არ მიუცია, მზითევი უნდა გაუმრთელონ. ამასთანავე ქმრის სახლის ქონებიდან ერთი მემკვიდრის წილი უნდა აიღოს. უკეთუ შვილები სახლიდან ნასვლას აიძულებენ, მოსამართლეებმა მისი საქმე უნდა გაარჩიონ და შვილებს სასჯელი დადონ; ეს ქალი ქმრის სახლიდან არ უნდა წავიდეს. თუკი ქალმა თავად მოინდომა ნასვლა, ქმრის საჩუქარი შვილებს უნდა დაუტოვოს, მამისეული სახლიდან ნამოყოლილი მზითევი კი შეუძლია წაიღოს. ქალი მისი გულის ქმარმა წაიყვანოს.“ „(§173) უკეთუ ამ ქალმა, სადაც შევიდა,<sup>25</sup> თავის მეორე ქმარს შვილები უშვა, მერე ეს ქალი მოკვდა, მის მზითევს პირველი და მეორე ქმრის შვილები გაიყოფენ.“ „(§174) უკეთუ მეორე ქმრისთვის შვილები არ გაუჩენია, მისი მზითევი პირველი ქმრის შვილებმა უნდა წაიღონ.“ „(§175) უკეთუ სასახლის მონამ, ანდა მუშქენის მონამ კაცის ასული მოიყვანა და ქალმა შვილები უშვა, მონის პატრონი კაცის<sup>26</sup> ასულის შვილების მიმართ მონობის<sup>27</sup> სარჩელს ვერ აღძრავს.“ „(§176) უკეთუ

24 „§169. „აპატიონ,“ დედანშია იდიომატური გამოთქმა „სახე აუნიონ,“ იგულისხმება ბრალეულობის ნიშნად ძირს დახრილი სახე; ძევლი აღთქმის ენაში ანალოგიური იდიომა „პატივისცემის“ და „დაფასების“ აღმნიშვნელია (იხ. მე-2 მეფ., 3, 14).“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 77.

25 „§173. „სადაც შევიდა,“ იგულისხმება მეორე ქმრის სახლში შესვლა, ანუ მეორედ გათხოვება (შდრ. 176).“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 77.

26 საინტერესოა, რომ თავისუფალი კაცის ცოლისგან განსხვავებით, მონის ცოლი, კანონის თვალში რჩება არა „(მონის) ცოლად,“ არამედ „ავილუმის ქალიშვილად.“ //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

27 უცნობია, საუბარია მეფისა და მუშქენთა მონების პრივილეგიაზე, თუ ანალო-

სასახლის მონამ, ანდა მუშქენის მონამ კაცის ასული მოიყვანა და, როცა, მოიყვანა, ეს ქალი მამის სახლის მზითვითურთ შევიდა სასახლის მონის, ანდა მუშქენის სახლში, შეუღლების შემდეგ სახლი აიშენეს, ქონება შეიძინეს, შემდეგ კი სასახლის მონა, ანდა მუშქენის მონა მოკვდა, კაცის ასულმა თავისი მზითვი უნდა მიიღოს, ხოლო შეუღლების შემდეგ შეძენილი ქონება ორ ნაწილად უნდა გაიყონ: ნახევარს მონის პატრონი წაიღებს, ნახევარს კაცის ასული წაიღებს თავისი შვილებისათვის.<sup>28</sup> უკეთუ კაცის ასულს მზითვი არ მოჰყოლია, ყველაფერი, რაც შეუღლების მერე შეიძინეს, ორ ნაწილად უნდა გაყონ: ნახევარს მონის პატრონი წაიღებს, ნახევარს კაცის ასული წაიღებს თავისი შვილებისათვის.<sup>29</sup>

ხამურაბის კანონთა მომდევნო მუხლი ეძღვნება ქვრივების გათხოვებასა და მათი შვილების ეკონომიკური მდგომარეობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს: „(§177) უკეთუ წვრილშვილიანმა ქვრივმა<sup>30</sup> მეორის სახლში შესვლა განიზრახა, მოსამართლეთა დასტურის გარეშე ვერ შევა; როცა მეორის სახლში შესვლას დააპირებს, მოსამართლებმა მისი პირველი ქმრის სახლის ამბავი უნდა გამოიძიონ, პირველი ქმრის სახლი მეორე ქმარსა და ამ ქალს

გიური უფლებებით შეეძლოთ ესარგებლათ ავილუმთა მონებსაც, და ხამურაბის კანონები უბრალოდ არ ახსენებენ ამას როგორც ჩვეულებითი სამართლის ნაწილს. //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

28 175-176 მუხლებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო მონებსა და მუშქენთა მონებს არამხოლოდ ოჯახის ყოლის უფლებაჲქონდათ, არამედ შეეძლოთ ჰქონდათ თავიანთი მეურნეობაც – „სახლები“ გარკვეული მოძრავი ქონებითაც (შესაძლოა, ამ პრივილეგიას მონა მხოლოდ თავისუფალ ქალზე დაქორნინების წყალობითღებულობდა). ცხადია, ეს „სახლები“ მონებს გამოეყოფოდათ პატრონების მიერ, ან შეიძინებოდა მონის, როგორც კერძო პირის მიერ საკუთარი სახსრების ხარჯზე. როგორც ჩანს, ასეთი „სახლი“ მონის სიცოცხლეში თავად მისი, როგორც პატრონის საკუთრების განუყოფელ დანამატადითვლებოდა (ყოველ შემთხვევაში, ასეთი „სახლის“ კუთვნილებსათან დაკავშირებულ შესაძლო კონფლიქტებს ხამურაბის კანონები არ იცნობს), ხოლო მონის სიკვდილის შემდეგ პატრონის უშუალო განკარგულებაშიგადადიოდა. //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

29 „§176. „სახლი აიშენეს,“ ბუნდოვანია, რა იგულისხმება ამ მოქმედებაში – შენობის აგება, შთამომავლობის შექმნა (შდრ. „სახლის აშენება“ ამ მნიშვნელობით, მე-2 – 25,9; მე-2, მევ. 7, 27), თუ უძრავი ქონების შეძენა.

– „კაცის ასული“ mārāt awīlim, საგულისხმოა, რომ ამ მუხლში და არც წინამავალ მუხლებში ქალი არ იხსენიება მონის ცოლად და მუშქენის ცოლად, არამედ „კაცის ასულად,“ საგანგებოდ აღინიშნება რა მისი სოციალური წარმოშობა. შდრ. 132. „კაცის ცოლი.“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 77.

30 „§177. – „წვრილშვილიანი ქვრივი“ დედანში „ქვრივი, რომლის შვილები პატარები არიან.“

აშურულ კანონებში ქვრივი განმარტებულია როგორც ქალი, რომელსაც არც ქმარი, არც მასამთილი და არც შვილები აღარ დარჩა.“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 77.

უნდა ჩააბარონ და საბუთიც უნდა ჩამოართვან, რომ სახლს დაიცავენ და უსასაკო ბავშვებს გაზრდიან და საოჯახო ჭურჭელს ვერცხლზე<sup>31</sup> არ გაყიდიან. მყიდველს, ვინც კი ქვრივის შვილების ჭურჭელს იყიდის თავისი ვერცხლი დაეკარგება, ხოლო საქონელი პატრონს დაუბრუნდება.“ ვფიქრობთ, ეს მუხლი იმის კარგი მაგალითია, რომ ჯერ კიდევ უძველეს დროში ჰქონდათ ქვრივებს ხელმეორებ გათხოვების შესაძლებლობა, რაც იმდროინდელი მაღალი მოკვდაობის ფონზე დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთ რეალურ შესაძლებლობას წარმოადგენდა. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვიანი ქვრივის გათხოვების შემთხვევაში, კანონმდებელი არ ივიწყებს პირველ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვების ეკონომიკური უზრუნველყოფის საკითხსაც და მას სავსებით სწორ სამართლებრივ საფუძველს უმზადებს.

ხამურაბის კანონთა მომდევნო მუხლები არეგულირებენ ქალქურუმის გამზითვებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, მათში ნათქვამია: „(§178)-ა. უკეთუ ქალქურუმს, ნადითს ანდა სიქრს<sup>32</sup> მამამ მზითევი მისცა, საბუთი დაუწერა, მაგრამ საბუთში არ ჩაუწერა, რომ მას თავის ნებაზე შეუძლია თავისი მემკვიდრეობის გაცემა, ყოველის სურვილის აღსრულების ნება არ მისცა, მამის სიკვდილის შემდეგ მისი მიწა ან ბაღი მისმა ძმებმა უნდა წაიღონ, ხოლო მას მისი წილის კვალობაზე სარჩო, ზეთი და სამოსელი უნდა აძლიონ და მისი გული შეაჯერონ.“ „(§178)-ბ. უკეთუ ძმებმა მისი წილის კვალობაზე სარჩო, ზეთი და სამოსელი არ აძლიეს, გული არ შეუჯერეს მიწა ან ბაღი შეუძლია იმ მიწათმოქმედს ჩააბაროს, ვისაც სასურველად მიიჩნევს; და მიწათმოქმედი მას არჩენს. მიწით, ბაღით და ყველაფრით, რაც მამამ დაუტოვა, ვიდრე ცოცხალია ისარგებლებს, ოღონდ ვერცხლზე ვერ გაყიდის და ვერც ვალში გადაიხდის. ქალის მემკვიდრეობა მის ძმებს ეკუთვნის.“ „(§179) უკეთუ ქალქურუმს, ნადითს, ანდა სიქრს მამამ ბეჭდიანი მზითევის საბუთი დაუწერა და მასში ჩაუწერა, რომ ქალს თავის ნებაზე შეუძლია მემკვიდრეობის გაცემა, ყოველი სურვილის აღსრულების ნება მისცა, მამის სიკვდილის შემდეგ შეუძლია თავისი მემკვიდრეობა თავის ნებაზე გასცეს, ძმები ვერ გამოედავებიან.“ „(§180) უკეთუ მამას თავის ასულისთვის, ტაძრის უბნის ნადითისთვის, მზითევი არ მიუცია, მამის სიკვდილის შემდეგ მამის სახლის ქონებიდან ქალმა ერთი მემკვიდრის წილი უნდა ირგუნოს, ვიდრე ცოცხალია ისარგებლოს. მისი მემკვიდრეობა ძმებს ეკუთვნის.“ „(§181) უკეთუ მამამ ნადითი, კადიშთი გინა ზერმაშითი ღმერთს შესწირა და მზითევი არ მიუცია, მამის შემდეგ ამ ქალმა მამის სახლის ქონებიდან ერთი მემკვიდრის წილის მესამედი უნდა ირგუნოს, ვიდრე ცოცხალია ჭამოს; მისი მემკვი-

31 აქ იგულისხმება, ფულზე.

32 სიტყვა-სიტყვით „ქალი-კაცი“. ტრიბად-ქურუმის კატეგორია? „178-ა. „სიქრი,“ ღვთიმსახურ ქალთა გარკვეული კატეგორია, რომლის ფუნქციები გაურკვეველია.“//იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 78.

დრეობა ძმებს ეკუთვნის.<sup>33“</sup> „(§182) უკეთუ მამამ თავის ასულს, პაპილონელი მარდუქის ნადითს მზითევი არ მისცა, ბეჭდიანი საბუთი არ დაუწერა, მამის შემდეგ მამის სახლის ქონებიდან ამ ქალმა ძმებთან გაყრისას თავისი მემკვიდრეობის მესამედი წილი უნდა ირგუნოს, სამსახურის გაწევა არ ევალება. მარდუქის ნადითს თავისი მემკვიდრეობა შეუძლია თავის ნებაზე გასცეს.“ „(§183) უკეთუ მამამ თავისი ასული, შუგითი<sup>34</sup> გაამზითვა,<sup>35</sup> ქმარს მიათხოვა და ბეჭდიანი საბუთიც დაუწერა, მამის შემდეგ ეს ქალი მამის სახლის ქონებიდან წილს ვერ ირგუნებს.“ „(§184) უკეთუ მამას თავისი ასული, შუგითი არ გაუმზითვებია, ქმრისთვის არ მიუთხოვებია, მამის სიკვდილის შემდეგ<sup>36</sup> მისმა ძმებმა მამის სახლის შეძლების კვალობაზე უნდა გაამზითვონ და ქმარს მიათხოვონ.“

ამრიგად, 178-184 მუხლები ეძღვნება სხვადასხვა კატეგორიის ქალქურუმთა გამზითვებას. ბევრ ქალქურუმს საერთოდ არ ჰქონდა გათხოვებისა და ბავშვების გაჩენის უფლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი თავიანთი მამისგან იღებდნენ მზითვს. ხოლო, თუკი მამამ თავის სიცოცხლეში არ მისცა მზითევი თავის გასათხოვარ ქალქურუმს, მაშინ მამის სიკვდილის შემდეგ ის თავისი ძმებისგან იღებს ქონებას ერთი მემკვიდრის წილის ან ამ წილის გარკვეული ნაწილის ოდენობით. ამასთან, მამას შეეძლო თავისი ქალქურუმისთვის ამ ქონების თავისუფლად გამოყენების უფლება მიენიჭებია, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისთვის უფლება მიეცა, რომ მას თავისი შეხედულებისამებრ მემკვიდრეობით გადაეცა იგი. მარდუქის ნადითები კი მამის

33 „§181. „კადიშთი“ qadišt(um) ძირიდან ყdš „წმიდა,“ ამასვე გულისხმობს შუმერული იდეოგრამა NU. GIG „უბიწო,“ ცხადია, რიტუალური აზრით. კადიშთი ჰიეროდულათა (ლვთისმხევალთა) ერთ-ერთი კატეგორიაა, საღმრთო პროსტიტუციასთან დაკავშირებული. შდრ. „ასულთაგანი ისრაელისათა ნუ იქნებით როსკიპ (qedēšāh) ნუცა იქნებით მამაკაცი მეძავ (qādēš) ძეთაგან ისრაელისათა“ (მე-2 რჯ. 23, 18). იგულისხმება რიტუალური როსკიპობა და მეძავობა, თუმცა ებრ. qedēšāh ჩვეულებრივი საერო მეძავის მნიშვნელობითაც იხმარება.

- „ზერმაშითი,“ ლვთისმხევალთა ერთ-ერთი კატეგორია.“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 78.

34 სიტყვა-სიტყვით: „თავისი შუგითი-ასული.“ ცხადია, შუგითს ჯერ კიდევ შეეძლო სრულუფლებიან ქორწინებაში შესვლა. //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

35 „§183. „გაამზითვა,“ šeriqtam išruq (პარონომაზია).“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 78.

36 „§184. „მამის სიკვდილის შემდეგ,“ დედანში: „მას შემდეგ რაც მამა თავისი ბედისკენ წავიდა“ (იხ. მე-12 მუხლის კომენტ.). [§12. „მკვდარია,“ სიტყვ. „ბედისწერისკენ წავიდა“ ამ იდიომით გამოხატულია ბუნებრივი სიკვდილი. შდრ. ანალოგიური გამოთქმა: „თავისი ბედისწერით მოკვდა“ (115) ბუნებრივი სიკვდილის გამოსახატავად].//იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 78 და გვ. 60.

ნებართვის არ არსებობის შემთხვევაშიც სარგებლობდნენ ასეთი უფლებით. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ქალქურუმები მთელი სიცოცხლის განმავლობაში სარგებლობდნენ მზითვის სახით მიღებული ქონებით, ხოლო შემდეგ კი მას მისი ძმები იღებდნენ მემკვიდრეობით.

დემოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, თუ როგორ რეგულირდებოდა შვილად აყვანისა და ბავშვის აღსაზრდელად მიბარების პროცესი. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება ხამურაბის კანონთა მომდევნო მუხლები: „(§185)<sup>37</sup> უკეთუ კაცმა უასაკო ბავშვი თავის სახელზე შვილად აიყვანა და გაზარდა, ეს მისი გაზრდილი უკან აღარ მოითხოვება.“ „(§186) უკეთუ კაცმა ბავშვი შვილად აიყვანა და მას შემდეგ, რაც აიყვანა, (ბავშვმა) დედ-მამა მოძებნა,<sup>38</sup> გაზრდილს შეუძლია მამის სახლს დაუბრუნეს.“ „(§187) საჭურისის – სასახლის კარზე მდგომის – შვილი და სიქრის შვილი უკანვე აღარ მოითხოვება.“ „(§188) უკეთუ ხელოსანმა შვილი გასაზრდელად აიყვანა და თავისი ხელობა შეასწავლა, უკანვე აღარ მოითხოვება.“ „(§189) უკეთუ თავისი ხელობა არ უსწავლებია, გაზრდილს შეუძლია მამის სახლში დაბრუნდეს.“ „(§190) უკეთუ კაცმა ბავშვი, რომელიც შვილად აიყვანა და გაზარდა, თავის შვილებში არ ჩათვალა, ამ გაზრდილს შეუძლია მამის სახლში დაბრუნდეს.“ „(§191) უკეთუ კაცმა შვილად აყვანილი ბავშვი გაზარდა, თავისი სახლი ააშენა,<sup>39</sup> მერე შვილები იყოლია და გაზრდილის მოკვეთა განიზრახა, ეს შვილი მისი სახლიდან ხელცარიელი არ უნდა წავიდეს. მამობილმა თავისი ქონებიდან მემკვიდრის მესამედი წილი უნდა მისცეს და ისე გაუშვას. მიწიდან, ბალიდან ან სახლიდან არაფერს მისცემს.“ „(§192) უკეთუ საჭურისის შვილი, გინა სიქრის შვილი თავის მამობილს და დედობილს ეტყვის: „ჩემი მამა არ ხარ, ჩემი დედა არ ხარ,“ ენა უნდა მოკვეთონ.“<sup>40</sup> „(§193) უკეთუ საჭურისის შვილ-

37 შვილობილობის შესახებ კანონები ატარებენ ოჯახის ერთიანობის დაცვის პრინციპს, მაშინ როცა ნაშვილების მშობლებთან დაბრუნება უკიდურესად გართულებულია. //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

38 ე.ი. შვილად აყვანისას მან არ იცოდა თავისი მშობლების შესახებ, რითაც ეს სიტუაცია განსხვავდება 185 მუხლის სიტუაციისგან. //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

39 „§191. „თავისი სახლი ააშენა“ არსებობს განსხვავებული თარგმანი: „სახლი აუშენა (შვილობილს),“ მაგრამ საკითხავია, თუ მამობილმა შვილობილს საკუთარი სახლი აუშენა, ე.ი. ცალკე დაასახლა, რაც, უთუოდ, დაქორწინებასაც ნიშნავს, რაღას უნდა გულისხმობდეს მისი მემკვიდრეობიდან მოკვეთა. მუხლის აზრი ის უნდა იყოს, რომ მამობილს „სახლის აშენების“ ანუ დაცოლშვილების შემდეგ არა აქვს უფლება უარი უთხრას თავის აღზრდილს მემკვიდრეობაზე; საკუთარი შვილების შეძენის შემთხვევაში მამობილი ვალდებულია მემკვიდრის მესამედი წილი მისცეს შვილობილს და ისე გაისტუმროს. მუხლი არაფერს ამბობს შვილობილის მოკვეთის მიზეზზე. აღსანიშნავია, რომ საკუთარი შვილის მოკვეთის საქმეს სასამართლო განიხილავს (იხ. 168).“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1988, გვ. 78-79.

40 მუხლები 192 და 194 ატარებენ ასოთმავნებლობის „სიმბოლური“ სასჯელებისპრინციპს (ტალიონის რთული მოდიფიკაცია), როდესაც მოკვეთას ექვემ-

მა, გინა სიქრის შვილმა თავის მამის სახლს მიაგნო, მამობილი და დედობილი შეიძულა და თავის მამის სახლში წავიდა, თვალი უნდა ამოთხარონ.“ „(§194) უკეთუ კაცმა თავისი შვილი ძიძას მიაბარა და ბავშვი ძიძის ხელში მოკვდა, ხოლო ძიძმ დედ-მამის უჩუმრად სხვა ბავშვი შეახვია, ძიძა უნდა ამზილონ და იმის გამო, რომ სხვა ბავშვი დედ-მამის უჩუმრად შეახვია, ძიძას ძუძუები უნდა მოჰკვეთონ.“

გარდა ამისა, კანონებში არის მუხლებიც არეგულირებდნენ ფეხმძიმე ქალისადამი დამოკიდებულებას: „(§209) უკეთუ კაცმა კაცის ასულს დაარტყა და მუცელი მოსწყვიტა, მუცლის მოწყვეტისათვის 10 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.<sup>41</sup>“ „(§210) უკეთუ ეს ქალი მოკვდა, მკვლელის ასული უნდა მოკლან.<sup>42</sup>“ „(§211) უკეთუ კაცმა მუშქენის ასულს ცემით მუცელი მოწყვიტა, 5 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.“ „(§212) უკეთუ ეს ქალი მოკვდა, ნახევარი მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს.“ „(§213) უკეთუ კაცის მონა ქალს დაარტყა და მუცელი მოსწყვიტა, 2 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.“ „(§214) უკეთუ მონა ქალი მოკვდა, ერთი მესამედი მანა ვერცხლი უნდა მიუწონოს.“

ამგვარად, ეს კანონები იმაზეც მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ ხამურაბის დროინდელი სახელმწიფო ზრუნავდა ფეხმძიმე ქალის სიცოცხლის დაცვაზე, რაც იმავდროულად ქვეყნის მომავალ დემოგრაფიულ განვითარებაზე ზრუნვასაც ნიშნავდა. მართალია სოციალური დიფერენციაციის გამო ეს ზრუნვა ფულად გამოსახულებებში საკმაოდ განსხვავებული იყო, მაგრამ მაშინდელი სოციალურ-ეკონომიკური იერარქიის პირობებში ეს არც უნდა იყოს გასაკვირო.

ამგვარად, ასეთია „...მართალი სამართალი, რომელიც ხამურაბიმ, მეფემ ძლიერმა, დაადგინა და ქვეყანას მტკიცე წესი და სასიკეთო მართვა-გამგეობა მიაღებინა“ [3: 48].

ხოლო, ყოველივე ეს, მან გააკეთა: „ძლიერისაგან სუსტის არ დასაჩა-გრავად, ობლისა და ქვრივისათვის სამართლის მისაცემად ბაბილონში, ქალაქში, რომლის თხემი ანუმ და ენლილმა ზეალმართეს ესანგილაში, ტაძარში, რომლის საფუძველი ცათა და ხმელეთის მსგავსად მყარია, რათა სამართალი

დებარება სხეულის „დამნაშავე“ ნაწილი. //იხ. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>

41 „§209. შდრ. აშურული კანონების მუხლი 21: „უკეთუ კაცმა კაცის ცოლს დაარტყა და მუცელი მოსწყვიტა და ამაში ფიცით დასდეს ბრალი და ამზილეს, მან უნდა გადაიხადოს ორი ტალანტი და ოცდაათი მანა ტყვია, ორმოცდაათგზის უნდა დაპკრან ჯოხი და ერთი თვის მანძილზე მეფის სამუშაოს ასრულებდეს.“ //იხ. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკაძემ). თბ., „მეცნიერება“, 1988, გვ. 79.

42 მუხლები 210 და 230 ადასტურებს, რომ ბავშვები განიხილებოდა უპირველეს ყოვლისა როგორც საკუთრება (ან უფრო ზუსტად – როგორც ნაწილი) მამის და ამ რანგში ტალიონის ფარგლებში სხვისი ბავშვების სიკვდილისთვის ჯავრის ამოსაყრელად ექვემდებარებოდა განადგურებას („სხეულის ნაწილი სხეულის ნაწილისათვის,“ მოდელის მიხედვით, შდრ. მუხლი 196, 200).

განკითხულიყო, ქვეყნის განაჩენი გადაწყვეტილიყო, მიმძლავრებულს სამართალი მისცემოდა, ძვირფასი სიტყვები ჩემი ქვაზე დავწერე და ჩემი ქანდაკის ნინ, რომელ არს „მეფე სამართლისა,“ დავდგი“ [3: 49].

ამრიგად, ხამურაბის კანონებში განხილულია ისეთი დემოგრაფიული საკითხები როგორიცაა: მცირენლოვანი ბავშვის უსაფრთხოებაზე ზრუნვა; ცოლის (ან ზოგადად ქალის) ცილისნამებისაგან დაცვა; სახელმწიფოს მიერ ქორნინების აღიარებისათვის მეუღლებს შორის ქორნინებითი ხელშეკრეულებების გაფორმების აუცილებლობა; მეუღლეთა ერთგულების დამრღვევის (უპირატესად ცოლის) დასჯა; არაკონსუმირებულ ქორნინებაში მყოფ გათხოვილ ქალზე (ქაცის ცოლზე) ძალადობა; ქმრის ან სხვა მამაკაცის მიზებით ცოლის უსაფუძვლო ცილისნამებისაგან დაცვა; ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფასა და ცოლის ერთგულებას შორის ურთიერთდამოკიდებულება; ემიგრაციიდან დაბრუნებული ქაცის უფლება მეორედ გათხოვილ თავის პირველ ცოლზე; უშვილობასთან დაკავშირებული მატერიალური ანაზღაურების საკითხები; რეაქცია ქალის მხრიდან განქორნინების სურვილზე; განქორნინების უბანში გარჩევის საკითხი; თავშეუნახავი ქალის დასჯა და სხვ.

როგორც ცნობილია თანამედროვე გაგებით დემოგრაფიული პოლიტიკა ესაა განსახორციელებელ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც მიმართულია დასახული დემოგრაფიული მიზნის მისაღწევად, ე.ი. დემოგრაფიულ პოლიტიკას აუცილებლად უნდა ჰქონდეს დემოგრაფიული მიზანი. ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, რა თქმაუნდა, ძნელია ძველ დროში დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების მცდელობათა მოძიება და დადასტურება, რადგანაც მაშინ საერთოდ არ იყო ცნობილი ცნებები „დემოგრაფიული მიზანი“ და, შესაბამისად, არც „დემოგრაფიული პოლიტიკა.“ თუმცა დემოგრაფიის ისტორიიდან ცნობილია, რომ, თანამედროვე აზრით გაგებული, დემოგრაფიული პრობლემატიკა მაშინ ცოდნის სხვადასხვა დარგის ჩარჩოებში განიხილებოდა და შესაბამისად მათი გამოსწორების გზებიც სახელმწიფოს ზოგადი განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ფარგლებში აისახებოდა. ამიტომაც ამ ნაშრომში განხილული ღონისძიებები, მყაცრად რომ ვთქვათ არაა დემოგრაფიული პოლიტიკა, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი თავიანთი შედეგებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე ჩვენ შეგვიძლია ისინი ასეთებად ჩავთვალოთ და საჭიროების შემთხვევაში, „ნინა კაცი უკანას ხიდია“-ს პრინციპის გათვალისწინებით, შეძლების-დაგვარად გავითვალისწინოთ.

ასეთია მოკლედ მსოფლიოში უძველეს სამართლებრივ კოდექსში, – ხამურაბის კანონებში, მოცემული დემოგრაფიული შინაარსის საკითხთა ჩვენებული მიმოხილვა, რომელიც, რა თქმა უნდა, სრულად ვერ ამოწურავს მათში განხილული დემოგრაფიული პრობლემების მთელ სპექტრს. ეს არც შეადგენდა ჩვენი კვლევის მიზანს, რადგანაც, როგორც შ. ლ. მონტესკიე წერდა: „... ისე არ უნდა ამოვწუროთ საკითხი, რომ მკითხველს არავითარი გარვა აღარ დავუტოვოთ. საქმე ის კი არაა, რომ ადამიანი ვაიძულოთ იკითხოს, არამედ ის, რომ ვაიძულოთ იგი, იაზროვნოს“ [1: 212]. ჩვენც სავსებით ვიზი-

არებთ ამ დიდებული სიტყვების შინაარსს და მიგვაჩნია, რომ მკითხველისთვის წარმოდგენილი წინამდებარე მასალა საკმაო საფუძველს იძლევა შემდგომი განსჯისა და გააზრებისთვის, რაც ესოდენ საშურია როგორც ქართული დემოგრაფიული აზრის, ასევე ქართული დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებისთვისაც.

### **ლიტერატურის სია**

1. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი (ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუციძემ) CIP-DD. თბ., 1994.
2. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>
3. ხამურაბის კანონები (აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიქნაძემ). თბ., „მეცნიერება,“ 1989.
4. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბ., „მერანი,“ 1991.

### **A. SAKHVADZE**

## **DEMOGRAPHIC ASPECTS OF THE HAMMURABI'S CODE OFLAWS**

### **Summary**

The work considers historical-demographic aspects of the Hammurabi's Code of Laws – the most important legal monument which was created by Hammurabi, the king of Babylon, in the 18<sup>th</sup> century BC. It emphasizes Charles-Louis Montesquieu's remark that history (including demographic – A.S.) should be studied through laws and laws (including those of demographic development – A.S.) through history. Just on the basis of such an approach peculiarities of demographic development of Hammurabi's epoch are analyzed in the work. In details, clause by clause are examined such issues contained in "Hammurabi's Laws" as legal rules of family law which regulate questions of marriage (in particular marriage portion, dowry, etc.), birthrate, adoption, divorce, betrothal, incest, etc. At the same time, in some cases parallels are drawn with working rules in present-day conditions. In general, considerations presented in the paper are the statement of a question and, naturally, do not cover full range of demographic issues. But that was not the purpose of the paper since according to Ch.L. Montesquieu, the question should not be so much exhausted that the reader has to make no efforts. The point is not to force a person to read but to force him to think. We believe that the paper fully complies with the tasks of studying historical prerequisites of the development of demographic processes and at the same time promotes understanding modern demographic challenges.

**А. Ш. САХВАДЗЕ****ДЕМОГРАФИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ «ЗАКОНОВ ХАМУРАППИ»****Резюме**

В работе рассмотрены историко-демографические аспекты «Законов Хаммурапи» – важнейшего правового памятника, разработанного в XVIII веке до нашей эры царем Вавилона Хаммурапи. В ней подчеркивается высказывание Ш.Л. Монтескье о том, что: «следует искать объяснения истории (в том числе демографической – А.С.) в законах а, объяснение законов (в том числе демографического развития – А.С.) – в истории». Именно на основе такого подхода проанализированы особенности демографического развития эпохи Хаммурапи. Детально, постатейно рассмотрены приведенные в законах Хаммурапи юридические нормы семейного права, которые регулируют вопросы брака (в том числе приданого, выкупа невесты и т.д.), рождаемости, усыновления, развода, обручения, инцеста и т.д. При этом, в ряде случаев проведены параллели с действующими в современных условиях нормами. В целом же приведенные в статье рассуждения имеют характер постановки вопроса и, естественно, не исчерпывают всего спектра рассмотренных здесь демографических проблем. Впрочем, это и не являлось целью статьи, так как, по мнению того же Ш.Л. Монтескье, «... никогда не следует исчерпывать предмет до того, что уже ничего не остается на долю читателя. Дело не в том, чтобы заставить его читать, а в том, чтобы заставить его думать». Полагаем, что настоящая статья полностью отвечает как задачам изучения исторических предпосылок развития демографических процессов, так и новому осмыслиению современных демографических вызовов.

## ხელოვნების ისტორია

### მათეა კაშია

#### ქართული სცენოგრაფია და შექსპირიანა მუსიკალური თეატრის სცენაზე (ს. ვირსალაძე და ფ. ლაპიაშვილი)

თანამედროვე თეატრში, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მნიშვნელობის მხატვრულ ხერხებს, სპექტაკლის ვიზუალური სახე, მისი „სანახაობრივი ტექსტი“ მუდმივი ცვალებადობის და განვითარების ფაზაში იმყოფება. ამას მონმობს თეორიული პრაქტიკა, დრამატურგებისა და რეჟისორების თეორიული კონცეფციები მოყოლებული XX საუკუნის პირველი ათწლეულიდან დღევანდელ დღემდე.

XX საუკუნის მსოფლიო თეატრში მომხდარმა მეტამორფოზებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო დრამატულ თუ სარეჟისორო ძიებებთან, დიდი ძვრები გამოიწვია თანამედროვე სცენოგრაფიის მიმართულებით [1:13].

თანამედროვე სცენოგრაფი ახდენს სცენის არამარტო დეკორირებას, არამედ მიისწრაფვის შექმნას დრამატურგიული გარემო, განსაზღვროს სპექტაკლის არსი და გამოკვეთოს სარეჟისორო კონცეფცია. ეს პრინციპები ერთნაირად ეხება როგორც დრამატულ, ასევე მუსიკალურ თეატრს.

ქართული თეატრალური მხატვრობა სრულად ასახავს ზემოთ აღნიშნულ თეორიულად განზოგადებულ იდეას.

ქვეყნისათვის ყველაზე რთულ პერიოდში თეატრი მხატვრებისთვის ხდება „ნიშა“, სადაც მათ ეძლევათ სამუალება თავისუფლად გამოავლინონ დამოკიდებულება ხელოვნების ფორმისა და არსისადმი. თეატრალური სივრცე ხდება თავისებური ადგილსამყოფელი თამამი ექსპერიმენტებისთვის, რომელიც შედარებით დაცულია უხეში რეალობისგან.

თეატრალურ წარმოდგენაში, რეჟისორთან ერთად მხატვარი გვევლინება სპექტაკლის კონცეფციის შემქმნელად და თუ რას ანიჭებს იგი პრიორიტეტს - ვიზუალური „ხატის“ შესრულებისას აშენებულ კონსტრუქციას თუ ფერწერულ დეკორაციას, ცალკეულ საგანთა თუ კოსტიუმების თამაშს, ფერადოვან შეხამებას, კონკრეტიკას თუ განზოგადებას, თხრობითობას თუ ლაკონურობას, პლასტიკურ „მოდულაციას“ თუ გრაფიკულ გადაწყვეტას ეს, მის ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული.

ქართული სცენოგრაფია ეტაპობრივად ახორციელებდა, მსოფლიო თეატრალურ მხატვრობაში არსებული ტენდენციების დამკვიდრებას და განვლო გზა სპექტაკლის უბრალო გაფორმებიდან ქმედით სცენოგრაფიამდე.

მუსიკალური თეატრის სახოვანებას განსაზღვრავს: მუსიკა, ლიტერ-

ატურული პირველწყარო, ვოკალური პარტიები, საჭიროების შემთხვევაში ქორეოგრაფია და მათთან შერწყმული სამსახიობო თამაში, რეჟისორული გადაწყვეტა და სახვითი ხელოვნება. კონკრეტული მუსიკალური წარმოდგენის მხატვრულ თავისებურებას შემადგენელი ელემენტების სინთეზი წარმოქმნის [4:11].

თეატრალური კოლექტივის მიერ ღრმად გაგებული ხელოვნებათა სინთეზის პრობლემა განაპირობებს; წარმოდგენის მაღალმხატვრულ გამომსახველობას. ეს თანაბრად ეხება, როგორც დრამატულ, ასევე მუსიკალურ თეატრს, თუმცა თითოეულში განსხვავებულია ხელოვნების „თანამონანილე“ დარგების როლი [4:29].

მუსიკალურ თეატრში მუსიკა არის პირველწყარო, რომელსაც ეფუძნება რეჟისორისა და მხატვრის მუშაობა... მათი ჩანაფიქრი მუსიკის დრამატურგით უნდა იყოს ნაკარნახევი. მუსიკალური თეატრის სპეციფიკის გათვალისწინებით მთლიანი დადგმისთვის ძირითადი ამოცანა შესაბამისი სახვითი გადაწყვეტის მოფიქრებაა.

ბალეტის მხატვრული გაფორმება განისაზღვრება არა მარტო მუსიკით, არამედ ქორეოგრაფიით და ცეკვის დრამატურგიით. დეკორაციების შექმნისას მხატვარი ვალდებულია გაითვალისწინოს სათანადო საცეკვაო მოედნის აუცილებლობა, რაც სივრცის საგანგებო ორგანიზაციას საჭიროებს. საბალეტო კოსტიუმმაც ხელი უნდა შეუწყოს ცეკვის ნახატის გამოვლენას და ამასთან უზრუნველყოს მოცეკვავის თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობები.

სხვადასხვა ეპოქაში, შექსპირის ნაწარმოებებით შთაგონებულმა კომპოზიტორებმა შექმნეს არაერთი მუსიკალური შედევრი. ჩვენ შევჩერდებით რამოდენიმე მათგანზე სცენოგრაფიული გადაწყვეტის კონტექსტში. თავდაპირველად გავანალიზებთ შექსპირის თემას სოლიკო ვირსალაძის შემოქმედებაში.

სოლიკო ვირსალაძე ცხოვრებაშივე კლასიკოსად აღიარებული სცენოგრაფია. მის ნამუშევრებში ერუდიცია, დახვეწილი მხატვრული გემოვნება, ფერმწერის განსაკუთრებული ნიჭი, მუსიკალური თეატრის სცენის თავისებურებებისა და სპეციფიკის უბადლო ცოდნითაა შეზავებული.

მხატვრის საუკუთხესო ქმნილებები მუსიკალური ნაწარმოების ღრმა წვდომით გამოირჩევა. მისი სცენოგრაფია ერთის მხრივ, უშუალოდ მუსიკიდან გამომდინარეობს და მის თითოეულ ნიუანს გადმოსცემს, ხოლო მეორე მხრივ, ადვილად გასაგებს ხდის მოქმედების შინაარსა და დრამატურგიას [2:3].

კარგად გააზრებული, დახვეწილი დეკორაციების მეშვეობით, რომელშიც პირობითად არის მონიშნული ცალკეული ელემენტი სცენოგრაფი სპექტაკლის ინდივიდუალურ ფერწერულ სახეს ქმნის ფერთა მდიდარი გამით და ინტენსიური განათებით. ესაა მოულოდნელობებით სავსე სამყარო, სადაც არაფერი მეორდება. სოლიკო ვირსალაძის ნამუშევრები ჭეშმარიტ „ფერთა სიმფონიას“ წარმოადგენს.

ს. ვირსალაძეს შემოქმედების ყველა ეტაპზე მოუხდა შექსპირის ნაწარ-

მოებების გაფორმებაზე მუშაობა. ესენია: ვერდის ოპერა „ფალსტაფი“ (რე-უსორი ე. კაპლანი. პეტერბურგის მცირე ოპერისა და ბალეტის თეატრი 1941წ.); მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“ (ბალეტმაისტერი ვ. ჭაბუკიანი. ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1957წ.); პროკო-ფიევის „რომეო და ჯულიეტა“ (ბალეტმაისტერი ი. გრიგოროვიჩი, მოსკოვის დიდი თეატრი, 1979წ.).

მუსიკის ისტორიაში რთულად მოიძებნება ნაწარმოები, რომელიც რჩება რა კომიკური ოპერის უანრში, გამოიჩინება თავისი სიღრმისეული ხედვით. ჯუზეპე ვერდის ოპერა „ფალსტაფის“ მოქმედება მიმდინარეოს XVI საუკუნის ინგლისში. მოქმედების ადგილებია: ქუჩა, ტავერნა, ბალი, მდიდრული არისტოკრატული სახლის ინტერიერი, ტყე. ვირსალაძე ზუსტად ასახავს ეპოქის სტილს, „ისტორიულის“ ჩვენება არ არის მისი მთავარი ამოცანა. არც სტილიზაციისკენ ისწრაფვის. სცენის ინტერიერი შორიდან, გვაგონებს იმ დროს ინგლისურ ესტამპებს. მხატვარი ცდილობს შექმნას გარემო, რო-მელიც იპერის მუსიკალურ წყობას შეესაბამება და წარმოგვიდგენს მოქ-მედების ცოცხალ ატმოსფეროს. აღსანიშნავია, სადეკორაციო სიბრტყეზე გამოსახული ტყე...

სპექტაკლში კარნავალია, სადაც თავს იყრის ოპერის ყველა მთავარი გმირი. ტყის გარემოს ქმნის მუხის გამოსახულება, რომელიც შესრულებულია „თავისუფალი“ ფუნჯით, პასტოზური მონასმებით, ფერთა ჰარმონიული კა-ლეიდოსკოპური შერწყმით. მხატვრული სახით „ხალისიანია“ და თავის თავში მოქმედებიდან გამომდინარე, რთავს სათამაშო ელემენტებს ანუ ეს ფერწერული ნამუშევარი ფანტასტიკური ხასიათის პერსონაჟული ფუნქციის მატარე-ბელია, რასაც განსაკუთრებული ფერადოვნება განაპირობებს და საერთო მაჟორულ ჟღერადობას უსვამს ხაზს. დეკორაციის ეს ნაწილი ზუსტად შეესაბამება მუსიკალური სპექტაკლის ხატოვან წყობას. „თეატრალიზირე-ბული“ ტყის სახით წარმოდგენილი ადგილი განზოგადებულ ხასიათს იძენს. ტყე ბზინვარებს და ხდება პოეტური საწყისის სიმბოლო. ამ დეკორაციის განსაკუთრებულობა გამოისახება იმით, რომ შესრულებულია იმ პერიოდში, როდესაც თეატრში ნატურალიზმის ეპოქა მძინვარებდა. ამ დროს ვირსალა-ძე მაქსიმალურად ცდილობს თეატრალური პირობითობის შენარჩუნებას. ის მიუთითებს მოქმედების ადგილს და ამავე დროს მაქსიმალურად ანზოგადებს ფორმას, რაც სცდება მხატვარ- გამფორმებლის ფუნქციის საზღვრებს.

1941 წლს ს. ვირსალაძე პეტერბურგის ს. რადლოვის თეატრში იწ-ყებს ვერდის ოპერისთვის „ოტელოს“ ესკიზების შესრულებას თუმცა, მეორე მსოფლიო ომის გამო სპექტაკლის დადგმა არ განხორციელდა. ერთადერთი შემონახული ესკიზი გვიჩვენებს, რომ გაფორმების მთავარი ელემენტი უნდა გამხდარიყო დრაპირებული ფარდა, რომელსაც შემოქმედი იყენებს 50-იან წლებში ბალეტ ოტელოს გაფორმებლისას.

ამ დროს ჩნდება სივრცის ორგანიზაციის ახალი სისტემა - ფორმების მუდმივი და ცვალებადი ელემენტების შეთანხმება, თანაც ფერწერული პანოს და არქიტექტურული ელემენტების შეთავსებით.

1957 წლიდან ვირსალაძის ხელოვნებაში მუაღიოდ ისახება სწრაფვა მოქმედების ადგილის არა, რეალური გარემოს, არამედ მხატვრულ-განზოგადებული ხასიათის მეტად პლასტიკური განზოგადებისა და ქორეოგრაფიული მეტაფორისაკენ.

სპექტაკლი სურათების მიხედვითაა გაფორმებული და აგრძელებს ბალეტ-პიესისათვის დამახასიათებელ თხრობით ხაზს. გაფორმების საფუძველს წარმოადგენს დრაპირებული ფარდა, რომელიც მუდმივი ელემენტია სპექტაკლის მთელი მსვლელობის განმავლობაში... მხატვარი მხოლოდ ფერწერულ სურათებს ცვლის. ფარდა და დრაპირება შემოფარგლავს სცენას სხვადასხვა პლანზე, ღებულობს სხვადასხვა ფორმას და ხან მთლიანად, ხანაც ნაწილობრივ ხსნის სასცენო სივრცეს. ფარდის მონახაზი საკმაოდ მოძრავია, რაც ბალეტის ექსპრესიული ცეკვის ნახატს ეხმანება. ინტერიერი გამდიდრებულია ძუნნად შერჩეული დეტალებით. ფარდები და დრაპირება დეკორაციის სხვა ელემენტებთან ერთად ერთიან სპექტრულ კოლორიტულ სისტემას ქმნის. ფერები გმირების ფსიქო-ემოციურ დახასიათებას გადმოსცემენ. მაშასა-დამე, მხატვარი ფერს სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს [2:9].

სცენაზე შექმნილი გარემო ფერწერული და ცხოველხატულია... ბალეტ „ოტელოში“ ფერისა და განათების დახმარებით ს. ვირსალაძე ტრაგიკულობის შთაბეჭდილებას ამძაფრებს.

1979 წელს დიდი თეატრის სცენაზე შედგა ს. პროკოფიევის ბალეტის „რომეო და ჯულიეტა“-ს პრემიერა, ბალეტმაისტერი ი. გრიგოროვიჩი. სოლიკო ვირსალაძის გაფორმება „ბრძნული უბრალოებით“ გამოირჩევა. სპექტაკლი გადაწყვეტილია შავსა და წითელ ტონალურ გამაში, რაც თავი-დანვე დრამატულობის, ტრაგიკულობის, დაძაბულობის გამოაშკარავებისაკენ არის მიმართული.

ფარდის ახდისთანავე მაყურებელი XV-XVI საუკუნეების იტალიურ ატ-მოსფეროში ეცცევა. მოქმედი პერსონაჟების გამოჩენა იტალიური რენესანსისათვის დამახასიათებელ, ისტორიზმის ნიშნების მატარებელ ჩაცმულობით ამძაფრებს, აკონკრეტებს იტალიური გარემოს შეგრძნებას და წარმოქმნის რენესანსული ეპოქის მრავალფიგურიან კომპოზიციას.

გაფორმებას კვლავ უდევს საფუძვლად ფარდის მოტივი, რომელიც უცვლელად გადადის სურათიდან სურათში, ცვალებადი ფერწერული პანო. „ოტელოში“, ასევე „რომეო და ჯულიეტაში“ ფარდის, როგორც ძირითადი სცენოგრაფიული ელემენტის გამოყენება ხაზს უსვამს პირობითობას, თუმცა პირველ რიგში თეატრალურობის, დეკორატიულობის მეტ ეფექტს იძლევა და თან პარადულია. „რომეო და ჯულიეტაში“ ფარდა უკანა დეკორაციასთან ერთად დასრულებულ ფერწერულ-მონუმენტურ ტილოს გვაგონებს, სადაც კომპოზიცია ნელ რიტმზეა აგებული.

„რომეო და ჯულიეტას“ სცენოგრაფია ტიპიურია მხატვრის ხედვისთვის სცენის ორგანიზების მიმართულებით, როგორიცაა მოედნის უკანა მხარის დატვირთვა და გვერდითი კულისების აქტიური გამოყენება. სახვითობაში დიდი ადგილი უჭირავს განათებას.

სინათლის ზემოქმედებით თითოეული ფერი იძენს სხვადასხვა ნიუანსს, რაც ფერწერულად მდიდრულს ხდის სურათს. ამასთანავე, ყოველი ახალი ფერი მუსიკალურ ინტონაციებს შეესაბამება. საბოლოოდ იქმნება მუსიკალურ-დრამატურგიული ფერადოვანი „პარტიტურა“.

დროდადრო ჩამოქებული დეკორაციები ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ადამიანთა გრძნობები წყვდიადიდან არის ამოხეთქილი. ფერწერულ ფონს ამდიდრებს კოსტიუმების მრავალფეროვნება. ეპოქის სტილის მიმანიშნებელ დეტალებთან ერთად ყოველი მოცეკვავე აღორძინების ეპოქის ფერწერულ პორტრეტს გვაგონებს.

დეკორაცია მონუმენტურია. კარგად გააზრებულია მისი ემოციური ზემოქმედების ძალა. მხატვრის შემოქმედების განუმეორებლობა მის სიმფონიურ, მასშტაბურ აზროვნებაში ვლინდება. გაფორმება მიმართულია როგორც შინაარსის, ასევე მუსიკის ფსიქო-ემოციური გახსნისავენ. ს. ვირსალაძისა და ო. გრიგოროვიჩის სპექტაკლები სხვადასხვა ნაწილებისგან ფუნდამენტურად შევსებული ერთი მთლიანი ორგანიზმია, სადაც რომელიმე ნაწილის გამოკლება მთლიანობის რღვევას იწვევს.

ვირსალაძის გაფორმებით შექმნილი სამყარო ჭეშმარიტ თეატრალურ სანახაობას წარმოადგენს. სადაც ვლინდება მხატვრის უშრეტი ფანტაზია, „სიმფონიური“, მეტაფორული აზროვნების უნარი, რაც მაყურებელში დიდ ემოციურ განცდას იწვევს.

მხატვარს შექსპირის თემისთვის კინოშიც მიუმართავს. იგი გახლდათ გ. კოზინცევის ფილმების „ჰამლეტისა“ და „მეფე ლირის“ კოსტიუმების მხატვარი.

სოლიკო ვირსალაძე თავისი მასტებით და ფერწერული ნიჭიერებით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თეატრალური მხატვრობის ისტორიაში. ის ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს თეატრალური ბუნების პირობითობა. მისი ერუდიცია, დახვეწილი გემოვნება, სივრცის გასაოცარი აღქმა ვლინდება ყოველ ნამუშევარში. ს. ვირსალაძე ყოველგვარი თხრობითობის გარეშე მისწრაფვის განზოგადებული, ლაკონური მხატვრული ფორმისკენ, მის გაფორმებაში აქცენტირებულია კონკრეტული მუსიკალურ-დრამატული თემის განვითარება. მასთან ეს ხაზი უფრო პრევალირებს, ვიდრე აზრობრივი ქვეტექსტები. ასეთი შემოქმედებითი მიდგომა მისადაგებულია დროით გარემოებებთან.

XX საუკუნის 40-70-იან წლებში, საქართველოში დრამატულისგან განსხვავებით მუსიკალურ თეატრში, ტრადიციულობა მეტად დაცულია, თუმცა დროთა განმავლობაში მხატვრის როლი სპექტაკლის აზრობრივი კონცეფციის შექმნაში გაძლიერდა. თავდაპირველად სცენოგრაფის მთავარ მონაპოვრად ითვლებოდა მუსიკალურ-შინაარსობრივი არსის გახსნა, სადაც მუსიკა იყო მთავარი ამოსავალი წერტილი, აქედან – მეტი შეზღუდულობა. ამ ფონზე სოლიკო ვირსალაძე იმ მცირერიცხოვან მხატვართა შორისაა, ვინც მიმართავს მინიმალური სახვითი ხერხების გამოყენებით მაქსიმალური „სანახაობის“ შექმნას.

მხატვრის მიერ ფერის და ფერწერულობის გააზრება ხდება მისი ხელ-ნერის ყველაზე მნიშვნელოვანი და განმასხვავებელი ინდივიდუალური ნიშანი.

მხატვრის შემოქმედების მესამე ეტაპზე დიდი თეატრის სცენაზე დადგ-მული რიგი სპექტაკლები („ქვის ყვავილი”, „ლეგენდა სიყვრულზე”), ძლ-იერი პლასტიკურ-მეტაპორული მინიმალიზმით გამოირჩევა, რითაც ის დღე-ვანდელობას ეხმაურება.

ს. ვირსალაძე, პირველ რიგში, მხატვარ-ფერმწერია. სცენის გაფორმების უბადლო ოსტატი, ქორეოგრაფთან და მსახიობებთან ერთად ქმნის სპექტაკ-ლის სახოვანებას.

ფარნაოზ ლაპიაშვილი ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხე-ლოგნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია.

მისი მხატვრული ენის მახასიათებელია სცენური სივრცის დაგეგმარები-სა და სამოქმედო გარემოს შექმნისას ფერწერული საშუალებების გამოყენე-ბა, რაც ფერის ინტენსიურობით და განათების, შუქ-ჩრდილის მონაცვლეო-ბით მიღებულ დინამიკასა და გამომსახველობაში ვლინდება.

ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა, იოსებ სუმ-ბათაშვილთან ერთად გორის დრამატულ თეატრში გააფორმა შალიკაშვილის პიესა „უნიადაგონი“. მცირე ხნის შემდეგ კასრაძის „იუდეა“. ეს იყო მისი პროფესიული კარიერის დასაწყისი.

XX საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც ლაპიაშვილი დგამს პირველ ნაბიჯებს, სასცენო მხატვრობაში თავს იჩენს ფერწერული გადაწყვეტა, ილ-უზორულ-მოცულობითი დეკორაციების შექმნის აუცილებლობა, ნატურალ-იზმით გატაცება, თხრობითი ელემენტების მოჭარბება ვიზუალურ ნაწილში, დაწვრილმანება.

შემოქმედების საწყის ეტაპზე მხატვარი ბოლომდე ვერ გაურბის ამ მოთხოვნებს, თუმცა მაქსიმალურად ცდილობს გადმოსცეს სცენაზე კოლო-რიტუალ მდიდარი გარემო, რომელიც თეატრალური სანახაობის თვალსაზ-რისით საკმაოდ ეფექტურად გამოიყურება. ამის შემდეგ ფ. ლაპიაშვილისთვის ფერწერულობა თეატრის მხატვრობაში ყველაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისება ხდება, რომელსაც ის მთელი შემოქმედების განმავლობაში ხვენს.

1947 წლიდან მხატვარი შემოქმედებითად უკავშირდება რუსთაველის თეატრს, სადაც 20 წელს გაატარებს. ამ დროის განმავლობაში მას მჭიდრო ურთიერთობა უყალიბდება ცნობილ რეჟისორ დიმიტრი ალექსიძესთან. მას-თან ერთად იგი დრამატულის გარდა მუშაობს მუსიკალურ თეატრში და ქმნის მთელ რიგ სპექტაკლებს, როგორც თბილისში, ასევე ყოფილი საბჭოთა კავ-შირის ქალაქების სცენაზე. ამ შემოქმედებითმა ტანდემმა 1980 წ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სცენაზე განახორციელა კუზეპე ვერდის ოპერა „ოტელოს“ დადგმა.

მიუხედავად ფ. ლაპიაშვილის მიერ გაფორმებული მრავალი სხვადასხვა უანრის სპექტაკლებისა, მის შემოქმედებაში უდავოდ იგრძნობა მიდრეკილება დრამებისა და ტრაგედიებისადმი. შექსპირი მის ხელოვნებაში პირველად არ გამოჩნდა.

1960 წელს, თბილისის რუსთაველის დრამატული თეატრის სცენაზე მხატვარი დგამს „ჰამლეტს“, რომლის დეკორაციები ძალზედ ყურადსაღებია, რადგან მათში გამოვლინდა მხატვრის მიერ ახალი მოთხოვნების და სტილისტური ენის ჩამოყალიბების პრინციპების გაზრება და ფლობა.

ცნობილია, რომ XX ს. 60—იან წლებში ხელოვნებაში საერთოდ, მათ შორის, თეატრალურში, ხდება დიდი ძვრები, რომელიც ჯერ კიდევ XX ს. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო და თეატრში პირობითი ენის „რეაბილიტაციაში“ გამოვლინდა. ამ დროის ქართული თეატრისათვის დამახასიათებელია პლასტიკური, განზოგადებული, ლაკონური მხატვრული ხერხების აღდგენა, დასაწყისში ფრთხილი მეტაფორულობით და აქედან, აზრობრივი ემოციურობის გაძლიერებით.

ფ. ლაპიაშვილთან ახალი მოთხოვნები გამოვლინდა დეკორაციული სისტემის განზოგადებულ ხასიათსა და ფერწერულობის ემოციურ დატვირთვაში, კოლორიტულ მრავალფეროვნებასა და ლაკონიზმში. სპექტაკლში ისტორიზმის უტყუარი ნიშნების, ცალკეული დეკორაციული ელემენტებისა და პირველ რიგში კოსტიუმების გამოყენებით სასცენო სივრცე ხდება უფრო გახსნილი და დატვირთული არა შინაარსობრივი, არამედ აზრობრივი, ასოციაციური „ტექსტით“. ხშირია მხატვრის მიერ დამატებითი, საქმაოდ რთული (დამრეცი სიბრტყეების) კონსტრუქციის ფიცარნაგის გამოყენება უშუალოდ სცენის იატაკზე, რაც მოქმედების მსვლელობისას მიზანსცენური აგების მრავალფეროვნებას უწყობს ხელს, ქმნის გარემოს ზოგად სურათს.

რაც შეეხება ვერდის ოპერას „ოტელოს“, მხატვარი ამ პიესის გაფორმებას ორჯერ მიმართავს. 1966 წელს ის აფორმებს სპექტაკლს კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერის თეატრში და 1980 წელს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში (რეჟისორი დოდო ალექსიძე).

1966 წლის კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერის თეატრისთვის ვერდის „ოტელოს“ გაფორმებისას მხატვარი მიმართავს უკვე აპრობირებულ და მისი ხელწერისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ხერხებს, როგორიცაა სცენაზე რომბის ფორმის ფიცარნაგის გამოყენება, ნეიტრალური უკანა ფერწერული დეკორაცია. მასში მოცემული ფერადოვანი გადაწყვეტა ფაქტობრივად მთელი სცენის ფერადოვანებას განსაზღვრავს. სცენის ცენტრში რეკვიზიტის გამოყენება აკონკრეტებს მოქმედების ადგილს. ზოგიერთ სურათში ამას ემატება დეკორაციის სხვადასხა კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც ავსებს და ამდიდრებს ვიზუალურ ნაწილს.

სცენის გაფორმება მონუმენტურია, თუმცა კარგად მორგებული სასცენო კოლოფის მასშტაბს. დეკორაცია კონკრეტულიც არის და ამავდროულად განზოგადებულ ხასიათს ატარებს. რეჟისორული გადაწყვეტიდან გამომდინარე მხატვარი ქმნის „წასაკითხად“ მარტივ გარემოს. რელიეფურად გამოკვეთილია ადამიანთა გრძნობები და რაც მთავარია ჩვენი ყურადღება კონცენტრირდება მუსიკაზე, სადაც შეესპირის პიესის ტრაგიზმი მთელი ემოციური სისავათ არის გადმოცემული. მუსიკალური ინტონაციების დრამატულობას პასუხობს განათება, რომელიც შინაარსობრივად აკონკრეტებს მოქმედებას.

ეპოქის წარმატებას ხელს უწყობს კოსტიუმების გადაწყვეტა. მათი ფერა-დოვნება ამდიდრებს საერთო კოლორიტულ სისტემას.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვერდის „ოტელოს“ სცენოგრაფიულ გადაწყვეტაში ფარნაოზ ლაპიაშვილი რეჟი-სორთან ერთად ძირითად ტექსტის გაფორმებას იძლევა. აქ ნაკლებად ვხვდებით სიმბოლურ-მეტაფორულ გააზრებას (ეს არის ჩაქსოვილი ცალკეულ დეტალებში, მაგრამ უმნიშვნელოა). შესაძლოა ეს თვით მუსიკალური ჟანრით არის გაპირობებული. ძირითადი ყურადღება დამდგმელმა კოლექტივმა ვოკალურ მხარეზე გადაიტანა და შექმნა მომღერლებისთვის „კომფორტული“ გარემო. სცენური სივრცე ორგანიზებულია მკაფიოდ, პლანობრივი დანაწილებით, თეატრალური ბუნების პირობითობის გათვალისწინებით. გაფორმებაში მხატვარი იყენებს ძალზე ძუნნ და ლაკონურ მხატვრულ ნიშნებს. არ ტვირთავს მოედანს, რათა ზედმეტმა დეკორაციამ არ შთანთქოს მომღერლის ხმა. სპექტაკლის ძირითადი მონაპოვარი არის მისი ფერწერულობა და კოლორიტული სიმძაფრე, რაც ფარნაოზ ლაპიაშვილის ხელწერის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა.

ალსანიშვილია, რომ XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის, ქართულ სცენოგრაფიაში და იმ მხატვრებთან, რომლებიც მოღვაწეობას 60-იანი წლებიდან იწყებენ, მეტი სწრაფვა ვლინდება სპექტაკლის კონცეპტუალური გადაწყვეტისაკენ, რაც კარგად ჩანს დრამატულ თეატრში. მუსიკალურ თეატრში მეტ-ნაკლებად ხდება წინსვლა, თუმცა ეს უფრო ახალგაზრდა შემოქმედთა აზროვნებაში ვლინდება. მთლიანობაში მუსიკალური თეატრი უფრო „ტრადიციულია“ და ადრე გამომუშავებული მხატვრული პრინციპებით ხელმძღვანელობს. შექმნილი სპექტაკლები თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის გაგებას უფრო შეესაბამება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართული მუსიკალური თეატრი 50-იანი წლებიდან მოყოლებული მეტი კონკრეტული მოქმედების ადგილის გადმოცემის, განზოგადების საერთო გადაწყვეტის ლაკონურობის მეტი თავისუფლებისკენ მიისწრაფის.

ფარნაოზ ლაპიაშვილი გასული საუკუნის 50-იანი წლების და შემდგომი თაობის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია, რომელიც ორი მხატვრული ეპოქის გზაჯვარედინზე იდგა და ახალი რეალობა შექმნა ქართულ სცენოგრაფიაში. თავის შემოქმედებაში მხატვარმა არამარტო გაიაზრა მოქმედების გარეგნულ-შინაარსობრივი მხარე, არამედ შემოგვთავაზა სივრცის დინამიური გარდასახვა და გადმოსცა თეატრალური წარმოდგენის სატოვან-სივრცული გადაწყვეტა.

ამგვარად, ქართული მუსიკალური თეატრის სცენაზე შექსპირის თემის გახსნა საკმაოდ მრავალსახოვანია. ვხვდებით მხატვრული გაფორმების გადაწყვეტის აბსოლუტურად განსხვავებულ გააზრებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხატვრის გარდა სპექტალზე მუშაობენ განსხვავებული სტილის მქონე რეჟისორები, ბალეტმაისტერები და მათი ხედვიდან გამომდინარე მხატვარი ასრულებს სპექტაკლის ვიზუალურ გადაწყვეტას. მაგ. გარკვეულ შემთხვევაში ფერწერული, გრაფიკული თუ მოცულობითი გამოსახულება,

რომლებიც წარმოგვიდგება უკანა დეკორაციის ან ფარდის სახით, იძენს სცენოგრაფიული პერსონაჟის მნიშვნელობას, გვევლინება, როგორც დამოუკიდებელი ვიზუალური ხატი და მასში გახსნილია სპექტაკლის არსებითი მოტივი. არის დეკორაციები, რომლებიც გამოსახავენ ძირითადად მოქმედების ადგილს და ამით დეკორაციული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მთავარ ამოცანას წყვეტენ. შექსპირისეული სპექტაკლების გაფორმება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებთან.

კოტე მარჯანიშვილთან თანამშრომლობით შექმნილმა პეტრე ოცხელის, ირაკლი გამრეკელის, ელენე ახვლედიანის ნამუშევრებმა საფუძველი ჩაუყარეს XX საუკუნის ქართული შექსპირული სპექტაკლების მაღალმხატვრულ გაფორმებას. საქართველოში შეიქმნა შექსპირის დრამატურგიაზე დაფუძნებული რამდენმე ასეული დრამატული, საოპერო და საბალეტო სპექტაკლის დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები. ქართველ თეატრალურ მხატვართა შექსპირის დრამატურგიისათვის შექმნილი ნამუშევრები გამოიჩინა გადაწყვეტის მრავალფეროვნებით, რომლებშიც მთელი სისავსით აიასახა მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები.

ქართული სცენოგრაფია და მისი შექსპირიანა არის ძალზედ მნიშვნელოვანი მხატვრული მოვლენა არამარტო ქართული თეატრის ისტორიისათვის. ის მსოფლიო თეატრალური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ფურცელს წარმოადგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Березкин В. И. - Искусство Сценографии Мирового Театра. Эдиториал УРСС. М., 1997.
2. ოკლეი მ. ლ. - ალბომი სოლიკ ვირსალაძე. 1999
3. Ванслов В. В. - Волшебник театральной сцены, художник Вирсаладзе. М., 2008
4. Ванслов В. В.- Изобразительное искусство и музыкальный театр. Советский художник. М., 1963

---

M. KASHIA

**GEORGIAN SCENOGRAPHY AND SHAKESPEARE ON THE STAGE  
OF MUSICAL THEATRE  
(S. Virsaladze and P. Lapiashvili)**

Sammari

In modern theatre, which combines different artistic means, the visual form of the play and its "spectacular text" is in the phase of constant change and development. The metamorphoses happened at the World Theatre of the 20th Century, that were related to dramatic or directorial searches, have led to major shifts in modern scenography.

The modern scenographer not only decorates the scene but also aspires to create a dramaturgical environment, to define the essence of the play and to highlight the concept of directing. The Georgian scenography gradually established the trends in the world of theatre painting and went from the simple formulation of the play to the action scenography.

In various eras, composers inspired by Shakespeare's works have created not one musical masterpiece. We will look at some of them in the context of the scenographic solution. We will first analyze Shakespeare's theme in Soliko Virsaladze's work. Soliko Virsaladze is recognized as a classical scenographer in his life. In his works erudition, exquisite artistic taste and exceptional talent of the painter are combined with the knowledge of the peculiarities and specifics of the musical theatre scene. At all stages of his creative life S. Virsaladze had to work on the decoration of Shakespeare's compositions. Verdi's opera "Falstaff" (directed by E. Kaplan) St. Petersburg Small Opera and Ballet Theater. 1941 Machavariani's Ballet "Othello" (Ballet Master V. Chabukiani) Paliashvili St. Tbilisi Opera and Ballet Theater, 1957 Prokofiev's "Romeo and Juliet" (Ballet Master I. Grigorovich), Moscow Grand Theater, 1979. Soliko Virsaladze's decoration is distinguished by "wise simplicity". He has also applied to cinema for the theme of Shakespeare. He was the Painter of costumes for Kozinstsevi's films "Hamlet" and "King Lear".

Soliko Virsaladze holds a special place in the history of theatrical painting with its large scale, artistic talents. He always tried to counteract the conventionality of theatrical nature. His erudition, exquisite taste, astonishing perception of space were evident in each work. In the 40s and 70s of the 20th century, in our territorial context, musical theatre has become more traditional than the dramatic one, though over time the role of the artist in the conceptualization of the play has increased. Virsaladze is one of those artists who seek to create maximum "spectacle" through the use of minimal fine arts. S. Virsaladze is primarily a painter and an unrivaled master of stage design, who, together with the choreographer and the actors, creates the demand for performance.

Parnaoz Lapiashvili is one of the most important representatives of Georgian theatre and decorative arts. His artistic language is the use of paintings when designing a scenic space and creating an action environment. In the 40s of the 20th century,

when Lapiashvili took his first steps, the scenic painting showed a pictorial solution, the need to create illusory-voluminous scenery, a fascination with naturalism, an over-abundance of narrative elements in the visuals, and more detail. Since 1947 the artist has been creatively associated with Rustaveli Theater where he will spend 20 years. During this time he had close relationship with the famous director Dimitri Aleksidze. It was a creative tandem of the 1980s on the stage of Zakaria Paliashvili Opera and Ballet theatre, where the Giuseppe Verdi's opera "Othello" was staged In 1960. On the stage of Tbilisi Rustaveli Drama Theatre, he staged "Hamlet", in which the artist realized new demands and mastered the principles of developing a new stylistic language.

It is well known that in this period in art, in general, and in the theatre, there are large shifts, which started still in the second half of the 50's of the XX century and was shown at the theatre in the "rehabilitation" of the conditional language. With Lapiashvili, these new demands were revealed precisely in the general nature of the decorative system and in the emotional work of painting, in the variety of colors and in the laconicism. As for Verdi's opera "Othello", the artist makes this play twice. In 1966, he composed a play at Kiev T. Shevchenko Opera House and Tbilisi Paliashvili Opera and Ballet Theatre State University in 1980 (Director Dodo Aleksidze). Parnaoz Lapiashvili is one of the first representatives of the 50s and the next generation, who stood at the crossroads of two artistic eras and created a new reality in Georgian scenography.

The works of Peter Otskheli, Irakli Gamrekeli and Elene Akhvlediani created in collaboration with Kote Marjanishvili, laid the foundation for the highly artistic decoration of the 20th century Georgian Shakespeare plays. In Georgia, hundreds of dramatic, opera and ballet performance sketches and costumes were created based on Shakespeare's playwrights. The works of Georgian theatre artists created by Shakespeare's dramaturgy are distinguished by the diversity of the solution. They reflect changes in the world.

Georgian scenography and its Shakespeare is a very important artistic event not only for our history. It is the most important piece of the world theatre.

---

М. Г. КАШИЯ

**ГРУЗИНСКАЯ СЦЕНОГРАФИЯ И ШЕКСПИРИАНА НА СЦЕНЕ  
МУЗЫКАЛЬНОГО ТЕАТРА**

**(Симон Вирсаладзе и Парнаоз Лапиашвили)**

**Резюме**

В современном театре, который объединяет разные по значимости художественные приемы, визуальный образ спектакля - его „зрелищный текст“ находится в фазе постоянного развития и обновления. Метаморфозы, которые произошли в театре XX века, наложили большой отпечаток на развитие сценографического искусства. Современная сценография не только декорирует пространство, художник совместно с режиссером создает концептуальное прочтение спектакля. Наряду с развитием мировой сценографии грузинская театральная живопись преодолела путь от простого оформления сцены до действенной сценографии.

Произведения Уильяма Шекспира занимают особо место в грузинском искусстве в целом и, в частности, в театре. Грузинские сценографы не раз обращались к оформлению музыкальных шедевров великих композиторов, созданных по мотивам произведений Шекспира. Спектакли ставились в Тбилисском оперном театре, в Мариинском театре в Санкт-Петербурге, в Большом театре в Москве. Среди них такие художники, как Симон Вирсаладзе, Серго Кобуладзе, Парнаоз Лапиашвили, Теймураз Мурванидзе и др. В статье мы остановимся на работах Симона Вирсаладзе и Парнаоза Лапиашвили.

Редко встретишь художника, искусство которого вызывало бы столь единодушное восхищение. Своей масштабностью, художественным талантом он занимает особое место в истории театральной живописи. В работах Симона Вирсаладзе утонченный художественный вкус, эрудиция и исключительный талант сочетаются с глубоким знанием своеобразия и специфики сцены музыкального театра. Вирсаладзе из тех художников, которые путем использования минимальных изобразительных средств стараются достичь максимальной зрелищности. Музыку окрашивает зримое изображение декораций и костюмов. В разное время им были оформлены такие спектакли, как опера „Фальстаф“ Дж. Верди, балеты „Отелло“ А. Мачавариани и „Ромео и Джульетта“ С. Прокофьевса.

Парнаоз Лапиашвили - один из ярких представителей грузинской сценографии. Он создает сценическое пространство и передает атмосферу спектакля посредством живописных методов. В 40-е годы XX века он делает свои первые шаги. В 1947 году начинает сотрудничество художника с театром Руставели, которое затем продолжается на протяжении двадцати лет. У него сформировались тесные отношения с известным режиссером Дмитрием Алексидзе. В 1980 году именно этот творческий tandem осуществил на сцене Тбилисского театра оперы и балета им. З. Палиашвили постановку оперы Дж. Верди „Отелло“. В 1960 году на сцене театра им. Шота Руставели этот же

творческий tandem инсценирует трагедию У. Шекспира „Гамлет“. В них раскрываются понимание и овладение художником новыми требованиями, принципы формирования нового стилистического языка.

50-е годы XX века - период больших перемен в искусстве вообще, в том числе и в театре. Он одним из первых возродил в грузинской театральной живописи принцип условности и обобщенности. Новые требования проявились также в колористическом многообразии художника.

В творчестве П. Лапиашвили шекспировская тема появляется несколько раз. В драматическом театре это „Гамлет“ (1960г.), в музыкальном - опера Верди „Отелло“ (1980г.), при этом опера ставится в разное время в разных городах: в Киевском театре им. Т. Шевченко и в Тбилисском театре оперы и балета им. З. Палиашвили режиссером Д. Алексидзе.

П. Лапиашвили является одним из первых представителей 50-х годов прошлого века, который стоял на перекрестке двух эпох и создал новую реальность в грузинской сценографии.

Спектакли, созданные мастерами, незаурядными художниками П. Оцхели, И. Гамрекели, Е. Ахвледиани, сгруппировавшимися вокруг К. Марджанишвили, положили основу высокохудожественному оформлению шекспировских спектаклей XX века. В Грузии созданы эскизы декораций и костюмов нескольких сотен драматических, оперных, балетных спектаклей.

Работы грузинских театральных художников, созданные для шекспировской драматургии, выделяются многообразием решений. В них отразились происходящие в мире перемены.

Грузинская сценография и ее шекспириана является важнейшим художественным явлением не только в истории грузинской сценографии. Она представляет собой важнейшую страницу мирового театра.

# პულტუროლოგია

ეთივეან ჯერვალიძე

## პიდევ ერთხელ: რიტორიკული ფიგურები ცოდვის ორ პარადიგმაში გიორგი მარჩულის „გრიგოლ საძოველის ცხოვრებიდან“<sup>1</sup>

გიორგი მერჩულის „გრიგოლ სანძთელის ცხოვრებაში“<sup>2</sup> მრავალ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდთაგან ამჯერად ჩვენ გამოვყოფთ ორ, უაღრესად საინტერესო ეპიზოდს: 1. წერილი „შესვენებული დებისადმი“ და 2. აშოტ კურაპალატის დატირება გრიგოლ სანძთელის მიერ. ამ ერთი შეხედვით განსხვავებულ თემებს რაც აერთიანებს, უპირველეს ყოვლისა, არის ცოდვა, შემდეგ სხვა საკითხებიც.

ცოდვა ძველ სჯულს, უპირატესად, ესმოდა როგორც ჭეშმარიტი ღმერთის ღალატი, კერპების მსახურება (გამოსლვ. 34, 14; მსაჯ. 8, 33), ვინაიდან, მათი აზრით, იუდეველთა კავშირი ღმერთთან ხორციელდებოდა ქმრისა და ცოლის, საქმროსა და საცოლის ერთობით; როგორც საქორწინო ხორციელი კავშირის დარღვევა მიაჩნდათ ცოდვად, ხორციელ სიძვად, ასევე სულიერი ასპექტით, სიძვად მიაჩნდათ ებრაელთა ღმერთთან კავშირის დარღვევაც, სხვა კულტების მსახურება. ფართო გაგებით ცოდვად ითვლებოდა საერთო უბედურება, როგორც შეცოდებათა მთლიანობა ღვთის წინაშე (ეს. 1, 21)<sup>3</sup>; ძველ აღთქმაში ცოდვა (სიძვა) ნიშნავს არა მხოლოდ ხორციელ ცოდვას (II სჯ. 23, 17; გამოცხ. 22, 15), არამედ ზოგადად კერპთმსახურებას და ურწმუნებასაც. იეზიეველთან 16 ისრაელის ხალხი შედარებულია ქალწულს, რომელმაც იქორწინა უფალზე, მაგრამ შემდეგ მეძაობა დაიწყო, ანუ კერპთაყვანისცემლობისკენ მიიქცა (იერ. 2, 20; ოს. 3, 1). შესაძლოა, ეს გამოთქმები - წერს ნუსტრემი - გულისხმობს იმ სიძვას, რომელიც ხშირად უკავშირდებოდა კერპთაყვანისმცემლობასო; სამეძაო სახლები იყო პირდაპირ ტაძრებთან; სიძვაზე დაწესებული ყოფილა განსაწყიდვად სატაძრო შესაწირები; ქრისტიანულ თემებში სიძვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ მოციქულები (I კორ. 5,

1 სტატის შემოკლებული ვარიანტი იხ. შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი - „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“, თბ., 2018, 220-238. დამატებულია შვიდი თაბაზის გვერდი.

2 ძეგლის წყარო: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963.

3 Блуд, Прелюбодеяние // Полный православный богословский энциклопедический словарь, М., 1992(репринтное издание).

1:II კორ.12, 21; I თესალ. 4, 3; I ტიმ. 1, 10); სიძვას ახსენებდნენ ისინი სწორედ წარმართობასთან კავშირში (სამოც. 15, 20, 29; 21, 25)<sup>4</sup>.

### 1. წერილი „შესვენებული დეპისადმი“

“გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” არის ერთი ადგილი, საზოგადოების ზნეობრივი აღზრდისთვის განსაკუთრებულად მოწოდებული, სახელდობრ, გრიგოლის წერილი გარდაცვლილი დეპისადმი. ერთია ის, რომ ს. ვ. პოლიაკოვას თანახმად, ბიზანტიურ ბელეტრისტიკულ ძეგლებში წერილი მწერლის მიერ არის მოგონილი და აქედან გამომდინარე, როგორც ისტორიული წყარო, არასანდოა<sup>5</sup>. მაგრამ იყო მეორე აზრიც, ანტიკურობიდან ცნობილი, რომ წერილები ეს ავტორის „სულის ხატებია<sup>6</sup>. მართალია, ამ შემთხვევაში უშუალოდ უანრი - წერილები - იგულისხმება და არა ჰაგიოგრაფიაში, ბელეტრისტიკაში ჩართული წერილები, მაგრამ ჩვენი აზრით, მაინც შესაძლებელია ტრედისა და ლიტლევოლოდის და მათი მათ წინამორბედთა მოსაზრებანი ჰაგიოგრაფიულ ძეგლებთან დაკავშირებითაც გამოვიყენოთ.

ცხადია, IX ს-შიც იქნებოდა სხვადასხვა სახის წერილობითი კონტაქტები საქართველოში. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მდიდარია ეპისტოლეებითაც. ამ კუთხით თხზულებას ცალკეც ვსწავლობთ. ჩვენ მიერ შერჩეულ ეპიზოდში ინფორმაციის, ან ბრძანების გადაცემა კი არ ხდება მხოლოდ მეორე პირისადმი, არამედ დამწერის, გრიგოლის, სულიერი მდგომარეობაც ჩანს (ის მშვიდია), მოვლენის გააზრებაც (დაუშვებელია), მიზანი (დამშვიდება და სამართლებრივ სივრცეში დაბრუნება), მისი სამართლებრივი შეფასებაც (დასჯადია), ბრძანების გადაცემის საოცარი ხერხიც და წერილის მიმღებთაგან კეთილგანწყობის მოპოვების მცდელობაც (იძულებით შესასრულებელი მიმღებებმა უნდა შეასრულონ წებით). ძველ ქართულ მწერლობაში თუ ვინმე ჰერაკლიუს გრიგოლ ხანძთელს აქტივობაში, ზომიერებაში, ადამიანის ბუნების წვდომაში, წერილის წერის ხელოვნებაშიც, ეს ავთანდილია.

ერთია ის, რომ ს. ვ. პოლიაკოვას თანახმად, (ის იმეორებს სხვის აზრს) ჰაგიოგრაფიაში ყველა წერილი მწერლის მიერ არის შეთხზული და აქედან გამომდინარე, არასანდოა; მეორეა, თვით სახელი წერილისა, „შესუენებულთა მიმართ - ანაπასტიმის ეიც კიმუსი“.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართულ სააზროვნო სივრცეში ამ ძეგლთან დაკავშირებით, არავის აღუნიშნავს, რომ ამ სახელწოდების ჰიმილია აქვს ეფრემ ასურს და ის შეტანილია სინურ მრავალთავში (864)<sup>7</sup>. ამავე სახელწოდების ჰიმილია ჰერაკლიუს იოანე დამასკელსაც, რომელიც ჩვენს წინა-

4 Нюстрем Э., Блуд, Блудницы, Прелюбодеяние // Библейский словарь, СПб., 1998.

5 Полякова С. В., Византийская любовная проза М-Л., 1965, 115.

6 Thraede K., Grundzüge griechisch-römischer, Brieftopik, München, 1970, 157-161; Littlewood A. R., An “icon of the Soul, the Byzantine Letter, Visible Language 10. 1976, 197-226.

7 სინური მრავალთავი 864 წლისა, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1959, 263-265.

პრებსაც უთარგმნიათ<sup>8</sup>, ხოლო კანონი - კასიას<sup>9</sup>. “ისტორია ისტეთიკა, ინდიკატორი, კასია და მინიდან მიიღე და დაამკვიდრე მართალთა თანა, მოწყალევ“ - ეს სტრიქონები სწორედ კასიას ზემოხსენებული კანონიდანა<sup>10</sup>.

გარდაცვლილთა კულტი დიდ როლს თამაშობდა იმ პერიოდის ადამიანთა ცხოვრებაში. ამისი დასტურია სააღაპე წიგნები, რომლებიც ჩვენამდე არის მოღწეული, ყოველ შემთხვევაში ათონური პერიოდის...

მერჩულის თხზულების ეს უმშვენიერესი ნაწილი ცალკე და უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს ამ თემის გათვალისწინებით ბიზანტიურ სივრცეში, ერთი შეხედვით კი, ჩვენ ქართველი ჰაგიოგრაფის სახლოვე უფრო რომანზ მელოდიოსთან, კასიასთან (ცოდვილთა გამართლების თემა) დავინახეთ. ახალი აღთქმა ცოდვილისადმი, ვინც არ უნდა იყოს ის, განსაკუთრებული მიდგომით გამოირჩევა: არა უკმის ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად (მთ. 9, 12; მარკ. 2, 17; ლუკ. 5 32). ხანძთელი სწერს გარდაცვლილ წმინდა დებს: „ან გევედრებით, საწყალობელისა მაგისთვს დედაკაცისა ითხოეთ ქრისტესგან ბრალთა მისთა შენდობად და ლირს ყვენით ძუალნი მისნი ძუალთა თანა თქუენთა და სული მისი სულისა თქუენისა თანა“ [I 300,37; 301, 1-2]. შემთხვევითი არ არის, რომ მარიამ მაგდალელის კულტი ბიზანტიურ სივრცეში პოპულარული სწორედ IX-X სს-ებში ხდება. მის წმინდა ნაწილებს კონსტანტინეპოლის იოანე-ლაზარეს მონასტერში გადმოაპრძანებენ და კრძალავენ<sup>11</sup>. პირველად მარიამ მაგდალელის თემა ბიზანტიურ ლიტერატურაში შემოაქვს რომანზ მელოდის (V-VI სს.) და უძლვნის კონტაკიონს, ხოლო ტროპარს უძლვნის კასია (IX ს), სახელწოდებით „ცოდვილი“. მოდესტოს იერუსალიმელის (542-634) მიერ ეპითეტად გამოყენებული „მენელსაცხებლე დედა - ἡ μυροφόρος Μαρία“ - მარიამ მაგდალელის მისამართით VII ს-ის დასახუისში, იქცა მის განუყოფელ ეპითეტად. ა. პ. კაუდანი უთითებს PG86/ 2 3276A<sup>12</sup>. გარდა ამისა, გრიგოლის

8 ვეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ტ I , 1980, 226.  
Иоанн Дамаскин, Об усопших, tvjrenia russportal. ru

9 Каждан А. П., История византийской литературы (659-850), Санкт-Петербург, 2002, 410-411; კაუდანი კასიას შესახებ არსებულ შრომებს შორის ასახელებს ქართველი მეცნიერის თ. მესხის ნაშრომსაც: Т. А. Месхи, Жизнь и творчество Византийской поэзии IX века Кассии, Тб., 1987 (ქართულ ენაზე).

10 Сенина Т. А., (монахиня Кассия). «Канон об упокоении усопших, творение св. Кассии Константинопольской. Перевод с древнегреческого и комментарий», История и теория культуры в вузовском образовании. Межвузовский периодический сборник научных трудов. Новосибирск 2008. 223.

11 Аверинцев С. С., Мария Магдалина // Мифологический словарь, М., 1991, 346-347.

12 Каждан А. П., История византийской литературы (659-850), 408; ჩვენ შევამოწმეთ ეს მითითება. მოდესტოს იერუსალიმელი პატრიარქის მცირე ზომის ნანარმოებს ჰქვია „მენელსაცხებლე დედანი - Ἐις τὰς Μυροφόρους“, რასაც მოსდევს „ლვთისმშობლის ენკომიონი“. „მენელსაცხებლე - μυροφόρος -“ - ამ სიტყვას

სიტყვები „ძუალნი მისნი ძუალთა თანა თქუენთა“ [I 300,37; 301, 1-2] თხზულების დასაწყისშიც გვხვდება და მას წარმოთქვამს გაპრიელ დაფანჩული: „ძუალნი ჩუენნი ღირს ყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა“ [I 260, 7], ანუ საერონი წმინდათა გვერდით, ბრალეულნი უბრალოთა გვერდით. საერო პირსა და ბრალეულს შორის წაშლილია ზღვარი. შესწავლილია მარიამ მაგდალელის სახე ქართულ საერო პოეზიაში<sup>13</sup>.

**ცოდვილი საწყალობელია**, ვინაიდან მისი ქმედება მხოლოდ სოციალურ, რელიგიურ ეთიკურ სიბრტყეზე კი არ განიხილება, არამედ კოსმიურისაც. თვით ფაქტი, გარდაცვლილი დების მიერ ასევე გარდაცვლილი ცოდვილის აკლდამიდან გადმოგდება, საკვირველების ხარისხში ადის. შუა საუკუნეების ადამიანი საკვირველების ატმოსფეროში ცხოვრობდა და ეს ბუნებრივად აღიქმდოდა. ამას გარდა, უმთავრესი, ცდუნებული სამეფო ოჯახის წევრია. აქედან გამომდინარე, ვერც მაცდუნებელი იქნებოდა რიგითი. ადარნასეს ცალკეც (I 299, 36) და თავის ძმებთან ერთადაც მიემართება ეპითეტი ღვთისმსახური - მთის მთის თანაბარი მმართველობის პერიოდში.

**რაც შეეხება მიცვალებულისადმი წერილის მიწერის ფაქტს**, ამისი მაგალითი გვაქვს ბიზანტიურ მწერლობაშიც. იმპერატორი თეოდოსი მცირე წერილს უგზავნის გარდაცვლილ იოანე ოქროპირს, რათა მან თავისი წმიდანანილების კომანადან კონსტანტინოპოლის საკათედრო ტაძარში გადმობრანება ინებოს<sup>14</sup>; ასეთსავე შინაარსის წერილს წერს იმპერატორი ბასილი I (867-886) გარდაცვლილ ილარიონ ქართველს თესალონიკეში<sup>15</sup>. მნიშვნელოვანია ამ მოვლენის დანახვა შუა საუკუნეების კულტურის კატეგორიებიდან გამომდინარეც. მაშინ წერილს ჰქონდა სიმბოლოს მნიშვნელობა, მთთ უმეტეს, მეფისა და ღვთის კაცის წერილს. მიუხედავად ამისა, ის, წებისმიერი სხვა ოფიციალური დოკუმენტების მსგავსად, მხოლოდ რიტუალის ჩატარების შემდეგ იძენდა განსაკუთრებული, უმაღლესი ჭეშმარიტების ძალას<sup>16</sup>. ამ სამივე ეპიზოდით ჩვენ სწორედ რიტუალის ჩატარების მოწმენი ვხდებით.

**უცოდველის ცოდვილთან ერთ აკლდამაში დამარხვის ამბავს მოგვი-**

ასეთი ფორმით ახალი აღთქმა არ იცნობს. ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლებიდან პირველად გვხვდება იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამებაში“: „სადა მე ვიყავ თვთ მენელსაცხებლე“ [I 69, 2]; „წმიდათა მათ მენელსაცხებლეთა“, [I 74, 6]. ამ ძეგლში (786-790) ჩვენ სწორედ მოდესტოს პატრიარქის მიერ გამოყენებული ფორმა დავინახეთ და არა მისი გაშლილი ვარიანტი - მსიფრი ყუნარეს.

13 გონჯილაშვილი ნ., წმ.მარიამ მაგდალინელი საერო მწერლობაში, გულანი, 2016, № 19, 48-81 (ნ.სულავას თანაავტორობით).

14 Перенесение мощей святого отца нашего Иоанна Златоустого//Избранные жития Святых, М., 1992, 234.

15 ილარიონ ქართველის ცხოვრება // ქართული პროზა, ტ. I, (V-XI), თბ., 1980, 525.

16 Гуревич А. Я., Право и обычай // Категории средневековой культуры, М., 1984, 186.

თხრობს იოანე მოსხის 30-ე ნოველაც<sup>17</sup>, თუმცა ორივე ამბავს აქვს ოდნავ განსხვავებული მორალი. საზოგადოდ, ცოდვათა მიტევების საკითხმა ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზევე დიდი კონფლიქტი გამოიწვია და ბევრი ერესიც დაბადა. კლომენტი ალექსანდრიელის სიტყვით „ღვთაებრივი ადამიანთმოყვარეობა გამოჩნდა იმაში, რომ ნების თავისუფლების გზით სულს მიენიჭა მონანიების შესაძლებლობა“<sup>18</sup>. არ არსებობს ცოდვილი, რომელიც ვერ შეძლებდა მონანიებას, ისევე როგორც არ არსებობს რჩეული, რომელიც ვერ შეძლებდა დაცემას... მიცვალებულის საფლავზე სიტყვის წარმოთქმის, ანუ წერილის წაკითხვის ტრადიცია დღემდე ცოცხალია ჩვენში. მაგრამ დავუბრუნდეთ ნაწყვეტს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“:

თქუენ ბრძენთაგან ნეტარნო,  
უიცთაგან უცნაურნო,  
უოხჭნოსა სიმდიდრესა კეთილთაებრ  
ვაჭართა საწუთროვთა მომსყიდველნო,  
ხოლო ან მძინარენო წორცითა  
და მღვდარენო სულითა,  
მკუდრად შერაცხილნო მკუდართაგან  
და უკუნისამდე ცხოველნო ქრისტისგან,  
ტაძრითა მის სულისამთა  
ქუეყანისა ცად შემცვალებელნო,  
ქალწულებისა ყუავილნო,  
მიმსგავსებულნო დედასა ღმრთისასა,  
მხიარულნო მის წინაშე  
საუკუნოდ დიდებულსა მას მოსლვასა,  
ძისა მისისა მომლოდინენო!  
თქუენ... [ | 300,37; 301, 1-2]

მთელი ნაწყვეტი აგებულია დაპირისპირებულთა წყვილებზე, ანტითეტონებზე, ქრისტიანული აზროვნებისთვის ესოდენ ორგანულზე: ბრძენთაგან-უიცთაგან; ხორცითა-სულითა; მძინარენო-მღვდარენო; მკუდართაგან-ქრისტისგან; ქუეყანა-ცა;

როგორც ვხედავთ, სარითმო ერთეულები გვაქვს კოლონების შიგნითაც; გვაქვს გატოლება-შედარებებიც:

„კეთილთაებრ ვაჭართა „საწუთროვთა მომსყიდველნო“,  
„ქალწულებისა ყუავილნო“,  
„მიმსგავსებულნო დედასა ღმრთისასა“; ვაჭარნი სასუფევლისანი=ღვთისმოყვარეს და უკვე გვხვდება „ჰაბოს წამებაში“[| 53, 29];  
ტაძრითა მის სულისამთა  
ქუეყანისა ცად შემცვალებელნო, ცხადია. მიცვალებული მხოლოდ სულის ტაძარი შეიძლება იყოს და ის ,პავლენიდან პერიფრაზირებულად გვეს-

17 იოანე მოსხი, ნოველები // ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987, 366.

18 Clementis Alexandrini Paedagogus 9-PG8, col. 341 A.

ახება: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარი ღმრთისანი ხართ, და სული ღმრთისად დამკვდრებულ არს თქუენ შორის?“ (I კორ. 3. 16).

**პოლიპტოტონები:** უიცთაგან უცნაურნო, მკუდრად შერაცხილნო მკუდართაგან. გვაქვს თავსართული ალიტერაციაც: **უც-უც** (უ-უქონლობა უყოლობის მანარმოებელი თავსართი). ამ რიტორიკული ხერხით გადმოცემულია ამავე დროს უზარმაზარი ინფორმაცია. მკვდრის არსის გაგება. გარდაცვლილი კი არ არის მკვდარი, არამედ ის, ვისაც გარდაცვლილი ჰგონია მკვდარი. ეს წინადადება უკვე გულისხმობს სულის უკვდავების არმრნმენი საზოგადოების არსებობას, როგორიც იყო ამ დროს მეზობელ სომხეთში თონდრაკელთა მოძრაობა<sup>19</sup>. პავლიკიანელობას შეესწრო გრიგოლი, თონდრაკელობას კი - ავტორი; ხორციში მყოფნი და ამასოფლით განსულნი ერთნაირად ელიან დიდ ესქატოლოგიას, მეორმოსვლას, რომლის დადგომის დრო თვით ძემაც კი არ იცის.

შესვენებული წმინდა დანი ცოდვაში ვარდებიან ცოდვილის აკლდამიდან გადმოგდებით, ივიწყებენ რა სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტს და ამის გამო, იგულისხმება, რომ ისინიც ცოდვილებივით განისჯებიან. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიზანტიაში სიკვდილს **ევფემიზმებით** გადმოსცემდნენ. ქართული ჰაგიოგრაფიის ლიტერატურულ ძეგლებშიც მსგავსი ფაქტი დასტურდება. სიკვდილის აღსანიშნავად გვხვდება გამოთქმები: „განვიდა ამა სოფლით“, „მიიძინა“, „მიეზღო“, „მიძინება მეორედ მოსვლამდე“ და ეს ფორმულები გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“ ბევრია. ამ კოლონში სიტყვა სიკვდილის გამოყენება მიზნობრივია იდეურადაც და მხატვრულადაც; ასე რომ, თითოელი კოლონი არის დაწურული ინფორმაცია ვრცელი ასახსნელი მასალისა.

ცხადია, მთელ ამ მშვენიერებაში თავის წვლილი შექვს **პომოიოტელევტონს;**

საუკუნოდ დიდებულსა მას მოსლვასა,

**ძისა მისისა მომლოდინებო!** – ჩვენი აზრით, წარმოადგენს „ათი ქალწულის“ იგავის ალუზიას მათეს სახარებიდან (25, 1-13); ეს პასაუი გურამიშვილისა და ბარათაშვილის შემოქმედებაზე გავლით შემდეგ გალაკტიონთანაც შეისხამს ხორცს ლექსში „ათი ქალწული“<sup>20</sup>.

„ქალწულებისა ყუავილნო“ – ღვთისმშობლის აკათისტოში სწორედ დედაღვთისას მიემართება; „ყვავილო უხრწნელებისაო“ ხაშე, თბ. ჰავთა ტაფთარსიაც<sup>21</sup> (იკოსი 7.); უხრწნელება და ქალწულება რაღაც დონეზე ფარავენ

19 Иоаннисян А. Г., Движение тондракитов в Армении //«Вопросы истории», № 10. 1954.

20 ჯერვალიძე ქ., პეტრიაშვილი ნ., მათეს სახარებისეული იგავი - ათი ქალწული“ და მისი სახეობრივი გააზრების გზა//უკრნ. „ქართველოლოგია“, № 3, თბ., 2019, 44-77.

21 ღვთისმშობლის აკათისტო //დაუჯდომელი საგალობლების კრებული, თბ., 2003; ბერძნული ტექსტი: <http://www.saint.gr/189/saint.aspx>.

ერთმანეთს. ჰაგიოგრაფიაში კი ავტორები ხშირად აპსოლუტური სიზუსტით არ ციტირებენ. შესაძლოა, სინტაგმა რომელიმე სხვა საგალობლიდანაც იყოს.

ამავე დროს ნაწყვეტში დადასტურებულ ანტითეზებს, რიტორიკულის გარდა, აქვთ რელიგიურ-ეთიკური ფუნქციაც. ქრისტესთან, ზეცასთან, ეკლესიასთან მხოლოდ სიკეთე და სინმინდე მოიაზრებოდა. მიღმური სამყარო მაღლა იდგა ხრნნად, მიწიურ სამყაროზე და ამიტომაც ის უფრო რეალურად ეჩვენებოდათ<sup>22</sup>.

ასეთი მიმართვითი ფორმულების შემდეგ წერილი უკვე ენკომიონში გადადის. თვით ეს ფორმულები, ანუ რიტორიკული ფიგურები კი მიბმულია ერთ სიტყვა-საკიდარზე „თქუნ“, რომელსაც ანაფორა ჰქვა და წერილის მთლიან ტექსტში ორჯერაა გამოყენებული.

გრიგოლ ხანძთელი შესანიშნავად იცნობს ადამიანის ფსიქოლოგიას, ამიტომ ის დების მიერ ჩადენილი ქმედების პირდაპირ აკრძალვაზე კი არ გადადის, არამედ წმიდა დებს, შესუენებულთ, უწონებს საქციელს. ვიხილეთო „თქვენმიერი სამართალი სასჯელი“; მაღლობას უხდის ჩადენილისთვის: „მე და დედა ფებრონია „მაღლიერ ვართ თანაშენებნასა თქუნსა“. იგულისხმება, რომ წასულთა სამყარო ძალიან ახლოსაა დარჩენილთა სამყაროსთან და მხოლოდ ამის შემდეგ ვედრებით უბრძანებს, რომ ქალი იგი, ეშმაკეულქმნილი ბათონიკომენი, რომელიც მერეში გარდაიცვალა და მათ გვერდით იქნა დამარხული, აღარ გადმოეგდოთ აკლდამის კართან: „ძვალნი მისნი ძვალთა თანა თქუნებთა და სული მისი სულისა თქუნენისა თანა“, შემდეგ შეახსენებს მეორმოსვლას და გააგრძელებს მათ ქებას [I 301, 3-14]. ამ პასაჟით ჩვენ მივემართებით ადამიანური ეთიკიდან ღმერთსა და ცოდვილს შორის მეტაფიზიკური კავშირისაკენ.

თუმცა, მაინც იპადება კითხვები, რატომ არ გაასამართლეს დამნაშავე? როგორი იყო მისი სოციალური სტატუსი და ქონებრივი ცენზი? როგორი გარიგება შედგა? ჩვენი ტექსტის მიხედვით, სამართალი მხოლოდ ღვთისთვის არის მინდობილი; ადარნასე აშოტის ძეს სხვა ქალი მოჰყავს ცოლად და არა ის, ვისთანაც მრუშობდა; ცოდვილი რაღაც დროის შემდეგ თვითონ მიდის მერეს დედათა მონასტერში. და კიდევ, თუ არსებობდა ზემო ქართლში დასჯილთა სასაფლაოები (კათაბიკუს), როგორც ეს იყო ბიზანტიაში სტეფანოს დიაკონის „სტეფანოს ახლის ცხოვრების“ თანახმად?<sup>23</sup> ჩვენი ძეგლის მიხედვით კი, ზემო ქართლში IX ს-ის პირველი ნახევრიდან უკვე არსებობს სამონასტრო და საგვარეულო სასაფლაოები: ხანძთაში, გუნათლეს ვანში, მერეში...

საზოგადოდ, მიცვალებულთა ნეშტის პატივისცემა, ან ამოყრა - ეს ქრისტიანობამდელი, იუდაური ტრადიციაც ყოფილა, როგორც ეგნატე ღმერთშემოსილი წერს, მეფე იოსიამ ააოხრა უსჯულოთა საფლავები და გადაყარა მათი

22 გურევიჩ, ა. ი., კატეგორიи средневековой культуры, М., 1884, 86.

23 P G. t. 100 col. 1177C. ვუთითებთ ა. პ. კაუდანის მიერ მითითებულ სქოლიოს, ჩვენ მიერ გადამოწმებულს: „დამნაშავეთა სასაფლაო - კათაბიკონ ტაფონ.“

ძვლები, რათა „არცაღა სასწაულნი ჩანდნენ სიპოროტისა მათისანი“<sup>24</sup>; მალა-ლას (Ιωάννης Μαλάλაς, (491-578) Χρονογραφίა) მიხედვით კი, ზოროასტრმა განიზრახა სიკვდილის წინ ცეცხლში განწმენდა, თანამოძმეთ კი დაუბარა, მისი დამწვარი ძვლები შეენახათ მეუფების შესანარჩუნებლად. სპარსელენი ასეც მოქცეულან და შეუნახავთ, შეუსრულებიათ ანდერძი მისი; ქართლის ცხოვრებაში კი წერია: „ძებნეს ცეცხლითა განლეულნი ძვალნი ზოროასტრო-სისი, რომელ იყო პირველ მეფე და ვარსკვლავთმრიცხველი სპარსთა შორის და რომლისა მიერ ეთქუა ესრეთ: ვიდრემდის გაქუნდეს ესე, არა მოაკლდეს მეფობა სპარსთა“<sup>25</sup>. ქართლის ცხოვრების წყარო იქნებ მალალაა?

ქრისტიანული ტრადიცია, როგორც ვხედავთ, მოყვანილი ტექსტის-გან, განსხვავებულია: უბრალოებმა ქრისტეს წინაშე მხილების შემდეგ უნდა გაამართლონ ბრალეული: „ითხოეთ ქრისტისგან ბრალთა მისთა შენდობამ და ღირს ყვენით ძუალნი მისნი ძუალთა თანა თქუენთა და სული მისი სუ-ლისა თქუენისა თანა“ [ 308, 8-9]; მოსხის ნოველის მორალი კი შემდეგია: გარდაცვლილი მორნმუნე, თუნდაც უბრალო ბერი, საიქიოშიც იბრძვის ურ-წმუნოთა, ამ შემთხვევაში, მწვალებელი ეპისკოპოსის წინააღმდეგ. სათნო ბერს ვერაფერს ავნებს მწვალებელის გვერდით დამარხვა. მიცვალებულის ამოგდება, თუნდაც მწვალებლის, მიუღებელია. ნოველაში მხილების მიზანი მწვალებლის მხილებაცაა და მისი ნეშტის ამოთხრის აკრძალვაც. ცოდვილის მხილებისა და შემდეგ გამართლების თემა მოგვიანებით ახლებურად გაიმლება „ვეფხისტყაოსანში“: „ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავამგანე“. თვით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ კი ვხედავთ, როგორ ამხელენ საჯაროდ (ή ოპილეξი - მხილება) კანონისდამრღვევ არსენი კათალიკოსის მომხრებს ჯავახეთის კრებაზე, შემდეგ კი ასკვინია: „ჯერ-მე იყო მხილებამ ესე არსენისთვის, არამედ ან ამიერითგან არსენი იყავნ კათალიკოს ქართლისა ყოვლისა და სულიერად მამა ყოველთა“ [ 289, 21-23 ].

დიდი სჯულის კანონის მიხედვით, იკრძალება საფლავის გახსნა, მაგრამ ამის მიზეზად დასახელებულია ძარცვა. სხვა მიზეზი მიცვალებულის ამოგ-დებისა, ქართულ დიდი სჯულის კანონთა კრებულში არ ჩანს, ან ვერ ვნახეთ. ასეთ ადამიანებს ერქვათ საფლავის **მკრეხველი** და საფლავის **მჭკურელველი**<sup>26</sup> საფლავების მძარცველთა მიმართ მრავალგვარი სასჯელი იყო ბიზანტიაში დაწესებული: ქვის სამტეხლოებში, მაღაროებში მუშაობა, ხელების მოკვეთა, ცოცხლად კოცონზე დაწვა, თავის გადაპარსვა, განკეპვლა<sup>27</sup>. გრიგოლ ნოსე-

24 ეპისტოლენი წმინდისა ეგნატე ღმერთშემოსილისანი // საქართველოს ეკლესი-ის კალენდარი, თბ., 1988, 532.

25 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი // ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, 387, 1-4. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული თხზულების ავტორს სცოდნია ითანა მალალას „ქრონოგრაფია“.

26 დიდი სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გოუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 576.

27 Сорочан С. Б., Смерть в Византии// Византия. Парадигмы быта, сознания и культуры, Харьков 2011,144.

ლი საფლავის მჭკურელველებს კატეგორიებად ჰყოფს, რომელთაგან ერთი (არა მიცვალებულის გაძარცვის, არამედ სამშენებლო მასალის მოპოვების მიზნით), ასე თუ ისე, შესანდობია (ზ (7)<sup>28</sup>.

ვის იცავს, ან რას იცავს გრიგოლ ხანძთელი და რატომ? გავიხსენოთ, ვინ იყო ეს ქალბატონი, რა დანაშაული ჩაიდინა? 1. მან აცდუნა ადარნასე აშოტის ძე. როგორც ჩანს, არც გათხოვილი იყო, არც ქვრივი, რადგან მას მიესად-აგება სიტყვა სიძვა - ერთობის ადარნასეს, როგორც დაოჯახებულს - მრუშება - ერთობის ადარნასეს ცოლი, შეასმინა. ლექსემა შემასმებელი - (ი კათეგიორი) იურიდიული ტერმინიცაა, (შემდეგ კი გრამატიკული კატეგორიის ფუნქციასაც შეიძენს), ბრალი (თ ეკლემა) დას-დო; რაც თვითონ იყო, ის დააბრალა. სხვისი უფლებები (ეს უწინვეტობა) დაარღვია 3. ცილისწამებას შედეგად მოჰყვა: ა. ოჯახის დარღვევა, ბ. დედოფლის მონ-აზვნად წასვლა, გ. ადარნასეს მეორე ქორწინება, დ. ასევე, სრულიად უდანა-შაულო ჭაბუკის სისხლის დაღვრა: „სისხლი უბრალოდა ჭაბუკისად დასთხია“ [ | 299, 25-30]. ამ ერთწინადადებიან ეპიზოდს, შეიძლება, მეოთხე სამიჯნურო ეპიზოდიც კი ვუწოდოთ. იქნებ, ამ ჭაბუკს მართლაც უყვარდა თავისთვის, ჩუმად და უხმოდ, მეუღლისგან მიტოვებული დედოფლი? იცნობს ლიტერა-ტურა ამ საკითხს. დამეთანიშებით, შესანიშნავი სამოთხობე თემა მაინცაა. ლექსი კი გვაქვს ანა სულხანიშვილისა: „ანასტასია-ბევრელის, უსამართლოდ განპატიურებულ დედოფლალს“<sup>29</sup>;

ჩვენი თხზულებიდან არ ჩანს, ვინ იყო ეს ჭაბუკი გვარიშვილობით, სო-ციალური და ქონებრივი მდგომარეობით; მისთვის ხომ მეათე მცნების - არა გული-გითქუმიდეს ცოლსა მოყუსისა შენისასა ისტ ეპისტურეს თუ კუნაია თუ მისი ისახულებო არს ქორწილი ყოვლითავე და საწოლი შეუგინებელ, ხოლო მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“ (ეპრ. 13, 4); გაასამართლეს თუ არა სხვისი ცოლის მოხიბელისთვის, და თუ გაასამართლეს, რა მიუსაჯეს? მისი მეცნიელობა სასამართლოს განჩინებით მოხდა, თუ ადარნასემ პირა-დად აღასრულა სამართლა? სისხლის დათხევა მეცნიელობას აღნიშნავს? გრიგოლს და შესაბამისად მერჩულეს ის ჭაბუკი და დედოფლიც ხომ უდანა-შაულოდ მიაჩინიათ? პომეროსის დროს სხვისი ცოლის მოხიბელისთვის დაწე-სებულ სასჯელს ერქვა - თა მიოზ-აგრია<sup>30</sup>. ერქვა - ამავე სიტყვით ოპერირებს ახალი აღთქმაც.

ბიზანტიაში ცოლქმრული ლალატისთვის სასჯელი ორივე მხარეს ეკის-რებოდა და იყო მკაცრი. იუსტინიანეს დროს სჯიდნენ სიკვდილით, მოგვი-ანებით თვალის ამოთხრით და ცხვირის მოჭრით, მაგრამ ქმარს უფლება ჰქონდა ცოლი სახლში აღარ მიეღო და მხოლოდ მონასტერში წასვლის

28 ეპისტოლე კანონი გრიგოლ ნოსელისა//დიდი სჯულისკანონი, 519-520.

29 სულხანიშვილი ანა: <https://ketevanjervalidze.wordpress.com/2011/03/03/ანა-სულ-ანიშვილი-ლექსები>.

30 Дворецкий И. Х., Древнегреческо-русский словарь , т. II, 1958, 1105.

უფლება მიეცა<sup>31</sup>. 4. ჩვენი ძეგლის მიხედვით, თვითონ შემასმენელიც დასჯილა, ღვთისგანაც და არშეწყალებით მამა გრიგოლისგანაც - ეშმაკეულქმნილა (ბათონიკომენი) ეს ქალი, გაცოფებულა (μωραινομένη), ზარის ამხდელი ყოფილა ხილვაც და სმენაც მისი სიტყვებისა. როდესაც ის მოცნობიერებულა, სინანული (μετάνοια) დაუფლებითა, ნასულა დედა ფებრონიასთან, მონასტერში, მუხლებში ჩავარდნია, დანაშაული უღიარებია და შუამდგომლობა უთხოვია მამა გრიგოლთან. თუმცა, თხზულებიდან არ ჩანს, ის მოწესე გახდა თუ არა. გრიგოლს ქალი არ შეუწყნარებია, სიკვდილამდე უარესი უნდა დაითმინოს; დედა ფებრონიაც დასთანხმებია. ქალი დარჩენილა მერეში და დიდ გვემაში ყოფილა, ცნობიერება კი შენარჩუნებული ჰქონია. არაფერი ჩანს ამ ქალბატონის ჩვევათა და თვისებათა ინერციის შესახებ, როგორც ეს გვაქვს მოცემული „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრებაში<sup>32</sup>. ჩვენი თხზულებიდან არ ჩანს ცოდვილ ქალს, სინანულის გამოხატვის გარდა, სხეულებრივი ტანკევის გარდა, რაიმე დიდი საქმით გამოესყიდოს ცოდვა, როგორც ეს ხშირად გვხვდება სხვა ძეგლებში. ჩანს, დები უვლიდნენ მას, ფრიად ცოდვილს. მაშასადამე, მას სიტყვითაც და ტანჯვითაც გამოუსყიდია დანაშაული.

მაგრამ ფსიქოლოგის კუთხით, სრულიად გასაგებია დების ქმედება. ადამიანის ბუნება ძალიან ნელა იცვლება. ცხადია, მონასტრის ყველა ბინადრისთვის ერთნაირად ასატანი არ და ვერ იქნებოდა ამ ცოდვილი ქალის გვერდით ცხოვრება, მით უმეტეს, მოვლა მისი და კიდევ უარესი, ასე მრავლცოდვილის წმინდა დების გვერდით დამარხვა. ალბათ, სანამ ცოცხალი იყო, ჩაგრავდნენ, შეურცხყოფდნენ კიდეც, - ბევრი ბიზანტიური აგიოგრაფიის ლიტერატურული ძეგლი მოგვითხრობს ასეთი ფაქტების შესახებ არათუ ცოდვილების, უცოდველთა და წმინდანთა მიმართაც. მერეს დედათა მონასტრის მკვიდრნი ცოდვილ ქალს ვერ მოემსახურებოდნენ ისე, როგორც - გრიგოლ ხანძთელის დედას.

თხზულებაში ორჯერ ისმის მსგავსი ფრაზა: 1. დედა ფებრონიასი: „დიდად ბრალეული იგი უბრალოთა მათ განამართლონ ქრისტეს წინაშე“ [I 299, 40]; „ბრალეული - უბრალოთა“ - რიტორიკული ფიგურების თვალსაზრისით არის ანტინომური წყვილიც, ალიტერაციაც და პარანომასიაც და ოქსიუმორონიც ერთდროულად. 2. მამა გრიგოლისა: “ითხოეთ ქრისტესგან ბრალთა მისთა შენდობაო...[I 308, 8-9]; თხზულებაში თავდაპირველად ეშმაკეულქმნილად სახელდებული ქალი, ჩვენს ნაწყვეტში უკვე საწყალობელია. სი-

31 Костогрызова Л. Ю., Эволюция семейного права в Византии в VI -XV веках // Российский юридический журнал», 2014, N 2; <http://center-bereg.ru/d3.html>; Beau-camp J. La situation juridique de la femme à Byzance // La situation juridique de la femme à Byzance. 1977. № 78-79. P.11-43; რამდენადაც ჩვენ შევიტყვეთ, ბიზანტიური კანონონმდებლობის მიხედვით, ქართული ჰაგიოგრაფიის ლიტერატურული ძეგლებისშესწავლა ქართველ სამართლმცოდნებებს არ უცდიათ ჯერ. ეს სტატია, ჩვენი ძალიან მოკრძალებული მცდელობაა.

32 Житие Марии Египетской, бывшей блудницы, честно подвизавшейся в Иорданской пустыне//Жития византийских святых, СПб., 1995. 205.

ტყვა „სანუალობელი“ უნდა შეესაბამებოდეს ბერძნულ იქტრას ან კიდევ თავისას და თავისი მართა შთაჭრილ ხარ...“ [1 55, 3]; სიტყვა „სანუალობლის“ სემანტიკური ველი უკვე ცალკე ხდება შესასავლი, ისევე როგორც მთელი ქართული ჰაგიოგრაფიის ლიტერატურული ძეგლები - ბიზანტიური კანონმდებლობის ქრიოლში.

პირველად ბიზანტიური ქალების როლისა და მდგომარეობის მეცნიერული შესწავლა XIX ს-ის შუა ნლებში რუსმა მრავალმხრივა სწავლულმა რ. ვ. ორბინსკიმ დაიწყო<sup>33</sup>. მას მოჰყვა პ. ვ. ბეზობრაზოვის<sup>34</sup>, შარლ დილის შრომები<sup>35</sup>, თუმცა მათი კვლევის ობიექტი ქალბატონები საიმპერატორო კარის პერსონები იყვნენ. შემდეგ ეს საკითხი უაღრესად გაღრმავდა და განიტოტა.

და თუ უბრალოებმა ცოდვილები უნდა გაამართლონ ქრისტეს წინაშე და თუ „სოფელსაც ერთხელ ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ ვინდა სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“ (ბარათაშვილი) - აი ის „წყევლაკრულვიანი“ საკითხი, რომელიც ქარისტიანობის დაბადებისთანავე თავსატეხად ექცა მის მიმდევართ...

თვით მამა გრიგოლის გვერდით ესოდენ დიდი პატივით წარმოჩენა დედა ფერონიასი ეყრდნობა პავლეს ეპისტოლეს: „არა არს არცა მამაკაცება, არცა დედაკაცება, არამედ თქუენ

ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუსი მიერ (გალატ. 3, 28). ქრისტიანობამ ქალი და მაკაცი გაათანაბრა და უკვე იაკობ ხუცესის „მუშანიკის წამებაში“ ჩანს ეს პათოსი; გვხვდება „წმინდა ნინოს ცხოვრებაშიც“ და ასევე, ბიზანტიურ „ანდრია სალოსის ცხოვრებაში“<sup>36</sup>; მეტაფრასულ ძეგლშიც, „წმინდა ქსენის (ეუსებიას ცხოვრება“ : „არა განსაგდებელ არს ნათესავი დედათამ და არცა უბატიო იხილობ“<sup>38</sup>; არსებობს გადმოცემა, რომ ბიზანტიის იმპერატორის სიტყვებზე „ხომ ქალისგან წარმოშვა სიავე - ის შრა ბია ყოვათ ეროვნული ტა ფასლა? - ბიზანტიულმა პოეტმა ქალბატონმა კასიამ მიუგოო: „მაგრამ ქალისგან კეთილიც აღმოცენდება - ალა კაი ბია ყოვათ მარატია“<sup>39</sup>...

რატომ იცავს გრიგოლი შემასმენელ ქალს, უკვე გარდაცვლილს? 1. სამართლის წყარო ღმერთია და მაშასადამე, არსებული წესები სამართლიანია; 2. ეპიზოდიდან ვიგებთ, რომ ქალს შეუნანია. მასში ხელახლი, სულიერი შობა მომზდარა. მოციქულთა კანონის თანახმად (ნბ)52: მოქცეული ცოდვისა-

33 Рудаков А. П., Очерки византийской культуры по данным греческой агиографии. - СПб., 1997. -295 с.

34 Орбинский Р. В., Византийские женщины // „Южн. Сборник“, О., 1859)

35 Безобразов П. В., Очерки Византийской культуры. Пг.: Огни, 1919.

36 Диль Ш., Византийские портреты / Пер. с фр.: М. Безобразова. М., 1994.

37 <https://predanie.ru/book/91428-zhitie-andreya-yurodivogo/#toc29>

38 მირაშვილი ნ., ცხოვრება წმინდა ქსენი (ეუსებია) რომაელისა და მისი ორი მხევლისა/უკრნ. „ქართველოლოგია“ № 3, 2019, 127.

39 ყაუხჩიშვილი სიმ., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ბიზანტიური პერიოდი, თბ., 1973 174; თვით მოყვანილი ფაქტის შესახებაც არსებობს უამრავი კვლევა, მაგრამ ჩვენ აქ შევჩერდებით.

გან, უნდა შეიწყნარონ, არშემწყნარებელი განიკვეთება როგორც ქრისტეს შემცოდე: „სიხარული იქმნების ცათა შინა, ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანა“ (ლუკ. 15,7)<sup>40</sup>; 3. არ შეიძლება, სასამართლოს გარეშე, სამართლის აღსრულება - პელით სჯა ხეირი პრატეს<sup>41</sup>; 4. ერთხელ ჩადენილი უკანონო ქმედება, სამართლის სახელით, შეიძლება, საყოველთა ანარქიაში გადაიზარდოს, ანარქია კი - სახელმწიფოებრივ და კოსმიურ კატაკლიზმებში.

ამ შემთხვევაში მერჩულის ფილოსოფიური, რელიგიური ისტორიული და კოსმიური მორალიზმი ფარავს ერთმანეთს. ამასთანავე, ისტორიული თუ ბიოგრაფიული დრო თითოელი კაცისა ხომ იმდენადა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის ემსახურება საზოგადოების, ადამიანის გარდაქმნის, უკეთესად ქცევის პროცესს? ცოდვილ ქალში კი მომხდარა ფერისცვალება. ეს ცვლილება შეიძლება დავინახოთ ანთროპონიმ ბევრელისა და ანასტასიას შინაარსებ-შიც: (ავ. baevarə, ფალ. .bēvar, ოს. bewræ - ბევრი)<sup>42</sup> - რაოდენობა, სიმრავლე გადასულა თვისობრიობაში - სპარსული ბევრელი ბერძნულ - ქრისტიანულ ანასტასიაში - აღდგომაში. ანთროპონიმის ასეთი გააზრებისას ამოვლივართ როგორ წარმართული, ასევე ქრისტიანული ტრადიციიდან.

ხანძთელის წერილი-მიმართვა არის ვრცელი და როგორც ვთქვით, მცირე ენკომიაც კი შეიძლება ვუნდოდოთ, სრულდება თხოვნით. პ. ინგოროვას მიბაძვით, „სავედრებელთა“<sup>43</sup> კატეგორიაში შეიძლება შევიტანოთ, ან გარდაცვლილთა სულების მომშვიდებისა თუ „დაურვების“ რიტუალი ვუნდოდოთ, წარმართობიდან წამემკიდრალი. ბერძნული და რომაული სამყარო და შესაბამისად, ბიზანტიური ეპისტოლოგრაფიაც იცნობდა დამამშვიდებელ და მანუგეშებელ ეპისტოლებს<sup>44</sup>.

ჩვენი მიერ მოყვანილი წაწყვეტი, როგორც ვხედავთ, აგებულია ანტითეზებზე, დაპირისპირებულთა ერთობაზე, სისტემაში რომ ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან წონასწორობას. აქვს ძალზე მრავალფერი სარითო ერთეულები და რაც მთავარია, ეს „თხოვნა-ვედრება - ბრძანების“ ტექსტი მართლაც ანტიკური წარმართული ფორმის ქრისტიანული შინაარსია. თავსდება მეორე სოფისტიკის მიერ შემუშავებულ და ბიზანტიელთა მიერ გადაღებულ „ეპისტოლეს“ კომპოზიციაში. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს თხზულებაში „წერილი შესვენებული დებისადმი“ კომპოზიციურად უკავშირდება ადარნასე აშოტის ძისა და მისი მეუღლის, ანასტასია-ბევრელის ეპიზოდს. ორივე შემთხვევაში გამარჯვებულია ღვთის კაცი და ადარნასეს ცოლი, ანასტასია (აღდგომა) - ბევრელი, ბაგრატ შაროელის (ჩრდილოელის) ასული.

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ გამომდინარე, „ვედრების - მეურის“ საკითხი, როგორც ჩანს, მხოლოდ ეთიკური, ესთეტიკური

40 დიდი სჯულის კანონი.., 2 22

41 იქვე, 168, 30

42 მ. ანდრონიკაშვილი, წარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერობებიდან, 1966, 290.

43 პ. ინგოროვა გიორგი მერჩულე, თბ., 1954, 734.

44 Stovers S K., Letter Writing in Greco-Roman Antiquity, Philadelphia, 1987, 142-151.

და რელიგიური საკითხი კი არ ყოფილა, არამედ - ჩვენი ერის ეთნოფსიქოლოგის მუდმივი თანმდევი ნაწილი, რაც ასახულა ქართული ეკლესიების კედლის მხატვრობაშიც. უკრაინელ მეცნიერ ფ. შმიტს ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში „ვედრებას“ სამშობლოს ძიებისას შეუნიშნავს, რომ ქართულ ეკლესიბში „ვედრებას“ ყველაზე საპატიო ადგილი ეკავა - საკურთხევლის კონქი, ბიზანტიიაში არც ამდენად მნიშვნელოვანი ყოფილა ეს თემა და ის პროვინციიდან შესულად მიაჩნდათ<sup>45</sup>... ეს კი აბსოლუტურად მოდის შესაბამისობაში გიორგი მერჩულის ლიტერატურულ ძეგლში დადასტურებულ და ჩვენ მიერ „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყვანილ ცოდვილთა გამართლების თემასთან. არც ვაჟას სიტყვებია დასავიწყებელი აღაზას თვითმკვლელობის სცენას რომ უძღვის წინ პოემა „სტუმარ-მასპიძელში“...\*

45 Шмит Ф. И., Заметки о поздневизантийских храмовых росписях, //Византийский временник т. XII (1915-1916) выпуск 1-2 Петроград 1916, 62-126; ულრმესი მადლობა ისტორიკოს რუსუდან ლაბაძეს, რომელის მეშვეობითაც გავეცანი შმიტის ნაშრომს, აგრეთვე სხვა ქართველი ხელოვნებათმცოდნებისასაც. რომ არა რუსუდან ლაბაძის წიგნი „ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში“ (თბ., 2006, 128-139), მე ეს ავტორი არ მეცოდინებოდა. ცოდვილთათვის მიტევების მაგალითებს, ჩვენ მიერ მოყვანილთ ქართული ლიტერატურიდან, ვერ შევავსებდით ჩვენი ეკლესიების კედლის მხატვრობის შესახებ ინფორმაცით.

\* გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში.

# საისტორიო მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები

არჩილ კოხლეიძე

ექვთიმე თაყაიშვილის ივანე ჯავახიშვილზე დაწერილი მოგონების  
უცნობი ვარიაციი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

დიდია ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ქართველი ერის წინაშე. სახელოვანი მეცნიერის ბიოგრაფიის ყოველი შტრიხი, დეტალი, მოგონება ცხოველ ინტერესს იწვევს, მით უფრო, თუ ამ მოგონების ავტორი ექვთიმე თაყაიშვილია. ეროვნული არქივის ფონდებში ჩვენ მივაგენით ორ, ფრიად საყურადღებო მასალას, რომელთაგან ერთი მოკლედ გვაცნობს იმ გარემოს, რა პირობებშიც ინერებოდა მხოლოდი ისტორიკოსის მოგონება (ესაა ე. თაყაიშვილის წერილი აკ. შანიძისადმი), მეორე კი თავად მოგონება, რომლის აღმოჩენილი ვარიანტი შეიცავს ეპიზოდს, რომელიც არ ასახულა საზოგადოებისათვის უკვე ცნობილ ტექსტში.

როგორც ირკვევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი ერთერთი დამაარსებლისთვის უთხოვია მოგონების დაწერა ივ. ჯავახიშვილზე (წინადადების ავტორი უეჭველად ნ. კეცხოველი იყო, რომლის წარწერა ახლავს კიდეც ჩვენ მიერ მოძიებული ცალს). ეჭვგარეშეა, თხოვნა ნაკარნახევი იყო იმით, რომ 1950 წლის ნოემბერში სრულდებოდა ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავი. უნივერსიტეტის ამ თარიღისადმი მიძღვნილ სხდომას კი უეჭველად დაამშვენებდა მისი დაარსების თაოსანისა და უებრი მამულიშვილის, მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის დახასიათება ისეთი არანაკლებ სახელოვანი თანამებრძოლისაგან, როგორიც ექვთიმე თაყაიშვილი გახლდათ.

დავალება მხცოვან მეცნიერს შეუსრულებია და მოკლე ბარათით სთხოვს აკ. შანიძე<sup>1</sup> გაეცნოს ნაწერს, ფაქტობრივი შეცდომების შემთხვევაში შეასწოროს ისინი და ამცნოს თავისი აზრი - „ლირს თუ არა ამის წარდგენა“. ბარათი დათარიღებულია 1950 წლის 14 ნოემბერით, 15 ნოემბერს კი უნივერსიტეტში იმართება ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა. შეუძლებელია, უმაღლესი სასწავლებლის პროფესორს, აკადემიკოსს არ სცოდნოდა ამ შეკრების სავარაუდო დრო. ადამიანი, რომელიც პირად საუბარში აცხადებს - „მოგონებების დაწერა ჩემი პირდაპირი მოვალეობაა“-ო [4:86]. ამგვარ თხოვნას, თან ივ. ჯავახიშვილთან დაკავშირებით, ზერელედ არ მოეკიდებოდა. მიზეზი, უნდა ვეძიოთ აკ. შანიძისადმი მიწერილ სიტყვებში -

1 ამ დროს აკაკი შანიძე (1887-1987) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო (1948-1950) - ა.კ.

მართან მის (ივ. ჯავახიშვილის) დამოკიდებულებას განგებ არ შევეხე გარემოების გამოო. „გარემოებაში“ იგულისხმება საბჭოთა კავშირში 6. მარის იაფეტურ თეორიასთან დაკავშირებული დისკუსია. ჩანს, ი. სტალინის გამოსვლა (მისი წერილები „პრავდა“-ში დაიბეჭდა 1950 წლის ივნისს, ივლისს, აგვისტოში) 6. მარის წინააღმდეგ მოულოდნეილი იყო ისტორიკოსისათვის, რომელიც უფრო კრიტიკული გახლდათ დისკუსიის სხვა მონაწილეთა მიმართ [5:315-316, 319-320]. სავარაუდოდ, მას უკვე მომზადებული ექნებოდა მოგონება (მონახაზი ან შავი მაინც) და შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო თავი შეიკავა ან უარი თქვა 6. მართან დაკავშირებულ ეპიზოდებზე, ანდა ჩასწორა ტექსტი აკ. შანიძისათვის მოგონების თავდაპირველი ვარიანტის გაცნობის შემდეგ. მსგავს ქმედებებს გვიდასტურებს მოგონების დღემდე უცნობ ვარიანტზე ჩვენ მიერ უკვე მითითებული წარწერა: - „აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შესწორებულ-გადაწერილი ეგზემპლარი, 6. კეცხოველი, 24.IX.50“. ამან კი დაგვაკარგვინა შესაძლებლობა მისგან გაგვეგო 6. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ურთიერთობის მისთვის ცნობილი ეპიზოდები...

ახლა რაც შეეხება უშუალოდ მოგონებას. მასზე ავტორს გულდაგულ უმუშავია. ცდილა ყოველი ფაქტი ზუსტად გადმოეცა, დაეხვეწა, გაემართა წინადადებები, თითოეული ფრაზა, რაც კარგად ჩანს ნაწერის გაცნობისას. გამოცემულ და გამოუცემელ ვარიანტებს შორის, მართალია, არის გარკვეული კითხვა-სხვაობანი, მაგრამ არსებითია ერთი, თუმცა უაღრესად დიდმინიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელსაც სხვადასხვაგვარად გვაწვდიან დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი ტექსტები.

პირველად ჩავხედოთ უკვე ცნობილ ვარიანტს: „1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ცარიზმი დაამსხვრია. სულ მალე პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა მოიწვია უნივერსიტეტის გახსნის საინციატივო ჯგუფი (კურსივი ჩემია - ა.კ.). მაისის პირველ რიცხვებში იგი გადმოვიდა თბილისში და თან ჩამოიტანა უკვე მზა წესდება ქართული კერძო უნივერსიტეტისა. მოვიდა ჩემთან, დაწვრილებით გამაცნო ყველაფერი და მთხოვა მონაწილეობა მიმელო უნივერსიტეტის დაარსების საქმეში“ [1:416]. აქ ვითარება ისეა წარმოჩენილი, რომ პეტერბურგში (უნდა იყოს პეტროგრადში) თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ყველა მომხრე მხოლოდ საინციატივო ჯგუფშია გაერთიანებული. თან არ ჩანს, რა იყო ის „ყველაფერი“, რაც მოგონების ავტორს „დაწვრილებით გააცნო“ ივ. ჯავახიშვილმა.

ახლა კი გავეცნოთ ეროვნული არქივის ვარიანტს: მალე, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ივ. ჯავახიშვილმა „მოიწვია უნივერსიტეტის გახსნის საინციატივო ჯგუფი, რომელმაც საკითხი გაიტანა ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეულ კრებაში (კურსივი ჩემია - ა.კ.). აქ ვერ შეთანხმდნენ რა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი უფრო საჭირო იყო ჩვენთვის თბილისში, მაგრამ უმეტესი ნაწილი მაინც უნივერსიტეტის მომხრე იყო. მაისის პირველ რიცხვებში, 1917 წელს ივანე ჯავახიშვილი გადმოვიდა თბილისში და თან მოიტანა უკვე დამზადებული წესდება ქართული კერძო უნივერსიტეტისა. მოვიდა ჩემთან, გამაცნო ყველაფერი დაწვრილებით და მთხოვა მიმელო მონაწილეობა

ამ უნივერსიტეტის დაარსების საქმეში<sup>2</sup>: ახლა უკვე ცხადია, რა იგულისხმება მოგონების ორივე ვარიანტში დაფიქსირებულ ე. თაყაიშვილის სიტყვებში: ივ. ჯავახიშვილმა გამაცნო ყველაფერი დაწვრილებითო. თანაც, ამ ფაქტს ადასტურებს იმპერიის დედაქალაქში შექმნილი ეროვნული კომიტეტის წევრი შ. ნუცუბიძე, რომლის მეულლის წიგნში საკმარ ადგილი უჭირავს აღნიშნულ ეპიზოდს, ბოლოს კი ნათქვამია: „პეტერბურგში პირველსავე სხდომაზე ჯავახიშვილმა წარმოაჩინა გეგმა, რომელიც პუმანიტარულ პროფილს გულისხმობდა. მეორე მხრივ გამოვიდა ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც უნივერსიტეტს სპეციალური ტექნიკური ინსტიტუტი დაუპირისპირა. კამათი მძაფრი აღმოჩნდა და მაშინ ივანე ჯავახიშვილმა მითხრა: აბა, ერთი შენებურად დასცხეო. მეც გამოვედი. გაიმარჯვა ივანე ჯავახიშვილის გეგმამ“<sup>2</sup> [6:49-50].

აქვე გვინდა მივუთითოთ ერთ ეპიზოდზე, რომელიც მოგონების ორივე ვარიანტშია დაფიქსირებული: „აქვე გადავწყვიტეთ (1917 წ. თბილისში ივ. ჯავახიშვილისა და ე. თაყაიშვილის პირველი შეხვედრის დროს - ა.კ.) 12 მაისისათვის მოგვეწვია კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლების დიდი კრება, რომელიც თავის თავს გამოაცხადებდა უნივერსიტეტის გახსნის დამფუძნებლთა კრებად და უნივერსიტეტის გახსნის სამზადისს შეუდგებოდა. მართლაც, შედგა ასეთი კრება 12 მაისს. თავმჯდომარეობა ამ კრებისა ივანემ არასგზით არ იკისრა. კრებას ბევრი ხალხი დაესწრო. ყველა დიდი სიხარულით და აღტაცებით შეხვდა ამ საქმეს. დავინწყეთ ბჭობა, ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა ჩვენი მხცოვანი და დიდად დამსახურებული მეცნიერი, ქიმიის პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. ის მე პირველად ვნახე და გავიცანი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან. მე, რასაკვირველია, მაშინვე წინადადება მივეცი კრებას, რომ პროფესორი პ. მელიქიშვილი აერჩიათ საპატიო თავმჯდომარედ. კრება ტაშის კვრით შეხვდა ამ წინადადებას. პეტრე მოვიდა და დაჯდა ჩემთან, მაგრამ კრების ხელმძღვანელობა არ ისურვა და მთხოვა მე გამეგრძელებინა“<sup>3</sup>. მოგონების ამ თუ სხვა (უცნობია რომელ) მონაცემზე დაყრდნობით ზოგიერთები ასკვნიან, რომ 1917 წელს საქართველოში ივ. ჯავახიშვილის დაბრუნების შემდეგ, „12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი ყრილობა გაიმართა“ [2:8]. არადა, უნივერსიტეტის პირველ რექტორთან დაკავშირებული ორივე ეპიზოდი მცდარია. ე. თაყაიშვილი ჩანს, მოგონების წერისას მხოლოდ მეხსიერებას ეყრდნობა, რის გამოც პ. მელიქიშვილთან დაკავშირე-

2 შ. ნუცუბიძის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრობას ადასტურებს ივ. ჯავახიშვილი, რომელიც 1917 წლის 11 მარტის პეტროგრადიდან მეულლესთან გამოგზავნილ წერილში წერს: „კომიტეტი ამოვირჩიეთ, რომელშიც 7 კაცი შედის, მათ შორის მე (100 ხმით), ზურაბი (91 ხმით), შალვა ნუცუბიძე (97 ხმით), იოსებ ყიფშიძე (87 ხმით), ნ. გელოვანისა და სხვანი შედიან“. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის ფონ. N 210.

3 მოგონების ამ ადგილსა და დღემდე საზოგადოებისთვის ცნობილ ტექსტს შორის მცირეოდენი, არარსებითი სხვაობაა. იხ. ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1968, ტ. 1, გვ. 416-417.

ბულ ამ ფაქტს 1917 წლის 12 მაისის კრებას უკავშირებს, მაგრამ თუ უნივერსიტეტის საზოგადოების აღნიშნული დღის ოქმს ჩავხედავთ, რომელსაც როგორც თავმჯდომარე ხელს თავად ე. თაყაიშვილი აწერს, დავრწმუნდებით, რომ კრებას პ. მელიქიშვილი საერთოდ არ ესწრებოდა (კრების მონაწილეთა შორის მე-17 წლიდან დასახელებულია „თავ. ნიკ. მიხ. მელიქიშვილი“) [3:173-174]. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: - პ. მელიქიშვილი 1917 წლის 3 ოქტომბრამდე საერთოდ არ მონაწილეობს უნივერსიტეტის საზოგადოების სხდომებში და, ჩანს, არც მისი დამფუძნებელი კრების მონაწილეთა რიცხვში შედის. სწორედ, 1917 წლის 3 ოქტომბრის კრებაზე აქვს ადგილი იმ ფაქტს, რასაც ე. თაყაიშვილი 1917 წლის 12 მაისის კრებასთან დაკავშირებით გვიყვება. დასახელებულ დოკუმენტში ვკითხულობთ:

**„- საპატიო] თავმჯდომარედ] არჩევა.**

თავმჯდომარის (ე. თაყაიშვილის - ა.კ.) წინადადებით კრებამ ერთხმად და მხურვალე ტაშისკვრით საპატიო თავმჯდომარედ აირჩია დამსახურებული პროფესორი პეტრე გრიგოლის ძე მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი “ (ამ თავყრილობას, როგორც დამფუძნებელი კრების მონაწილე, ესწრება ნ.მ. მელიქიშვილიც)<sup>4</sup>. კრების ოქმს, თანაც პირველი, სწორედ საპატიო თავმჯდომარე აწერს ხელს [2:184-187].

რაც შეხება მტკიცებას, თითქოს 1917 წლის 12 მაისის კრება უნივერსიტეტის პირველი რექტორის სახლში გაიმართა. თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმების გამომცემელნი გამოიჩინდნენ დაკვირვებას და ყურადღებით გაეცნობოდნენ ე. თაყაიშვილის საზოგადოებისათვის ცნობილ მოგონებას (აღარაფერს ვამბობ დამოწმებულ ოქმებზე), თავს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიყენებდნენ. აი, როგორ იხსენებს ისტორიკოსი კრების მიმდინარეობას: „დავიწყეთ ბჭობა. ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა ჩვენი მხრცოვანი და დიდად დამსახურებული მეცნიერი, ქიმიის პროფესორი პეტრე მელიქიშვილი... რასაკვირველია, მისი შემოსვლისთანავე შევთავაზე კრებას, პროფ. მელიქიშვილი აგვერჩია საპატიო თავმჯდომარედ და ყველანი ტაშის კვრით შეხვდნენ ამ წინადადებას“ [1:416-417]. ყველან, ყოველთვის სახლის თუ ბინის პატრონი ადგილზე ხვდება სტუმრებს, მასპინძლობს, როდესაც მასთან რაიმე თავყრილობაა, მით უფრო, ასეთი მნიშვნელობის და ამგვარი ვითარების არსებობისას გამონაკლისი არც სახ-

4 სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი ჩვენ მიერ ორჯერ დამოწმებული „თავ. ნიკ. მიხ. მელიქიშვილი“-ს შესახებ. არადა ის არის „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრი ნიკოლოზ მიხეილის ძე მელიქიშვილი, გაერთიანებული ორგანიზაციის ე.წ. „გარშავების წრეში“, რომელიც 1891 წელს შეიქმნა და 1892 წლისათვის 11 კაცს აერთიანებდა. „სოციალურ საკითხებთან ერთად ეროვნული პრობლემებით ყველაზე მეტად ვარშავის წრე იყო დაინტერესებული. 1891-92 წლებში „გარშაველებმა“ ამ საკითხებზე ცხრა რეფერატზე მეტი წაიკითხეს“, რომელთა შორის იყო ნ.მ. მელიქიშვილი თავისი შრომით „ერი, მისი წარმოშობა და ელემენტები“. იგი სხვებთან ერთად დაპატიმრეს 1893 წელს და 1895 წლის მიუსაჯეს 2 წელი. ზ. შველიძე, რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“, თსუ გამომცემლობა, თბ., 1969, გვ. 25, 26, 56, 89, 91-92 და ა.შ.

ელოვანი ქიმიკოსი იქნებოდა. თანაც, ე. თაყაიშვილი დიდი პატივისცემით იყო განწყობილი უნივერსიტეტის პირველი რექტორისადმი და ამ ფაქტს უთუოდ აღნიშნავდა. სამწუხაროდ, 1917 წლის 12 მაისის კრების ჩატარების ადგილი ჯერჯერობით უცნობია და არც პ. მელიქიშვილი იმყოფებოდა ამ დროს თბილისში, შესაბამისად, არც მასში მიუღია მონაწილეობა და არც კრება გამართულა მის ბინაში.

საქართველოს ეროვნულ არქივში მოძიებული ე. თაყაიშვილის ხელნაწერი მასალა: წერილი აკ. შანიძისადმი, ივ. ჯავახიშვილზე დაწერილი მოგონების უცნობი ვარიანტი, მასში დაცული ერთი დიდმნიშვნელოვანი ეპიზოდითა თუ ნაცნობი ადგილის მართებული განმარტებით, წარმოაჩენენ როგორც მოგონების დაწერის პოლიტიკურ გარემოს, ისე უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის დღემდე ცნობილი ამბების რეალურ ისტორიას.

### 1950 წ. 14 ნოემბერი - ექვთიმე თაყაიშვილის წერილი აკაკი შანიძეს

#### ბ-ნო აკაკი!

უნივერსიტეტმა შემომიკვეთა ცოტა მოგონების დაწერა ივ. ჯავახიშვილის შესახებ. ბევრი არ შემიძლია და ეს მცირედი დავწერე. გთხოვ გადიკითხო, ფაქტიური შეცდომები თუ არის შემისწორო და შენი აზრი მაცნო, ლირს თუ არა ამის წარდგენა. მართან მის დამოკიდებულებას განგებ არ შევხე ვრცლად გარემოების გამო.

შენი ექ. თაყაიშვილი

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონ. 268, ან. 1, საქ. 1004, ფურ. 13.

**1950 წელი – ე. თაყაიშვილის მოგონება „ივანე ჯავახიშვილი – მისი ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში“<sup>5</sup>**

ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი და სამეცნიერო ღვაწლი ქართველი ერისადმი ფასდაუდებელია, საოცარია, ერთობ რთული და საამაყოა ყველა ქართველისათვის. მისი ჯეროვნად შეფასება და ამონურვა არც ისე ადვილია. ამჟამად მე არა მაქვს საშუალება და შეძლება ვრცლად შევეხო მის ღვაწლსა და დამსახურებას. შევჩერდები მხოლოდ ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიაზე.

მაგრამ ჯერ საჭიროა ორიოდე სიტყვით მოვიხსენიო მისი პიროვნება და მისი ადამიანობა.

იშვიათია კაცი, რომელსაც რაიმე ნაკლი არ ჰქონდეს, თუნდ სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილში სანთლით რომ გეძებათ, ვერავითარ ნაკლს ვერ აღ-

5 მოგონების თავფურცელს აწერია ზემოთ, მარჯვენა კუთხეში „ე. თაყაიშვილი“, ქვემოთ „ივანე ჯავახიშვილი. მისი ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში (მოგონების სახით)“. უფრო ქვემოთ „ვაშლოვანის ქ. N 6“, კიდევ უფრო ქვემოთ „გვერდი 1-11“, თუმცა მოგონება 12 გვერდიანია. თავფურცელზე მსხვილი ხელით წარწერაა: - „აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შესწორებულ-გადაწერილი ეგზემპლარი ნ. კეცხოველი, 24.XI.50“ - ა. კ.

მოაჩენდით. ის სრული უნაკლო ადამიანი იყო: ზნეობით სპეტაკი, ზრდილი, ალერსიანი, თავმდაბალი, კაცომოყვარე და გულშემატკივარი, ერთ უკადრის სიტყვას მისგან ვერ გაიგონებდით. ის შვილი იყო ქართველი ინტელიგენტი ოჯახისა, რომელიც განმსჭვალული იყო ქართული პატრიოტიზმით და საქართველოს კეთილდღეობისათვის მუშაობით. ივანე ჯავახიშვილი დაჯილდოვებული იყო ბუნებისაგან დიდი ნიჭით, რის გამოც, მან ჯერ კიდევ გიმნაზიაში და შემდეგ უნივერსიტეტში ადვილად შეითვისა ძველი და ახალი ევროპიული და აზიური ენები. ამან მას მისცა საშუალება გასცნობოდა ამ ერების კულტურას და მათი მიღწევები შეედარებინა ქართული კულტურისათვის. ნიჭი მეცნიერული კვლევა-ძიებისა ივანემ სტუდენტობაშივე გამოიჩინა და მიიღო ოქროს მედალი. უნივერსიტეტის გათავების შემდეგ მე მთხოვა ნება მიმეცა მისთვის რუსულ ენაზე გადაეთარგმნა ჩემს მიერ გამოცემული „სიბრძნე ბალავარისა“ და, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით ნება დავრთე<sup>6</sup>. ეს თარგმანი ოთხი წლის შემდეგ გამოვიდა.

1901 წელს ივანე ჯავახიშვილმა გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიიღო ქართული ენის მაგისტრის ხარისხი. 1902 წელს ის ნიკო მართან ერთად გაემგზავრა<sup>7</sup> სინას მთაზე ქართული ხელნაწერების აღსაწერად. ამან მისცა საშუალება ივანე ჯავახიშვილს გავარჯიშებულიყო ძველი ქართული ხელნაწერების კითხვაში.

ი. ჯავახიშვილმა<sup>8</sup> 1903 წლიდან დაიწყო ლექციების კითხვა, როგორც პრივატ-დოცენტმა.

ამავე დროს ივანე ჯავახიშვილი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას იჩენდა უნივერსიტეტის გარეშე. მის ლექციებს პეტერბურლის უნივერსიტეტის აღმოსავლურზ ენათა ფაკულტეტზე ესწრებოდა მრავალი ქართველი სტუდენტი პეტერბურლის სხვა და სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა<sup>9</sup>.

6 მოგონებაში ეწერა, თუმცა შესწორებისას ავტორს გადაუშლია სიტყვები: „ამით დაიწყო მისი მეცნიერული მუშაობა უნივერსიტეტის გათავების შემდეგ, თუმცა“ - ა.კ.

7 თავდაპირველად ეწერა: „1902 წელს ის წაიყვანა ნიკო მარმა თავის თანაშემწედ“. შესწორებისას ავტორმა „წელს“ შემდეგ დაამატა სიტყვა „მან“ და გადაშალა სიტყვა „წაიყვანა“, ხოლო შემდეგ გააკეთა ახალი რედაქცია და ფრაზა გამართა ისე, როგორც ტექსტშია - ა.კ.

8 თავდაპირველად ეწერა: „1903 წლიდან დაიწყო ლექციების კითხვა, როგორც პრივატ-დოცენტმა“. ჩასწორებისას ავტორს წინ დაუმატებია „ი. ჯავახიშვილმა“, შემდეგ უფიქრია, ძველებურად დაეტოვებია ფრაზა და „ი. ჯავახიშვილმა“ წაუშლია. ბოლოს მაინც ჩაუთვლია საჭიროდ წინადადება გაემართა ისე, როგორც ახლა ტექსტშია და კვლავ დაუმატებია მისთვის „ი. ჯავახიშვილმა“ - ა.კ.

9 თავდაპირველად ფრაზა „მის ლექციებს...“ ასე იკითხებოდა: „მან შეაჯგუფა ყველა ქართველი სტუდენტები პეტერბურლის სხვა და სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და მათ უკითხავდა ლექციებს ქართული კულტურის დარგიდან და ამზადებდა საზოგადო მოღვაწეობისათვის“. აქვე „და მათ“ წინ წერია რაღაც სიტყვა, რომელიც ისეა გადაშლილი, რომ არ იკითხება. ჩასწორებისას მთელმა ფრაზამ მიიღო წარმოდგენილი სახე - ა.კ.

ეს ის ხანა იყო, როდესაც ის შეთანხმებულად მუშაობდა ნ. მართან, მაგრამ როდესაც მარის იაფეტურმა თეორიამ უკიდურესი ფანგასტიური ხასიათი მიიღო და დღითი დღე იცვლებოდა, მას ჩამოშორდნენ არათუ რუსის და ევროპიელი მეცნიერები, არამედ მისი შეგირდებიც<sup>10</sup>: ნ. ადონცი<sup>11</sup>, ი. ჯავახიშვილი<sup>12</sup> და სხვები. მართალია, მათ შორის აშკარა კონფლიქტს ადგილი არა ჰქონია, მაგრამ გულცივობა კი თანდათან განმტკიცდა. ამ დროს მოუხდა ივანე ჯავახიშვილს მზადება თავის დისერტაციისა, „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“. ამ შრომის ხელმძღვანელობა ნ. მარს არ გაუწევია, რადგანაც ივანეს ეს მისთვის არ უთხოვია. ამ შრომას ბევრ ლირსებასთან ერთად ზოგი ნაკლიც აქვს. მას ისეთი მტკიცე მეცნიერული ხასიათი არა აქვს, როგორც სხვა მის შემდეგ გამოცემულ შრომებს. ეს წიგნის დაბეჭვდის შემდეგ თვით ავტორმაც შენიშნა<sup>13</sup>. ნ. მარმა მიამბო, დისერტაციის დაცვის დროს 1907 წლის 13 მაისს, ივანეს დიდად ჯენტლ-მენურად ეჭირა თავიო და გულახდილად თვითონ აღნიშნა შრომის დეფექტებიო, ისე რომ<sup>14</sup> ოპონენტებს, მე და ბარტოლდს, ბევრი არაფერი მისამატებელი აღარ გვქონდა; ჩვენ მხოლოდ დადებითი მხარე ავლნიშნეთ და დავუმატეთ, რაკი ავტორმა თვითონ აღიარა დეფექტები, მომავალში თვითონ გამოასწორებს, მეტადრე როცა სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენს, ის უკეთესი იქნება ამ შრომაზეო.

მაგრამ ეს სადოქტორო შრომა სულაც არ წარუდგენია ივანეს, რასაც მარი ვერ ურიგდებოდა. ჩემთვის აშკარა იყო, რომ ივანეს, თუმცა კარგად შეეძლო რუსულად წერა, რაც დაამტკიცა თავის სტატიებით, მაგრამ არ აინტერესებდა სამსახურში დანინაურება<sup>15</sup>, მას უნდოდა დაეფუძნებინა სამეცნიერო კვლევა-ძიება ქართულ ენაზე, აღედგინა ქართული ნაციონალური მეცნიერება. მას ქართულად ჰქონდა დამზადებული ბევრი შრომა, რომელიც ქართული უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ სიმრავლით გამოდიოდა ზედიზედ.

ყველა ამას დაერთო ის გარემოება, რომ ი. ჯავახიშვილი, თუმც 1903 წელს პრივატ-დოცენტად მიინვიეს, 1907 წელს მაგისტრის სამეცნიერო ხარისხიც მიიღო, მაგრამ ის შემდეგ პროფესორად არ აირჩიეს, არამედ აირჩიეს ნ. ადონცი. რომელსაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიღებული

10 „შეგირდებიც“ შემდეგ ეწერა „მათ შორის“, რაც ჩასწორების შემდეგ ავტორს გადაუშლია - ა.კ.

11 თავიდან ეწერა „ადონცი“, ჩასწორების შემდეგ ავტორმა დაამატა სახელის პირველი ასო „ნ“ - ა.კ.

12 თავდაპირველად ეწერა „ივანე ჯავახიშვილი“, შემდეგ ავტორმა დატოვა მხოლოდ სახელის პირველი ასო „ი“ - ა.კ.

13 თავდაპირველად ეწერა „ნიკო მარმა“, შემდეგ დაუტოვებიათ სახელის პირველი ასო „ნ“ - ა.კ.

14 „რომ“-ის შემდეგ ეწერა „ჩენენ“, რაც ჩასწორებისას ავტორს გადაუშლია - ა.კ.

15 თავდაპირველად ნაცვლად ფრაზისა „მაგრამ არ აინტერესებდა სამსახურში დანინაურება“ ეწერა: „მაგრამ გული არ უთქვამდა რუსულად ეწერა თავისი გამოკვლევანი“ - ა.კ.

ჰქონდა. ამიტომ<sup>16</sup>, ამის შესახებ ერთი ქართული გაზეთის მიერ გამოიქმული გაკვირვება საქმის ვითარებას სისწორით ვერ ასახავდა და ივანე ჯავახიშვილი იძულებული შეიქმნა გაზეთითვე გაეფანტა იჭვები და აეხსნა საქმის ნამდვილი გარემობა.<sup>17</sup>

ივანე ჯავახიშვილის სამოღვაწეო ასპარეზი საქართველო იყო და მისი პეტერბურლის უნივერსიტეტში დარჩენის საკითხი თითქმის მოიხსნა.

ყველა ამის გამო მე მივმართე ივანე ჯავახიშვილს ვრცელი წერილით<sup>18</sup> და წინადადება მივეცი, გადმოსულიყო თბილისში, მიეღო თავმჯდომარეობა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ამ საზოგადოების სახელით დაწყუ ლექციების კითხვა საქართველოს ყველა დარგის კულტურიდან და აქვე გამოვსთქვი განზრახვა, მე დროებით წავსულიყავი საზღვარგარეთ. თანაც ვწერდი, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ეხლა შეუძლია ის მატერიალურად უზრუნველყოს. ივანემ მაცნობა, რომ ჩემი წინადადების შესახებ პირადად მომელაპარაკებოდა თვითონ, როდესაც თბილისში ჩამოვიდოდა, რადგანაც ეს მისთვის რთული საკითხი იყო და წერილობით ყველაფერს ვერ ამონურავდა.

ეს ჩემი წინადადება გამოწვეული იყო იმ დიდი სიყვარულით და თანაგრძნობით, რომელსაც იჩენდა ივანე ჯავახიშვილი ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი, ყოველი ჩვენი საყურადღებო ძეგლის აღმოჩენა და შეძენა მისთვის ნეტარება იყო. ძნელი გადმოსაცემია მისი სიხარული, როდესაც მე მოვიპოვე ხელნაწერი „მეფის კარის გარიგება“ და წავუკითხე ზოგიერთი ადგილი<sup>19</sup> იქიდან. ივანე ყოველთვის ესწრებოდა საზოგადოების<sup>20</sup> კრებებს, როდესაც თბილისში იყო, კითხულობდა რეფერატებს და საჯარო ლექციებს და ყველაფერში ხელს გვინყობდა. მისი თბილისში გადმოსახლება და სისტემატიური ლექციების კითხვა ჩვენს საზოგადოებას ერთგვარ სახალხო უნივერსიტეტის ხასიათს მისცემდა.

ამის შემდეგ, როდესაც ივ. ჯავახიშვილი თბილისში ჩამოვიდა და ჩემთან მოვიდა, დაწვრილებით მოვილაპარაკეთ ჩემი წინადადების შესახებ. პრინციპულად ის ყველაფერში დამთანხმდა, მაგრამ ერთი გარემოება წარმოადგინა,

16 „ამიტომ“-ის შემდეგ ენერა „ერთი“, მაგრამ ჩასწორებისას ავტორს გადაუშლია და იქ გადაუტანია, სადაც ახლაა - ა.კ.

17 იხილე მისი წერილი რედაქციისადმი (გაზეთი „სახალხო ფურცელი“, ტფ. 1916, 26.X, N 709, გვ. 3-4) [პრივ.-დოკ. ნ.გ. ადონცის პროფესორად არჩევის შესახებ გაზ. „საქართველოს“ რედაქციის შემცდარი მსჯელობა. საქმის ნამდვილი გარემოების განმარტება] - შენიშვნა ე. თაყაიშვილისაა.

18 ეს ჩემი წერილი ალბად, დაცულია ივანე ჯავახიშვილის არქივში - შენიშვნა ე. თაყაიშვილისაა.

19 თავდაპირველად ენერა „ადგილები“, შემდეგ ავტორს ჩაუსწორებია ისე, როგორც ახლაა - ა.კ.

20 ენერა „ჩვენ“, ჩასწორების შემდეგ ეს სიტყვა ავტორმა შეცვალა ისე, როგორც ახლაა - ა.კ.

რომელიც მას დიდად აბრკოლებდა<sup>21</sup>: თბილისში ვერ იშოვიდა ყველა სამეცნიერო წიგნებს და ლიტერატურას, რაც მისი კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი იყო. მე ამის შესახებ ვუთხარი, რომ მას დროგამოშვებით მიეცემოდა საშუალება პეტერბურლში მივლინებისა და ამას გარდა ჩვენ შევეცდებოდით, რომ მისთვის საჭირო ახალი სამეცნიერო წიგნები გამოგვეწერა, რაც კი სადმე გამოჩნდებოდა და ძველი გამოცემების გამონახვა და შეძენა საზღვარგარეთ მიგვენდო ჩვენი მეცნიერებისათვის. ყველა ამაზე თანხმობა განაცხადა, მხოლოდ კატეგორიული უარი სთქვა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეობის მიღებაზე. თავმჯდომარედ თქვენ უნდა დარჩეთ.

მას შემდეგ ის შეუდგა მზადებას თბილისში გადმოსახლებისათვის<sup>22</sup>. როდესაც რევოლუცია გაძლიერდა, ცარიზმი იძულებული გახდა გამოეცა კანონი, რომლის მიხედვით რუსეთის იმპერიაში შესაძლო იყო დაარსებულიყო კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლები არა რუსულ ენაზე. ესლა პირდაპირ დაისვა საკითხი ქართული კერძო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ თბილისში და ივანეც ამის მზადებას შეუდგა. ამას მოჰყვა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და ცარიზმი დაიმსხვრა.

ივანე ჯავახიშვილმა მალე ამის შემდეგ<sup>23</sup> მოიწვია უნივერსიტეტის გახსნის საინიცია-ტივო ჯგუფი, რომელმაც საკითხი გადაიტანა ეროვნულ კომიტეტის მიერ მოწვეულ კრებაში. აქ ვერ შეთანხმდნენ რა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი უფრო საჭირო იყო ჩვენთვის თბილისში, მაგრამ უმეტესი ნაწილი მაინც უნივერსიტეტის მომხრე იყო. მაისის პირველ რიცხვებში 1917 წელს ივანე ჯავახიშვილი გადმოვიდა თბილისში და თან მოიტანა უკვე დამზადებული წესდება ქართული კერძო უნივერსიტეტისა. მოვიდა ჩემთან, გამაცნო ყველაფერი დაწვრილებით და მთხოვა მიმელო<sup>24</sup> მონაწილეობა ამ უნივერსიტეტის დაარსების საქმეში და აქვე განაცხადა, რომ, როცა უნივერსიტეტის საბჭო შედგებოდა, პირადად მე დამტკიცებული ვიქნებოდი პროფესორად და მომენტებოდა დოქტორის ხარისხი ჰონორის კაუზა.

აქვე გადავწყვიტეთ 12 მაისისათვის მოგვეწვია კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლების დიდი კრება, რომელიც თავის თავს გამოაცხადებდა უნივერსიტეტის გახსნის დამუშავებელ კრებად და უნივერსიტეტის გახსნის სამზადისს შეუდგებოდა<sup>25</sup>. მართლაც, შედგა ასეთი კრება 12 მაისს. თავმჯდომარეობა ამ კრებისა ივანემ არასგზით არ იკისრა, მე მომხსენებელი ვარ

21 შემდეგ ტექსტში იყო: „ეს ის რომ“, მაგრამ ჩასწორებისას ავტორმა ეს სიტყვები გადაშალა - ა.კ.

22 შემდეგ ეწერა, „მაგრამ“, ჩასწორებისას ავტორმა გადაშალა - ა.კ.

23 ნაცვლად სიტყვებისა „მალე ამის შემდეგ“ ეწერა „ამავე თვეში“, რაც ჩასწორებისას ავტორს გადაუშლია - ა.კ.

24 შემდეგ ეწერა: „შესაფერი დამსარება, როგორც მომავალ პროფესორს“, ჩასწორების შემდეგ კი ავტორს გადაუშლია - ა.კ.

25 ნაცვლად ფრაზისა „უნივერსიტეტის გახსნის სამზადისს შეუდგებოდა“ ჩასწორებამდე ეწერა: „უნივერსიტეტის გახსნიდა 1918 წლის იანვრიდან“ - ა.კ.

და თავმჯდომარედ უსათუოდ შენ უნდა იყოვო, მითხრა. კრებას ბევრი ხალხი დაესწრო. ყველა დიდი სიხარულით და აღტაცებით შეხვდა ამ საქმეს. დავიწყეთ ბჭობა, ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა ჩვენი მხცოვანი და დიდად დამსახურებული მეცნიერი, ქიმიის პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. ის მე პირველად ვნახე და გავიცანი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან. მე, რასაკვირველია, მაშინათვე წინადადება მივეცი კრებას, რომ პროფესორი პ. მელიქიშვილი<sup>26</sup> აერჩიათ საპატიო თავმჯდომარედ, კრება ტაშის კვრით შეხვდა ამ წინადადებას. პეტრე მოვიდა და დაჯდა ჩემთან, მაგრამ კრების ხელმძღვანელობა არ ისურვა და მთხოვა მე გამეგრძელებინა.

ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება და წაიკითხა მის მიერ შედგენილი მომავალი უნივერსიტეტის წესდება, რის შემდეგ კრებამ ერთხმად გადაწყვიტა, დაარსებულიყო უნივერსიტეტის საზოგადოება და მისი წესდების შედგენა მიანდო ივანე ჯავახიშვილს, ხოლო თავისთავი კრებამ უნივერსიტეტის დაარსების დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა და ამასთანავე გადაწყვიტა უნივერსიტეტი გახსნილყო 1918 წლის დასაწყისში<sup>27</sup>.

1917 წლის 22 ივნისის კრებაზე დამტკიცდა ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების წესდება.

ამ საზოგადოებამ გამოჰყო თრი კომისია, აკადემიური და ფინანსიური. ფინანსიურს დაევალა ლონისძიების გამონახვა უნივერსიტეტის შესანახად, ხოლო აკადემიურს – ზრუნვა მეცნიერული ორგანიზაციისათვის. ამ კომისიაში შევიდნენ: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე, აკადემიურ კომისიას პქონდა სხვადასხვა დროს 9 სხდომა.

1917 წლის<sup>28</sup> 26 ნოემბრის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ ივ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარე), ექ. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე და დ. უზნაძე გადაწყდა<sup>29</sup>, დაარსებულიყო ჯერხანად ერთი ფაკულტეტი სიბრძნის მეტყველებისა ანუ ფილოსოფიური, რომელსაც შემდეგი წლიდან მიემატებოდა სხვა ფაკულტეტები.

1918 წლის<sup>30</sup> 13 იანვარს შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი სხდომა და თათბირი გვქონდა, თუ ვინ უნდა აგვერჩია რექტორად, დეკანად და მდივნად. ჩვენ გვინდოდა რექტორად ყოფილიყო ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ მან უარი თქვა<sup>31</sup> და წამოაყენა პროფესორ პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურა. ივანე ამბობდა – „პეტრე მელიქიშვილი დიდად ცნობილი მეცნიე-

26 თავდაპირველად ეწერა „პეტრე მელიქიშვილი“, შემდეგ გადაუშლიათ „პეტრე“ და ჩაუწერიათ ისე, როგორც ტექსტშია - ა.კ.

27 თავდაპირველად ეწერა „იანვრისათვის“, რაც ჩასწორების შემდეგ შეიცვალა სიტყვით „დასაწყისში“ - ა.კ.

28 „წლის“ ნაცვლად თავდაპირველად ეწერა „წელს“ - ა.კ.

29 „გადაწყდა“-ს შემდეგ ეწერა „საკითხი“, რაც ჩასწორების შემდეგ წაშალეს - ა.კ.

30 აქაც „წლის“ ნაცვლად თავდაპირველად ეწერა „წელს“ - ა.კ.

31 თავდაპირველად ეწერა „სთევა“, ჩასწორებისას „ს“ გადაშალეს - ა.კ.

რია, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსაო”.

ი. ჯავახიშვილის წინადადების თანახმად, პეტრე მელიქიშვილი არჩეულ იქნა რექტორად, დეკანად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი და მდივნად – იოსებ ყიფშიძე. ფაქტიური რექტორი მაინც ივანე ჯავახიშვილი იყო, რომლის დაუკითხავად რაიმე მნიშვნელოვან საქმეს პ. მელიქიშვილი არ გადაწყვეტდა<sup>32</sup>.

ამის შემდეგ 26 იანვარს<sup>33</sup> 1918 წელს ძველი სტილით უამრავი ხალხის დასწრებით და დიდის ზემით გაიხსნა პირველი ქართული კერძო უნივერსიტეტი, რომელშიაც თავი მოიყარეს რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ქართველმა პროფესორებმა.

1918 წლის 3 სექტემბერს თბილისის ქართული კერძო უნივერსიტეტი გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტად, მაგრამ მენშევიკური მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩვენს უნივერსიტეტს. უნივერსიტეტი ბევრ დაბრკოლებას განიცდიდა, მიუხედავად ამისა, პროფესორთა დაუღალავი მეცადინეობით მწყობრად და ჯეროვნად მიღიოდა ლექციების კითხვა. მხოლოდ ერთმა ინციდენტმა, ცოტა არ იყოს, შეარყია<sup>34</sup> ეს მდგომარეობა.

ჩვენ ზემოთ მოვიხსნიეთ, რომ პირველ რექტორად, არჩეულ იქნა<sup>35</sup> პეტრე მელიქიშვილი. პეტრე დიდი მეცნიერი იყო და კარგი ქართველი. მაგრამ ერთი ახირებული ზნე სჭირდა: ოპონენტების აზრს, რომელიც მისას არ ეთანხმებოდა, ვერ ითმენდა და სტოვებდა კრებას. გაჯავრებული, ჯერ სერთუკის ღილების შეკვრას დაიწყებდა, რაც იმის<sup>36</sup> 2 მაჩვენებელი იყო, რომ წასასვლელად ემზადებოდა. ერთ კრებაზე, რომელსაც მე არ დავსწრებივარ, მაგრამ, რომლის მსვლელობის ამბავი ივანე ჯავახიშვილმა დაწვრილებით მიამბო, პეტრეს შეტაკება მოსვლია ოპონენტებთან, რომელიც ოდესის უნივერსიტეტიდან იყვნენ მოსულნი ჩვენთან. პეტრეს მათთან ოდესაშივე<sup>37</sup> პეტრია უთანხმოება. პეტრე<sup>38</sup> ამ სხდომაზე<sup>39</sup> ძალიან გაჯავრებულიყო და გაეცხადე-

32 „მდივნად - იოსებ ყიფშიძე“ . შემდეგი ფრაზა თავდაპირველად ასე იკითხებოდა: - „ხოლო, რა თქმა უნდა, ფაქტიური რექტორი მაინც ივანე ჯავახიშვილი იყო, ყველაფერს ის აკეთებდა, ყველაფერს ის განაგებდა და პეტრე მზამზარეულ წარდგენილ ქაღალდებს და ოქმებს ხელს აწერდა“ - ა.კ.

33 თავდაპირველად შეცდომით დაუწერიათ „ივნისს“, ჩასწორებისას კი შეუცვლიათ ისე, როგორც ტექსტშია - ა.კ.

34 თავდაპირველად ეწერა „შეამფოთა“, რაც ჩასწორების შემდეგ შეუცვლიათ „შეარყია“-თი - ა.კ.

35 თავიდან ეწერა „არჩეული იყო“, ჩასწორების შემდეგ კი გასწორდა „არჩეულ იქნა“ - ა.კ.

36 თავდაპირველად ეწერა „ეს იმისი“, შემდეგ ისე გასწორდა, როგორც ტექსტშია - ა.კ.

37 თავიდან ეწერა „იქვე“, მერე გასწორდა „ოდესაშივე“-თი - ა.კ.

38 ეწერა „პეტრეს“, გასწორდა შემდეგ „პეტრე“ - ა.კ.

39 „სხდომაზე“-ს შემდეგ ეწერა „უშვერი სიტყვები ეხმარა“, რაც ჩასწორების შემდეგ ამოღებულ იქნა - ა.კ.

ბინა, რომ ის სულ სტოკებს თბილისის უნივერსიტეტს და რექტორობაზედაც უარს ამბობს და პროფესორობაზეც. ივანე ჯავახიშვილმა მითხვა: „ეს დიდი სკანდალია ჩვენი უნივერსიტეტისათვის“<sup>40</sup> და მთხოვა, - გვიშველე რამეო. მოელაპარაკე პეტრეს, შენი პატივისმცემელია და დაგიჯერებსო. ნუ გვიზამს ამ საქმეს, თუ დაიუინებს, რექტორობიდან გავათავისუფლებთ<sup>41</sup>, მაგრამ პროფესორად უთუოდ უნდა დარჩესო.

წავედი პეტრესთან, მას<sup>42</sup> დიდად ეამა ჩემი მისვლა. ეტყობოდა შეწუხებული იყო ინციდენტის<sup>43</sup> გამო, დავუწყე ლაპარაკი და ავუხსენი, თუ რა ცუდი შედეგი იქნებოდა უნი-ვერსიტეტისათვის მისი მოშორება და სხვა. და ბოლოს ვუთხარი<sup>44</sup>, თუ მაინც და მაინც საჭიროა, ეგბის იმაზე დაგეთანხმოთ, რომ რექტორის მოვალეობისაგან გაგათავისუფლოთ, მაგრამ პროფესორად უთუოდ<sup>45</sup> უნდა დარჩეთ და თქვენს ფაკულტეტს გაუძღვეთ-მეთქი. მე დავსძინე: თქვენ ჩვენი უნივერსიტეტის დამამშვენებელი ბრძანდებით, ჩვენ ყველანი დიდი პატივით შეგუურებთ, ამაში მენდეთ, პირფერობით არ გეუბნებით ამას და ნუ ინებებთ ისეთ საქმეს, რომელიც თქვენ არ შეგეფერებათ და უნივერსიტეტს ვნებას მოუტანს-მეთქი.

წარმოიდგინეთ, პეტრე ატიორდა, ცრემლები გადმოყარა, მითხვა: „დიდად გმადლობთ თანაგრძნობისათვის, თქვენი ყველაფერი მჯერაო“, ადგა და გადამკოცნა. „რექტორობა არ შემიძლია და პროფესორად დავრჩებიო“. და მართლა დარჩა<sup>46</sup>. ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი ამოვირჩიეთ რექტორად და ისიც იძულებული გახდა მიეღო ეს თანამდებობა<sup>47</sup>.

ამრიგად, დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. ამჟამად, აღარა გვყავს მისი დაარსების მეთაური ივანე ჯავახიშვილი, ეს უებრო ადამიანი, პირველ ხარისხოვანი საზოგადო მოღვაწე, ბუმბერაზი მეცნიერი, ფუძემდებელი ქართული სიბრძნის მეტყველების<sup>48</sup> ყველა დარგის ისტორიისა.

40 შემდეგ ეწერა: „განა არ იტყვიან მტრები, ეს რა უნივერსიტეტია, თუ ასეთმა მეცნიერმაც ვერ სცნო საჭირო იქ დარჩენაო“, რაც შემდეგ ამოღებულ იქნა - ა.კ.

41 თავდაპირველად ეწერა: „გავანთავისუფლებთ, რა თქმა უნდა“, ჩასწორებისას პირველ სიტყვაში „ნ“ წაუშლიათ და „რა თქმა უნდა“ მთლიანად ამოუღიათ ტექსტიდან - ა.კ.

42 „მას“ ნაცვლად თავდაპირველად ეწერა „პეტრეს“ - ა.კ.

43 ეწერა „ინცინდენტის“, რაც გასწორდა - ა.კ.

44 „ვუთხარი“-ს შემდეგ ეწერა „თუ დაიუინებთ რექტორობიდან გაგანთავისუფლებთ“, რაც შემდეგ ჩასწორდა ისე, როგორც ტექსტშია - ა.კ.

45 თავდაპირველად ეწერა: „მაინც უნდა“, რაც ჩასწორებისას შეიცვალა „უთუოდ“ - ით - ა.კ.

46 „დარჩა“-ს შემდეგ იყო ფრაზა - „შემდეგ ჩემს დროს არაფერი უსიამოვნება არ შეხვედრია“, რაც ჩასწორებისას წაშალეს - ა.კ.

47 შემდეგ ტექსტში იყო ფრაზები: „ფაქტობრიგად ხომ მაინც ის ასრულებდა ამ მოვალეობას. ამის შემდეგ მე მომიხდა საზღვარგარეთ წასვლა და დანარჩენი თქვენ მოგეხსენებათ“, რაც ჩასწორების მერე წაშალეს - ა.კ.

48 ეწერა „მეტყველებისა“, მერე გაასწორეს „მეტყველების“-ად - ა.კ.

მის მიერ დატოვებული მეცნიერული მემკვიდრეობა ქვაკუთხედია, რომელზედაც საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით ფართოდ და ასე დიდის წარმატებით შენდება დღეს ყველა დარგი ქართული მეცნიერებისა. ეს მშენებლები უმეტეს შემთხვევაში ივანეს მიერ განაფული პროფესორებია ან ამ პროფესორების შეგირდები.

ივანე ჯავახიშვილი უდროოდ მოშორდა საქართველოს მეცნიერებას, მაგრამ მისი ლგანწლი და სახელი ცოცხალია და ცოცხალი დარჩება<sup>49</sup>.

**საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონ. 471, ან. 46, საქ. 98, ფურ. 1-12.**

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1968, ტ. 1, გვ. 416.
2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, გამოსაცემად მოამზადეს და საძიებლები დაურთეს მანანა ლილუაშვილმა და ზურაბ გაიპარაშვილმა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2006, გვ. 8.
3. ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის, შემდგენელი დავით სართანია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2018, გვ. 173-174.
4. ი. ლოლაშვილი, ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1980, გვ. 86.
5. ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989, გვ. 315-316, 319-320.
6. ქ. ნუცუბიძე, შალვა ნუცუბიძე, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1994, გვ. 49-50;

<sup>49</sup> „დარჩება“-ს შემდეგ ეწერა: „მანამ საქართველო იარსებებს“, რაც ჩასწორების შემდეგ წაუშლიათ - ა.კ.

A. KOKHREIDZE

**UNKNOWN VERSION OF EKVTIME TAKAISHVILI'S  
“MEMORIES” ABOUT IVANE JAVAKHISHVILI AND SOME  
RELATED ISSUES**

Summary

In the collections of the National Archive of Georgia we have found unknown version of Ekvtime Takaishvili's “Memories” about Ivane Javakhishvili and his letter to Ak. Shanidze, describing political environment It turned out that I. Stalin's publication in 1950 (newspaper “Pravda”, June, July, August) against N. Marr's Japheth theory has influenced E. Takaishvili to certain extent and, regarding the existing reality, he abstained from mentioning some episodes of relationships between N. Marr and Iv. Javakhishvili, in his “Memories”. Though, as a knightly person, high-minded scientist and citizen, he has never said or written anything bad about his gymnasium friend. On the contrary, he even used to criticize some of his colleagues for such actions.

For studying of the history of Tbilisi State University, the “Memories” provide the fact of great significance, after February revolution in 1917, incentive group intending establishment of the university, under the leadership of Iv. Javakhishvili, submitted this proposal to the session of Georgian National Committee (chairman: Z. Avalishvili) existing in the capital city of Russian Empire. Some people were against establishment of the university, supporting establishment of the higher education institution of technical profile (N. Nikoladze) and the decision was not unanimous, though majority of the session participants voted for Iv. Javakhishvili's proposal on establishment of the university. In the soviet period Committee members were either mentioned in negative context (mostly) or they were not mentioned at all (at best) and this resulted in hiding the mentioned version of the “Memories” by E. Takaishvili in the secret fund, for the past years.

The work argues that E. Takaishvili has incorrectly specified the time of the episode related to the first rector of the University while the fact is described properly, as evidenced by the documentary materials of establishment of the University. At the same time, statement of some people that the University constitutive meeting was arranged on 12 May 1917 at Petre Melikishvili's apartment in Tbilisi, is erroneous. P. Melikishvili has not been in Tbilisi up to 3 October and hence, on 12 May the meeting could not be held at his apartment.

The mentioned facts clarify some substantial episodes of the history of Tbilisi State University establishment and present the real events related to it.

---

**А. П. КОХРЕИДЗЕ**

**НЕИЗВЕСТНЫЙ ВАРИАНТ «ВОСПОМИНАНИЙ» ЭКВТИМЕ  
ТАКАИШВИЛИ, ПОСВЯЩЕННЫЙ ИВАНЭ ДЖАВАХИШВИЛИ,  
И СВЯЗАННЫЕ С НИМ НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ**

Резюме

В фондах Национального архива Грузии нами был обнаружен неизвестный вариант «Воспоминаний» Эквтиме Такаишвили, посвященный Иванэ Джавахишивили, и его же письмо к А. Шанидзе, которое знакомит нас с политической средой «Воспоминаний». Выясняется, что выступление Сталина в прессе («Правда», июнь, июль, август) с критикой яфетической теории Н. Марра в 1950 году, оказало определенное влияние на Э. Такаишвили, и с учетом сложившейся реальности, он воздержался от упоминания в «Воспоминаниях» ряда эпизодов из отношений Ив. Джавахишивили с Н. Марром. Хотя, как и положено достойному ученому и гражданину, он не сказал и не написал ничего предосудительного о своих гимназических друзьях. Напротив, за подобные действия он критиковал некоторых коллег.

В изучении истории Тбилисского государственного университета большое значение придается сохранившемуся «Воспоминаниям» тому факту, что после Февральской революции 1917 года, инициативная группа по основанию университета во главе с Ив. Джавахишивили, вынесла это предложение на Совет национального комитета Грузии (председатель В. Авалишвили), в столице Российской империи. Правда, были и противники открытия университета, которые являлись сторонниками основания учебного заведения технического профиля (Н. Николадзе). Решение не было единогласным, однако большинство участников совета поддержало предложение Ив. Джавахишивили. В советский период о членах национального комитета высказывались не в лучшем свете (чаще всего) или же, вообще не упоминали о них (в лучшем случае), что и предопределило судьбу данного варианта «Воспоминаний» Эквтиме Такаишвили, который в течение долгих лет был перепрятан в секретномфонде.

В труде документально подтверждено, что Э. Такаишвили путает время эпизода, связанное с первым ректором университета, хотя сам факт описывает верно, что подтверждается документальным материалом отражающим детали основания университета. Вместе с тем, утверждение некоторых, будто бы 12 мая 1917 года в Тбилиси, в квартире Петре Меликишвили, состоялось собрание основателей университета, не соответствует действительности. П. Меликишвили до 3 октября не находился в Тбилиси, таким образом, 12 мая в его квартире не могло состояться собрание.

Данные факты вносят коррекцию в отдельные, однако значимые эпизоды истории основания Тбилисского государственного университета и реально отображают связанные с ней явления.

## შოთა ვაჟაფარია

### ექვთიმე თაყაიშვილი ქართული ემიგრაციის ერთიანობისთვის პრემილის სათავეებთან (1921-1940 წ.)

საქართველოს სახელმწიფო პრიობის აღსადგენად და საბჭოთა საოცუ-  
პაციო რეჟიმისგან ქართველი ერის გასანთავისუფლებლად მომზადებული  
1924 წლის აჯანყების დამარცხებამ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის  
რიგებში სრული ქაოსი დაამკვიდრა. ამ პროცესის გაღრმავებას, საბჭოთა  
სპეცსამსახურების გააქტიურებაც უწყობდა ხელს. შექმნილი უმძიესი მდგო-  
მარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთ საშუალებას, საქართველოს ემიგრაციული  
მთავრობის გარშემო, ქართული პოლიტიკური პარტიების ლიდერების გაერ-  
თიანება და ერთობლივი ძალისხმევით, ანტისაბჭოთა ფრონტის მაკორ-  
დინერებელი ორგანოს შექმნა წარმოადგენდა. დასახული მიზნის პირველ  
საფეხურად, პარტიათა შორის კონსესუსზე დაფუძნებული შეთანხმების  
დოკუმენტის მიღება აუცილებლობად იქნა მიჩნეული. ამ მხრივ, გაბედული  
ნაბიჯი 1925 წლის 16 ნოემბერს გადაიდგა. მხედველობაში მაქეს ემიგრაცი-  
აში მყოფი 4 პოლიტიკური პარტიის (სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ დე-  
მოკრატები, სოციალისტ ფედერალისტები, სოციალისტ რევოლუციონერები)  
ლიდერების (კ.ჩხეიძე, გ.გვაზავა, შ.ამირეჯიბი, ს.ფირცხალავა, იას.გობეჩია)  
მხრიდან „შეთანხმების დებულებაზე“ ხელმოწერა. ამ დოკუმენტის მიხედვით:

- 1) „შეთანხმების“ პოლიტიკურ პარტიებს ერთობლივად უნდა ეწარმოებინათ  
ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად;
- 2) საქართველოს ემიგრაციული მთავრობისა და დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგა-  
რეთული დელეგაციის მოქმედება, საქართველოს გასანთავისუფლებლად  
უნდა ყოფილიყო მიმართული;
- 3) ფრონტის ერთიანობის შესანარჩუნებლად, თითოეული პარტიის წარმომადგენელს, შეთანხმების ყველა მუხლი მკაცრად  
უნდა დაეცვა.<sup>1</sup>

ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციას, ანტი-  
საბჭოური ემიგრაციული ფრონტის ერთიანობის შენარჩუნებასა და მის გან-  
მტკიცებას ისდახავდა მიზნად, ინტერპარტიულ დელეგაციაში გ.გვაზავასა  
და რ.გაბაშვილის შეყვანა. დოკუმენტური მასალით ისიც დადასტურებულია,  
რომ ეროვნული ფრონტიდან (ცენტრიდან) ეროვნულ დემოკრატიული პარ-  
ტიის გასვლის ფაქტი რ.გაბაშვილმა, მთავრობის თავმჯდომარის სახელზე  
დაწერილი განცხადებით დაადასტურა. პარტიის სახელით მისი მხრიდან ეს  
ნაბიჯი, იმავე პარტიის წევრთა უმრავლესობისთვის და განსაკუთრებით

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ ერთი დამფუძნებლისთვის – ექვთიმე თაყაიშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მითუმეტეს, რ.გაბაშვილის ეს ქმედება, განსაკუთრებულ ამბიციურობაზე იყო დაფუძნებული და ქართული ემიგრაციის ერთიანი ანტისაბჭოური ფრონტის რლვევას ისახავდა მიზნად. რ.გაბაშვილის მხრიდან პოლიტიკური ემიგრაციის მიმართ დაწყებული „პოლიტიკური თამაშის“ მძიმე შედეგების გარდუვალობა, ე.თაყაიშვილმა დროულად შენიშნა და ემიგრაციისათვის ამ დარტყმის აცილება, აუცილებლობად მიიჩნია. მხედველობაში მაქვს, მისი უშუალო ინიციატივით, 1929 წლის 28 აპრილს მოწვეული ეროვნულ დემოკრატიული პარტიის პასუხისმგებელ წევრთა საგანგებო კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი გვაზავა, ივანე ზურაბიშვილი, დავით სხირტლაძე, პავლე თუმანიშვილი, ნიკო ჯაყელი, იოსებ სარჯველაძე, დიმიტრი აფხაზი. საოქმო ჩანანერების მიხედვით, კრებას ე.თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა. დღის წესრიგის ერთადერთ საკითხს, რ.გაბაშვილის მიერ მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შეტანილი განცხადების კანონზომიერება წარმოადგენდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, იმავე კრების საოქმო ჩანანერებში ვკითხულობთ: „ბ-ნ, რეზო გაბაშვილს კომიტეტის სახელით წარუდგენია ეროვნულ ცენტრში მემორანდუმი ულტიმატუმი მოთხოვნებისა... საჭიროდაც არ დაუნახავს პასუხისთვის მოეცადა და განუცხადებია წერილობით მთავრობის თავმჯდომარისათვის პარტიის სახელით, რომ ეროვნულ დემოკრატიული პარტია გადის საერთო ეროვნული ფრონტიდან და იწვევს ყველა პარტიულ წევრს საერთო ფრონტის ორგანიზაციებიდან.“<sup>2</sup>

ჩემს მიერ მოტანილი ამონანერით ირკვევა, რომ რ.გაბაშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯი, ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ძალთა კონსესუსზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული ფრონტის დარღვევის მცდელობის პირველ საფეხურს წარმოადგენდა. მისადმი შესაბამისი პასუხის გაცემა, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერების მხრიდან უნდა მომხდარიყო. ეს მძიმე და საპასუხისმგებლო ტვირთი ექვთიმე თაყაიშვილმა თავის თავზე აიღო და იმავე კრების მონაწილეებს შეახსენა: 1) ემიგრაციაში ეროვნული ფრონტის მთლიანობის აუცილებლობა, საქართველოში მოქმედი მებრძოლი ორგანიზაციის მიერ იყო მიღებული და მის დაუკითხავად, საზღვარგარეთ დროებით შექმნილ ორგანიზაციას, ასეთი რადიკალური გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო; 2) რამდენადაც რ.გაბაშვილის მიერ კომიტეტის სახელით გაკეთებული განცხადება, იმავე კომიტეტის თავმჯდომარესთანივ. ზურაბიშვილთან და კომიტეტის სხვა წევრებთან შეთანხმებული არ იყო, იგი პარტიის ნებაყოფლობის გამომხატველად ვერ ჩაითვლებოდა. ამ და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებიდან გამომდინარე, კრების მიერ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „1) განცხადება ბ-ნ. გაბაშვილისა, მთლიანი ფრონტის დაშლის შესახებ ჩაითვალოს... საფუძველს და ძალას მოკლებულად. ის არ არის სავალდებულო ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრებისათვის; 2) 1925 წლის შეთანხმებით დაარსებული ე.ნ. „გამაერთიანებელი ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიურო“

გამოცხადებული იქნას დაშლილად და გაუქმებულად; 3) ამ კრეპაზე დამსწრე პარტიის პასუხისმგებელი წევრებიდან დაარსდეს... საზღვარგარეთული პარტიის ორგანო სახელწოდებით – „საზღვარგარეთული კომიტეტი ეროვნულ დემოკრატიული პარტიისა“ და აღიარებული იქნას იგი როგორც ერთიანი უმაღლესი ორგანო გაერთიანებული ეროვნულ დემოკრატიული პარტიისა, რომელმაც უნდა იქონიოს სათანადო კავშირი საქართველოსთან.“<sup>3</sup> იმავე კრების დადგენილებით დამტკიცდა ბიუროს ახალი შემადგენლობა (ივანე ზურაბისვილი (თავმჯდომარე), გიორგი გვაზავა (მოადგილე), დავით სხირტლაძე, იოსებ სარჯველაძე (მდივანი). ეროვნულ ცენტრში წარმომადგენლობა ივ. ბურაბიშვილს და გ. გვაზავას მიენდო.

ე. თაყაიშვილის ძალისხმევით, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მხრიდან ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის გაგრძელების მიუხედავად, 1931 წლიდან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის რიგების ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. ევროპაში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, ემიგრაციის შიგნით წარმოქმნილი პრობლემების დროული მოგვარება აუცილებელი შეიქმნა. ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის გადადგმის მცდელობას 1931 წელს ჰქონდა ადგილი. მხედველობაში მაქვს საქართველოს მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრების და დამოუკიდებელი კომიტეტის დელეგაციის გაერთიანებული სხდომა (1931 წლის 3 იანვარი). მსჯელობის ძირითად საგანს ემიგრაციის შიგნით დაპირისპირების განმაპირობებელი მიზეზების გარკვევის და ერთობლივად მისი აღმოფხვრის გზების ძიება წარმოადგენდა. ამ საკითხზე მოხსენება 6. ჟორდანიამ გააკეთა. იგი დამსწრე საზოგადოების მისამართით აცხადებდა: „ემიგრაციას ნაციონალური დისციპლინისკენ უნდა მოვუწოდოთ, თუ ეს არ ვქენით, მაშინ რა აზრი აქვს ჩვენს აქ ყოფნას! მართალია, საქმე წყდება არა აქ, არამედ იქ საქართველოში, მაგრამ ემიგრაციას საქმისთვის ვნებაც შეუძლია.“ ასეთი პრეამბულის შემდეგ, მან კატეგორიულად დააყენა საკითხი ემიგრაციის რიგებში უმაცრესი დისციპლინის დამყარების აუცილებლობის შესახებ. ამ მიმართულებით გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას, 6. ჟორდანია ეროვნულ ცენტრს აკისრებდა. იმ შემთხვევაში, თუკი ემიგრაციის პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთობა დაპირისპირების ფორმით გაგრძელდებოდა, 6. ჟორდანიას სიტყვებით რომ ვთქვათ, – ენერგიის დახარჯვისა და შრომის განევის მიუხედავად, ემიგრაცია საქართველოს სასიკეთოდ ვერაფერს გააკეთებდა. მითუმეტეს, ევროპაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური პროცესების ცვალებადობის ფონზე, პოლიტიკური ოპონენტებისგან უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებთან საქართველოს ემიგრაციული მთავრობის დაბეზღება „ჩაშვების“ ფაქტებს ჰქონდა ადგილი. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წინააღმდეგ იმ ეტაპზე გამოცხადებული აღნიშნული „იდეოლოგიური ომი“, ნებსით თუ უნებლივედ საბჭოთა რუსეთის შესაბამისი სამსახურების ინტერესების ჩარჩოში თავს-დებოდა. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირების და პოლიტიკურად აწენილი მიმდინარე

პროცესების სილრმისეული ანალიზი, ქართულ ემიგრაციას მონოლითურობასა და შეთანხმებულად მოქმედებას ავალდებულებდა. მოუფიქრებლად და ნაჩქარევად გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს, საქართველოს საკითხის, ეპროპის ქვეყნების დიპლომატიური საქმიანობის დღის წესრიგიდან ამოღება და სამუდამოდ დასამარება შეეძლო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართული ემიგრაციის ლიდერთა ნებისმიერი ოფიციალური ქმედება, შორსგამიზნულ პერსპექტივაზე უნდა ყოფილიყო გათვლილი და ცდომილებისგან მაქსიმალურად დაცული. ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუკი ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ძალები საქართველოს კანონიერ მთავრობასთან ერთიან მაკოორდინირებელ ორგანოს შექმნიდა და კონსესუსზე დაფუძნებულ მოქმედების სამომავლო გეგმასაც შეიმუშავებდა. პრობლემის მოგვარების მცდელობას შეიცავდა საქართველოს მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრების, დამოუკიდებელი კომიტეტის დელეგაციის 1932 წლის 16, 20 და 25 ივნისის ერთობლივი სხდომები. სამდღიანი დისკუსიისა და შესაბამისი დადგენილებების მიღების მიუხედავად, საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

ევროპაში საომარი მოქმედებების დაწყებამ და საბჭოთა რუსეთთან ფაშისტური გერმანიის დაპირისპირების გარდუვალობამ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წინაშე ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების აუცილებლობა დააყენა. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს კანონიერი მთავრობისადმი მხარდამჭერი ემიგრაციული პოლიტიკური ძალების ელიტარულ ფრთას უნდა ეთქვა. მითუმეტეს, იმ ეტაპზე ევროპის უდიდესი ქვეყნები, მნიშვნელოვან ანგარიშს მხოლოდ საქართველოს ემიგრაციულ მთავრობას უწევდა. ამ ფაქტორის არგამოყენება, მომავალი თაობებისა და ისტორიის წინაშე, ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ძალების დანაშაულებრივ ქმედებად ჩაითვლებოდა. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა, ქართული ემიგრაციის ერთ-ერთმა ინტელექტუალმა ლიდერმა და საქართველოს კანონიერი მთავრობისადმი მხარდამჭერმა ექვთიმე თაყაიშვილმა კარგად შენიშნა, და ამ სფეროში არსებული სიცარიელის ამოვსებას შეეცადა. პრობლემის მოგვარების მცდელობის მიზნით, მისი ინიციატივით 1940 წლის 4 თებერვალს დამფუძნებელი კრების წევრთა საგანგებო თათბირი იქნა მოწვეული, რომელსაც 18 წარმომადგენელი დაესწრო.

აღნიშნული სხდომის თავმჯდომარემ ე.თაყაიშვილმა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთიანობის აუცილებლობის საკითხი დააყენა. იმავდროულად, იქ შეკრებილთ მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნის ხელშეწყობისკენ მოუწოდა. მისივე თქმით, ახლადშექმნილ ორგანოს, ემიგრაციაში მყოფი ქართველების შემაკავშირებელი დატვირთვის ფუნქცია უნდა შეესრულებინა და რაც მთავარია, ემიგრაციულ მთავრობასთან ერთად მიღებული გადაწყვეტილებებით, საქართველოს გასანთავისუფლებლად ხელშემწყობი საფეხური მოემზადებინა. იმავე ე.თაყაიშვილის სამართლიანი მტკიცებით, ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის გადადგმას, ევროპაში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური პროცესებიც განაპირობებდა. ეს თვალსაზრისი,

ნ.ჟორდანიამაც გაიზიარა და იქ დამსწრე საზოგადოების წინაშე თავისი პოზიცია შემდეგი ფორმით ჩამოაყალიბა: 1) ქართული ემიგრაციის 19 წლიანი ისტორიის განმავლობაში, ევროპაში პირველად მომზადდა ისეთი ხელსაყრელი მომენტი, რომლიც საქართველოს გასანთავისუფლებლად შეიძლება გამოყენებულიყო; 2) პოლიტიკური პროცესები ქართულ ემიგრაციას კარნახობდა, რომ პასუხისმგებელი პირების შეკრებაზე გადაწყვიტათ, თუ რა ფორმით მომხდარიყო არსებული დაპრკოლებების დაძლევა და ევროპაში ემიგრაციული მთავრობის ინტერესების დაცვა; 3) ორად გაყოფილი ევროპის პოლიტიკური ძალებიდან, მხარდაჭერა მოკავშირებისადმი გამოეცხადებინათ და ეს პოზიცია, შესაბამისი დოკუმენტით გაეხმოვანებინათ.

იმავე სხდომის საოქმო ჩანაწერების მიხედვით, პოლიტიკურ ძალთა ერთიანობის აუცილებლობისა და ორიენტაციის საკითხთან მიმართებაში, ნ.ჟორდანიას მიერ წარდგენილი დეკლარაციის განხილვა, მწვავე დისკუსიის ფონზე წარიმართა. რაც შეეხება ერთიანი მაკომინინერებელი ორგანოს შექმნას, იმ ეტაპზე შეუძლებელი გახდა. აქედან გამომდინარე, მიღებული დადგენილებით, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მომდევნო სხდომისთვის იქნა გადატანილი. საარქივო მასალების მიხედვით, ექვთიმე თაყაიშვილისავე ძალისხმევით და თავმჯდომარეობით, ეს სხდომა 1940 წლის 2 მარტს, დღის სამ საათზე გაიხსნა. შეკრების მონაწილეთა წინაშე მის მიერ წარმოთქმული ვრცელი შესავალი სიტყვა, შემდეგ ძირითად დებულებებს შეიცავდა: 1) საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის მიერ, საქართველოს ოკუპაციით უცხოეთში გახიზნული მთავრობისადმი მიცემულ დაკვეთას, ქვეყნის სუვერენიტეტის აღსადგენად ევროპაში მუშაობის გაგრძელება წარმოადგენდა; 2) 1924 წლის აჯანყების დამარცხებამ, პარტიების ფრაქციებად დაქუცმაცებამ და ურთიერთდაპირისპირებამ, პოლიტიკური ემიგრაციის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დააზიანა. ევროპაში მიმდინარე გართულებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და საომარი მოქმედებების გარდუვალობამ, ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ძალების გაერთიანების აუცილებლობა მოითხოვა. დასახული ამოცანის გადაწყვეტა, საფრანგეთში მყოფი დამფუძნებელი კრების წევრთა შეკრებაზე ერთიანი ეროვნული ორგანოს შექმნით იყო შესაძლებელი; 3) იმ შემთხვევაში, თუკი კოალიციისგან საქართველოს „განთავისუფლების“ საკითხი დადგებოდა დღის წესრიგში, ე.თაყაიშვილის მტკიცებით, ქვეყნის პატრონობისთვის დამფუძნებელი კრების წევრები უნდა შეკრებილიყო და ახალი საპარლამენტო არჩევნები დაენიშნა. ამ ფონზე, მას დაუშვებლად მიაჩნდა საქართველოს ემიგრაციული მთავრობის, ყოფილი მთავრობის ფორმით მოხსენიება, ან მისი გაუქმების მოთხოვნის დაყენება. ე.თაყაიშვილისავე მტკიცებით, რამდენადაც მთავრობა დამფუძნებელი კრების მიერ იყო არჩეული, იგი ლეგიტიმურ მთავრობად უნდა ყოფილიყო აღიარებული. იმავდროულად დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საბჭოთა რუსეთისგან დაპყრობილი იმ ერების ემიგრაციამ, რომელსაც მთავრობა არ ჰყავდა, ეს პროცედურული აქტი ევროპაში განახორციელა. ეს ფაქტი, საქართველოს მთავრობისადმი ემიგრაციას მეტი პასუხისმგებლობით

დამოკიდებულებას ავალდებულებდა. მითუმეტეს, ევროპის დიდი სახელმწიფოების მეთაურები, ამ მთავრობას საქართველოს საკითხთან მიმართებაში წარსულშიაც და იმ ეტაპზედაც ელაპარაკებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი ქართული ემიგრაციის მესვეურები ეროვნულ მთავრობას იგნორირებას გაუკეთებდა, მისი ცნობა აღიარების აუცილებლობას, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ვერ მოთხოვდნენ; 4) მთავრობის ეფექტიანი მუშაობისთვის, ე.თაყაიშვილს აუცილებლობად მიაჩნდა საზოგადოებისგან არჩეული ახალგაზრდების ბაზაზე მთავრობასთან მომუშავე 45 კაციანი წარმომადგენლობის შექმნა. მისი ვალდებულება, საზოგადოებისადმი პერიოდულად ანგარიშის გაკეთება უნდა ყოფილიყო. დამფუძნებელი კრების წევრებისა და ახლად მოწვეული პირებისგან, თანასწორუფლებიანობის პრინციპზე ეროვნული საბჭო ან კომიტეტი უნდა შექმნილიყო, ხოლო მის ბაზაზე, რამდენიმე კაციანი პრეზიდიუმი.<sup>4</sup> თავისი სიტყვის დასასრულს, ე.თაყაიშვილი დამსწრე საზოგადოებას ერთხელ კიდევ შეახსენებდა: „ბ.ბ. მომენტი დიდად საპასუხისმგებლოა. ამ პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე ვერცერთი ჩვენგანი ვერ აიცდენს. ჩვენი ქვეყანა გაძარცული და პატივაყრილი საკონცენტრაციო ლაგირს წარმოადგენს. არაფერი არ იციან რა ხდება ქვეყანაზე. ამ მდგომარეობაში... იქ ყველა ემიგრაციაზე და მთავრობაზე ამყარებს იმედს. ამათგან მოელის ზრუნვას და შველას. თუ ამ დროს ჩვენ უკუ არ ვაგდეთ ქშპობა, უთანხმოება, პირადი ამბიციები და საერთო საქმეს ერთობლივად შეთანხმებით ვერ გავუძეხით, ჩვენ ამას სამშობლო არ გვაპატიებს. ამიტომ სრული იმედი მაქვს, რომ ყველა თქვენგანი ჩაებმება საერთო საქმეში, არ დაზოგავს თავს, გამოიჩნენ მაქსიმალურ ენერგიას და გაკეთებაც შეუძლია საქართველოსთვის.“<sup>5</sup>

ე.თაყაიშვილის ზემოაღნიშნული სიტყვა, ქართული ემიგრაციის სინამდვილეზე იყო მორგებული და ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს იმდენად შეესაბამებოდა, რომ საქართველოს ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე ნ.უორდანიამ მაღალი შეფასება მისცა. „იმ შშვენიერი სიტყვის შემდეგ – განაცხადა მან, – რომელიც ეხლა თქვენ მოისმინეთ, მე ბევრი არაფერი დამრჩა სათქმელი...“<sup>6</sup>

საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ იმავე ექვთიმე თაყაიშვილმა, ქართველთა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სახელით 1940 წლის აპრილში საგანგებო მოწოდებით მიმართა ქართულ ემიგრაციას.<sup>7</sup> აღნიშნული დოკუმენტი, ქართული ემიგრაციის ლიდერებს ერთიანობისკენ, ევროპაში მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური პროცესების სწორად გააზრებისკენ, თავდაჭრილი მოქმედებისა და მათზე დაკისრებული მოვალეობის აღსრულებისკენ მოუწოდებდა.

ჩემს მიერ მოტანილი ფაქტების ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: 1) სქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრების მხრიდან ემიგრაციის პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციის მცდელობა (1932 წლის 1, 20, 25 ივნისის და 1939 წლის 28 აპრილის დადგენილებები), 1940

წელსაც მიუღწეველი დარჩა. 2) ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთიანობისთვის ე.თაყაიშვილის მიერ განხეული საქმიანობა, ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ქართველი ერის ინტერესებს სრულად შეესაბამებოდა. მისი ინიციატივით მოწვეული დამფუძნებელი კრების (დაქსწრო 18 კაცი) წევრთა თათბირზე (1940 წლის 4 თებერვალი) მიღებული დადგენილებები, ერთიანი მაკონრდინერებელი ორგანოს შექმნას და ემიგრაციულ მთავრობასთან ერთად, სამშობლოს გასანთავისუფლებლად პოლიტიკური სიტუაციის შესატყვისი გეგმის შემუშავებას ისახავდა მიზნად. იგი პოლიტიკური ემიგრაციის ერთობლივ ძალისხმევაზე უნდა ყოფილიყო გათვლილი. 3) დამფუძნებელი კრების წევრთა თათბირზე (1940 წ. 2 მარტი) გაკეთებულ მოხსენებაში, ე.თაყაიშვილმა დაასაბუთა: ა) ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინების აუცილებლობა; ბ) ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ზოგიერთი წარმომადგენლების მხრიდან, დამფუძნებელი კრებისგან არჩეული ემიგრაციული მთავრობის გაუქმების მოთხოვნის მცდარობა და ლეგიტიმური მთავრობისადმი მხარდაჭერის საჭიროება; გ) საქართველოს საელჩოს აღდგენის შემთხვევაში, ევროპის ქვეყნების ლიდერებისგან, აკ.ჩხერიკელის შემცვლელი კანდიდატის არ მიღების გარდუვალობა; 4) თათბირის მონაწილეებისადმი ე.თაყაიშვილის მხრიდან სამშობლოს წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის შეხსენების ფაქტი, დამფუძნებელი კრების წევრების ბაზაზე ეროვნული საბჭოს შექმნის მხარდაჭერის მიღებას და ემიგრაციულ მთავრობასთან თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავდა მიზნად. ოკუპირებული საქართველოს მოსახლეობაში, ემიგრაციული მთავრობისადმი განსაკუთრებული რწმენისა და მოლოდინის წინა პლანზე წამოწევით, ე.თაყაიშვილმა ქართულ ემიგრაციას, კონსესუსზე დაფუძნებული ერთიანი სამიქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულება შეასენა. ეროვნული ცნობიერებით დამძიმებული ანალოგიური პათოსი იყო ჩადებული, ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სახელით იმავე ე.თაყაიშვილის მიერ ქართული ემიგრაციისადმი 1940 წლის აპრილს გაკეთებულ საგანგებო მიმართვაში.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

- შ.ვადაჭვორია. ქართული ემიგრაცია და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (1921-1990) წიგნი I. თბ. 2018 წ. გვ. 109
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფ. 2117. ალ. 1, საქ. 284, ფურც. 1
- იქვე. ფურც. 2
- სცსა. ფ. 1861. ალ. 3. საქ. 367. ფურც. 19 20
- იქვე. ფურც. 20
- იქვე
- იქვე. ფურც. 39 40

## დოკუმენტი № 1

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის და პარტიათა წარმომადგენლობის კრების წევრებს.**

**ამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრის ექვთიმე თაყაიშვილის**

### განცხადება

დღიდან საქართველოს ოკუპაციისა ბოლშევიკების მიერ, როდესაც საქართველოს კანონიერი მთავრობა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი იძულებული იყო პარიზში მოთავსებულიყო, მიღებული იქნა დებულება, რომ რესპუბლიკის ამ ორ უზენაეს ორგანოს, გაფართოებულს პარტიათა წარმომადგენლებით, გაენია ხელმძღვანელობა საერთოდ პოლიტიკური მუშაობისადმი საზღვარგარეთ და მიეღო თავის გამგეობაში ყველა საქმები. ეს დებულება ჩამოყალიბებული და მიღებული იქნა საგანგებოდ მოწვეულ პარტიათა წარმომადგენლობის მიერ ინტერპარტიულ კრებაზე პარიზში 1922 წ. ამრიგად, ორგანო, რომელსაც დაერქევა გაფართოებული პრეზიდიუმი, განაგებდა ყველა საქმეებს... როდესაც საქართველოში შესდგა განმათავისუფლებელი კომიტეტი,[1] მან თავის განმათავისუფლებელი კომიტეტი[2] მას ეცნობა გაფართოებული პრეზიდიუმის აქ არსებობა და მისი მოშლის უსაფუძვლობა, განმათავისუფლებელი კომიტეტი ამ ორგანოს დარჩენაზე დათანხდა. ერთი წლის შემდეგ, იმავე განმათავისუფლებელმა კომიტეტმა თავმჯდომარეს[3] აცნობა ამ ორგანოს გაუქმება და ახალი ორგანოში წარმომადგენლად სოციალ დემოკრატიული პარტიიდან კარლ ჩხეიძისა და ნაციონალ დემოკრატების მხრით სპირიძონ კედიას არჩევა. სხვა პარტიათა წარმომადგენლების დანიშვნას შემდეგ გაცნობებთო, იწერებოდნენ.

ამის გამო, 1924 წლის 1 მაისს, მთავრობის თავმჯდომარემ გაფართოებული პრეზიდიუმი გაუქმებულად გამოაცხადა და სხვა პარტიების წარმომადგენლების დანიშვნის ცნობებს უცდიდა, რათა ახალი ორგანო მოეწვია. ცნობა არ მოვიდა და ახალი ორგანო არ შედგა. არსებული გაუქმებული იყო და მთავრობასთან არავითარი ორგანო არ არსებობდა. ამას ცუდი შედეგი მოჰყვა. ამ დროს თავზე დაგვატყდა აგვისტოს კატასტროფა. გამანთავისუფლებელი კომიტეტი ჩავარდა და საქართველოდან დირექტივების მიღება ახალი ინტერპარტიული ორგანოს შექმნის შესახებ თავისთავად მოიხსნა. ამიტომ, შემოდგომაზე 1924 წ. აქ პარიზში მოხდა ხელახალი რეკონსტრუქცია ინტერპარტიული ორგანოსი, რომლიდანაც დამფუძნებელი კრები პრეზიდიუმი, როგორც ასეთი, გამორიცხული იქნა. მართალია, პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ჩხეიძე[3] ამ ორგანოში შედიოდა, მაგრამ არა ორგორც პრეზიდიუმის წევრი, არამედ, როგორც სოციალ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. ეს იმითაც მტკიცდება, რომ სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ კარლოს გარდაცვალების შემდეგ სხვა თავისი წარმომადგენელი დანიშვნა. მაგრამ სანამ კ. ჩხეიძე იყო ამ ორგანოს წევრი, ასე თუ ისე კიდევ შეიძლებოდა გაჭირვებით ჩაგვეთვალა პრეზიდიუმის წარმომადგენელის ყოფნა ამ ინტერპარტიულ ორგანოში, ხოლო კ. ჩხეიძის ტრაგიკული გარდაცვალებიდან აგერ ერთი წელი გავიდა და ინტერპარტიული ორგანო უპრეზიდიუმოთ რჩება. პრეზიდიუმი დღეს ფაქტიურად გაუქმებულია, რაც შეუფერებლად და შეუწყისებლად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება ვინმედ იფექროს, რომ ჩვენს მდგომარეობაში პრეზიდიუმი დამფუძნებელი კრებისა ფიქცია არის. ყოველ შემთხვევაში

ჩვენ არ გვმართებს და არ გვიჯობს ჩვენი პრეზიდიუმი ჩვენვე გავაუქმოთ. ბედმა რომ გვიპრიანოს და საქართველოში დავბრუნდეთ, პრეზიდიუმმა უნდა მოახდინოს ძველი დამფუძნებელი კრების ლიკვიდაცია, დანიშნოს ახალი არჩევნები და სხვა. აქაც პრეზიდიუმში პარტიათა წარმომადგენლები უსათუოდ უნდა იყოს, მან უნდა იცოდეს რა კეთდება და ერთგვარი კონტროლიც ეჭიროს. პრეზიდიუმის შემოსვლას ინტერპარტიულ ორგანოში რომელიმე პარტიის გაძლიერებად ნუვრინ ჩათვლის, ვინაიდან პრეზიდიუმი არ არის რომელიმე პარტიის ორგანო, იგი ყველა პარტიის წარმომადგენელია საერთოდ. მათი ინტერესების დამცველი, შემარიგებელი და გამაერთიანებელია საერთო საქმისთვის. ჩემი ამხანაგების სახელით უნდა ვთქვა, რომ პრეზიდიუმის ყველა წევრს, ასე გვესმოდა ჩვენი როლი იქაც საქართველოში და აქაც უცხოეთში. ამჟამად ერთი პრეზიდიუმის წევრი სიმონ მდივანი[4] აქ არის, სტამბოლშია ჩვენივე მინდობილების აღსრულებისათვის, მაგრამ თუ ის აქ გადმოვიდა ან შესაძლებლობა მოგვეცა მისი აქ გამოწვევისა, ისიც უთუოდ მონვეული უნდა იქნას. როგორც პრეზიდიუმის წევრს, ჩემს ზნეობრივ მოვალეობად მიმართნია ეს მოვახსენო მთავრობის და პარტიათა წარმომადგენლების წევრების კრებას და თუ კრება სხვა აზრისა არის ამის შესახებ, გთხოვთ ეს წერილობით მაცნობოთ, რომ მე შესაძლებლობა მომეცეს ჩემი დასკვნა გავუკეთო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი ექვთიმე თაყაიშვილი (ხელმოწერილია)

18 ივნისი 1927 წელი. სოფ. ლიოვილი.

### შენიშვნები:

1) ამ შემთხვევაში იგულისხმება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც 1922 წლის აპრილის ბოლოს შეიქმნა. ამ ორგანოს სხვადასხვა დროს თავმჯდომარეობდნენ: გოგიტა ფალავა, ნიკოლოზ ქარცივაძე, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. კომიტეტი 1924 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩავარდა.

2) იგულისხმება საქართველოს ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარენოე ქორდანია.

3) კარლო ჩხეიძე (1864-1926) სოციალ დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. პარიზისა და სან-რემოს კონფერენციებზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი. ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო ფიგურა.

4) სიმონ მდივანი (1876-1937) სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის წევრი. ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე. ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

### დოკუმენტი № 2

ექვთიმე თაყაიშვილის მიმართვა ქართველი ემიგრაციისადმი (1940 წლის აპრილი)

„ქართველ ემიგრაციას!

საფრანგეთში დაარსდა ქართველთა ეროვნული საბჭო, ბ. ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც შესდგება საქართველოს ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრებისა და ქართველი ემიგრაციის სხვა წარმომადგენლებისგან.

საბჭო თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან, მასთან ერთად უძლვება ეროვნულ საქმეებს და უცხოეთის სხვადასხვა წრეებში აწარმოებს მუშაობას საქართველოს სუვერენული უფლებების აღსაღენად.

დღევანდელ როტულ საერთაშორისო მდგომარეობაში, როცა ძალმომრეობის და თავისუფლების დროშები ერთმანეთს ებრძვის, ჩვენი ეროვნული თავისუფლების პერსპექტივა და იმედი ინგლის საფრანგეთის გამარჯვებასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული, და ჩვენც ამათ უუსურვებთ ამ ომში გამარჯვებას.

ჩვენ უნდა ვისარგებლობით იმ გარემოებით, რომ დღეს მოკავშირე სახელმწიფოების საზოგადოებრივი აზრი დიდი თანაგრძნობით ხვდება აგრესორების მიერ დაპყრობილი ერების ბედს. ამიტომ, ფართოდ უნდა გავაცნოთ ქართველი ერის ტრაგედია მთელ ქვეყნიერებას და მოკავშირების წინაშე ნათლად და გარკვევით დავაყენოთ საქართველოს განთავისუფლების პრობლემა.

წარმატებით რომ შევასრულოთ ეს დიდი ამოცანა, საჭირო და აუცილებელია ქართველთა ყველა ძალების გაერთიანება. უნდა მოისპოს ყოველგვარი პარტიული და ჯგუფური ბრძოლა და შუღლი, ევროპის წინაშე ჩვენ უნდა წარვდგეთ მთლიანი ფრონტით, გაერთიანებული ერთი აზრით და მისწრაფებით. უცხოელთა შორის ცალ ცალკე მუშაობა და ჩვენს საქმეში მათი ერთმანეთისადმი დაპირისპირება, აწინდელ პირობებში იქნებოდა ჩვენი ეროვნული საქმის ღალატი.

უნდა შევიგნოთ მდგომარეობის სიმძიმე: დიდი დაბრკოლებებია გადასალახავი, განსაცდელი და ხიფათია აღმართული ჩვენს წინ. სამუშაო და გასაკეთებელი ბევრია. თითოეულმა ჩვენთაგანმა თავისი წვლილი უნდა გაიღოს საერთო საქმისთვის. ყოველი ქართველი, რომელსაც შესწევს უნარი და შეუძლია რაიმეს გაკეთება და სარგებლის მოტანა ქართული საქმისათვის, შემოკრბეს ეროვნული საბჭოს გარშემო და ვიმუშაოთ ყველაზ ძმურად ჩვენი წამებული სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

თანამემამულენო, მივმართავ თქვენს მამულიშვილურ შეგნებას, თქვენი მშობელი ერის სიყვარულს, თქვენს ქართველურ გულს და მოგინდებთ ყველას ერთობისათვის, მთლიანობისათვის, სამშობლოს სამსახურისათვის.

ქართველთა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ექ.თაყაიშვილი (ხელმოწერილია). 1940 წ. აპრილი. პარიზი.“

### დოკუმენტი № 3

ამონარიდი, დამფუძნებელი კრების წევრთა და პარტიათა წარმომადგენლობის 1940 წლის 2 მარტის პარიზის კრების სტენოგრაფიული ანგარიშიდან

#### 1940 წლის ორი მარტის სხდომის ოქმი

ორ მარტს, ოფიცის შენობაში, დღის სამ საათზე ბ.ნ. ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა დამფუძნებელი კრების წევრთა და თანახმად წინა კრების დადგენილებისა, მთავრობის თავმჯდომარის და დამფ. კრების თავმჯდომარის ამხანაგის ბ.ნ-ი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოწვეული პარტიათა წარმომადგენლობის საერთო სხდომა.

თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ ოფიციალურად დღეს ჩვენ მოწვეული ვართ ჩაიზე ოფიცის დირექტორის ბ.ნი ჭ.ასათიანის მიერ და როგორც მასპინძელს პირველი სიტყვა მას ეძლევა.

**ჭავათიანი:** ნება მიბოძეთ ბატონებო მივესალმო ამ თქვენს შეკრებულებას და უსურვო მას ნაყოფიერი მუშაობა. ბატონებო, მეტად დიდი პრობლემები დგას დღეს ჩვენს წინაშე, რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო და საფუძვლიან გადაჭრას. ამისთვის კი საჭიროა ყველა ქართული ცოცხალი ძალების გაერთიანება და ერთი მიზნისკენ მიმართვა. ეს მიზანია – ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება და მე მწამს, რომ ეს პატიცემული კრებული თავის დანიშნულების სიმაღლეზე დადგება და მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შეასრულებს.

**შემდეგ მდივანი გრ. ურატაძე[1]** კითხულობს ს. ფირცხალავას წერილს მიმართულს კრებისადმი და აცხადებს შინაარსს ბ. ბ. ივ. ზურაბიშვილის[2] დეპეშისას და გ. ურულის წერილისას, სამივე მიესალმებიან კრებას. გამოსთქამენ მწუხარებას, რომ ვერ ესწრებიან სხდომას ავადმყოფობის გამო და უსურვებენ მას ნაყოფიერ მუშაობას. აღ. ასათიანი[3] მოითხოვს გ. ურულის[4] წერილის წაკითხვას, მაგრამ თავმჯდომარე აცხადებს, რომ წერილი მის სახელზეა და კერძო წერილი წაკითხვა არ არის მიღებული.

**თავმჯდომარე:** ბატონრბო, პირველად საჭიროა მოგახსენოთ მოკლეთ, თუ რამ გამოიწვია დღევანდელი ჩვენი შეკრება. როდესაც ბოლშევიკებმა მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია, ჩვენი მთავრობა და პრეზიდიუმი უცხოეთში გადმოიხიზნა. დამუშანებელი კრების უკანასკნელმა სხდომამ მთავრობას დაავალა ეზრუნა და ემუშავა ევროპაში ჩვენი სუვერენობის აღსადგენად. ჩვენი მთავრობა სტამბოლიდან მოიპატიება საფრანგეთის მთავრობამ პარიზში და ის აქ პარიზში დაბინავდა. იტალიელები რომში იწვევდნენ მთავრობას და იტალიის ელჩი უკმაყოფილო დარჩა, რომ მთავრობა რომში არ დაბინავდა. მაშინ ჩვენ პარიზში საელჩო გვქონდა და აქ დაარსდა ე. წ. გაფართოებული პრეზიდიუმი, რომელიც მთავრობასთან ერთად განაგებდა ყველა ჩვენს საქმეებს. შემდეგ, როცა სქართველოში დაარსდა განმათავისუფლებელი კომიტეტი, მან დაიჭირა კავშირი მთავრობასთან და მოითხოვა, რომ მთავრობა ყოფილიყო უცხოეთში მისი დირექტივების აღმსრულებელიც. მთავრობამ ეს წინადადება მიიღო და გაფართოებულ პრეზიდიუმში განიხილა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მოხდა აჯანყება საქართველოში და „განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ჩავარდა. მაშინ აქ მთავრობასთან დაარსდა ე. წ. „ცენტრი“, [5] რომელშიაც შედიოდნენ პარტიათა წარმომადგენლები, მთავრობის და პრეზიდიუმის წევრები. ბოლო დროს ეს ცენტრი დაიშალა. აჯანყების შემდეგ ემიგრაციამ საფრანგეთში იმატა. პარტიები დაიყო ფრაქციებათ, დაარსდა მრავალი ურნალი, უფრო მეტი ვიდრე თავისუფალ საქართველოში იყო. დაიწყო დაუსრულებელი კინკლაობა, ერთმანეთის განქიქება. როდესაც საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა, და ომი მოსალოდნელი შეიწნა, პარტიათა შორის დაიბადა აზრი გაერთიანებისა. დაიწყეს მოლაპარაკება ერთმანეთს შორის და მთავრობასთანაც, მაგრამ მთელი წლის მოლაპარაკებამ, სამწუხაროდ თანხმობა ვერ ჩამოაგდო. პირიქით, უთანხმოება ომის დაწყებისას იმ ზომამდე მივიღა, რომ ერთად შეკრება და საფრანგეთის მთავრობისადმი სიმპათიის გამოცხადება ვერ მოხერხდა, მაშინ, როდესაც სხვა ერების ემიგრაციამ, ეს სწრაფად მოაგვარა. ამიტომ, განვიზრახეთ მოწვევა საფრანგეთში მყოფ დამფუძნებელი კრების წევრებისა სრულიად კერძო თათბირისთვის და მიზნად დავუსახეთ პირველად ყოვლისა სიმპათიის გამოცხადება საფრანგეთის მთავრობისადმი და შემდეგ, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ინიციატივის აღება და კოპტაციის სახით ახალი ძალების შემოკრებით ერთი წაციონალური ორგანოს შექმნისათვის. დამფუძნებელი კრების წევრთა ორი კრება უკვე შედგა. პირველმა კრებამ მიიღო რეზოლუცია სიმპათიის გამოცხადებისა საფრანგეთის მთავრობისადმი და აირჩია კომისია რეგლამენტის შესამუშავებლად და ახალი წევრების

მოსაწვევად. მათი შემუშავებული გეგმა თქვენ აქ მოგხსენდებათ. ამ კრებაზე სხვათა შორის წამოიჭრა საკითხი— გვაქვს თუ არა უფლება ვუწოდოთ ჩვენს თავს დამფუძნებელი კრების წევრი. ზოგნი აცხადებდნენ თავის თავს ყოფილ წევრად, ზოგნი ნამდვილ წევრად. ვინაიდან კონსტიტუციის ძალით თავისი თავი გაუქმებულად თვით დამფუძნებელმა კრებამ უნდა გამოაცხადოს, იგი დაშლილი იყო ბოლშევიკების შემოსევით. ორთავე მხარეს აქვს თავისი საბუთი. მართალია, ფაქტიურად ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრები ვართ, ხოლო იურიდიულად კვლავ წევრებად ვრჩებით. შეიძლება ეს სახელი ერთხელ კიდევ დაგვჭირდეს. მე დიდი ილუზიების მქონე არა ვარ, მაგრამ წარმოვიდგინოთ მოხდა სასწაული, დემოკრატიულმა კოალიციამ გაანთავისუფლა საქართველო და როგორც მოგვიყვანეს აქ, ისე წაგვიყვანეს ჩვენს ქვეყანაში და გვითხრეს — ეპატრონეთ თქვენს სამშობლოს! მაშინ ხომ უნდა შეიყროს, ვინც დარჩა დამფუძნებელმა კრების წევრებისგან, რასაკვირველია არა იმისათვის რომ იკანონმდებლოს, არამედ მხოლოდ გამოაცხადოს დამფუძნებელი კრება დაშლილად და დანიშნოს პარლამენტის ახალი არჩევები. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ეხლა მეომართა ჭიდილი სხვათა შორის მიმართულია ნავთის ადგილების ხელში ჩასაგდებად. თუ წინეთ ამბობდნენ ფულია თავი ძარღვი ომისაო, ეხლა ამბობენ, ომის თავი ძარღვი ნავთიაო. ნავთი კი მსოფლიოს აღმოსავლეთ წაწილში მარტო ბაქოში მოიპოვება. მაშასადამე, მთელი კავკასიის ხელში ჩაგდება მორიგი საკითხი შეიძლება გახდეს ანტანტისთვის და ჩვენც მაშინ შეიძლება გვეშველოს. ერთი სიტყვით, ბედნიერ შემთხვევაში უნდა შესრულდეს კონსტიტუციის მუხლი. დამფუძნებელმა კრებამ თავისი თავი გაუქმებულად და დათხოვნილად უნდა გამოაცხადოს. როდესაც მაღომედ სულთანმა[6] კონსტანტინოპოლი აიღო და მისი ურდოები აია სოფიაში შეიჭრა, იქ მაშინ წირვა წარმოებდა. ურდომ წირვა შესწყვიტა და უამრავი მლოცველი სულ ამოჟლიტა. მართლმადიდებელ მსოფლიო ეკლესიას სწამს, რომ ერთ დღეს აია სოფია მას დაუქრუნდება და წინდანწინვე გადაწყვეტილი აქვს წირვა დაიწყონ იმ სიტყვებიდან, იმ ასამალლებელიდან, რომელზედაც შეწყდა ის წირვა და დაამთავრონ პირველ ყოვლისა. ეგრევე ჩვენ, ჩვენი დამფუძნებელი კრება ჩვენ უნდა დავამთავროთ დათხოვნილად გამოცხადებით თუ ბედმა გვიპრიანა. საკითხი დამფუძნებელი კრების წევრობისა დღეიდან სრულიად მოხსნილია. დღეიდან ყოველი ჩვენთაგანი არის წევრი ამ დამფუძნებელი კრების, საბჭოს დავარქმევთ მას თუ კომიტეტს. დამფუძნებელი კრების წევრობამ მხოლოდ საბაბი მოგვცა, რომ შეკვრებილიყოთ და ეს კრება მოგვეზვია. მაშასადამე, ეს საკითხი ჩვენ აღარ გვყოფს. უფრო მეტად უთანხმოებას იწვევს მეორე საკითხი— საკითხი ჩვენი მთავრობის შესახებ. ზოგიერთის აზრით მთავრობა არ არსებობს, მას წება არა აქვს მთავრობის სახელი ატაროს, ის მარტო ყოფილი მთავრობა არის. დიდი უმეტესობა ამ აზრს არ იზიარებს. მათ შორის პირადათ მეც. ჩვენთვის, ჩვენი მთავრობა დღესაც მთავრობა არის, სხვა მთავრობა ჩვენ არა გვყავს. ის დამფუძნებელი კრების მიერ არის არჩეული, ის პარლამენტს არ გადაუყენებია, არამედ მტერმა ძალით აიძულა დაეტყოვებინა საქართველო. ამას ჩვენ არ შევრიგებივართ. ამ მთავრობას ევროპა ცნობს, მას ელაპარაკებოდნენ და დღესაც ელაპარაკებიან საქართველოს შესახებ. დღეს ჩვენთვის თავი საზრუნავი ის არის რომ ჩვენი საელჩო აღადგინონ, რომელიც დეკრეტით არავის გაუქმებია და მასთან ჩვენი მთავრობა მთავრობად იცნონ, როგორც მათ მიერ უკვე ცნობილი იყო *de facto* და *de iure*. ეს შესაძლებელია თუ რუსეთთან საქმე გართულდა. მაგრამ თუ ჩვენ არ ეცნობთ ჩვენს მთავრობას, როგორ მოვთხოვთ ანტანტას რომ იგი იცნოს?! თუ ჩვენი საელჩო აღგვიდგინეს, მას მხოლოდ და მხოლოდ ყოფილი ელჩის აკჩენენელის[7] სახით აღგვიდგინენ, ეგრევე აღგვიდგინენ მთავრობასაც. ნურავის ჰგანია, რომ ვინმე სხვა კანდიდატს მიიღებენ.

ეხლანდელ მდგომარეობაში, როდესაც საქართველო რუსის ბილშევიკების ხელშია, ან ვინ უნდა წარადგინოს სხვა კანდიდატები, ან რა უფლებით? ზოგიერთ დაპყრობილ ერებს, ვისაც მთავრობა არ ჰყავდა, ახლა შეუქმნეს აქ მთავრობა. ჩვენ გვყავს და მას გაუქმებას უქადით. ეს შეუძლებელია. სულერთია, ვინც უნდა ეცადოს მთავრობის გაუქმებას, თვით მთავრობა თავის თავს არ გაიუქმებს და არც უნდა გაიუქმოს ეხლანდელ მომენტში. მთავრობა უნდა გავამაგროთ და არა გავაუქმოთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობა უკონტროლოდ დაგტოვოთ, ყველაფერი მას მივანდოთ და ჩვენ არაფერში არ გავერიოთ. თუ ოდესმე საჭირო იყო კონტროლი, ენერგიული ჩარევა საქმეებში და მთავრობასთან თანამშრომლობა— ეს დღეს უაღრესად საჭიროა. მანამ პირველ კრებას მოვიწვევდით, მე წერილით მოვახსენე მთავრობის თავმჯდომარეს, რომ დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის გამო, აუცილებლად საჭიროა მთავრობასთან ერთად მუშაობდეს ოთხი ხუთი კაცი ფართო საზოგადოებიდან არჩეული, რომელთაც უფლება და პასუხისმგებლობა თანასწორი ექნებათ მთავრობასთან და ეს შეერთებული წრე უნდა უძლვებოდეს ყველა ჩვენ საქმეს, ხოლო დროგამოშვებით საზოგადოებას მოხსენებას უკეთებდეს და ანგარიშს აპარებდეს. მსგავსი წინადადებები გამოთქმული იყო პირველ ჩვენს კრებაზე სხვადასხვა პირთა მიერ და სხვათა შორის, ს.ფირცხალავას წერილობით მიმართვაში კრებისადმი. მთავრობის თავმჯდომარე ამაზე თანხმობა განაცხადა და არჩეული იქნა კომისია რეგლამენტის შესამუშავებლად და ახალ წევრთა მოსაწვევად. კომისიამ ორი კვირის მუშაობის შემდეგ რეგლამენტის გეგმა შეიმუშავა, მაგრამ ახალი წევრების მოწვევა არ იქისრა და მეორე კრებას წინადადება მისცა— ეს საქმე ბ.ნ. ჟორდანიას და ჩემთვის მოენდოთ. ვინაიდან სხვა გამოსავალი არ იყო, ჩვენ იძულებული ვიყავით ეს საპასუხისმგებლო და ჩევნთვის არასასურველი დავალება მიგველო, მაგრამ ყოველი მითქმა მოთქმის და პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად, აქ ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ჩვენ ეს დავალება მხოლოდ ხანილობრივ შევასრულეთ. მოსაწვევი ბევრია, მაგრამ ჩვენ გვინდა ისინი თქვენის რჩევით, თქვენის დახმარებით და თქვენის საშუალებით მოვიწვიოთ. მოსაწვევია პირველ ყოვლისა, ჩვენი ახალგაზრდები. ახალგაზრდობა ჩვენი იმედია, ჩვენი მემკვიდრეა და ყველაზე უფრო გამოსადეგია. ბევრ მათგანს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული და გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულით, მაგრამ ეხლა უმეტესი ნანილი ჯარშია განვეული. ვინც დარჩა დატვირთულია მუშაობით ქარხნებში. ესენი ერთი მეორეს სჯობია. ჩვენ არ ვიცით ვის აქვს დრო, რომ რამდენიმე საათი ჩვენს საქმეს შესწიროს. ამიტომ, ჩვენ განზრახვა გვაქვს მათვე მიგმართოთ თქვენის შემწებით. მათ ამოირჩიონ თავიანთ შორის თავისი წარმომადგენლები, ან დაგვისახელონ ვის მიერთოთ. ისინი სიამოვნებით იქნებიან მოწვეული. არ მიგვიმართავს ჩვენ ახლად დახმარებული კომიტეტისათვის, რომელშიაც შედიან რამდენიმე საპატიო პირი. ესენი, როგორც პირველ კრებაზე გამოირკვა არ სცნობენ ჩვენს მთავრობას და ჩვენ თვითონ გვაძლევენ წინადადებას მათ შევუერთდეთ. არ მოგვიწვევია აგრეთვე ერთი მიმართულების წარმომადგენლები, რადგან არ ვიცით დღევანდელი მათი პოლიტიკური ხაზი.

ერთი სიტყვით ბ-ნებო, როგორც მოგახსენეთ მოსაწვევი ბევრია და ყველა თქვენის დახმარებით და რჩევით უნდა იყოს მოწვეული. როგორც პირველ კრებაზე ხაზგასმით განვაცხადე, ჩვენი კრება კერძო კრებაა. აქ ყველაფერი შეთანხმებით ხდება. უმეტესობა თავის დადგენილებას უმცირესობას ვერ მოახვევს თავზე. ხოლო ჩვენმა ორივე კრებამ დიდის უმრავლესობით დაადგინა: დაარსდეს ეროვნული საბჭო, ან კომიტეტი, შემდეგი თანასწორი უფლებით დამტურნებელი კრების წევრებისა და ახლად მოწვეული პირებისაგან. ამ კრებამ აირჩიოს რამდენიმე კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი, რომელიც ორგანულად იმუშავებს მთავ-

რობასთან თანასწორი უფლებით და პასუხისმგებლობით. ძირითადი საფუძვლები ამ გეგმიდან თქვენ დღეს მოგხსენდებათ. ამიტომ დღეს გასარჩევია რეგლამენტის ეს გეგმა და ასარჩევია პრეზიდიუმი. საქმე საშურია, ვინაიდან საერთაშორისო მდგომარეობა რთულდება და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ. კრების გამართვაც დიდად საძნელოა. ბ.ბ. მომენტი დიდად საპასუხისმგებლოა. ვერცერთი ჩვენგანი სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს თავიდან. ჩვენი ქვეყანა გაძარცვული და პატივაყრილი, საკონცენტრაციო ლაგერს წარმოადგენს. არაფერი არ იციან რა ხდება ქვეყანაზე. ამ მდგომარეობაში მე დარწმუნებული ვარ, იქ ყველა ემიგრაციაზე და მთავრობაზე ამყარებს იმედს. ამათგან მოელის ზრუნვას და შველას. თუ ამ დროს ჩვენ უუ არ ვაგდეთ ქიშპობა, უთანხმოება, პირადი ამბიციები და საერთო საქმეს ერთობლივ და შეთანხმებით ვერ გაუძეხვით, ჩვენ ამას სამშობლო არ მოგვიტევებს. ამიტომ, სრულის იმედს გამოვთქვამ, რომ ყველა თქვენგანი ჩაებმება საერთო საქმეში, არ დაზოგავს თავს, გამოიჩენს მაქსიმალურ ენერგიას და გააკეთებს იმას, რის გაკეთებაც შეუძლია საქართველოსთვის. ამ კრებას გახსნილად ვაცხადებ და გისურვებთ წარმატებას! [8]

### შენიშვნები:

- 1) გრიგოლ ურატაძე (1884 1959). სოციალ დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი. რუსეთ საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მომზადების აქტიური მონაწილე. ქართული ემიგრაციის ერთ ერთი თვალსაცინო ლიდერი.
- 2) ივანე ზურაბიშვილი (1872 1940) ეროვნულ დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი. დემოკრატიული საქართველოს სენატის წევრი. ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი.
- 3) გიორგი შურული (1865 1951) ეროვნულ დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი. დემოკრატიული საქართველოს პირველი ფინანსთა და ვაწრობა მრეწველობის მინისტრი (1918 წ. 26 მაისიდან 1919 წლის მარტამდე). საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი ემიგრაციაში წავიდა.
- 4) ალექსანდრე ასათიანი (1889 1953) ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ ერთი დამფუძნებელი. დემოკრატიული საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 1922 წლების სვანეთის აჯანყების აქტიური მონაწილე. ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი.
- 5) 1925 წლის 16 ნოემბერს, 4 პოლიტიკური პარტიის (სოციალ დემოკრატები, ეროვნულ დემოკრატები, სოციალისტ ფედერალისტები, სოციალისტ რევოლუციონერები) წარმომადგენლების ბაზაზე შეიქმნა „ეროვნული ცენტრი“, რომელიც რამდენჯერმე დაიშალა და ისევ აღდგა.
- 6) იგულისხმება მუჰამედ II, რომელიც ტახტზე 1451 წელს ავიდა. 1453 წლის 30 მაისს აიღო კონსტანტინოპოლი.
- 7) აკაკი ჩხენეგლი (1874 1959) სოციალ დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. ტრაპიზონისა და ბათუმის საზავო კონფერენციებზე ა/კ-ის დელეგაციის ხელმძღვანელი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში. ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო ფიგურა.
- 8) ექვთიმე თაყაიშვილის ამ მოხსენებას, იმავე სხდომაზე ნოე უორდანიამ შემდეგი შეაფასება მისცა: „იმ მშვენიერი სიტყვის შემდეგ, რომელიც ახლა ჩვენ მოვისმინეთ, მე არაფერი დამრჩა სათქმელი. მე მხოლოდ ცოტა რამეს დავუმატე.“

SHOTA VADACHKORIA

**EKVTIME TAKAISHVILI AT THE DAWN OF THE STRUGGLE  
(1921-1940) FOR THE UNITY OF GEORGIAN EMIGRATION**

Summary

1).Attempt of consolidation (resolutions of 1932, June, 1, 20, 25 and 1939, April, 28) of the political forces by government of the Democratic Republic of Georgia in exile and the members of the presidium of the Constituent Assembly was impossible in 1940 too. 2).E.Takaishvili's activities to consolidate political emigration were fully consistent with the processes taking place in Europe and the interests of the Georgian people. At the meeting of the Constituent Assembly in 1940, February, 4, convened on his initiative (18 people were presented) resolutions about establishing of the united coordinating body was received. They aimed also to create a plan suitable to the current political situation for the liberation of Georgia together with the emigrated government. It should have been based on the joint efforts of the political emigration. 3).At the meeting of the members of the Constituent Assembly (1940, March, 2) E.Takaishvili had a speech. In his speech he proved that: to take into consideration the current ongoing political processes is important. the demand of some of the members of the Georgia political emigration, to annul the emigration government elected by the Constituent Assembly, was wrong. He also proved the importance of supporting legitimate government. if the embassy of Georgia would be restored, the leaders of the European countries would not accept a new candidate instead of A. Chkhenkeli. 4).E.Takaishvili, in his speech, reminded the meeting participants of their high responsibility to the Motherland in order to gain support for the creation of a national committee on the basis of the Constituent Assembly and expanding cooperation with the emigrated government. E.Takaishvili in his speech emphasized that the population of occupied Georgia has special expectations and hopes for the emigrated government. Thus, he reminded the Georgian emigration that they are responsible for developing the entire action plan based on consensus. The same pathos was in a special speech of E.Takaishvili in 1940, when in April he addressed the Georgian emigration.

**Ш. И. ВАДАЧКОРИА****ЭКВТИМЕ ТАКАЙШВИЛИ У ИСТОКОВ БОРЬБЫ ЗА  
ЕДИНСТВО ГРУЗИНСКОЙ ЭМИГРАЦИИ (1921-1940 ГГ.)****Резюме**

Попытки консолидации политических сил эмиграции, предпринятые правительством Грузинской Демократической Республики в изгнании и членами Учредительного собрания в 1932 и 1939 годах, оказались безрезультатными. Деятельность Э. Такаишвили, направленная на объединение грузинской политической эмиграции, полностью соответствовала происходящим в Европе политическим процессам и интересам грузинской нации. Постановления, принятые на созванном по его инициативе совещании членов Учредительного собрания (присутствовали 18 человек) 4 февраля 1940 года, ставили целью создание координирующего органа и разработку вместе с эмиграционным правительством соответствующего политической ситуации плана для освобождения родины. На совещании членов Учредительного собрания (2 марта 1940 года) в своем докладе Э. Такаишвили обосновал: а) необходимость учета происходящих в Европе политических процессов; б) ошибочность требования со стороны некоторых представителей грузинской политической эмиграции упразднения избранного Учредительным собранием эмиграционного правительства, необходимость поддержки легитимного правительства; в) в случае восстановления посольства Грузии лидеры европейских стран примут в качестве посла Грузии только кандидатуру Ак. Чхенкели. Э. Такаишвили еще раз напомнил грузинской эмиграции обязательство разработки основанного на консенсусе единого плана действий. Аналогичным пафосом и национальным сознанием было пронизано специальное обращение к грузинской эмиграции, сделанное в апреле 1940 года тем же Э. Такаишвили от имени президиума Национального совета.

# რედაქციას ქართველი მუნიციპალიტეტი და მხატვარი ეფეზი

რეზო ადამია

## განვითარების მინისტრი შვილი. შეკვეთი და მოწყვეტილები (ფინანსთა და განვითარების მინისტრი)

კონსტანტინე გამსახურდია, უძველესი კოლხურ-იბერიული ხასიათ-ჟინ-შემართების და სრულყოფილი, სიმართლის ნებისმიერი დროის მწერალთაგან, ბევრად განსხვავებული ნიჭით – უფლისმიერობა და მისტიკურ-მითოლოგიური უტეხი მცნების, უსაზღვროდ შეუვალი ნაღდქართველური ზნეობრივი გენის ჭეშმარიტი წმიდანური გაგრძელებაა...

გავა ჩვენი უბერებელი პლანეტის ათასეული წელი და ამჟამად მოქმედ აღმსარებლობებს კოსმიური უფლისმიერობით ჩაენაცვლება ზეკანონებიდან გამომდინარე, დროისთვის მონათესავე რელიგიები, რომელიც სიახლე ცივილიზაციათა და ვარსკვლავეთის ურთიერთგავლენით მიახლოებითი რწმენითი სახე იქნება; ხოლო განუმეორებელი ხელოვანნი: შოთა რუსთველი, ვაჟა-ფშაველა, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც უმაღლესთა შორის გენის სრულყოფილებაა; გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი და სხვა რამოდენიმეთ უნიკალური ქმნილებანი, ჰომეროსისა არ იყოს, მარადიულობას გადაბარდება, რადგან უსასრულობის ფერ-ხმა, აზრთუკვდავების განმვრცობის არიან და იქნებიან...

ადამიანში თუ რამე ამაღლებული და დიადია, სულ-გონ-გულ-ნიჭიდან დაწყებული, მაშინ ბრძენნი იტყვიან, შემოქმედ უფალია მასში დაგანებულიო...

გენის მაღალი შემოქმედებითი აზროვნება, ჭეშმარიტ-ზნეობრივი მიახლოებაა მომავლის წმიდად-უმდიდრეს უსასრულობასთან, რითაც ქვეყნიური მთლიანობის ტოლფარდობაა...

იმდენად ღრმა, მხატვრულ-ზეადამიანურია დიდი კონსტანტინეს გენიალური რომანები, მოთხრობები და ნოველები, მართალი წარმოდგენა გებადებათ, რომ მათი ეპოქალური კუთვნილებითი ცნება ქრება და მარადიულ-კაცობრიული სულისმიერობით მსოფლიო ფორმად დგინდება...

შემეცნებითი მცდელობებით, უშუალო განცდებით, აზროვნებით და სულით რომ მიხვიდე გამორჩეული მწერლის შემოქმედებითი უფლებამოსილებამდე, მაგ შემთხვევაში, მიახლოებით მაინც ავტორის დონისა უნდა ბრძანდებოდეთ, მეცნიერული ინტუიციის შეგნებით, სამართლიანი ანალიზების აღქმით, აუცილებელი წარმოსახვებით თუ აზროვნებითი სიღრმეების სიმდი-

დრე იდუმალ ინსტინქტით გამოხატვისა...

როგორც ხელოვნების მუზეუმებში, საკვირველ დარბაზ-განძთსაცავში შეღწევა სულიერი ბეჭინიერებაა, ასევეა პატონი კონსტანტინეს ცხოვრების ყოველი ისტორიული მოვლენების სილვა-წაკითხვა... ერთგან კონსტანტინე ბრძანებს: ჩვენ, გამსახურდიები, აზნაურები გახლავართო!. ამ შემთხვევაში, საკმაოდ მოკრძალებულია მწერალი, რადგან ნებისმიერი გენიალური ხელოვანი თავადზე მეტი გახლავთ და საეკლესიო პირებზეც ფრიად ზეაღმატებული, რადგან შემოქმედი ღმერთია მასში მთავარმოქმედ-დავანებული...

სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის სრულ კურსს ვამთავრებ, მალე პროფესიონალი მხატვარი გავხდები, მაგრამ ჩემი სულიერი სწრაფვა, შევქმნა მხატვრული დამოუკიდებელი ნაწარმოები, დიდი ხანია რომ გაიღვიძა, ფერწერის მოციქულთ, გამოჩენილი მხატვრებისა არ იყოს... თითქმის რამდენიმე წელია, ნათელ მიზნად დავისახე ლეგენდარული მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას საცხოვრებელ-შემოქმედებითი კერა, კოლხური კოშკი რომ დავხატო, მისივე შიგნითა ეზოდან დანახული, მაგრამ იქ შეღწევა ძალიან რთულიაო, იტყვიდნენ. ხშირად კი მიფიქრია – მხატვრისთვისაც?!

შემოდგომის მზით გასხივოსნებული კვირა დღეა. დილიდანვე მოვემზადე. დაახლოებით თემას, მოტივს როგორც მიესადაგება, იმდაგვარი სასურათე ფორმატი ავირჩიე. „ეტიუდნიკი“ მხარზე გადავიკიდე და ქათქათა, თეთრი სახატავი ტილოთი ხელში, გავემართე ურთულესი ამოცანის შესასრულებლად. დღეს ქარი არცერთი მხრიდან არ ქრის და ედემის ბალში მგონია თავი, წყნარი ამინდია, მზიანი, საამო ნატვრას მოყოლილი...

მე, როგორც სენაკელ-ძევლესენაკელს, პლენერზე მუშაობისას ძვალსა და რბილში გამჯდარი მაქვს შინარევი ფიქრები აღმოსავლეთის უძლიერესი, სულის შემძვრელი ქარისა...

სხეულითა და სულ-გულ-გონებით გარინდული ვდგავარ კოლხური კოშკის ზღაპრისმიერ კარიბჭესთან და ვერ გადამინყვეტია გვერდით ბოძზე, ელექტროზარის ლილაკზე თითის დაჭრა; ვინ იცის, როგორ პასუხს მივიღებ-მეთქი-ს სიფრთხილით. ამ დროს მარცხენა მხარეს მეზობლის რკინის კარი მოულოდნელად გაიღო და დიასახლისის საცრით ხელში, მსახიობი თათია ხაინდრავა გამობრძანდა, ბატონი კონსტანტინეს დისშვილი. პირადად დიდი ხანია, ვიცნობდი, რუსთაველის დრამატული თეატრის შესანიშნავმა მსახიობმა, ზეინაბ ბოცვაძემ, ქართული კინოს ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, ხელოვანთა შემოქმედებითი საღამოს შეხვედრაზე გამაცნო; სუფრასთანაც ვმსხდარვართ ერთად და სათნო თათიას სადლეგრძელო რომ წარმოვთქვი, თხრობითი ტექსტის თუ ლექსის კითხვისას თვითმყოფადი ხმა მომნუსხველი ინტონაცია თავისი შერბილებული მხატვრული საამო ტონალობით აგრე საინტერესოდ გავურჩიე და აღფრთოვანდა მსახიობი, სახის მხიარული გამომეტყველებით მეუბნება: – ბატონო რეზო! ერთხელ გალაკტიონმაც იგივე მითხრაო. თათიასაგან ყოველივე თქმული ჩემთვის დიდი ქება გახლდათ. ადამიანის გული ზღვაა და მაინც გამკრა ცისფერმა ხმამ, განსხვავებული ხელოვნების გამონათების ხილვა რომ დამასწრეს. თბილად მივესალმეთ ურთიერთს და: –

საით გაგინევია, მხატვარო? – მეკითხება. – თათია მშვენიერო! საგამოფენოდ ბატონი კონსტანტინეს კოლხური კოშკის დახატვა მინდა-მეთქი. წინადადება როგორც კი დავამთავრე, უმაღ ჭიშკარი გააღო. – შემოდი, გენაცვალე, სა-დაც გინდა დადექი და ხატეო. სიხარულით აღვსილმა მადლობა გადავუხადე უკეთილშობილეს მსახიობ ქალბატონს, შექებითაც შევამკე და ღიმილით გავემართე აღმოსავლეთით, ქვითკირის თეთრ გალავანთან, დიდი, ბეპერი ხის ქვეშ. მშვიდობიან ჩრდილოვან ადგილას შევჩერდი, „ეტიუდნიკი“ გავმართე, სახატვი ტილო დავაყენე და დავინწყე ნანატრი კოლხური კოშკის მთლიანი ხედის ხატვა, თან ჩემთვის დავილაპარაკე: – თათია რომ არა?! მოკლედ, დღეს გამიმართლა. ამასობაში ეზოს კანონიერი ბინადარი პირუტყვი, ულა-მაზესი შველი, ყავისფერ-თეთრებში გაწყობილი, კოხტად მოხატული დრუნ-ჩით, აცქვეტილ-წაწვეტებული ჩამუქებული ყურებით, ნუშისფერი, კეთილი რბილხედვითი თვალებით, რითაც მთელი მისი არსება იმზირებოდა, სასია-მოვნო სიზმარივით გამომეცხადა და ჩემსკენ წამოცუნცულდა უწვრილესი ფეხ-შავი-შუა გაყოფილი კოხტა ჩლიქებით, წილი-წილის უნაზესი ხმის გა-მოცემით და მშვიდი სიფრთხილით მომიახლოვდა, კეთილი სულივით, წინ დამიდგა და ლვთისნიერი ნდობით მიყურებს. სურვილით გვერდზეც გაისეირ-ნებს. თან ვფანგაზიორობ: ბატონი კონსტანტინეს შინაგანი სამყაროს იდუმ-ალ განწმენდილი სივრცე დაპყვება ამ ბუნების სიმდიდრე არსებას-მეთქი...

წმიდა ხატთან სულ-გულით ლოცვისას, ნეტარ სიამოვნებას რომ გრძნობ, არანაკლებითია, გენიალური ნანარმოებიდან სიახლე აზრთ, წერის სტილით და ანდამატური მიუწვდომელგემოვნებითი სიამოვნების ნეტარ-სულთ მკვე-ბავი შემოსვლა: ორთავე ქმედება ხომ მკურნალ-შვებაა ადამიანის წმიდად მკვიდრი ლვთიური უხილაობისა. ამდაგვარად ვფიქრობ-ვოცნებობ და ვხატავ ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის. ამასობაში დრო გადის სანუკვარი, გარე-მოსთან შედარებით დაძაბული. გარკვევით ვამჩნევ, კოშკზე მიდგმულ გემი-ვით სახლში, ფანჯრებს შიგნით, ადამიანთა ლანდები მოძრაობენ. სხვადასხვა ხეხილით გაშენებულ ეზოში საოცარი, მონასტრისეული სიწყნარე და სიმში-დეა. მხოლოდ დამოუკიდებელი ნაფერები შველი მოძრაობს, ზოგან მწვანე, ნორჩ ბალახს წინკის. ეზოში ნელი ნიავიც არ ქრის, თითქოსდა ეკლესიის საკურთხევლის სუნიც სუფექს ყველგან. ცაზე გუნდებად ბეღურების მხია-რული გადაფრენაა და ალვის ხეებს მარდად გადაუვლიან. კოშკის ვეებერ-თელა ჭადრების ჩრდილოთ გარემოში კი, თეთრი, ცისფერი მტრედები ლალად დაფარფატობენ. ტილოზე შეუჩერებლივ ფუნჯ-ფერებით ვწერ და ფიქრები ისევ მეახლა, რომელთა შეჩერება ჩემთვის შეცდომა იქნებოდა.

ქართული ეროვნული აზროვნების მოვლენა, იდუმალ შემოქმედი, ბატო-ნი კონსტანტინე, დაწრიტა და დალია თავის მიერვე ხატულმა უძლიერესმა ნანარმოებებმა, ინდივიდ-თვითმყოფადმა ეპოქალურმა მძაფრხასიათიანმა გმირებმა და შეეწირა კიდევაც განუყრელ ლვიძლ პირმშობს. ვუმადლოდეთ უფალს, მათმა სიდიადემ და უზომო მაღალმხატვრულმა ემოციებმა მაესტრო ჭკუიდან რომ არ შემაღეს. მაგრამ უფსკერო, წარმოსახვების მისტიკოს-მშ-ფოთვარე მოვლენა შემოქმედი, შინაგან-გარეგანი ნერვებტოკვითი ხასიათით

თანამედროვე მწერალთაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, ხშირად უცნაურ ხასიათსაც ამჟღავნებდა, რომელიც უზარმაზარი ნიჭ-ბუნების რხევისმიერობა გახლდათ...

ოდითგანვე, დედამინის რელიგიათ სვლათა კვალი, ოქროს გუთნის ხნულივით გავლებული იყო მწერლის სულ-გონებით აზროვნებაში, რათა, წინასწარმეტყველი მოგვივით, ყველა მათგანი სწამდა და ცამდე მართალი იყო: პლანეტის უმთავრესი აღმსარებლობებიც რომ ეწამა, არც გამიკვირდებოდა, რადგან ნებისმიერი მათგანი უზენაეს კოსმოს-უფლის პირმშოა და ყოველივე ამდაგვარი რწმენითმართალი ვარსკვლავითობაა: დიდმა მოაზროვნე მწერალმა თუ ძალიან გაგვასწრო, რა მისი პრალია; ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩვენი უსუსურობაა, ფხვიერ მიწაში თამამ ძრომიალობისა...

ლიტერატურული თხრობა, ძერწვით წერას, შინაგანი გემოვნებით, დამყოლ გამორჩეული ენა-სინთეზ-მდიდრული სიძველე განახლებით ფესვებიან; გონ-აზრთ, მომნუსხველ სტილს; მოქმედებათა აღწერის, ჭეშმარიტ სიმართლე მოგონებების და ზღვა გამოცდილების, მეცნიერული უზუსტესი დაკვირვებების გენისმიერი წარმოსახვების ნიჭს ფლობდა; მათივე, ზეციურნამებული ხელოვანი... ნაწარმოების მოქმედებათა წერისას, ფაბულათა სიმდიდრე, ურთიერთშედარებათა და ცოცხალთ ლეგენდად გარდასახვის უებარი ოსტატი გახლდათ. ზომა, ლიტერატურული ხმა-ხედვით, უცნაური შინაგანი სმენით, გამოირჩეოდა უპირველესი რომანები, მოთხროები თუ ნოველები; ჩანაფიქრის, სიღრმისეულ მრავალ რელიგიური აზროვნების ლაკონიურ-პარმონიულობა, მოულოდნელ ფერთა კოლორიტ გამაზე საკვირველ გაედინება, რითაც ქმნილებათ, გენიალური კლასიკოსი თუ თანამედროვე მოდერნისტული უდიდესი ფერმწერლების დონეზე ავითარებდა და ყველგან ტიციანისეულ-ფერადოვან სულ-ხორცს ასხამდა: უფრო მეტყველი გამოხატვისთვის მათაც ჩამოვთვლით. პაბლო პიკასო, ამედეო მოდილიანი, ანრი მატისი, ალორძინების ხანის სანდრო ბოტიჩელისეული, რეფორმატორები, ხუან მირო, ჟორჟ ბარაკი, და ვასილი კანდინსკისაც გახსენებს. ამავე დროს, „ბედნიერ-ტანჯული“ მწერლის ნებისმიერი ნაწარმოები, ქართული უნიკალური ხუროთმოძღვრების და მათში ბინადარ შედევრ ფრესკების ჩაუქრობელი ეკლესიური სხივებითაა მოფერთვენილი. წუ გაგიკვირდებათ და ლეგენდა მაესტროს, ლიტერატურულ-ისტორიული გმირების გალერეაში რომ შეიხედავთ, უსათუოდ შემეცნებისთვის უდიდესი მხატვარი, იერონიმ ბოსხიც; ბევრ რამეშიც დაგეხმარებათ. შეიძლება ლეონარდო და ვინჩის, ფსიქო-ტონალური, უფაქიზეს ფიქრთა ნიუანსური სიღრმებიც აღმოაჩინოთ...

ეგვიპტური საოცრება სფინქსივით, წინმსწრაფი მზერის, წარსულის, აწმყოს თუ მომავლის ათასწლეულთა სინთეზური ხედვის სტილ-ხატვაა, ღრმა ფილოსოფიური აზროვნებისა, და ფონად, ღვთიური საკრავ ორდანოს ქართული კლასიკური მუსიკა რომ გასდევს. ბოლოს ვიტყვი თამამად, თავდადებული მამულიშვილობა და ჯანსაღი სისხლსავსება, უვნებელი პატრიოტიზმი; უთუოდ თანაბარია, დიდი ქართველი გამორჩეულ ბაგრატოვანთა მეფეებისა და თავადვე პატრონ ჭყონდიდელია შეუდარებელი. აქვე უნდა ორგანულად

შევასისხლხორცო ის აზრი, რომ თემის აღწერისას, ქვეყნიერების საოცრებათ, იმიტომ ვიახლოვებ, რათა ზედმიწევნით მწამს, ყველა კლასიკურ შედევრში სამყაროს უფლის წმიდა ხატია ჩაპრძანებული...

საინტერესო და აზრიანი ფიქრებიდან, ისევ სურათზე შექმნილმა ფერ-წერულმა სირთულეებმა გამომიყვანა და ვხედავ, სასახლის აღმოსავლეთით ჩემს მხარეს. საფრანგეთის ასაკოვანი, მეფის კარდინალივით, კონსტანტინე ბატონი, მოულოდნელად ნელი ნაბიჯით გამოპრძანდა, სუსტი საშუალო ხმელი ტანალნაგობის, გაკრიალებული ცისფერი, იაპონური ხალათით და თავზე კოხტად მოხურული, შავი კახური ქუდით; თითქმის უძრავი, კოლხური უძველესი, ჩაუამული თეთრასფერი სახით. დინჯად და დაკვირვებით მიყურებს, უმაღ ხატვა შევწყვიტე და გაოგნებული ვდგავარ, გულმკურდზე მარჯვენა ხელმიდებულმა, წელში მოხრით, ძველოდიშურად უხმოდ მივესალმე – მორიდებით. რა გვარისა ხარ, ყმაწვილო! თითქმის დაჭიმული ხმით დამიძახა. ადამია გახლავართ, ბატონო! მივუგე. გასაგებია! წარმოთქვა და კოშკის ჩრდილოეთის დიდი კარიდან სახლში მოციქულივით შეპრძანდა. ვგრძნობ, რომ აუცილებელა და ჩქარი მანერით ვმუშაობ. დრო ძვირფასი გადის. ჯიუტი აწმყო არაფერს არ გვპატიობს და არცა თმობს. სურათი, სადაცაა მთავრდება. ან კი, ჩემზეა დამოკიდებული, თუ საჭირო იქნა, და-მამთავრებელი, ფერ-ლაქების ფორმათ-ხაზების დროულად მოხმობისა... შემდეგ ვხედავ, სამუშაო დღე, საგრძნობლად ინურება; უცილოდ ლვთიურმა მასპინძლებმა იგრძნეს მოახლოებული დრო, ხატვის დამთავრებისა და ქალ-ბატონი მირანდა, მეუღლე დიდი მაესტროსი, წინ თეთრი, ხალათ-აკურული, მოვარდისფრო ყვითელფოთლებიანი, თავსაფრით და წმიდანური, სანდომიანი სახის მზერით ჩემსკენ მოდის, მომიახლოვდა, თბილი ღიმილით მომესალმა და სადილზე წამოპრძანდით, ბატონო! კონსტანტინე გეპატიუებათ: გთხოვთ, მოხუცს არ აწყენინოთ! ამ სიტყვებით მომმართა, კეთილსახოვანმა დიასახლისმა, დიონჯად შეტრიალდა და კოშკისაკენ წაპრძანდა. დიდი მაღლობა, ქალბატონო მირანდა! ეხლავე მოვრჩები მუშაობას, ავალაგებ ხელსაწყოებს და თქვენთან გამოვცხადდები-მეთქი. ჩემსას უკვე ყველაფერი მოვაწესრიგე და უმაღ, კოლხური კოშკისკენ წამოვედი, ულამაზესი შველი არსად ჩანდა. „ეტიუდნიკი“ გარეთ, სახლის კედელს ფრთხილად მივაყუდე და ნახატი-ტილო შესასვლელ კართან, ნათელ ადგილას დავდე. ამ დროს კონსტანტინე ბატონი, წინასწარმეტყველ მოგვისმიერი სვლით დარბაზიდან გამოპრძანდა; დინჯად, თითქმის უხმოდ მომესალმა, ყოველგვარი ღიმილისა და მიმიკის გარეშე, მშრალი, ცივად აწეული წარბებით და გამომცდელის მზერით სურათი დაათვალიერა, ცოტა ხანს მდუმარე მოციქულივით იდგა; შემდგომ, მხოლოდ ერთი სიტყვაღა თქვა, კარგია! შეტრიალდა და წინ შეპრძანდა. მე არ დავბნეულვარ: ქალბატონი მირანდა მაჩვენებს, საით წავიდე; ელიფსური უზარმაზარი, წაბლისფერი მაგიდის თავთან, სამხრეთით ფანჯრების მხარეს მიმითითა. ჩემთვის ცალკე იყო სუფრა ოთხკუთხედ საფარზე გაწყობილი; მეორედ გამიმეორა, აქ დაპრძანდითო! მეც ჩვეულებრივ დავჯექი და დარბაზში გაფაციცებით ვათვალიერებ სურათებით და ფოტოებით ექსპონირებულ

კედლებს, ერთ ადგილას ლადო გუდიაშვილის გრაფიკული სურათი, პარიზში მოღვაწეობის დროინდელი, საკურთხევლის სანთელივით ციმციმებდა; რაც მთავარია, ჩემთვის სალოცავი ხატივით ვუმზერ, პროზის – აზროვნების და ქართული პატრიოტიზმის ჩაუქრობელ შუქურას – ლეგენდარულ ცოცხალ პიროვნებას.

ყმაწვილო! ღვინო გაიხსენი, რომელიც გნებავდეს. სამი ბოთლი ერთად იდგა შეჯგუფებული: საფერავი, კახური და ტიბაანი. მე ტიბაანი ვირჩიე, უჩუმრად გავხსენი და დავისხი ბროლის თხელ ჭიქაში. თვითონ შეუდარებელი კლასიკოსი მაესტრო, მაღალ ანტიკვარულ მაკაგონის ხის ფიგურებიან-ორნამენტით შემკულ სკამზე იჯდა. გვერდით, იატაკზე, თუთის თუნუქის ფართო და ღრმა ჭურჭელი ედგა მცირედი წყლით. ნერწყვდენით დაავადებული, ქვედა ყბის ხშირი მოძრაობის შემდეგ, ყელის ამონმენდითაც გადაანერწყვებდა. მრავალი შედევრის ავტორი, უზომოდ ნაშრომ-ნაჯაფარი, არ გახლდათ ჯანმრთელად, ყოველ მოძრაობაზე ემჩნეოდა, რომ ავადმყოფობდა.

წინ, ოდნავ მარცხნივ, წვრილი ტანწერწეტა ძვირფასი, ისევ უძველესი ფუჟეროლი კეკლუცობდა, რომელშიც წითელი, კოლხური ღვინო მდუმარებდა. მეგობრები! ნუ გიკვირთ! ცოტა ხნით რომ ვშორდები ზღაპრულ სივრცე-გარემოს...

კონსტანტინე გამსახურდიას პროზას; როდესაც ხარ მოაზროვნე ინტელექტუალური მეითხველი, ღრმად გრძნობ, განიცდი და სუფთა სული-ერებიდან დაწყებული, უთვალავი ნიუანსით გაზიარებს გამაოგნებელ ნეტარ სურნელოვან სიამოვნებას; ასევე გონებრივად გამდიდრებს და ზეციური სიმაღლეებისკენ წვდომებს განგაცდევინებს. სიახლე, სიტყვა-ფორმათა, ხაზ-ფერთა, მშვენიერების მოსვლას რომ გვაზიარებს და ბოლოს მაინც იდუმალ მაამებელ განწყობილებათა მთლიანობას საკმარისად ვერ დაახასიათებ და ახსნი. უთუოდ ურთულეს-ღვთიური განძია, ჩვენდა ბედად აღმოჩენილი...

დავუბრუნდეთ საოცრებათა დარბაზს:

ჩემი მენიუ ამდაგვარი გახლდათ: ფაიფურის ლამაზ თეფშზე პატარა ნაკვეთი ღომი იდო, სულუგუნჩახარშული; მეორეზე, მცირე, დაჭრილი მეგრული ხაჭაპური. ცოტად და მოკრძალებით ორივეს ვეახელი. ამჟამად ჩემთვის მთავარი იყო, უფლის მადლით თუ შედგებოდა, ოცნებად ქცეულ ბატონ კონსტანტინესთან მოკლე საუბარი. დაისხი ღვინო! წვრილი, ავადმყოფური ხმით შემახსენა და ფუჟეროლი ასწია, რითაც სივრცე უჩვეულო მოვლენად შეივსო და, საქართველოს გაუმარჯოს! მოკლედ წარმოთქვა. ფეხზე არ ადგე! ისე მიირთვი! თითქმის ბრძანა. შემდგომ თავის თეფშს დასცქერის, ისე მეკითხება, ბინა საკუთარი თუ გაქვს, ყმაწვილო?! არა, ბატონო, ნაქირავებში ვცხოვრობ. ციგანი მთავრობა! გალიზიანებულმა ჩაილაპარაკა, შეიძლება უხერხულად, მაგრამ ჭურჭლისკენ გადაიხარა და ისევ გაინთავისუფლა პირის ღრუ. მუდამ იმდენად უძლეველად მიმაჩნდა უპირველესი ხელოვანი, არ შემცოდებია.

რომელიმე თემაზე საუბარს მეგრულად რომ დამიწყებდა, ჩემი იმავე ფორმით პასუხი არ მოსწონდა. საინტერესო ისტორიაზე კითხვები იდიშურად რომ დავუსვი, წარბეპშეკრულმა მაესტრომ, შეკუმშული კილოთი, ქა-

რთულად გამცა პასუხი. ამასობაში მასინძლისგან ძალიან საინტერესო და ღრმად განსხვავებული ხასიათ-განწყობილება ვლინდებოდა... ბატონი კონსტანტინე, როგორადაც ხალხი ახასიათებდა, ზუსტად ის პუმბერაზი, ოდნავ ურჩი პიროვნება, მრავალფორმიანი ფსიქოლოგიური თვისებების პორტრეტი იხატებოდა ჩემს წინ. მეორედ თუ მესამედ კვეთილი მორალური მზერით რომ გადმომხედა, თითქოს შორეული საქართველოდან სევდით მზირალმა: უმალ გენიალური ფილოსოფოსის, ვოლტერის ფიგურული ქანდაკება წარმომიდგა თვალწინ. შემდეგ მთვარისეული შენელებული სვლა სითბოთი გაიხსნა და მეკითხება: ჩემი პატარა შველი თუ მოგეწონა, ყმანვილო? ძალიან! ულამაზესია, ანგელოზის თვალები აქვს, ღიმილით მივმართე და პირველად ვიხილე დღეს, ნათქვამი რომ ესიამოვნა და გაეცინა კიდევაც. თხელი ლოყები ჩაეკეცა და ქვედა ყბამდე მუქმა ხაზმა გაირბინა, თვალები გაუმხიარულდა და ჩემთვის სრულიად სხვა განწყობილების მწერალ პიროვნებად გარდაისახა. უთუოდ მეამა მაესტროს მაგ სახის განწყობილების ხილვა.

ნებისმიერი მდგომარეობისას განსხვავებული აზრ-წარმოდგენები არ გასვენებს: მგონი არაა საჭირო, მწერალს რაც კი შეუქმნია, უფლის მეშვეობით, მის იდუმალ ნიუანსებზე რომ დაუსრულებლად წერო და მეცნიერულად განიხილო: მაშინ ბევრად მეტი ლიტერატურათმცოდნების წიგნები შეიქმნება, ვინერ თვით ავტორისა, რომელიც აზრთ-ფილოსოფიის იმდაგვარ სილრმისეულ უტევობას ატარებს, უსასრულობის გენის, სულიერ-გონებრივი საგანძური, რომ უმჯობესია, გრძნობათ საუფლო მიუწვდომლობის მუდმივ მეხსიერებაში ბინადარ-მდუმარებდეს; ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდასი“ და ლუდვიგ ბეთოვენის „მთვარის სონატა“, მიქელანჯელოს „დავითი“, პრაქსიტელის „აფროდიტე“ ან „ნიკეა“ და „ვენერა მილოსელი“. დარად მზე და მთვარე-ვარსკვლავებისა... დიდი ხელოვნება, კლასიკური თუ მოდერნისტული, იდუმალებიდან იპადება და ხილულ თუ სმენა-ხედვით ფორმად მოვლენილი, კვლავ დაუწერელი კანონებით ნაწილობრივ უხილაობაში თითქოსდა მიიპარება. თავისი კოსმოსური უკიდეგანო სიმდიდრე თვისებებით. მერმე წრიულად, უჩინარივით, ისევ უკან გვიბრუნდება და აქაა საოცრება ზეციური სიმდიდრე ხელოვნების, ბოლომდე, ჩაწვდომა, გაგება-შეგრძნების შეუძლებლობა. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანიც“, ოცდამეთხუთმეტე საუკუნეშიც, იდუმალ მეცნიერულად შეუსწავლელი იქნება. განა უფალს და მის შემოქმედებას ბოლომდე ჩავწვდებით ან გავუგებთ? მიახლოებით კი უნდა შევიგრძნოთ, იქიდან გამომდინარე კიდევაც სულიერად აღვიზრდებით და პერიოდულად ვისიამოვნებთ თუ მეტსაც მიიღებთ! ბევრად უმჯობესია. აი და ამაშია, მეგობრებო, გენის სიდიადე და შემოქმედებითი ზეენარული მიუწვდომლობა. ჩემი ბოლოთქმა, შემოქმედ გენიათ, სივრცის უხილაობის სახეგანუზომელი ფონდებიდან ჩამოაქვთ აზროვნება-მშვენიერება, რომელსაც იდუმალების საბურველს ბოლომდე ვერ აშორებს და ისევ აქაა, შედევრ ნაწარმოების ხილულობაში ჩამობრძანებულის მინიერი უძლურობა, რომელიც უსასრულობიდან მარადიულობაში, ექსპონატ-ქმნილების სახით განსულიერდა.

სივრცობრივი სიმდიდრის მიუწვდომლობა, რომელიც გენის მიერ

შემოტრიალდება ჩვენსკენ, ის ნაწილობრივ მაინც იმქვეყნიურია.

„გენია კოსმოსური, ყველაზე მაღალი, მგრძნობიარე ნიჭ-განცდებითი, ზეკატეგორიის ინტელექტუალური დაავადებაა“...

დავუპრუნდეთ წმინდანთა და მოგვთა გენია საუფლოს...

კონსტანტინე ბატონი! ლვინისგან ოდნავ შეთამამებულმა დაბალი ხმით მივმართე: სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დამამთავრებელ – სადიპლომო ნამუშევრად ფერწერული ტილო-სურათი, თქვენი პორტრეტით მინდა შევქმნა და გამომშვებ კომისიას წარვუდგინო. ნებას თუ დამრთავთ, კონსტანტინე ბატონი, თითქმის მორჩილად შევეხვენე; მხოლოდ სამჯერ შეგანუხებთ, პორტრეტის ჩანახატების შესაქმნელად, თქვენთან მოსვლით-მეთქი. არა! ყმანვილო! შეუძლებელია! მოჭრით გამცა პასუხი. მერმე წყვეტილი სიტყვებით წარმოთქვა: ქეთევან მაღალაშვილმა მთხოვა; ახალი ჩამოსული იყო პარიზიდან და ნატურაზე ორჯერ ვეჯექი მხოლოდ: კოლია კანდელაკთან ერთხელ, რომელიც დიდი მოქანდაკეა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია გაგაცნოთ ის საინტერესო მოგონებები, რომლებიც მაკავშირებს ბატონ კოლია კანდელაკთან.

კვირა დღეა; ისვენებს სამხატვრო აკადემიის უხუცესი პროფესორი, ქანდაკების ფაკულტეტის დეკანი და შემოქმედებით საკუთარ, უზარმაზარ სახელოსნოშია ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე. მიუხედავად ყველაფრისა, დაძაბული, შემოქმედებითად თავდადებით მუშაობს. ბატონ კოლიასთან გამოსასვლელ დღეებში ხშირად დავდიოდი, რადგან შეყვარებული ვიყავი მოქანდაკის ნები-სმიერ წაქერნ ქმნილებაზე. ბევრს გინახავთ ალბათ აკაკი ხორავას ბიუსტი, „იმერელის“, „გენერალ ტოლდუხინის“ და მრავალი პორტრეტი შედევრები: დღეს ვზივართ პატარა მაგიდასთან და ჭადრაქს ვთამაშობთ. რომ მოვუგებდი, სასტიკად მოელუშებოდა სახე და მოწითალო, მხრებამდე ჩამოყრილი თმებიდან მომწვანო თვალებით დემონივით იყურებოდა. როგორც კი მომიგებდა, მეუღლე ქალბატონ უენიას, უმაღ უკანა ოთახში მოფუსფუსეს შესძახებდა, წარმოშობით რუსი, სანქტეტერბურგელი გახლდათ; მხიარული და კეილშობილი ადამიანი უენია! მოვუგე რეზოს! ჩქარა კონიაკი გამოიტანეო! მეც ძალიან არ განვიცდიდი ბატონ კოლიასთან წაგებებს. ერთხელ დიდი მოქანდაკე თავის ვრცელ სახელოსნოს მათვალიერებინებს: ორსართულიანი თაროებიდან დაწყებული, შედევრ-ქანდაკებებით იყო სავსე. მიმიყვანა ბატონ კონსტანტინეს, მხოლოდ დაწყებულ, ბიუსტ-პორტრეტთან. ძლიერ აღვფრთოვანდი, რადგან შესანიშნავად იყო ხასიათ-განწყობილება დაჭერილი და სახის ფორმათა გამოკვეთილი ძერწვა? შეუდარებელი ფრანგი მოქანდაკის, ანტუან ბურდელის გამოქანდაკების დონეზე. აკადემიის პირველ-მეორე კურსის სტუდენტი რომ ვყოფილიყავი, ყოველგვარი მეცადინეობით და მიზანსწრაფვით, ქანდაკების ფაკულტეტზე გადავიდოდი, მაგრამ... რატომ არ დაამთავრეთ პორტრეტი, ბატონო კოლია? გულდაწყვეტილი ვეკითხები. უსათუოდ! რთული ხასიათის კაცია! ერთხელ მოვიდა მხოლოდ, იჯდა ნორმალურად. არცკი საუპრობდა, ფიქრებით ჩემთან არ იყო. ორიოდე სეანსის შემდეგ მეუბნება: ან, ბატონო კოლია, დანარჩენი შენი საქმისა შენ იციო, რო-

გორც როდენმა, უნატუროდ გამოძერნა, ვიქტორ ჰიუგო, მაგრე იმოქმედეთ თქვენცო: უსათუოდ კაცო! უცნაური პიროვნებაა...

მაგ ნაამბობს როგორ გავამხელდი ბატონ კონსტანტინესთან, მაგრამ დღეს ნათლად მომავონდა ბატონი კოლიას – სამართლიანი, მართლაც უნიჭიერესი მოქანდაკის – გულისწყვრომა. არადა, წარმოიდგინეთ, როგორი ლირსების ბიუსტ-შედევრი, გვექნებოდა ქართველებს და მხოლოდ ჩვენ კი არა, გულდასანყვეტია, რა თქმა უნდა. იმსანად საძჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობის, ნადეჟდა ბურმისტროვას, პორტრეტზე მუშაობდა; მსოფლიოში განთქმული მოქანდაკისგან უფლება მქონდა, სეანსებს დავსწრებოდი. შუადღეა, სახელოსნოს კარი გაიღო და უმშვენიერესი ტანის რხევით შემობრძანდა ულამაზესი, მაღალი ჰარმონიული აღნაგობის ქალბატონი, მიხაკებით ხელში. მოგვესალმა, შინაურულად ხალასად, მოხდენილ-მსახიობურად და მამრობითი სქესის ლომის შეხედულების დიდ მოქანდაკეს უშუალოდ, თამამად ეახლა და თბილი ლიმილით თაიგული გადასცა და ნაიარევივით დაღარულ მაესტროს წითურ ლოყაზე მოკრძალებით ემთხვია. მერმე დაიწყო ზებუნებრივი ქმედებები, მშვენება ნატურა მთლიანად უხილავ სხივებად გასცემდა შინაგან სამყაროს და მოქანდაკეს ალალად სთავაზობდა. სინამდვილეებს ვიხსენებ! ბატონი კოლია ბიუსტთან მუშაობდა უცნაური მიდგომით, არა ჩქარი მოქმედებით და არცა ნელი, რაღაც შუალედური იყო, დემონურთან ახლოს. ჯერ აგურისფერ თხას ხელის თითებშუა ამუშავებდა, თითქოსდა ავტორისა და ნატურის სულის ჩასახვა ხდება. მერმე გრძელი, ვიწრო ტუჩების ცმაცუნით, ზემათემატიკური სიზუსტით, ბიუსტთან მიიტანდა საგანგებოდ ნაძერწს, დასვამდა საჭირო ადგილას და იქვე სიცოცხლე, უმკვრივესი შინაგანი ფორმიდან, სულიერდებოდა. ამდაგვარად ჩვენს წინ მარადიულობა ქანდაკებოდა.

მართლაცდა უფალმა, თავისი თავის გამოსახატავად ხელოვნება ალავლინა გენია-ადამიანთა მეოხებით...

ორი აკადემიური სეანსის დამთავრების შემდგომ ლირსეული ქალბატონი სევდიანად გავაცილეთ. ბატონი კოლია შუა სახელოსნოში, მარჯვენა მხარ-ხელჩამოშვებული და თმააშლილი, ბიუსტ-პორტრეტის წინ დადგა და შინაგანი ხავერდოვანი ხმით დაიღლაპარაკა, უსათუოდ ბრწყინვალე ქალია... პირადად, არც ლიმილი და აღშფოთება თუ გაკვირვება არ მომგვარა ამ ცოცხალმა სურათმა, რადგან რაღაც რეალურს მიღმა, სრულიად უცხო სივრცეში მოვექეცი.

ახლა კი მოაწია კეთილმა უამმა, ბატონ კონსტანტინეზე ვიოცნებოთ და ვისაუბროთ. დროსთან, უფერულ, ბნელ თუ ცეცხლოვან სივრცესთან, ადამიანთა ყველა თვისებასთან, ქარიშხლიან სტიქიასთან, ბოროტ მოვლენებთან, წარსულში ჩამარხულ მტრებთან თუ თანამედროვეთა გახელებასთან მებრძოლ სამაგალითო ხელოვანს, ისევ ვეახლოთ. ალბათ თვითონაც უკვირდა, რომ ასეთი დაიბადა...

შუქნათელი მწერლის ნაწარმოებთა მოგონებათა თუ თხრობის გმირი,

რომელიც გამორჩეულ ლიტერატურულ, ისტორიულ, მითოლოგიურ, რელიგიურ, მისტიკურ, ზოგჯერ რეალურ-ირეალურსაც, ასევე სიურეალიზმის აბსტრაქტული თუ ჰიპერრეალიზმის უცნაურ ფორმათ ხილვათა სხეულსაც ფლობს. ყველა მათგანს თავისი დამოუკიდებელი ჩამოსხმული ხმა, ფერთ ჰარმონია, ლაკონიზმი გააჩნია, ნებისმიერთ გამოკვეთილი ხასიათი, ზნე, მთლიანი სხეულის კონსტრუქცია თვითმყოფადი, უფსკეროდ სიღრმისეული სულიერ-ფსიქოლოგიურად ნაძერწი პორტრეტებისა; რითაც უნაკლოდ, ეპოქათ სრულყოფილი ხატვაა, მხატვარ კლასიკოსების, ბრეიგელ-ბოსხისმიერობით: უფრო ღრმად წარმოვიდგინოთ, თითქოსდა ეგვიპტური, მუქი ლურჯი გრანიტის ქანდაკებათ, ფორმა-ხაზისხმულია; ან, კოლხური უძველესი წელფორმიანი ამფორებივითაა – ტევადი, უხილავ აზრთ უსასრულობისა. საკვირველი და შორეული ზომა ხედვაა მოქმედება მრავალხმიანი. მათგან იდუმალი მინიშნებებიცაა მიწვდიადებულ, პელაზგურ-ეტრუსკულ, უძველეს კოლხურ არქაიკად შერწყმულ-მონეულ, ინსტინქტურ-წარმოსახვათ ზიარებისა, რომელთაც უხსოვარდროინდელი, ურყევად მოარული ფანტასტიური ინსტინქტ-მისტიკა ახლავს...

ნუ გიკვირთ და უკადრისად ნურც გაფრთხობთ, მეგობრებო! ზემოთ მოხსენიებული შორეული ვარაუდები; ჩვენი მზის სისტემისა და უსასრულო სამყაროს დროთა სვლა, რა თქმა უნდა, ძალან სწრაფი და უახლოესია: მხოლოდ ჩვენთანაა ათასწლეულებად აღრიცხული. არაა გასაკვირი, ქართულ თანამედროვეებშიც რომ ელავდეს შუმერული, ხეთური, ქალდეური, პელაზგური, ძველბერძნული, ბაბილონური ატლანტიდების თუ ძველკოლხურ-იბერიული სულიერი გრძნობა, განცდა, ნიჭი მრავალჯერ მოსვლის გენეტიკური სინათლე უხილავი მოლეკულებისა. სამყაროს დრო ხომ, ასტრონომიულ-კოსმოსური ცნებიდან გამომდინარე, სივრცეში თვალის დახამხამებაა: მაინც თუ ვერ გავხდი თქვენთან შედარებებით დარწმუნებას, მაშინ პიროვნულ, ეროვნულ, გვაროვნულ თუ რასისტულ გენეტიკასაც ხომ ვერ უარყოფთ?..

მგონი, მოგაბეზრეთ თავი, მაშინ, დავუბრუნდეთ დიდი მაესტროს ისტორიული შემოქმედებით დარბაზს. მერამდენედ მკვეთრი მზერით გადმომხედა მითოლოგიურმა მწერალმა და მეუბნება, თუ გინდა, ჩემს პორტრეტზე მუშაობისას ფოტოებით ისარგებლე, ყმაწვილო! მირანდას მოვატანინებ ალბომს და... საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი, უმაღ მართალი პროფესიონალური გადაწყვეტილება უნდა მიმედო. წამიერი დუმილის მერმე, სამხატვრო აკადემიაში გვეკრძალება ფოტოებიდან ხატვა, თანაც ცოცხალი პიროვნებისა, ჩემო ბატონი! ვუპასუხე და ისევ უხერხული განწყობილება ჩაწვა.

დრო! წარსულ-აწმყო-მომავლით ჩვენს ირგვლივ თვითნებურად ნაწილდებოდა და უძველესი კედლის საათის ისრებზე თითქოს თანაბრად ილექტონდა. აწმყო? ჩვენთან იდგა და გარბოდა კიდევაც... მეორე სადღეგრძელოთი შენ გაგიმარჯოს! წარმოთქვა მაესტრომ. სახელი არ უკითხავს, მეც ვერ შევკადრე და თავი შევიკავე. მერმე სიზმარივით მიეკარა კოლხურ წითელ ღვინოს და ფუჟეროლი მოშორებით დადგა. ნეტავ როგორი გემოსია ბატონი

კონსტანტინეს რჩეული ღვინო? ჩემს თავს საიდუმლოდ ვეკითხები. სადლე-გრძელოზე მადლობა მოვახსენე. მასწავლებლებით ხარ კმაყოფილი? სტი-პენდიას თუ ღებულობო და მკაცრად გადმომხედა. მასპინძლისეულ ყველა შეკითხვაზე, დიახ ბატონი! სიმართლე მიუუგე. შემდგომ ვგრძნობ, უკვე დაი-დალა ჩემი იცნების მწერალ-მასპინძელი და დროზე, ჩემდა ბედად, ბატონი კონსტანტინე ვადლეგრძელე, ფაქტებით, სურვილებით დიდად შევამკე, ჩემი სიტყვა-აზროვნების მიხედვით და სითბო-სიყვარულიდან გამომდინარე, მად-ლობის ნიშნად თავს ოდნავ შესამჩნევად მიქნევს, შემომხედა და, ლაზერის სხივივით, ჩემს მორჩილ თვალ-სხეულზე კეთილგამჭოლად გაიარა, პირვე-ლად ხილულმა მზერამ... მერმე ისევ შევთამამდი და მივმართე, კონსტანტინე ბატონი! თქვენ, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული, სოფელ ძველისენაკის ორწლიანი დაწყებითი სკოლა გაქვთ დამთავრებული და სოფლელები, დიდ-პატარიანად, ვამაყობთ თქვე-ნით. დიახ, ბატონი! მთელ სოფელს ძლიერ უყვარხართ. მაშინ მაესტროს კითხვა-წამოძახილი იყო – ფრიად ბავშვური, მართლა ვუყვარვარ?! მე კი უხმო, ვაიმეთი?! შინაგანად ჩავიკვენეს: იმდენად, რომ სიტყვიერად ვერ გამოვხატავ, ჩემო ბატონი! დავუმატე და ჩვენში თითქოს გარემო ამინდი შეიცვალა, შუქტ გამონათობით ღიმილმა მთელ სახე-სხეულს გადაუარა. უფრო მეტად ვასიამოვნებ-მეთქი და ვეუბნები: უსაზღვრო უფლისმიერი ძალა ჰქონია სოფელ ძველისენაკს, ამოდენა გენიოსი რომ გამოგზარდათ და მესამედ ისევ გავაღიმე, უფრო გავაცინე კიდევაც.

ბოლო წლებში, როცა მოეძალა ავადმყოფობები, მძიმე ფიქრები, დეპრე-სიები: ქვეყანასთან, ოჯახთან, თავის შედევრებთან, გმირებთან (მწერალი ხომ თავისივე ნაშობი გმირით ფასდება), მზე, სინათლე ქვეყანასთან განშორების დღეები, თვეები თუ წლები, მკაცრი კოსმოსი აკონტროლებდა, მამა ღმერთი, ძე ღვთისა იესო ქრისტე. ადამიანი თავადვე მცირე განეცნებული კოსმოსია: იბადება, იზრდება – იწვის, იფიტება და ქრება. მერმე კვლავ ალსდგება და ამდაგვარი ფორმით ტრიალებს ცოცხალი სამყარო, უხილავი მოლეკულები-დან დაწყებული. ქვეყნიერების ყოვლისმომცველი სული ხომ უსაზღვროდაა გადანაწილებული, როგორც უფალია ყველგან (პატარა ია-იის ყვავილშიც რომ დანიავობს). უსასრულობაში – კოსმოსში და მის ორომტრიალში, შავი ხვრელის სიმძაფრითურთ, ყოველგვარი ზეკანონით, ზნეობრივ ჭეშმარიტე-ბათა მთლიანობაა...

უმდიდრესი-თვითმყოფადი ლიტერატურულ-შხატვრული თანამედროვე თუ ისტორიული გმირების გალერეა, ბატონი კონსტანტინეს ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი, წმიდა ეროვნულ-კაცობრიული უმტკიცესი კანონ-წესდებაა... უცილოდ, ურთულესი მიზანია, მაგრამ ანთებულ ბრწყინვალე მაესტროს, შინაგან იდუმალ უხილაობას მინდა მივუახლოვდე: ვარსკვლავეთის მრა-ვალმხრივ გადავსებული სივრცე უზომოდ მდიდარია მუსიკით, აზრებით, ფერებით, ფორმებ-ხაზებით, პოეზიით, ფილოსოფია-მეცნიერულ-საოცრება-უხილაობებით. შეუვსებლობაში ინახება მომავალი ცივილიზაციები და რე-ლიგიათ სიახლეები. სავსეობაა უკეთურ-სიკეთე და სიყვარულით, რომელსაც

გამონაკლისნი წვდებიან და ურთიერთკავშირად, უსასრულოდ კოსმიურ-უფლისმიერი სული დანიავობს ყველგან. მომავლის მიღიონობით წლებში მაგ სიმდიდრეს პოულობდნენ იქნება მწერლები, პოეტები, ფილოსოფოსები, მოქანდაკეები, ფერმწერები-მხატვრები, კომპოზიტორები, არქიტექტორები, ღრმად მოაზროვნე მორწმუნები, ნათელმხილველები და მეცნიერები: ყოველივე მიუწვდომლობას მიაგნებენ და მოიზიდავენ მხოლოდ გენიალური ნიჭის ადამიანები, უძრალო ადამიანებისთვის მაინც ძნელად მისაწვდომი, მაგრამ მათი სულიერ-გონებრივი ამმალლებელნი.

დავუბრუნდეთ სასიამოვნო განწყობილებას, გონებით შორს მყოფი მწერალი, გახსნილი სახით, სივრცეს უცქერდა. კეთილი საუბარი და სიმშვიდე ხომ მკურნალია ნებისმიერ შემთხვევაში... ზომიერი გამბედაობა არ მაკლდა, რათა დროულად რომ გამხსენებოდა და ერთი წინადადებალა მეთქვა, კონსტანტინე ბატონი! ხელისუფლებამ პატარა ბინა-ოთახი რომ მომცეს, თქვენს ერთი-ტელეფონის ზარს შეუძლია-მეთქი. თან უკვე გულლიად და სიამაყით განვაცხადე, რომ კომკავშირელი არა ვარ და მომავალშიც ღმერთმა დამიფაროს-მეთქი. კომკავშირელი არა ხარ, ყმაწვილო? ცნობისმოყვარეობით კითხვა დამისვა და ნდობით აევსო თვალები, საგანგებოდ შემომხედა, თითქოს ეხდა აღმომაჩინაო.

მამაჩემი, კონსტანტინე ბატონი! ათას ცხრაას ოცდაოთხის აჯანყების გამოსვლის მონაწილე გახლდათ. ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით. ბოლშევიკ საშა გეგეჭკორს დაუჭერია და მეამბოხეთა, მორიგ დასახვრეტთა სიაში შეუტანია, მაგრამ ბედად იმ დღეებში ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია სენაკში ჩამოსულან და მათ გადაურჩენიათ მრავალნიც: ასე უთქვამთ გეგეჭკორზე, რა გიქნია, შე კაცო, მთელი სამეგრელო დაგიხვრეტიაო, შეწყვიტე ეხლავეო! ნაღვლიანად ამოიხვენეშა მაქსტრომ, თითები მაგიდაზე დააკაცუნა და სახეზე ზიზღი გამოხეატა. ბაბუაჩემი ნიკო ადამია მაზრის მწერალი გახლდათ, მერე კომუნისტებს გაუკულაკებიათ. კი! მახსოვს ბუნდოვნად, სოფლის ხალხში წასენებიდან,.. დაილაპარაკა მწერალმა და თავი დახარა; კოლხური კოშკისეული სიმშვიდე უხილავი დინებით შემოიპარა დარბაზში და მაქსტრომ, დალლილმა, ფარულ-შათვლიმა...

საშინელებაა ადამიანის ცხოვრება, შინაგანად მუდამჟამს მარტოობაში ყოფნით...

ალბათ დასვენების დროა დიდი შემოქმედის, ფიქრმა გამკრა; ასაკოვანი მწერლის უზომო შრომა-გონებრივი; სიცოცხლე-გარემოსთან უმძიმესი ურთიერთობა, უღმრთო კომუნისტებთან გაუთავებელი დავა; ვერაფრით ვერ დაუმტკიცებდით მათ, რუსეთი, ახალ ერებყლაპიად რომ ჩამოაყალიბეს. ბუნებრივი ავადმყოფობა და ასაკიც ეძალებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანს...

საკვირველი არა? ყოველგვარი შედევრების შექმნა ცვეთს შემოქმედის ორგანიზმს თავისი სხეულის უმცირესი ორგანოებითაც: რომელიც დაუზოგავ, თავისთავად ფიზიკურ, სულიერ-გონებრივ შენირვას წარმოადგენს.

იშვიათობაა მსოფლიო პროზაში, მაგდაგვარი მოხდენილი ანდამატური

თხრობის, მხატვრულ ულამაზესი ხატოვანი ფორმა, მიადევნეთ გონიერივი მზერა და იხილავთ მუქი წავლისფერი კოლხურ-იბერიული ცხენ-რაშის ფრიად შეკაზმულის მიერობას: წერის სტილის, ნეტარ ფერწერულ-მუსიკალური, პოეტური ნატიფი გემოვნება. აზრთ პარმონია მხატვარ ანრი მატისისეული, ხაზთ სვლა, ნარნარ დინება ფორმათ ყოველივესი. მოციქულთა ოთხთავივით საამოდ რომ იყითხება. რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ ხომ განუმეორებელი, ლიტერატურულ-ნებისმიერ სივრცეში მუსიკალურ-პროზაული უნაკლო პოემა. გენიალურ პოეტთათვისაც თეთრი შურის აღმძვრელი. თხრობა-მოყოლისას ნებისმიერი სიტყვა-წინადადებით, ტანში ურუანტელის მომგვრელი სიახლე, აზრთ წყობით; ეგვიპტური ფრესკათ მოხატულობის შეპარვითი მრავალხაზოვანი განწყობილებაა, სიტყვათ-ფერ, აზრ-ფორმათ პროპორციები, მხოლოდ ავტორისეული სტილისებური მოქმედების ლიტერატურულ პარმონიად გვეცხადება... ქართული, ლრმად მოაზროვნე სიტყვები ინდივიდუალურად ისე მოძრაობები, აგერას ბეჭა და ბეშქენ ოპიზრებისეულ ორნამენტებად მოიჭედებ-მოიხატებიანო!..

ერთხელ, პარიზში, ლუვრის ფერწერული სურათების დარბაზებიდან გამოვედი, ულამაზესი ეზოს ჩრდილოვან მხარეს მარმარილოს გრძელ სკამზე განვმარტოვდი, ფერწერული შედევრებისგან აღფრთოვანებულს მინდოდა და ყოველმხრივ ვეცადე, გამოვნება, შედევრ ქმნილების თეორიულად განმეხილა, ჩავნვდომოდი, რა ხდება შენში იმ წუთებში ნანარმოების უცხო შეგრძნება, სტილი და კულტურა ოსტატობისა როს შეგიპყრობს და ნეტარ უზომო სულიერ სიამოვნებას რომ განგაცდევინებს. აქ უთუოდ, მაგ შემთხვევაში, ღმერთი კეთილი განმანათლებლად შემოვიდა შენში, უშუალოდ შედევრიდან და უფრო მეტი რამე არსებობს? ახსნით?! ლამაზი თუ ნებისმიერი ქალის სიყვარულს? შეძლებთ, აის-დაისის მშვენიერების სულიერადაც დასურათებას? ან ბრძნულ სიახლე ღვთაებრივ აზრებს ბოლომდე ჩასწვდებით? ძნელიაო, იტყვიან. ამიტომაცაა ხელოვნების შედევრები უმეტესთათვის მიუწვდომელი, რადგან ყველგან მათში იდუმალებათა უფაქიზესი ანგელოზისეული მრავალი უნატიფესი ნიუანსია დავანებული. დიდი ხელოვნება სამყაროს უსასრულობიდან გადმოედინება და უმნიშვნელო ნელი სვლით უკანვე მიცოცავს, კვლავ დიდი ნიჭია საჭირო მათი ჩვენს პლანეტაზე მუდმივად დატოვება-შენარჩუნებისა (დედამიწიდან დროთა ჟამში, ცოტა ხელოვნების შედევრებია გამქრალი?).

ამდაგვარი ფიქრ-მდგომარეობით ლუვრის ეზოში ვზივარ და ვუტრიალებ შედევრთა მიუდგომელი გემოვნების ღვთიურ უხილაობას, ყოველმხრივ ვეცადე მრავალგ ზის თეორიულად განმეხილა მისივე ენით და მიახლოებითაც ვერ მივედი იქამდის რათა ისევ დავუბრუნდები, აზრთ წარმოუდგენელი ღვთიური იდუმალებაა, არამქეყნიურ-მიწიერი შეგრძნებაა და უფრო შენში უფლისმიერობითი ურთულესი სივრცე მუღავნდება. ყოველგვარი ამაღლებულობა ხომ ოპტიმისტური იქნება, თუ პესიმისტური ღვთიურ-ადამიანურ გრძნობათა მთლიანობაა ლრმად დადებითობისა: იმდენად ღვთაებრივია სიტყვა-აზრთ ჯადოასხმული მაესტროს რომანები, მოთხრობები და ნოველებიდან გამომდინარე სრული წარმოდგენა გეუფლებათ, მთლიანობაში თითქოს-

და მარადიული ზნეოპრივ-კაცოპრიული ჯანსაღი სულისმიერობითი ურლვევი გემოვნებითი ფორმა;

„თავისი დროის ზნეობის გაუმჯობესება – აი მიზანი, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყოველი მნერალი, თუ არ სურს მხოლოდ „ხალხის გამრთობი“ იყოს“. – ბალზაკი. კონსტანტინე გამსახურდია, ჭეშმარიტი მსახურია ამ ზეგონებრივი აზრისა...

კვლავ ვეახლოთ უკეთილშობილეს დიასახლისს; დარბაზში სიმშვიდეა, ფიქრები, აზრები, ნაწარმოებთა გმირები, ყოველგვარი ზნეობისა, თითქოსდა შორეულში გავიდნენ. მგონი ხელოვნების ანგელოზიც დადუმდა და მწერალთ მოძღვარს ფიქრებით მისჩერება. ეზოდან ოდნავ ჩიტების ხმა ისმის... უმაღლ წამოვდექი და ქალბატონ მირანდას დარბაზიდან გასვლის უფლება ვთხოვე, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, დაიღალა, ბატონო! დილით ადრე ინყებს ახალ რომანზე მუშაობას, ძალიან უნდა, „თამარ“ დროულად დაამთავროს. შემდეგ სურათი ავიღე, „ეტიუდნიკი“ მხარზე გადავიკიდე და კეთილ დიასახლისს გულთბილი მადლიერებით დავემშვიდობე. წამით შევჩერდი და უმორჩილესად ვთხოვე, მაპატიოს კონსტანტინე ბატონმა, რადგან დაუმშვიდობებლად ვტოვებ თქვენს ლირსებას-მეტე! არა უშავს, ბატონო! ამჟამად მდგომარეობა შეიქმნა ასეთიო. მაგ წუთებში უკმარისობის გრძნობით დათრგუნულს, უწვეულო შინაგანი უძლურობის სიმძიმე დამაწვა...

რამდენიმე წლის შემდგომ, მაშინდელ საკავშირო გამოფენაზე მხატვართა კავშირიდან წარადგინეს ჩემი კოლხური კოშკის ნახატი, ქალაქ მოსკოვში და შემფასებელმა კომისიამ ფონდებისთვის შეიძინა კიდევაც. დღეს ნამდვილად ვნანობ; ნეტავ ჩემთან ყოფილიყო ერის საამაყო კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლის დროინდელი კოლხური კოშკის ამსახველი ფერწერული ტილო; ან საჩუქრად გადამეცა ოჯახზე. თუმცა, ბატონი კონსტანტინეს შვილის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ოჯახზე თავდასხმის დროს, საუბედუროდ, კოლხური კოშკი რომ გადაწვეს, შეუდარებელი, მგზნებარე პატრიოტის მიმართ მტრულად განწყობილმა ქართველებმა, ჩემი ნახატიც ხომ პოლიტიზირებული ცეცხლის მსხვერპლი გახდებოდა.

„ხელოვნების ნაწარმოებში ღმერთი სთავაზობს და კაცი განაგებს“. – ანდრე ჟიდი.

ჩვენს პლანეტაზე გამხელილი ყოველგვარი შედევრის მთავარი შემოქმედი უფალია! ღვთისეული გენიის სული, ნიჭი და გონება დედამიწის აურაცხელ პიროვნებებზე უებარი მკურნალ-წამალია ან უმდიდრესი კარაბადინი და, განსაზღვრული დროის შემდგომ, ანმყოს მორჩილი სხეული ხდება: ხოლო მოსვლა, ანმყოდ შობილის ისევ რომ გადასცემს მომავალს – ვარსკვლავეთური ქმედება (ამ საკითხზე ზემოთ გესაუბრეთ, ოღონდ სხვა კუთხით) დაუსრულებელი. შედეგად, ნაწარმოებზე იტყვიან, ულმობელ დროს გაუძლოო. მე კი ასე ვიტყოდი: მგრძნობიარე დრომ მარადიულს გვერდი აუარა და სვლა განაგრძო (თუმცა სტიქია და ადამიანები დროზე უმეტესად ანადგურებენ კოსმიურ ქმნილებებს...). ზოგჯერ ღიმილით მიფიქრია, უზომოდ და უსაშველო ქარიანი კუთხის სხვადასხვა დონის და თვისების ნაშიერნი, როგორ მშ-

ვიდობიან გარემოცვაში ვურთიერთობდით ლეგენდარული კოლხური კოშკის ღვთიურ სივრცეში. უთუოდ რომ შორეულ წარსულში, ახალგაზრდობისას, ჩემზე მეტად განუცდია დიდ ოსტატს აპაშის, უფრო სამეგრელოს, ქარის თავხედურ ფორიაქტ მოვლენები. ყოველივე რა საფიქრალია, მაგრამ დროთა ღია ნაპრალები ხომ აღვესებელია მარადის. თქმა უნდა მაგას? უკმარისობის გრძნობა რომ შეგანუხებს ბატონი კონსტანტინეს შემოქმედების შეგრძნება-განსილვისას, უფრო ნიჭ-სიყვარულისა, ხოლო ნაწარმოების გემოვნების უკუწარმოსახვის გადაყვანისას მთავრდება უშედეგოდ; ამიტომ ამ ფორმის ნააზრევით ამდაგვარად მინდა დავამთავრო...»

კონსტანტინე გამსახურდიას სიახლე აღუნერელ გემოვნებიანი სტილ-ძარღვიანი პროზა, შემოქმედებითი სრულყოფილებაა ნებისმიერი ეპოქისა თავისი სხეულ-სულიერებით, სამშობლოს უმდიდრეს წარსულ, ყოფით და დღევანდელობის ქარცეცხლიანი ისტორიიდან იყო აღმოცენებული, რომლითაც ერის მომავლის სასიცოცხლო კვირტებს აღვივებდა. თავისი ქვეყნის პატრონ-პატრიოტი გახლდათ, რჩეულ ქართველ მეფეთა დონეზე და კოსმიურად აზროვნებდა, მეცნიერულ-ფილოსოფიური რწმენითი ჯანსაღი აღმოჩენებით, ნებისმიერ პატრიარქზე უმეტესად. თავდადებით ებრძოდა როგორც წარსულის, ასევე იდეურად აღჭურვილ თავისი დროის უძლიერეს დამპყრობლებს. მრავალჯერ თუ გადაურჩა გოლგოთა-გილიოტინას, ისევ ვით უხორცო უშიშარის, დაუდგრომელ-მოუსვენარი და სუსხიანი ნიჭ-გენიდან გამომდინარე, მაგრამ მოღალატე ქართველებთანაც მუდმივი დაპირისპირებებით, პირადი ჯანმრთელობა დღითიდლე უუარესდებოდა. ჯალათებმა რამდენიმეჯერ, იო-ანე ნათლისმცემელივით, პატიმრობაშიც იყოლიეს. უთუოდ წმიდა მებრძოლი, ზეციდან ახლად მოვლენილი მორიგი შენირულობა გახლდათ: სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ ზოგავდა უიშვიათეს უფლისმიერ ნიჭთ-მოწოდებას და ერის სამსხვერპლოზე პირწმინდად მიაპრძანებდა სამშობლოს სიცოცხლის მირონმომდინარე ხატთან, რომელიც ათასწლეულთა საშოდან გამოგვეცა-და. მთელი სიცოცხლე წათელმიზნობრივად ჯვარზე გაკრულმა გმირულად გაატარა. კეთილი ზვარაკი ნელ-ნელა იცლებოდა წმიდა სისხლისაგან და ღია არტერია-კაპილარ-ძარღვებით დღენიადაგ კვებავდა მარად ტანჯულ, შინ-აური თუ გარეული მტრისგან გადათელილ მამულს, რისგანაც მადლიერებით აღმოცენდნენ შეუპოვარი, კვლავ შენირული გმირები.

ღია ზეცის გუმბათიდან უძველესი და უძლეველი კოლხეთის მეფე აიეტ - მზის ღმერთის შვილი და ლეგენდა, გმირი მეფის, დავით აღმაშენებლის ღვთაებრივი ცრემლი, ვარსკვლავეთურ ენერგიად ეპკურებოდა განგებით რჩეულ შვილს...

შემოქმედად გაჩენა და მოღვაწეობა ტკივილ-სიამოვნებითი მოსვლაა სრულყოფილი. დიახ, ეგაა მთავარი ფორმა და არსი მიუწვდომელ შემოქმედ ზეციურობისა. სიკვდილითაც ხომ უმძიმესი ტანჯვით, უსასრულო სიამოვნებაში გადასვლაა: სამყარო, კოსმოს-საოცრება - შენ ხარ, უფალო!

უდრევი გენია ხელოვანი საბოლოოდ მედგრად დაეძგერა სიკვდილს და დაიმსხვრა მეტეორებად გარდასახული...

მწერლის უნიკალური, მზედექმნილი რომანები, მოთხრობები, ნოველები, ესეები თუ მრავალი მეცნიერულ-ფილოსოფიური წერილ-ნაწარმოები სამუდამოდ დაობლდაო, ვიღაცებმა დაიძახეს, მაგრამ არა! ერმა და მსოფლიომ მარადიულად იშვილეს. ნეტარ! კონსტანტინე ბატონის სისხლი კი, სამშობლოს მიწის ჟამეულ ნაპრალებში მტკიცედ ჩაკირდა...

**R. ADAMIA**

## **MEETING WITH A GREAT WRITER**

Summary

The article describes the author's meeting with Konstantine Gamsakhurdia (1893 – 1975), the famous Georgian writer of the XX century, who was recognized as a classic of Georgian literature in his life. In light of this meeting, the author shares his observations about the writer's personality, his impression on the environment in which he created his immortal creatures. Several particular examples show K. Gamsakhurdia's attitude to the masters of painting.

**Р. АДАМИА**

## **ВСТРЕЧА С ВЕЛИКИМ ПИСАТЕЛЕМ**

Резюме

В статье описана встреча автора с выдающимся грузинским писателем XX века, прижизненно признанным классиком грузинской литературы Константином Гамсахурдия (1893-1975). На фоне этой встречи автор описывает свои наблюдения по поводу личности писателя, свои впечатления от той среды, в которой он создавал свои бессмертные творения. На конкретных примерах показано отношение К. Гамсахурдия к мастерам живописи.

## პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

### გიორგი სოსიაშვილი

#### ცხინვალში დაპრუების პირველი ნაბიჯები

ხშირად ტარდება მეცნიერთა თავყრილობები. ხშირად გვიწევს იმ მიმართულებათა სპეციალისტებს შეკრება, ვისაც ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული კუთხეების ისტორია გვიკვლევია. კუთხეების, სადაც მავთულხლართი გაავლეს და საოცუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილი ათეულობით ქართული სოფელი მიწის პირისაგან აღგავეს. ეს არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია. საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივი, მკვიდრი ქართული მოსახლეობისაგან შექმნილი მატერიალური კულტურის ძეგლები, საერო და სასულიერო არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშები უმოწყალოდ ნადგურდება. შეუძლებელია, ცივილიზებულმა სამყარომ ამ შემზარავ პროცესს გულგრილად უყუროს. მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, რომელმაც მსოფლიო მნიშველობის შედევრები შესძინა კაცობრიობის სულიერი ცხოვრების საგანძურს, შეუძლებელია წარმოიდგინო, შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიებზე არსებული უნიკალური ძეგლების, ლაპიდარული წარწერების გარეშე. სამწუხაროდ, დღეს იქ ვერც ევროდამკვირვებლები შედიან და ვერც კულტურის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ჩვენს თვალწინ ნადგურდება ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები და ქრება ისტორია. დასაწყისში, შემთხვევით არ ვახსენ მეცნიერთა თავყრილობები. არაერთი კონფერენცია, სემინარი, თუ დისკუსია მიეძღვნა შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველთა ცხოვრების კვალის წაშლის მცდელობებს. სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ მეცნიერებს, რომლებიც სწორედ ამ საკითხთა კვლევით არიან დაკავებულები. ბოლო დროს გამოცემული სამეცნიერო ლიტერატურიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის პროფესორ ალექსანდრე მლებრიშვილის ვრცელი მონოგრაფია: "ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ისტორია", რომელიც გამომცემლობა "უნივერსალმა" გამოსცა და რამდენიმე წლის წინ ამავე სახელწოდებით გამოცემული ოთხნაწილიანი მონგრაფიის კიდევ უფრო ვრცელ, გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს. აღნიშნული წიგნი განსვენებული ქართველი მეცნიერის, ბატონ ნოდარ ტაბიძის რედაქციით გამოიცა. პროფ. ალექსანდრე მლებრიშვილი, წლებია უურნალისტიკის თეორიულ საკითხებს იკვლევს. მან დევნილობაში, სრულიად ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: თემაზე: "ომამდელი პერიოდის ცხინვა-

ლის ქართული გაზეთი" და მას შემდეგ მისი როგორც მკვლევრის არეალი მკვეთრად გაფართოვდა და მრავალი მიმართულება მოიცვა. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გამოსცა მან მონოგრაფია: "ივანე მაჩაბელი", სა-დაც სამაჩაბლოში დაბადებული ცნობილი ქართველი შექსპიროლოგი და საზოგადო მოღვაწე ცხინვალის ქართული პრესაში გამოქვეყნებული მასალებზე დაყრდნობით წარმოაჩინა. ალექსანდრე მლებრიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი მონოგრაფია, მათ შორის: "შიდა ქართლის კულტურული ცხოვრებს ისტორიიდან", "მლებრიშვილი ირიოდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში", "ეპოქათა სამანებთან", "კავკასიურ ენათა მესაიდუმლე" და სხვ. ქართული ურნალისტიკის და შიდა ქართლის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების აღიარებული მკვლევარი ასამდე სამეცნიერო შრომის და ოცამდე მონოგრაფის ავტორი ალექსანდრე მლებრიშვილი მრავალი წელია სამეცნიერო მოღვაწეობის გარდა პედაგოგიურ საქმინაობასაც ეწევა, ის როგორც აღვნიშნეთ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი და პროფესორია. მისი სამეცნიერო პუბლიკაციები გამოქვეყნებულია მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო გამოცემებში. ალექსანდრე მლებრიშვილი უცხოეთში გამომავალი რამდენიმე მაღალრეიტინგული სამეცნიერო უურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი და რეცენზინგტიცაა, არჩეულია საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მისი სამეცნიერო საქმიანობიდან შემთხვევით არ შევაჩერეთ ყურადღება მიმდინარე წელს გამოცემულ ვრცელ (688-გვ) მონოგრაფიაზე. უძველესი ქართულ ქალაქში, საიდანაც იძულებით გამოაძვეს ადგილობრივი ქართული მოსახლეობა XIX-XX საუკუნეების მანძილზე კულტურული ცხოვრება ჩქეფდა. გამოდიოდა არაერთი უურნალი და გაზეთი. ფუნქციონირებდა ქართული თეატრი რომლის სათავეებთან ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები იდგნენ. ცხინვალში მოღვაწეობდა საქვეყნოდ აღიარებული არაერთი მეცნიერი. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომლის კედლებში მძლავრად იგრძნობოდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცხოვრების მაჯისცემა.

ძველქართულ ქალაქში ერთ დროს მჩქეფარე კულტურული ცხოვრების ირგვლივ თითზე ჩამოსათვლელი პუბლიკაციები თუ არსებობდა. რაც არც თუ სრული სურათის აღდგენის საშუალებას აძლევდა მკითხველ საზოგადოებას. ცხინვალის კულტურული ცხოვრება, აქ არსებული კულტურული ტრადიციები კი მართლა იმსახურებდა სრულყოფილი მონოგრაფიის შექმნას. სწორედ ეს ეს საპასუხისმგელო საქმე იტვირთა პროფ. ალექსანდრე მლებრიშვილმა.

მეცნიერი ცხინვალიდან დევნილი ქართველია და სხვაზე უფრო მეტად აქვს გასიგრძეგანებული სამაჩაბლოში დატრიალებული ტრაგედიის არსი. დევნილობაში დაამთავრა ჯერ საშუალო სკოლა, შემდეგ კი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. წარმატებით დაიცვა დისერტაცია. მისი სამეცნიერო ნაშრომები დევნილთა საცხოვრებლად გამოყოფილ სასტუმროს

მძიმე პირობებში შეიქმნა. შიძალზე მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, რომ ცხინვალის შესახებ ასეთი მასშტაბური წიგნი სწორედ ცხინვალელმა მეცნიერმა შექმნა. მის თვალწინ მშობლიური ქალაქის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრმა ეპიზოდმა გაიარა.

მკვლევრის მიერ მოძიებული უხვი წყაროთმცოდნეობის ბაზით, მდიდარი ბიობლიოგრაფიით და უიშვიათესი ფოტომასალით მკითხველი საზოგადოების წინაშე იშლება ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ვრცელი პანორამა. სწორედ ეს არის პასუხი იმ ფსევდო მეცნიერთათვის, ვინც ასე დაუინებით ცდილობს ცხინვალის ქართული სივრციდან ჩამოშორებას და მისი რეალური ისტორიის გაყალბებას. ალექსანდრე მღებრიშვილის მონოგრაფია, ეს არის თითოეული ქართველი მეცნიერის, თუ რიგითი მოქალაქის პასუხი იმპერიული პოლიტიკისა და ამ მზაკვრულ გეგმებს ამოფარებული სეპარატისტების სამსახურში მყოფი იდეოლოგებისადმი.

მონოგრაფიის პირველ თავში განხილულია ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი XIX საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით. ავტორი დაწვრილებით საუბრობს ყველა იმ მოღვაწის შესახებ, ვინც ბიძგი მისცა ცხინვალის კულტურული ცხოვრების მაჯისცემას. ვრცელი ადგილი ეთმობა ცნობილი ქართველი შექსპიროლოგის და საზოგადო მოღვაწის-ივანე მაჩაბლის ცხოვრებას და მოღვაწეობას, რომელმაც ცხინვალის მხარეში არსებული ლიტერატურულ-კულტურული ტრადიციები ახალ სიმაღლეზე აიყვანა და ევროპული სული შთაბერა. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ალექსანდრე მღებრიშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში უძლვნა მონოგრაფია ივანე მაჩაბელს. ახალგაზრდა მეცნიერის ნარკვევში გაშუქებულია ამ გამორჩეული მოაზროვნის შესახებ ცხინვალის პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები. ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესოა ცხინვალის ქართული პრესიდან დანახული ივანე მაჩაბელი.

ალექსანდრე მღებრიშვილის მონოგრაფიის პირველ თავში შესწავლილია ისეთი მწერლების ცხოვრება და შემოქმედება როგორებიც იყვნენ: დ. კასრაძე, რ. ფავლენიშვილი. ნაშრომის ამავე თავში ვრცელი ადგილი ეთმობა ოსი ხალხის გამორჩეულ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს – კოსტა ხეთაგუროვს. აქ არამარტო კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედება გაანალიზებული, არამედ წარმოჩენილია ამ მართლაცდა ნიჭიერი პოეტის ქართველ მწერლებთნ და საზოგადო მოღვაწეებთან: ალექსანდრე ყაზბეგთან, მიხეილ ყიფიანთან და სხვ. ურთიერთობის უცნობი ფურცლები. სხვა რაკურსით არის დანახული მწერლის ცხოვრების არაერთი პასაჟი. როგორც ალექსანდრე მღებრიშვილი წერს: "კოსტა ხეთაგუროვის ნიჭი, ოსი ხალხის ეროვნებად ჩამოყლიბების, ოსური ეროვნული კულტურის შექმნის საწყის ეტაპზე მოევლინა ქვეყანას." წიგნში ცალკე ადგილი ეთმობა ოსური მხატვრული სიტყვის მეხოტეს-დავით ჯიოევს, გიორგი ბესთაუთის, ილია კაჩმაზოვს, ნაფი ჯოსოითის... სწორედ ამ ადამიანებმა განსაზღვრეს ოსური ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები და ჩვენი მოძმე ხალხის სამწერლო ამინდი. ცხინვალის ლიტერატურულ ცხოვრებაზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გამოჩენილი ქართველი მწ-

ერლის და კინოსცენარისტის მერაპ ულიოზიშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას. სამწუხაროა, რომ ჩვენი საღიტერატურო ოჯახის ამ უნიჭიერესი წარმომადგენლის შესახებ, რომელიც სიცოცხლეშივე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, თითქმის არაფერი იციან ახალმა თაობებმა. ალექსანდრე მდებრიშვილის ნაშრომში ნათელი ფერებით არის გაცოცხლებული "ბებერი მეზურნების" ავტორის უაღრესად საინტერესო შემოქმედების წახნაგები, მწერლის წაკლებად ცნობილი ბიოგრაფიული შტრიხები, რაც კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართულ და არა მარტო ქართულ საზოგადოებას მერაპ ელიოზიშვილის, ამ გამორჩეული ხელწერის მქონე შემოქმედის შესახებ.

შეუძლებელია ისაუბრო ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების შესახებ და გვერდი აუარო ქართულ-ებრაულ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობებს. საუკუნეების განმავლობაში ქართველებთან ერთად ცხინვალში ებრელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დასახლება იყო. ორი ერის 26 საუკუნოვან უნიკალურ მეგობრობას არ შეიძლებოდა თავისი გამოძახილი და ასახვა არ ჰქონდა ქალაქ ცხინვალში, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ქართველი და ებრაელები. სწორედ ცხინვალელ ებრაელთა წიაღიდან გამოვიდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ: დავით ბააზოვი, აბრამ მამისთვალოვი, იცხაკ მამისთვალოვი, თამარ მამისთვალოვი, გერშონ ბენ ორენი, ტობა კრიხელი, მერი ელიშავოვა-შაფორშვილი, მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი იცხაკ დავიდი....

ალექსანდრე მლებრიშვილის მონოგრაფიის მეორე თავი ცხინვალის სამეცნიერო ცხოვრებას ეძლვნება. 1932 წლის 13 იანვარს, ცხინვალში დაარსებული პედაგოგიური ინსტიტუტი მძლავრ სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერად იქცა, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში მეცნიერთა და პედაგოგთა არერთი თაობა აღზარდა. ბევრი მათგანი საქვეყნოდ ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე გახდა. საკმარისია მივუთითოთ რამდენიმე მათგანი და მეითხველისთვის თვალსაჩინო გახდება რა აკადემიური მომზადების სამეცნიერო პერსონებთან გვქონდა საქმე: ტ. სარიშვილი, ი. მეგრელიძე, გ. ბურჭულაძე, მ ცოტნიაშვილი, ა. ცოტნიაშვილი, ვ. ახალია, ვ. სომხიშვილი და სხვ. ავტორი დიდ ადგილს უთმობს ცხინვალში უმაღლესი საგანმანათლებლო კერის – ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებას, რომელიც, ფაქტურად, ცხინვალის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ფორმოსტად იქცა.

ალექსანდრე მლებრიშვილი ვრცლად გვესაუბრება იმ მეცნიერებზე, რომლებმაც სამეცნიერო საქმიანობა აღნიშნულ სასწავლებელს დაუკავშირეს. ეს-ენი იყვნენ: ტ. სარიშვილი, ი. მეგრელიძე, ალ. ღლონტი, ა. თოფურია და სხვ. სამწუხაროდ, ცხინვალში არსებული უმაღლესი განათლების ამ შესანიშნავი კერის ქართული სექტორი, XX საუკუნის 90-იან წლებში დატრიალებული მოვლენების შემდეგ ქ. გორში დევნილად იქცა.

თუმცა, ცხინვალის სამეცნიერო ცხოვრება ოდენ პედაგოგიერი ინსტიტუტში აღზდილი, ან აღნიშნულ სასწავლებელთან დაკავშირებული კადრებით არ შემოიფარგლება. ცხინვალის წიაღში არაერთი გამოჩენილი მეცნიერი იშვა.

მათ შორის: ქრისტეფორე არეშიძე, შალვა ხიდაშელი, რომელთა სახელებით ევროპის ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა. პროფ. ალექსანდრე მღებრიშვილი ვრცელ ადგილს უთმობს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ენათმეცნიერს, რუსთველოლოგს და სიძველეთა მკვლევარს პროფ. იოსებ მეგრელიძეს. ჩვენ აյ არ შევუდგებით იოსებ მეგრელიძის გამორჩეულ ღვაწლზე საუბარს. ის ძალზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან და სწორედ ამ კავშირმა განაპირობა მისი დაინტერესება დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სიძველებით, რომლთა შესწავლას განსვენებულმა მკვლევარმა რამდენიმე ათეული წელი შეალია და საქართველოს ამ უძველეს კუთხეში ქართველთა ცხოვრების უწყვეტი ცხოვრების ცოცხალი მონმენი--მატერიალური კულტურის ძეგლები, თუ ლაპიდარული წარწერები დავიწყების ბურუსს გამოსტაცა. მონოგრაფიაში ცალკე თავი ეთმობა ცხინვალის ქართულ თეატრს, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული კერათაგანი იყო და მას მდიდარი ქართული სასცენო ტრადიციები კვებავდა. ავტორის მიერ მოძიებული მასალის შუქზე, ნათელი ხდება, თუ როგორ იკრებდა ძალას XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან თეატრალური ცხოვრება ცხინვალში. როგორც ავტორი წერს: "XIX საუკუნის სამაჩაბლო ერთგვარ თეატრალურ ცენტრადაც კი აღიარეს და ეს არ იყო შემთხვევით, რადგან ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ივანე მაჩაბლის პერსონამ, ივანე მაჩაბლისა, რომელმაც ქართულ თეატრს უდიდესი ღვაწლი დასდო".

სწორედ აღნიშნულმა ტრადიციებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ 1937 წელს ცხინვალის თეატრში ქართული დასი ჩამოყალიბდა.

პროფ. ალექსაბდორე მღებრიშვილმა უამრავი დოკუმენტური წყარო გამოვლინა და ჩვენს თვალწინ გააცოცხლა ცხინვალის ქართული თეატრის სცენა მისი დაარსების დღიდან. სცენა, სადაც ქართული თეატრალური სამყაროს თვალსაჩინო წარმომადგენლები იდგნენ. მონოგრაფიის მეხუთე თავი უზრნალისტიკას ეძღვნება. ცხინვალში არაერთი გაზეთი გამოდიოდა, რაც იმდროინდელი საზოგადობის მოთხოვნის შესაბამისად ხორციელდებოდა. ალსანიშნავია, რომ პროფ. ალექსანდრე მღებრიშვილის საკანდიდატო დისერტაცია, სწორედ ომამდელი პერიოდის ცხინვალის ქართულ გაზეთს ეძღვნება. ავტორს მიმოხილული აქვს ცხინვალში გამომავალი გაზეთები: "ხურზარინი", "სოვეტონ ირისტონი", "ლენინონი", ქართული გაზეთი "საბჭოთა ოსეთი", რომელიც 1932 წელს დაარსდა. ნაშრომის მექევსე თავი განათლებას ეთმობა. შემთხვევითი არ არის ის, ფაქტი, რომ ცნობილი მეცნიერი ალექსანდრე მღებრიშვილი განსაკუთრებით ვრცლად ეხება ცხინვალის № 1 საშუალო სკოლას და მის ლეგენდებით შემოსილ დირექტორს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს ვახტანგ კასრაძეს. სწორედ აღნიშნული პიროვნება იქცა XX საუკუნის II ნახევრის ცხინვალის საზოგადოებისათვის ერთგვარ კულტურტრეგერად. ცხინვალის № 1 საშუალო სკოლა, მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ იყო. ის ეროვნული ცნობიერების და კულტურული ცხოვრების იმპულსატორად გადაიქცა. აღნიშნულმა სკოლამ ის თაობები აღზარდა, რომელთა მხრებზეც XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში ცხ-

ინვალის თავზე დატეხილმა მრავალმა უბედურებამ გადაირა და ამის მიუხედავად, ეროვნული მუხტი თითოულმა მათგანმა წმინდა გრაალივით შერყვნელად ატარა. ცხინვალის საგანამნათლებლო ცხოვრებაში არანაკლები როლი ითამაშა, ცხინვალის მე-4 ქართულმა სკოლამაც. არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ პროფ ალექსანდრე მღებრიშვილის მონოგრაფიას უმდიდრესი წყაროთმცოდნებითი ბაზის და დამოწმებული ბიბლიოგრაფიის გარდა უდავოდ ღირსებას სძენს ავტორის მიერ წლების განმავლობაში დიდი შრომის შედეგად საოჯახო ალბომებიდან, თუ კერძო კოლექციებიდან მოძიებული უმნიშვნელოვანესი ფოტო-მასალა, რაც ავტორის მსჯელობის შესახებ მკითხველს ვიზუალურ წარმოდგენასაც უქმნის და თვალწინ უცოცხლებს დღეისათვის უკუპირებული უძველესი ქართული ქალაქის XIX-XX საუკუნის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ეპიზოდებს.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ მეცნიერებას ალექსანდრე მღებრიშვილის მონოგრაფიის სახით მნიშვნელოვანი ნაშრომი შეემატა. ეს არ არის ჩვეულებრივი წიგნი, ეს არის წლების განმავლობაში დაგროვილი მასალის, მრალწლიანი თავაუღებელი შრომის, მჩხრეკელი გონების მკლევრის ძიების და ობიექტური მეცნიერული დასკვნების ნაზავი – ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების გაცოცხლების წარმატებული ნაბიჯი.

## G. SOSIASHVILI

### FIRST STEPS TO RETURN TO TSKHINVALI

#### Summary

Among the latest published scientific literature special attention is paid to the vast monograph of Gori State University Vice Rector, Professor Aleksandre Mgebrishvili: ‘History of Literary and Cultural Life of Tskhinvali’. It was published by the publishing house ‘Universal’ and it represents a four-part vaster version of the previous monograph, published several years ago with the same title. Besides scientific work Aleksandre Mgebrishvili conducts pedagogical work for a long time. He is Gori State Teaching University Vice Rector and Professor. His scientific articles are published in the leading scientific editions of the world. Aleksandre Mgebrishvili is a member of the editorial board and a reviewer of several foreign high impact journals and he is an Academician at Georgian Academy of Sciences. It was not accidental that we brought our attention to the vast monography (688pp.), published this year. The cultural life was in full swing in the ancient Georgian town, when the local Georgian population was forcedly driven out of it in the XIX – XX centuries.

In the first chapter of the monograph the literary and cultural relations are discussed from the end of the XIX century to the 20s of the XX century. The author tells us in detail about all those public figures, that made the cultural life of Tskhinvali

prosper. A significant place is occupied by the life and work of the famous Georgian public figure and Shakespearean Expert, Ivane Machabeli, who took to new heights the literary and cultural traditions of Tskhinvali region and introduced the European spirit.

The first chapter of Aleksandre Mgebrishvili monograph deals with the life and work of the following writers: D. Kasradze and R. Pavlenishvili. A special place is devoted to the Ossetian distinguished poet and public figure – Kosta Khetagurov. Not only the life of Kosta Khetagurov is analysed in this chapter, but unknown pages of relation of this talented poet with such Georgian writers and public figures, as Aleksandre Kazbegi, Mikheil Kipiani etc. When speaking about the literary life of Tskhinvali we cannot but mention the life and work of an outstanding Georgian writer and screenwriter, Merab Eliozishvili. It is sad that new generation knows almost nothing about the most talented representative of the literary family, who was popular during his lifetime. In the work of Aleksandre Mgebrishvili bright colours are used to express the most interesting sides of the work of the author of the film ‘The Old Zurna Players’, and to show the writer’s less known traits, which will one more time remind Georgian and not only Georgian society of Merab Eliozishvili, an outstanding personality.

We cannot speak about the literary and cultural life of Tskhinvali without mentioning Georgian-Jewish literary and cultural relations. Throughout centuries together with the Georgians lived a rather large Jewish population. The 26-century unique friendship of two nations could not but find its call and reflection in Tskhinvali, where Georgians and Jews lived side by side.

The second chapter of Aleksandre Mgebrishvili monograph is dedicated to the scientific life of Tskhinvali. On January 13, 1932 Tskhinvali Pedagogical Institute became a strong scientific and educational centre, which brought up many generations of teachers and scientists during the decades. Aleksandre Mgebrishvili speaks at length about the scientists, who connected their scientific work with the mentioned Institute. They were: T. Sarishvili, I. Megrelidze, Al. Glonti, A. Topuria etc. Unfortunately, the Georgian section of the mentioned Tskhinvali Higher Institution became a refugee in Gori due to the events of the 90s of the XX century.

In the monograph a separate chapter is dedicated to Tskhinvali Georgian theatre, which was one of the distinguished centres and it was nourished by rich Georgian stage traditions.

Professor Aleksandre Mgebrishvili revealed many documentary sources and revived before us the stage of Tskhinvali Georgian theatre since its foundation. The fifth chapter of the monograph is dedicated to journalism. Many newspapers were published in Tskhinvali, which met the demands of the society. The sixth chapter of the work is related to the education. The fact that the famous scientist Aleksandre Mgebrishvili touches upon the Tskhinvali №1 Secondary School is not accidental, he also speaks about its Head, surrounded by the legends, a remarkable public figure, Vakhtang Kasradze. The mentioned personality became a kind of a cultural trigger for the Tskhinvali society in the II half of the XX century. It is noteworthy that besides the monograph’s references and authorised bibliography the obtained important photo

material from private collection or from family albums gives honour to the author. It creates visual impression of the author's discussions and revives the literary and cultural life episodes of the XIX – XX centuries of the ancient Georgian town, currently occupied.

Finally, we wish to note that Georgian science gained a significant work represented by the monograph of Aleksandre Mgebrishvili. It is not an ordinary book, but an accumulated material of many years of selfless work, searching mind and the mixture of objective scientific conclusions – successful steps to revive Tskhinvali literary and cultural life.

#### Г. СОСИАШВИЛИ

### **ПЕРВЫЕ ШАГИ ВОЗВРАЩЕНИЯ В ЦХИНВАЛИ**

#### Резюме

Среди изданной за последнее время научной литературы особое внимание заслуживает обширная монография проректора Горийского государственного учебного университета профессора Александре Мгебришвили «Из истории литературно-культурной жизни Цхинвали». Изданная издательством «Универсал» монография представляет собой более обширный, переработанный вариант под таким же названием ранее опубликованной монографии из четырех частей. Александре Мгебришвили, являясь проректором и профессором Горийского государственного учебного университета, многие годы, кроме научной, занимается и педагогической деятельностью. Его научные работы опубликованы во многих ведущих изданиях мира. Он является членом редакционных коллегий и нескольких издающихся за рубежом высокорейтинговых научных журналов, избран академиком Академии наук просвещения Грузии. Из всей его научной деятельности мы отнюдь не случайно сосредоточили внимание на изданную в текущем году обширную монографию.

В древнейшем грузинском городе, откуда принудительно было изгнано грузинское население, на протяжении XIX-XX веков текла бурная культурная жизнь.

В первой главе монографии рассмотрены литературно-культурные отношения Цхинвали, начиная с конца XIX века. Автор подробно рассказывает о всех тех деятелях, почин которых дал импульс развитию культурной жизни Цхинвали. Особое место уделено жизни и деятельности известного грузинского шекспиролога и общественного деятеля Иване Мачабели, который поднял на новый уровень литературно-культурные традиции Цхинвальского края и вдохнул в них новые европейские веяния.

В первой главе монографии Александре Мгебришвили изучена жизнь и деятельность таких писателей, как Д.Касрадзе, Р.Павленишвили. В этой

же главе особое место предоставлено выдающемуся поэту и общественному деятелю осетинского народа Коста Хетагурову. Тут дается не только анализ творчества Коста Хетагурова, но и раскрываются доселе неизвестные страницы взаимоотношений этого поистине талантливого поэта с грузинскими писателями и общественными деятелями: Александром Казбеги, Михаилом Кипиани и др.

Обозревая литературную жизнь Цхинвали, автор не обошел вниманием жизнь и творчество выдающегося грузинского писателя и киносценариста Мераба Элиозишвили. Остается сожалеть, что новому поколению почти ничего не известно об этом талантливейшем представителе нашей литературной семьи, который еще при жизни пользовался большой популярностью. В труде Александре Мгебришвили светлыми тонами освещены и оживлены грани чрезвычайно интересного творчества автора «Старых зурначей», малоизвестные биографические штрихи писателя, что дает возможность еще раз напомнить грузинскому, и не только грузинскому обществу, о Мерабе Элиозишвили – творце с особым почерком.

Обсуждая многогранную литературно-культурную жизнь Цхинвали, невозможно обойти стороной грузино-еврейские литературно-культурные отношения. В течение веков вместе с коренным грузинским населением в Цхинвали находилось довольно таки многочисленное еврейское поселение. Уникальная 26-ти вековая дружба двух наций не могла не отразиться и на Цхинвали, где бок о бок проживали грузины и евреи.

Вторая глава монографии Александре Мгебришвили посвящена научной жизни Цхинвали. Основанный в 1932 году в Цхинвали педагогический институт стал мощным научным и просветительским очагом на протяжении многих десятилетий, воспитавшим не одно поколение ученых и педагогов. Автор подробно рассказывает о тех ученых, научная деятельность которых связана тесными узами с означенным учебным заведением. Это были Т.Саришвили, И.Мегрелидзе, А.Глонти, А.Топурия и др. К сожалению, из-за развития событий 90-х годов XX столетия, грузинский сектор этого замечательного учебного заведения был изгнан из собственного очага и в статусе беженца обосновался в г.Гори.

Отдельная глава монографии посвящена Цхинвальскому грузинскому театру, который в своем успешном творчестве опирался и подпитывался богатыми сценическими традициями грузинского театрального искусства.

Исследовав огромное количество документальных источников, проф. Александре Мгебришвили сумел воочию оживить сцену Цхинвальского грузинского театра со дня его основания.

Пятая глава монографии посвящена журналистике. В Цхинвали выходило в свет не одно газетное издание, публикации которых шли ногу в ногу со временем и соответствовали требованиям тогдашнего общества.

Шестая глава монографии посвящена просвещению. Отнюдь не случайно, что известный ученый Александре Мгебришвили детально описывает Цхинвальскую среднюю школу № 1, овеянную легендами о ее директоре, выдающемся

общественном деятеле Вахтанге Касрадзе. Именно эта личность явилась некоторым культуртрегером для цхинвальского общества второй половины XX века.

Нельзя не отметить, что бесспорным достоинством монографии Александре Мгебришвили, кроме богатейшей базы источниковзнания и подтвержденной библиографии, является уникальный фотоматериал, на протяжении многих лет титанического труда собранный из семейных альбомов и частных коллекций. Всё это создает визуальное представление и оживляет перед читателем эпизоды литературно-культурной жизни XIX-XX вв. древнейшего грузинского города, находящегося ныне в оккупации.

В заключение следует отметить, что грузинская наука в лице монографии Александре Мгебришвили обрела значительный труд, который никак не является обыкновенной книгой. Это синтез собираемого на протяжении многих лет материала, усердный многолетний труд, объективное умозаключение исследователя и ученого. Наконец, это успешный шаг по оживлению литературной и культурной жизни Цхинвали.

## ის ჩვენს მიწის ვება ნარსულს აცოცხლებდა

### აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის გარდაცვალების გამო

ქართულმა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა - გარდაიცვალა გმოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულო აკადემიის აკადემიოსი, ივ.ჯაფარიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ ჯაფარიძე. იგი 1921 წლის 16 სექტემბერს დაიბადა თბილისში. 1939 წ. თბილისის 25-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელსაც 1943 წ. ამთავრებს და იქვე განაგრძოს სწავლას ასპირანტურაში არქეოლოგიის სპეციალობით, სადაც იგი პროფ.



გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით ეუფლება ამ მეტად საინტერესო, ამასთან რთულ პროფესიას. 1946 წელს დაამთავრა ასპირანტურა. 1948 წ. მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, 1962 წ. - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1993 წ. არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

ო. ჯაფარიძე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ივ.ჯაფარიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, ო. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, 1952 წლიდან - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 40 წლის განმავლობაში (1967-2007 წწ.) სათავეში ედგა არქეოლოგიის კათედრას.

ო. ჯაფარიძის მეცნიერული შემოქმედება მეტად მდიდარია. მისი ნაშრომები უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურის კვლევისადმია მიძღვნილი. სავსებით კანონზომიერია, რომ ო. ჯაფარიძე აღიარებულია კავკასიის ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევარად არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ეს საყოველთაო აღიარება განაპირობა პრობლემის ფართოდ დასმისა და მისი ღრმად შესწავლის შედეგებმა.

ო. ჯაფარიძემ თავისი მეცნიერული საქმიანობა კოლხური კულტურის

შესწავლით დაიწყო. მან არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ამ კულტურის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს - ბრინჯაოს ცულებს. თვით ტერმინი „კოლხური კულტურა“ პირველად აკად. ს.ჯანაშიამ გამოიყენა. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმებოდა ე.ნ. „ყოანის კულტურის“ სახელით ცნობილი ცენტრალური, იმიერ და ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები, რომელთათვის დამახასიათებელი იყო ერთგვაროვანი (თავისებური ფორმის) ბრინჯაოს ცულები. ო. ჯაფარიძემ სწორედ კოლხური ცულები შეისწავლა. მან დაადგინა კოლხური და ყობანური ცულების კლასიფიკაცია. გაარკვია, რომ კოლხური და ყობანური კულტურები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, თუმცა იმ ურთიერთობის გამო, რაც ძველად კავკასიის ხალხებს შორის არსებობდა, ზოგიერთი მსგავსებაც იყო. ნიშანდობლივია, რომ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მიწის დამუშავების ტიპური იარაღები (თოხი, ბარი და სხვ.) ჩრდილო კავკასიისათვის უცხო იყო. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქაც ცნობილია სამუშაო იარაღების გარკვეული ტიპები, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში არ გვხვდება. ასე რომ კულტურა, რომელიც მეცნიერთა ერთ ჯგუფს ერთგვარიდ ეჩვენებოდა (ზოგჯერ დავაც მიდიოდა, რა ეწოდებინათ მისთვის კოლხური თუ ყობანური), აღმოჩნდა სხვადასხვა - ორი კულტურა. ამავე დროს, მეცნიერმა განსაზღვრა ამ კულტურათა არსი, მათი გავრცელების არეალი, სანარმოო ცენტრები, ქრონოლოგია და სხვ. დაადგინა, რომ კოლხური კულტურა მიწათმოქმედთა კულტურა (უპირატესად) და მისთვის აუცილებელი იარაღებია თოხი, ბარი, წალდი და სხვ. სასოფლო-სამეურნეო იარაღები. სრულიად საფუძვლიანად აჩვენა, რომ შიდა ქართლი გვიანი ბრინჯაოს ადრინდელ საფეხურზე კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედის. ამ დანასკვნს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველი ტომების ეთნოგენეზის კვლევისას. როგორც მეცნიერი მიიჩნევს, შიდა ქართლი ის რაიონია, სადაც და საიდანაც მომდინარეობს ქართველი ტომების კონსოლიდაცია, ხოლო ეს კონსოლიდაცია კოლხური კულტურის ბაზაზე უნდა მომხდარიყო.



ო. ჯაფარიძე აქტიურ გათხრით საქმიანობას ეწეოდა. იკვლევდა ბრინჯაოს კულტურის ადრეულ ფენებს. ბრნყინვალე მასალა იქნა მოპოვებული ქვასათალში, ძალინაში, ნულში (შიდა ქართლი), ცარცის გორაზე, ნაჩერქეზევში, ქორეთში, კარახტანში (საჩერის რაიონი), აფხაზეთის დოლმენებში, თეთრ წყაროში, ტაბანურსა და ზურტაკეტში (თრიალეთი). ო. ჯაფარიძემ, მისთვის დამახასიათებელი საოცარი ოპერატიულობით გამოაქვეყნა ინფორმაციები ახლად აღმოჩნდილი სხვადასხვა მასალების შესახებ, რითაც ხელი

გვაროვნად ეჩვენებოდა (ზოგჯერ დავაც მიდიოდა, რა ეწოდებინათ მისთვის კოლხური თუ ყობანური), აღმოჩნდა სხვადასხვა - ორი კულტურა. ამავე დროს, მეცნიერმა განსაზღვრა ამ კულტურათა არსი, მათი გავრცელების არეალი, სანარმოო ცენტრები, ქრონოლოგია და სხვ. დაადგინა, რომ კოლხური კულტურა მიწათმოქმედთა კულტურა (უპირატესად) და მისთვის აუცილებელი იარაღებია თოხი, ბარი, წალდი და სხვ. სასოფლო-სამეურნეო იარაღები. სრულიად საფუძვლიანად აჩვენა, რომ შიდა ქართლი გვიანი ბრინჯაოს ადრინდელ საფეხურზე კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედის. ამ დანასკვნს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველი ტომების ეთნოგენეზის კვლევისას. როგორც მეცნიერი მიიჩნევს, შიდა ქართლი ის რაიონია, სადაც და საიდანაც მომდინარეობს ქართველი ტომების კონსოლიდაცია, ხოლო ეს კონსოლიდაცია კოლხური კულტურის ბაზაზე უნდა მომხდარიყო.

ო. ჯაფარიძე აქტიურ გათხრით საქმიანობას ეწეოდა. იკვლევდა ბრინჯაოს კულტურის ადრეულ ფენებს. ბრნყინვალე მასალა იქნა მოპოვებული ქვასათალში, ძალინაში, ნულში (შიდა ქართლი), ცარცის გორაზე, ნაჩერქეზევში, ქორეთში, კარახტანში (საჩერის რაიონი), აფხაზეთის დოლმენებში, თეთრ წყაროში, ტაბანურსა და ზურტაკეტში (თრიალეთი). ო. ჯაფარიძემ, მისთვის დამახასიათებელი საოცარი ოპერატიულობით გამოაქვეყნა ინფორმაციები ახლად აღმოჩნდილი სხვადასხვა მასალების შესახებ, რითაც ხელი

შეუწყო მის მიერ აღმოჩნდილი არქეოლოგიური მონაპოვრის მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანას.

აქვე არ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ო. ჯაფარიძის ნაშრომებში შეჯამებული და განზოგადებულია მეცნიერული ცოდნა კავკასიის ადრეული და შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანია ო. ჯაფარიძის მონოგრაფიები: „ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში“ (თბ., 1955 წ.) და „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრინდელ საფეხურზე“ (1961წ.). ამ მონოგრაფიებში (ისინი ავსებენ ერთმანეთს) განხილული პრობლემების წერე ფართოა. იგი კავკასიის ადრებრინჯაოს კულტურების თითქმის ყველა საკითხს მოიცავს. ო. ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა მტკვარ-არაქსის, ენეოლითის და ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლების ერთგვარობას. აღნიშნავს სხვაობასაც.

ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა, ცნობილმა არქეოლოგმა, გამოჰყო რამდენიმე მსგავსი, მაგრამ ქრონოლოგიურად და კულტურულად განსხვავებული კულტურები – ე.წ. „მტკვარ-არაქსის ენეოლითი“ (დიდუბე, კიკეთი, ოზნი და სხვ.) და ადრეული ბრინჯაოს ე.წ. ყორლანული კულტურა (თრიალეთი, საჩხერე). ამის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ ქიულ-თეფეზე (ნახიჩევანი) აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის ენეოლითის წინარე კულტურისთვის დამახასიათებელი ძეგლები. ეს მასალა ენეოლითს განეკუთვნებოდა და მტკვარ-არაქსის კულტურის შემცველი დონიდან სტერილური ფენით იყოფოდა. ამ გარემოებისა და იმის გამო, რომ არსად მტკვარ-არაქსის წინარე ხანის კულტურა გენეტიკურად მტკვარ-არაქსს არ უკავშირდება, გახდა იმის საფუძველი, რომ ცნობილმა მკვლევარმა ა. იესენმა მტკვარ-არაქსის კულტურა ადრეული ბრინჯაოს ხანისად მიიჩნია. შემდგომში სამხრეთ კავკასიაში ზედიზედ გაითხარა ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლები, რომლებიც შეცდომით მტკვარ-არაქსის ენეოლითს მიაკუთვნეს, ხოლო შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ძეგლები ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნებიან და ვითომდა შეცდომის გამოსწორების მიზნით მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურაც ადრეულ ბრინჯაოს ხანაში მოაქციეს. გამოვიდა, რომ თითქმის მთელს კავკასიაში მესამე ათასწლეულში არსებოდა ერთი- ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა.

ო. ჯაფარიძემ რეალურად აჩვენა, რომ ადრეულ ბრინჯაოს ხანში ცალკეული კულტურები ჩამოყალიბდა; რომ შედა ქართლის ძეგლები საკმაოდ განსხვავებული არიან სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ძეგლებისაგან. მეცნიერმა წარმოაჩინა თითოეული მასალის ლოკალური თავისებურებები, შინაგანი დინამიკა. მანვე მოგვცა ამ ძეგლების შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგია. ო. ჯაფარიძის წამოყენებული დებულებები შესანიშნავად დაადასტურა შემდგომმა მრავალფენიანი ძეგლების გათხრებმა. მტკვარ-არაქსის კულტურა (III ათასწლეული) ფართოდ ვრცელდება თითქმის მთელს კავკასიაში. იგი სამხრეთითაც იჭრება. ო. ჯაფარიძის ვარაუდით, ამ კულტურის მატარებელ ტომებს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ წინა აზიაშიც. მისივე აზრით, მტკვარარაქსის კულტურის ჩამოყალიბე-



ბასა და განვითარებაში განსაკუთრებული როლი ქართველურ ეთნიკურ ელემენტს უნდა შეესრულებინა.

ო. ჯაფარიძემ განიხილა აფხაზეთის დოლ-მენური კულტურა და საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ამ კულტურის წარმომავლობისა და რაობის შესახებ. მეცნიერმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ადრებრინჯაოს ხანის დოლმენებში აღმოჩენილი ნივთები ახლო დგას დასავლეთ საქართველოს დაბლობში აღმოჩენილ იმავე პერიოდის ძეგლებთან. წარმომავლობა კი ადგილობრივი ნეოლითური კულტურიდან უნდა იყოს.

ო. ჯაფარიძის მონოგრაფია „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე“ მეცნიერებმა საეტაპოდ მიიჩნიეს კავკასიის ბრინჯაოს ხანის შესწავლის საქმეში. წიგნი საუნივერსიტეტო პრემიით დაჯილდოვდა.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ო. ჯაფარიძის მეცნიერულ შემოქმედებაში შუაბრინჯაოს ხანის, ე.წ. თრიალეთური კულტურის კვლევა. ილ-ბლიანი აღმოჩნდა თრიალეთის ყორლანები. ძვირფასი მასალა იქნა აქ მოპოვებული. ო. ჯაფარიძემ ცალკეული სტატიები და ორი მონოგრაფია მიუძღვნა. 1960 წელს გამოიცა მონოგრაფია „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“. აქ მოცემულია 1957-58 წლებში თრიალეთში ჩატარებული გათხრების ანგარიში. ყორლანები თრიალეთსა და ტაბაწყურში შუა ბრინჯაოს ხანის მეტად საინტერესო მასალას შეიცავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთ ყორლანები აღმოჩენილი ხის ეტლი. ამგვარად დაცული ეტლი პირველად აღმოჩნდა (ცნობისათვის გვინდა დავასახელოთ, რომ 1939 წ. არქეოლოგმა ბ.კუფტინმა თრიალეთის ერთ-ერთ ყორლანებში დაახლოებით ასეთივე ოთხთვალა აღმოაჩინა). ო. ჯაფარიძემ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა საქართველოში ბორბლიანი ტრანსპორტის შემოსვლისა და განვითარების შესახებ. ამასთან მიიჩნია, რომ თრიალეთის კულტურა უშუალოდაა დაკავშირებული ადრეული ბრინჯაოს კულტირასთან.

თრიალეთური ყორლანების კულტურას ბევრი საერთო აქვს წინა აზიისა და ევროპის იმავე პერიოდის კულტურებთან. ამიტომ რთულია ამ კულტურის რომელიმე ეთნიკური ჯგუფისათვის მიკუთვნება. ზოგი მკვლევარი მას ხურიტებს აკუთვნებს, ზოგი ხეთებს, ზოგადად ინდოევროპელებს. მეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესი ამ კულტურისადმი განაპირობა სამარხთა გრანდიოზულობამ, მაღალი ხელოვნებით შესრულებულმა ოქროს და ვერცხლის სამკაულებმა, დახვეწილი ფორმის, ნატიფ ორნამენტიანმა შავპრიალა და მოხატულმა თიხის ჭურჭელმა, თასებმა, სასმისებმა და სხვ. ო. ჯაფარიძის დებულებას, რომ საქართველოში შუა ბრინჯაოს კულტურა ადრებრინჯაოს

კულტურისგან იღებს სათავეს, ვრცელი და ფართო დასაპუთება აქვს 1969 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“. აქ წარმოდგენილია გომარეთის პლატოზე, ზურტაკეტში გათხრილი ყორლანების მასალა თავიანთი დასაკრძალავი დარბაზებით, მშენებლობის ტექნიკით, მაგიურ-რიტუალური თუ ჰიქტოგრაფიული ნიშნებით. ყოველივე ეს ძვირფას მასალას გვაძლევს თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკური მდგომარეობისა და სოციალური სტრუქტურის დასადგენად. ო. ჯაფარიძის დასკვნით, დიდი ყორლანები ტომის ბელადებს ეკუთვნიდა. მომცრო ყორლანები კი ცალკეული გვარის ბელადების ან დაწინაურებულ წევრთა სამარხებს წარმოადგენს. წიგნში საგანგებოდა განხილული თრიალეთის შეუძრიაოს ხანის სამარხეული ინვენტარი. სრულიად ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული ყურადღება აქვს დამობილი კერამიკულ ნაწარმს. სწორედ კერამიკული მასალის საშუალებით ხდება კულტურათა ასაკისა და წარმომავლობის განსაზღვრა. ნიშანდობლივია, რომ ეს მასალა შეჯამებულია კავკასიისა და წინააზიის იმავე პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებთან. სწორედ კვლევის ეს მეთოდი ოთარ ჯაფარიძეს აძლევს საშუალებას გამოჰყოს, ერთი მხრივ, თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკული და ლითონის ნაწარმის ძირითადი ტიპები, მეორე მხრივ, მათი დამზადების ტექნიკაში, ფორმებსა და შემკულობაში განსაზღვროს ის ნიშნები, რომლებითაც ეს კულტურა ენათესავება სხვა თანადროულ თუ წინარე კულტურებს.

ო. ჯაფარიძე დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ მიუხედავად თრიალეთის კულტურის მეტად გამორჩეული იერისა, იგი ბევრ საერთოს ამჟღავნებს წინარე პერიოდში კავკასიაში გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანის კულტურასთან. მსგავსება შეიმჩნევა კერამიკის დამზადების ტექნიკაში, ორნამენტში. როგორც ჩანს, თრიალეთის კულტურა წინააზიური კულტურების გარკვეულ გავლენას განიცდიდა, თუმცა იგი აღმოცენებულია ადგილობრივ წიადაგზე.

თრიალეთის კულტურა, როგორც ო. ჯაფარიძე მიიჩნევს, უნდა წარმოშობილიყო ცენტრალურ კავკასიაში (მიდა ქართლი, ქართლის ვაკე, თრიალეთი) ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ბაზაზე, წინააზიურ კულტურასთან შერწყმის გზით.

ო. ჯაფარიძის ეს დებულება აშკარად დაადასტურა მესხეთ-ჯავახეთში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, სადაც მეცნიერის მიერ გამოვლენილი იქნა თრიალეთური კულტურის ახალი კერა. მესხეთ-ჯავახეთის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურა აშკარად მტკვარ-არაქსულია, ე.ი. უფრო ადგილობრივია. მესხეთ-ჯავახეთის აღმოჩენებს ოთარ ჯაფარიძემ მიუძღვნა საინტერესო ნაშრომი „მესხეთ- ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“.

უაღრესად მნიშვნელოვანია საკითხი, თუ ვის ეკუთვნის თრიალეთური კულტურა. არ არის გასაკვირი, რომ ამ საკითხზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. ო. ჯაფარიძე დეტალურად განიხილავს ყველა მოსაზრებას, არჩევს ამ მოსაზრებათა დამადასტურებელ თუ უაღმყოფელ საბუთებს, ლინგვის-

ტურ თუ ანთროპოლოგიურ მონაცემებს და დაასკვნის, რომ რადგანაც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლები უმთავრესად დამოწმებულია შიდა და ქვემო ქართლში, აქვეა დადასტურებული თრიალეთის კულტურის გავრცელების ძირითადი არეალი, ამიტომ ქართველურ ტომებს არსებითი როლი უნდა მიენიჭოს ამ კულტურების ჩამოყალიბებაში.

ო. ჯაფარიძემ მოგვცა თრიალეთის დიდი ყორლანების კულტურის ახალი პერიოდიზაცია, განსხვავებული ბორის კუფტინისეულისაგან – ეს კულტურა ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო და II ათასწლეულის მეორე ნახევრით დაათარიღა. სრულიად გამართლებულია, რომ ოთარ ჯაფარიძის ნაშრომი „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“ ივანე ჯავახიშვილის სახელით პრემია მიენიჭა. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ის იყო ამ პრემიის პირველი ლაურეატი.

ო. ჯაფარიძის მეცნიერული ინტერესები მხოლოდ ბრინჯაოს ხანით არ იფარგლება. მისი ნაშრომები ეხება ანტიკური და ფეოდალური პერიოდის ძეგლებსაც. იგი ხელმძღვანელობდა ქვემო ქართლის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ადრესამინათმოქმედო ძეგლების კვლევას. ექსპედიციამ შეიმუშავა ძეგლების არქეოლოგიური გათხრის მეთოდი და მყაცრი მეცნიერული მეთოდოლოგით შეისწავლა ისინი. მათში გახსნილია ძეგლების ხასიათი, მათი განვითარების დინამიკა, მეურნეობის დონე, სტრატიგრაფიულ ფენათა მონაცვლეობა; დათარიღებულია შესაძლო სიზუსტით. ეს საკითხები ფართოდაა განხილული კოლექტიურ ნაშრომში „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“ (1965-1971 წწ.).

ო. ჯაფარიძემ ალექსანდრე ჯავახიშვილთან ერთად სათავე დაუდო კავკასიაში ადრესამინათმოქმედო კულტურების შესწავლას. მათი ნაშრომი „უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე“ მნიშვნელოვანი შემაძენია მეცნიერებისა.

განსაკუთრებულადაა აღსანიშნავი, რომ ო. ჯაფარიძე საგანგებოდ იკვლეს ეთნოგენეზის პრობლემებს. მის ნაშრომში „ქართველ ტომთა ეთნიკური საკითხისათვის“, არქეოლოგიური მასალის შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე, ყურადღებაა გამახვილებული კავკასიაში ადამიანთა საზოგადოების ჩასახვა-ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების პროცესზე. სავარაუდოა, რომ კავკასიაში უძველესი ეთნიკური და კულტურული ერთობა არსებობდა, შემდგომში კი ეს ერთობა დაიშალა და კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ჯგუფები ჩამოყალიბდა. ო. ჯაფარიძის აზრით, კავკასიური ერთობის დაშლის პროცესი VI-V ათასწლეულში უნდა დამთავრებულიყო. ო. ჯაფარიძე იყენებს ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მონაცემებს და დაასკვნის, რომ ქართველურ ტომებს ამ დროისათვის ძირითადად ამიერკავკასიის დასავლეთ და მისი ცენტრალური ტერიტორია ეკავათ.

მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ კავკასიაში III ათასწლეულში ორი დიდი კულტურა ყალიბდება: მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის. განხილულია ამ კულტურათა წარმომავლობის, მათი გავრცელებისა და სხვ. საკითხები. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს კულტურა ხური-ურარტული და ქართველური ტომებისა უნდა

იყოს. იგი წინააღმდეგია ამ კულტურის მატარებლების ინდოევროპულებად გამოცხადებისა. მნიშვნელოვანია 2006 წელს გამოცემული ოთარ ჯაფარიძის მონოგრაფია „ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან“.

ო. ჯაფარიძემ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო სპილენძ-ბრინჯაოს მეტა-ლურების შესწავლას. მან ქიმიკოსებთან თანამშრომლობით გამოსცა წიგნი „სპილენძ- ბრინჯაოს მეტალურების ისტორიისათვის საქართველოში“. აქ მო-ცემულია საქართველოში უძველესი მეტალურგიის ჩასახვისა და განვითა-რების პროცესი ენეოლითიდან ადრეული რკინის ხანამდე. ნაშრომში არაერ-თი სიახლეა და საინტერესო დასკვნაა მეტალურგიის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით.

ო. ჯაფარიძე გასაოცარი ადამიანური ხიბლით იყო მოსილი. მის დიდ სა-მეცნიერო მიღწევებს მისივე სანიმუშო ლირსებებით შემკული დიდი პიროვნე-ბაც ამშვენებს.

ო. ჯაფარიძის მდიდარმა სამეცნიერო მემკვიდრეობამ მის სიცოცხლე-შივე დაიკავა საპატიო ადგილი ქართული მეცნიერების საგანძურში, რასაც დროთა სვლა მეტი ბრწყინვალებით წარმოაჩენს. დაუვიწყარია გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნა მისი კოლეგების, მრავალრიცხოვანი მოწაფეებისა და ქართული საზოგადოების ცნობიერებაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება**

## გოგი ლორთქიფანიძე განათლებით ისტორიკოსი, წლების განმავლობაში

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპე-  
დიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სა-



მეცნიერო რედაქტორის მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო, ასევე, საქართველოს მეცნიერე-  
ბათა ეროვნული აკადემიის უურნალ „მაცნეს“ (ისტორიის სერია) პასუხისმგებელი რედაქტორი.  
აღნიშნულ უურნალში ის 42 წლის განმავლობაში  
მოღვაწეობდა და ამას აკეთებდა ყოველგვარი  
ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ მეცნიერების  
მიმართ დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით.  
გოგიმ გაიარა სამეცნიერო და საზოგადოებრივი  
მოღვაწეობის დიდი გზა. 12 წლის განმავლობა-  
ში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკა-  
დემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,

არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ისტორიის ინსტიტუტში. თითქმის 16 წელი  
ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტში  
და ზრდიდა სტუდენტთა თაობებს. სიცოცხლით სავსე, იუმორის გრძნობით  
დაჯილდოებული, მოყვასის მოყვარული, თავადაც ყველას სიყვარულსა და  
პატივისცემას იმსახურებდა. მისი გარდაცვალება მძიმე დანაკლისია ენციკ-  
ლოპედიისათვის, უურნალ „მაცნეს“ რედაქტორისათვის მეგობრებისა და ახ-  
ლობლებისათვის და, უპირველესად, მისი ოჯახისთვის, შვილისთვის, რო-  
მელიც ეამაყებოდა და რომელსაც ალალმართალ, კაცურ კაცად ზრდიდა.  
გოგი იყო უაღრესად ერუდირებული, საოცარი მეხსიერების მქონე, საენციკ-  
ლოპედიონ საქმისა და ისტორიული მეცნიერების უბადლო მცოდნე. ნებისმ-  
იერი ინფორმაცია, რომელსაც იგი გაგიზიარებდა, იყო უტყუარი და სანდო,  
ფაქტის ან მოვლენის ანალიზი - მართებული. თბილისში დაბადებულსა და  
გაზრდილს, თავისი თაობის, და არა მარტო, ადამიანებს შორის ბევრი ნაც-  
ნობი და მეგობარი ჰყავდა, რომელთაც გოგის უდროო, მოულოდნელმა ნას-  
ვლამ თავზარი დასცა. დააკლდა გოგი მეგობრებს, კოლეგებს, მეცნიერებათა  
აკადემიის, ენციკლოპედიისა და უურნალ „მაცნეს“ ყველა თანამშრომელს,  
ყველა სამუშაო ოთახს, სადაც იგი მუდამ სასურველი სტუმარი იყო და ყველ-  
გან ხალისი შეჰქონდა, საქმიან ატმოსფეროს ჰქონდა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,  
უურნალ „მაცნეს“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების  
ისტორიის სერია) მთავარი რედაქტორი,  
ერთული ენციკლოპედიის ირაკლი აკაზიძის სახელობის  
მთავარი სამეცნიერო რედაქტორი

## ახალი წიგნები

**რ. მეტრეველი, საისტორიო ნარკვევები, II., თბ., 2019.**

წიგნში შესულია აკად. რ. მეტრეველის მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული ისტორიული ნარკვევები. ესაა უშაუალოდ ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული, საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ამსახველი მასალა. წიგნი გათვალისწინებულია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

**ზ. ალექსიძე, „საქმენი იოვანე ზედაზადნელისანი“ და „მარტვილობავ აბიბოს ნეკრესელისავ“. სინური რედაქციები, თბ., 2019.**

წიგნში შესწავლილია სინას მთაზე, ნე. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ქართული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ასურელი მამების ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღემდე უცნობ რედაქციებს. ნაშრომი შედგება სუთი თავისაგან, ახლავს ტექსტები, ლექსიკონი და საძიებლები.

**ლ. მელიქიშვილი, ტრადიციული კულტურა და საზოგადოება, თბ. 2019.**

წიგნი წარმოადგენს საქართველოს საზღვრისპირა რეგიონები ავტორის მრავალწლიანი მუშაობის შედეგს. ადამიანისა და საზოგადოების მთლიანობაში შესწავლის საფუძველზე განსაზღვრულია ტრადიციული კულტურის როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

არტანუჯისა და ბათუმის ლივების აღწერის ვრცელი დავთორები, დადგენილი ოსმალური ტექსტი, ქართული თარგმანი, ვრცელი შესავლითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა პროფ. ნ. შენგელიამ, თბ., 2020.

ნაშრომში მოცემულია არტანუჯისა და ბათუმის ლივების აღწერის ვრცელი დავთარი, რომელიც მოიცავს ტაოსკარის, ფასინის, ანზავის, ათინას, არხოვას (იგივე ლაზი და ჰემშინე) ნაპიებს. დავთარი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლად XVI-XVIII საუკუნეებში.

**ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. I, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, თბ., 2019.**

მრავალტომეულის პირველ ტომში, როგორც სათაური იუწყება, თავმოყრილია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების, პ. იოსელიანის (1809-1875) და დ. ბაქრაძის (1826-1890) ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც ძვირფასი წყაროა არამარტო ამ თვალსაჩინო მოღვაწეების ბიოგრაფიის, არამედ XIX ს. საქართვლოს ისტორიულ-კულტურული ცხოვრების შესასწავლად.

წერილები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, სამეცნიერო პასპორტები და შენიშვნები დაურთო ქ. გიგაშვილმა, ლე-

ქსიკონი და ენობრივი მიმოხილვა ეკუთ-  
ვნით ქ. და მ. გიგაშვილებს, დათარილება  
და კომენტარები - მ. ნინიძეს.

#### **440 დღე საქართველოს დამოუკიდე- ბლობამდე, რედაქტორ-ხელმძღვანელი პროფესორი დ. შველიძე, თბ., 2019**

წიგნი წარმოადგენს 1917-1918 წლების ყოველდღიურ მატიანეს, კერძოდ, დეტალურად განხილულია თითოეული დღე 1917 წლის 27 თებერვლიდან 1918 წლის 26 მაისამდე, ანუ რუსეთში რევოლუციის დაწყებიდან საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებამდე. წიგნში მოცემულია აღნიშნულ პერიოდში განვითარებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, ეკლესიური და სამხედრო მოვლენების დეტალური მიმოხილვა, რაც საშუალებას იძლევა გავეცნოთ 1917-1918 წლებში საქართველოში შექმნილ ვითარებას და თვალი გავადევნოთ დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზას.

#### **მითოლოგიური ენციკლოპედია, თბ., 2019**

წიგნი აერთიანებს სამ წანილს: პირველი ორი – ეთმობა ძველი სამყაროს მითოლოგიას, მესამე წანილში წარმოდგენილია ქართული მითები და ლეგენდები.

ავტორები არიან: პროფესორები ნანა ტონია.

წიგნი მოგითხრობთ მსოფლიოს ხალხთა უმთავრეს მითოლოგიურ წარმოსახვებზე, იმ ღმერთებზე, გმირებსა და ფანტასტიკურ არსებებზე, რომელთა სახეები დიდი ხანია მხატვრული ლიტერატურულის და ხელოვნების, ფილოსოფიური თუ რელიგიური აზრის კუთვნილებად იქცა.

არქანჯელო ლამპერტი, წმინდა კოლხეთი, იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცეკიტიშვილმა, ტექსტი გმოსაცემად

#### **მოამზადა, წინათქმა და განმარტებები დაურთო დავით მერკვილაძემ თბ., 2020**

არქანჯელო ლამპერტის „წმინდა კოლხეთი“ ფასდაუდებელი მნიშვნელობის წყაროა XVII საუკუნის I ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. მასში მოთხოვნილია საქართველოში თეატრინელთა კათოლიკური მისიის 1626-1649 წლების ისტორია. ნაშრომში უამრავი საგულისხმო ცნობა მოიპოვება ქართული სამეფო-სამთავროებისა და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის შესახებ.

„წმინდა კოლხეთი“ ცალკე წიგნად პირველად წარდგება ქართველი სამეცნიერო საზოგადოების ფართო წრისა და დაინტერესებული მკითხველის წინაშე.

#### **ექვთიმე თაყაიშვილი, თხზულებანი, ტომი VIII, თბ., 2019**

ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა VIII ტომში შედის ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემული სერიის „საქართველოს სიძველენი“ პირველი და მეორე ტომები, სადაც წარმოდგენილია მეცნიერის მიერ შეკრებილი და შესწავლილი სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა აქტები. ტომს დართული აქვს ქრონოლოგიური, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

#### **ნიკა ხოლერია, გვიანანტიკური სა- ქართველოს სამხედრო ისტორია, II, თბ., 2019**

წიგნში შესწავლილია ლაზიკის ომის (541-562 წწ.) ლანდშაფტი, სივრცე და რესურსები; ომის მონაწილე მხარეების არმიების ორგანიზება, აღჭურვილობა, მასშტაბები, სტრატეგია და ტაქტიკა, განსაკუთრებით კი – სამხედრო ლოვისტიკა. ასევე წარმოდგენილია პროსპექტოგრაფიული კვლევა ლაზიკის ომში მონაწილე ბიზანტიელი მხედართმთავრების შესახებ და ომის ორი სა-

კვანძო პრძოლის – პეტრას ალყისა და ცხენისწყალთან მომხდარი პრძოლის ვრცელი განხილვა.

**ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველთა გამუსლიმება (ზეპირი გადმოცემები), გამოსაცემად მოამზადეს ზ. ნინიკაშვილმა და თ. პაპუაშვილმა, თბ., 2019**

„ქართველთა გამუსლიმება“ ზეპირი გადმოცემების კრებულია, რომელიც მომზადებულია ცნობილი მოღვანის – ზაქარია ჭიჭინაძის (1853-1931) რამდენიმე წიგნისა და ძველი საგაზეთო სტატიების მიხედვით.

წიგნში ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეხვდებით რთული ეთნოკონფესიური პროცესების შესახებ. პირველ გამოცემასთან შედარებით, მეორე გამოცემაში დამატებულია როგორც ქართველთა გამუსლიმებასთან დაკავშირებული ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შეკრებილი სხვა ზეპირი გადმოცემები, ისე ცნობები მეზობელ ჩრდილოკავკასიელ ხალხებში (ლეკები, ინგუშები, ოსები, ჩერქეზები) ისლამის გავრცელების შესახებ.

მეორე გამოცემას ერთვის გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი, აგრეთვე, – ფოტომასალა.

## მეგზური ავტორთათვის

1. წარმოდგენილი სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე 1,5 ინტერვალით, გვერდითი არეები – 25-25 მმ. სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 14 ნაბეჭდ გვერდს ილუსტრაციებისა და რეზიუმეების ჩათვლით.
2. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე.
3. სტატია უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:
  - ავტორის სრული სახელი, გვარი, სტატიის სათაური, ტექსტი, დამოწმებული წყაროების და ლიტერატურის სია, რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე.
  - ტექსტი 12 შრითზე, Sylfaen.
  - სურათები უნდა დაერთოს ცალკე jpg ან Tiff ფორმატში, რეზოლუცია არანაკლებ 300 dpi.
  - წყაროების და ლიტერატურის სია ტექსტში უნდა დალაგდეს ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ტექსტში ლიტერატურა აღნიშნული უნდა იყოს ციტრებით კვადრატულ ფრჩხილებში, გვერდის ნომრები გამოყოფილი უნდა იყოს „:“ ნიშნით; მაგ. [21: 235]); ილუსტრაციებს უნდა ახლდეს წარწერები;
4. ავტორმა სტატია უნდა წარმოადგინოს როგორც ამონაბეჭდის, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით: CD ან DVD დისკით.
5. სარედაქციო საბჭო არ განიხილავს ნაშრომს, რომელიც მოთხოვნების მიხედვით არ იქნება გაფორმებული.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა  
თბილისი – 2020  
რუსთაველის გამზ. 52

Georgian National Academy Press  
Tbilisi – 2020  
52, Rustaveli Ave.